განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

# საქართველოს ისტორია

# 7

## მასწავლებლის წიგნი

## პირველი ნაწილი



ჯაბა სამუშია, გიორგი სოსიაშვილი, ლერი თავაძე

# საქართველოს ისტორია 7

## მასწავლებლის წიგნი
## პირველი ნაწილი

მასწავლებლის წიგნი შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

**საქართველოს ისტორია**
VII კლასი, პირველი ნაწილი
მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026

ავტორები:
ჯაბა სამუშია, გიორგი სოსიაშვილი, ლერი თავაძე

სამეცნიერო რეცენზენტი: როინ მეტრეველი
ექსპერტ-კონსულტანტები: დავით მალაზონია, ნიკოლოზ გურგენიძე, ნინო მიმინოშვილი, ლალი მექერიშვილი
ფსიქოლოგ-მეთოდისტი: მზია წერეთელი
რედაქტორი: ნათელა დვალი
ილუსტრატორი: მარიამ ებრალიძე
დამკაბადონებელი: თამარ სტეფნაძე

მასწავლებლის წიგნი შედგენილია VII კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის მიხედვით. ის განკუთვნილია მეშვიდე კლასის მასწავლებლებისათვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ისტორიის VII კლასის სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი – I და II ნაწილი;
მოსწავლის რვეული – I და II ნაწილი;
მასწავლებლის წიგნი – I და II ნაწილი.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

## სარჩევი


**წინასიტყვაობა ..... 5**

**მასწავლებლის წიგნის სტრუქტურა ..... 6**

**ნაწილი I. შესავალი – მეთოდური გზამკვლევი ..... 6**

1. წინასიტყვაობა ..... 8
2. როგორ ვისარგებლოთ მასწავლებლის წიგნით ..... 9
3. მეთოდოლოგიური პრინციპები ..... 11
4. როგორ ვიმუშაოთ VII კლასის საქართველოს ისტორიის სტანდარტით ..... 13
5. შეფასება ..... 15
6. დიფერენცირებული სწავლება და სწავლების უნივერსალური დიზაინი ..... 16
7. ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა ..... 17
8. რა არის ახალი ..... 18

**ნაწილი II. სახელმძღვანელოს თემატური ანალიზი ..... 20**

1. სახელმძღვანელოს აგებულება ..... 20
2. თემატური მიმოხილვა თავების მიხედვით ..... 21
3. სამიზნე ცნებების განაწილება ..... 24
4. სავარაუდო კალენდარული გეგმა ..... 24
5. სემესტრის სამი საკვანძო მომენტი ..... 26

**ნაწილი III. გაკვეთილების სცენარები ..... 27**

შესავალი ..... 27

I თავი. ჩვენი სამშობლო – საქართველო ..... 29

1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ..... 31
2. მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში ..... 38

**II თავი. რით ვსწავლობთ ძველ ისტორიას ..... 45**

3. ქრონოლოგია ..... 47
4. მიწაში დამარხული ისტორია ..... 54
5. წერილობითი წყაროები ..... 61

**III თავი. ქვის ხანის ეპოქის ადამიანის თავგადასავალი ..... 68**

შესავალი ..... 68

6. უძველესი ადამიანის ნაკვალევი დმანისიდან ..... 70
7. ქვის ხანა საქართველოში ..... 77
8. ნეოლითური რევოლუცია ..... 83
9. ხორბლისა და ღვინის უძველესი კერები საქართველოში ..... 90

**IV თავი. ქვიდან ლითონამდე ..... 97**
შესავალი ..... 97
10. ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა ..... 100
11. შუა ბრინჯაოს ხანა – თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურა ..... 107
12. გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა ..... 114
13. ციკლოპური ციხე-ქალაქები ..... 122
14. ქართველი ერის წარმოშობა, ანუ ეთნოგენეზი ..... 130

**V თავი. უძველესი ქართული სახელმწიფოები ..... 137**
შესავალი ..... 137
15. კოლხური კულტურა და კოლხას სამეფო ..... 139
16. კოლხური სამყარო და არგონავტების მითი ..... 146
17. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები .153
18. აქემენიანთა ირანი, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო ..... 161
19. მშენებლობა ძველ საქართველოში ..... 168

**VI თავი. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ..... 176**
შესავალი ..... 176
20. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსები ..... 178
21. ფარნავაზი და აზო ..... 185
22. ქართლის სამეფოს შექმნა ..... 192
23. ფარნავაზის მიერ ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა ..... 199
24. რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ ..... 206
25. ქართლის სამეფო ფარნავაზ მეფის მემკვიდრეების დროს ..... 213
თავების შემაჯამებელი გაკვეთილების მოდელები ..... 221

**ნაწილი IV. პროექტული დავალებები ..... 227**
პროექტული დავალების ადგილი სასწავლო პროცესში ..... 227
I პროექტული დავალება – წარსულის კვალი ჩვენ გარშემო ..... 229
მასწავლებლის ინსტრუქცია ..... 230
II პროექტული დავალება – ლითონმა შეცვალა ცხოვრება ..... 234
მასწავლებლის ინსტრუქცია ..... 236
II პროექტული დავალება – როგორ შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო ..... 239
მასწავლებლის ინსტრუქცია ..... 241

**ნაწილი V. დანართები ..... 244**

**დანართი 1. მეთოდების ცნობარი ..... 244**

**დანართი 2. შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები ..... 247**

**დანართი 3. სასწავლო რესურსების ნუსხა ..... 249**

სასარგებლო ბმულები ..... 251

## წინასიტყვაობა

მასწავლებლის წიგნი შედგენილია VII კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის მიხედვით და მოიცავს პირველი სემესტრის სასწავლო მასალას: ექვს თავს, ოცდახუთ პარაგრაფსა და თავების შემაჯამებელ გაკვეთილებს.

წიგნის მიზანია, მასწავლებელს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელების გზა. სტანდარტი განსაზღვრავს, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს სემესტრის ბოლოს; სახელმძღვანელო წარმოადგენს სასწავლო შინაარსს, მასწავლებლის წიგნი კი ამ ორ კომპონენტს ერთმანეთს უკავშირებს. თითოეულ სცენარში მითითებულია, სტანდარტის რომელი ინდიკატორი მუშავდება გაკვეთილზე, რა შედეგს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა კრიტერიუმებით შეფასდეს მიღწეული შედეგი.

სახელმძღვანელოს კომპლექტი სამი კომპონენტისგან შედგება. მოსწავლის წიგნი წარმოადგენს სასწავლო შინაარსსა და ისტორიულ წყაროებს; მოსწავლის რვეული შეიცავს დავალებებს, რომლებიც ცოდნისა და უნარების დამუშავებას ემსახურება; მასწავლებლის წიგნი კი ორივეს აერთიანებს დაგეგმილ გაკვეთილში. თითოეულ სცენარში განსაზღვრულია, რვეულის რომელი დავალება სრულდება საკლასო მუშაობის რომელ ეტაპზე და რომელი რჩება საშინაო დავალებად.

წიგნი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია მეთოდური საფუძვლები: სტანდარტთან მუშაობის პრინციპები, შეფასების, დიფერენცირებული სწავლებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის საკითხები; მეორე ნაწილი შეიცავს სახელმძღვანელოს თემატურ ანალიზსა და სავარაუდო კალენდარულ გეგმას; მესამე ნაწილი წიგნის ძირითადი ნაწილია: მასში თავმოყრილია ყველა თავის შესავალი, ოცდახუთი გაკვეთილის სცენარი და შემაჯამებელი გაკვეთილების მოდელები; მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია სამი პროექტული დავალება, მეხუთეში კი – დამხმარე მასალა: მეთოდების ცნობარი, შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები და სასწავლო რესურსების ნუსხა.

წიგნში წარმოდგენილი მასალა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სცენარები ერთ შესაძლო გადაწყვეტას გვთავაზობს და მასწავლებელს უფლება აქვს, საკუთარი კლასის შესაძლებლობების, სასწავლო გარემოსა და დროის რესურსის გათვალისწინებით, შეცვალოს აქტივობა, გადაანაწილოს დრო ან საკუთარი მიდგომა დაამატოს. ცვლილებისას მნიშვნელოვანია ორი პირობის დაცვა: გაკვეთილის კავშირი სტანდარტის ინდიკატორთან და მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი დრო.

წიგნზე მუშაობისას გათვალისწინებულია მეშვიდე კლასის მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობები: აქტივობების ხანგრძლივობა, დავალებების მოცულობა და ეტაპობრივი მხარდაჭერის საჭიროება გრძელვადიანი სამუშაოს შესრულებისას.

## მასწავლებლის წიგნის სტრუქტურა

### ნაწილი I. შესავალი – მეთოდური გზამკვლევი

ეს ნაწილი მასწავლებელს პასუხს სცემს ოთხ მთავარ კითხვაზე: რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ, როგორ მიაღწიოს შედეგს, როგორ შევამოწმოთ შედეგი და როგორ ვიმოქმედოთ, როცა მოსწავლეთა საჭიროებები განსხვავებულია. პირველ ნაწილში განხილულია შემდეგი საკითხები:

წინასიტყვაობა – ვისთვის დაიწერა წიგნი, რა ამოცანას წყვეტს და როგორ უკავშირდება ერთმანეთს მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული;

როგორ ვისარგებლოთ მასწავლებლის წიგნით – წიგნის აგებულება, ნავიგაცია და სამი ტიპური სიტუაცია: ერთი გაკვეთილის დაგეგმვა, მთელი თავის დაგეგმვა, პროექტის განხორციელება;

მეთოდოლოგიური პრინციპები – რას ეფუძნება მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები: სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული სწავლება, წყაროებთან მუშაობა, კვლევითი და ღირებულებითი კომპონენტი, კავშირი თანამედროვეობასთან;

როგორ ვიმუშაოთ VII კლასის საქართველოს ისტორიის სტანდარტით – სტანდარტის აგებულება (ექვსი სამიზნე ცნება და ექვსი შედეგი ინდიკატორებით), როგორ გამოვიყენოთ ინდიკატორი გაკვეთილის მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისას; სტანდარტის ძლიერი და გასათვალისწინებელი მხარეები;

შეფასება – განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ადგილი გაკვეთილზე, ინდიკატორის კრიტერიუმად გარდაქმნა, რუბრიკის შედგენის მარტივი წესი;

დიფერენცირებული სწავლება და სწავლების უნივერსალური დიზაინი – მრავალდონიანი დავალებები, მხარდამჭერი სტრატეგიები, წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები;

ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა – რომელ საგნებთან და რომელ თემებზე იკვეთება ბუნებრივი კავშირები (გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, მოქალაქეობა, ვიზუალური ხელოვნება და სხვ.), როგორ დაიგეგმოს ინტერგირებული გაკვეთილი და რომელი შედეგები უნდა შეფასდეს;

რა არის ახალი – ამ სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის ძირითადი უპირატესობები წინა თაობის სახელმძღვანელოებთან შედარებით.

### ნაწილი II. სახელმძღვანელოს თემატური ანალიზი

ეს ნაწილი სახელმძღვანელოს შინაარსს სარჩევის მიხედვით მიმოიხილავს და მასწავლებელს სასწავლო მასალის ორიენტირებაში ეხმარება. მეორე ნაწილში განხილულია შემდეგი საკითხები:

სახელმძღვანელოს აგებულება – ექვსი თავი, ოცდახუთი პარაგრაფი, რუბრიკების სისტემა („წყარო“, „მეცნიერის თვალსაზრისი“, „ლექსიკონი“, „ეს საინტერესოა“, „კითხვა“, „დავალება“), დანართები და მოსწავლის რვეულის ადგილი;

თემატური მიმოხილვა თავების მიხედვით – თითოეულ თავზე მოკლე ცნობა: რა შინაარსს მოიცავს, რომელი სამიზნე ცნებები მუშავდება, რომელი შედეგები აქტიურდება და რამდენი გაკვეთილი ეთმობა;

სამიზნე ცნებების განაწილება წლის განმავლობაში – ცხრილი, რომელშიც ჩანს, რომელ პარაგრაფში რომელი ცნება მუშავდება;

სავარაუდო კალენდარული გეგმა – გაკვეთილების, შემაჯამებელი გაკვეთილებისა და პროექტების განაწილება პირველი სემესტრის მიხედვით.

## ნაწილი III. გაკვეთილების სცენარები

ესაა წიგნის ძირითადი და ყველაზე მოცულობითი ნაწილი. თითოეული თავი ერთნაირად არის აგებული: ჯერ თავის შესავალი, შემდეგ პარაგრაფების სცენარები. მესამე ნაწილში განხილულია შემდეგი საკითხები:

თავის შესავალი – თავის მიზანი და შინაარსობრივი ხაზი, სამიზნე ცნებებისა და შედეგების განაწილება პარაგრაფების მიხედვით, პრაქტიკული შენიშვნები (მათ შორის, მცდარი წარმოდგენების გასწორება და მგრძნობიარე თემების განხილვის რჩევები).;

გაკვეთილის სცენარი – თითო პარაგრაფზე თითო სცენარი შემდეგი ფორმატით: კავშირი სტანდარტთან, გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები, წინარე ცოდნის გააქტიურება, მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები, გაკვეთილის მსვლელობა, მოსწავლის რვეულზე მუშაობა, დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი, საშინაო დავალება, შეფასება, საგანთაშორისი ინტეგრაცია, მასწავლებლის რეფლექსია, სასწავლო რესურსები;

შემაჯამებელი გაკვეთილის მოდელი – თითო თავზე თითო მოდელი, რომელშიც გამოიყენება მოსწავლის რვეულის კროსვორდი, კონტურული რუკები და თავის საკვანძო კითხვები.

## ნაწილი IV. პროექტული დავალებები

პროექტები სამ თავს უკავშირდება და თითოეული ორი დოკუმენტისგან შედგება: მოსწავლისთვის განკუთვნილი დავალება და მასწავლებლის ინსტრუქცია. მეოთხე ნაწილში განხილულია შემდეგი საკითხები:

პროექტული დავალების ადგილი სასწავლო პროცესში – რა განსხვავებაა პროექტულ და საშინაო დავალებას შორის, როგორ გავითვალისწინოთ პროექტი საგნის კურიკულუმში;

II თავი – „ისტორიის წყაროები ჩვენ გარშემო“: დავალება მოსწავლისთვის და ინსტრუქცია მასწავლებლისთვის;

IV თავი – „ლითონმა შეცვალა ცხოვრება“: დავალება მოსწავლისთვის და ინსტრუქცია მასწავლებლისთვის;

VI თავი – „როგორ შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო“: დავალება მოსწავლისთვის და ინსტრუქცია მასწავლებლისთვის.

## ნაწილი V. დანართები

დამხმარე მასალა, რომელსაც მასწავლებელი საჭიროებისამებრ მიმართავს:

სცენარებში გამოყენებული მეთოდების მოკლე ცნობარი – თითოეული მეთოდის არსი და მითითება, რომელ სცენარშია გამოყენებული;

შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები – რუბრიკები, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასების მოკლე კითხვარი;

სასწავლო რესურსების ნუსხა – მუზეუმები, ელექტრონული პლატფორმები, სამეცნიერო ლიტერატურა და ვიდეომასალა თემების მიხედვით.

## ნაწილი I. შესავალი – მეთოდური გზამკვლევი

### 1. წინასიტყვაობა

მასწავლებლის ეს წიგნი VII კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დამხმარე მასალაა. იგი განკუთვნილია საბაზო საფეხურის ისტორიის მასწავლებლისთვის – როგორც გამოცდილისთვის, რომელსაც მზა მასალა დროის დაზოგვაში დაეხმარება, ისე დამწყებთათვის, რომლებიც გაკვეთილის აგების ხერხებს ეძებს.

წიგნის უმთავრესი ამოცანაა მასწავლებელს დაეხმაროს იმის დანახვაში, როგორ გარდაიქმნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა კონკრეტულ გაკვეთილად. სტანდარტი განსაზღვრავს, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს წლის ბოლოს; სახელმძღვანელო აწვდის შინაარსს; მასწავლებლის წიგნი კი აჩვენებს, როგორ დაუკავშირდება ერთი კონკრეტული პარაგრაფის მასალა სტანდარტის კონკრეტულ შედეგს/შედეგებს და როგორ შემოწმდება შედეგის მიღწევის ხარისხი.

#### ერთი მაგალითი

რას ნიშნავს ეს გარდაქმნა პრაქტიკულად, ერთი მაგალითით ჩანს. ავიღოთ §21 – „ფარნავაზი და აზო“.

დაგეგმვა პარაგრაფის წაკითხვით იწყება. მისი მთავარი შინაარსობრივი თავისებურება ის არის, რომ ქართლის პირველ მეფეს ქართული წყარები სხვადასხვა სახელით იხსენიებს: „მოქცევაი ქართლისაი“ – აზოს, „ქართლის ცხოვრება“ კი ფარნავაზს მიიჩნევს ქათლის პირველ მეფედ. სწორედ ეს განსხვავება ეხმიანება სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორს: „ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი წყაროების შედარება სანდოობისა და შინაარსის მიხედვით“. ეს ინდიკატორი შერჩეულია იმიტომ, რომ პარაგრაფის მასალა მას ბუნებრივად ეთანადება.

შემდეგი ნაბიჯი ინდიკატორის დაკონკრეტებაა, რომელიც ერთ გაკვეთილზე ვერ შემოწმდება, ამიტომ იგი ვიწროვდება ერთი პარაგრაფის მასალამდე: „მოსწავლემ შეადაროს „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობები და დაასახელოს მთავარი განსხვავება“. ეს უკვე გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგია – საკმარისად კონკრეტული იმისთვის, რომ ორმოცდახუთ წუთში შესაძლებელი იყოს მისი მიღწევა.

როცა შედეგი ჩამოყალიბებულია, აქტივობის მოფიქრება ადვილდება. გაკვეთილი იხსნება მარტივი კითხვით – ვინ იყო ქართლის პირველი მეფე? კლასის უმეტესობა ფარნავაზს დაასახელებს (ნასწავლი აქვთ საგანში „ჩვენი საქართველო“). მასწავლებელი პასუხს აზუსტებს: ასე ამბობს „ქართლის ცხოვრება“, მაგრამ უფრო ძველი წყარო სხვა კაცს ასახელებს. ეს წინააღმდეგობა მთელი გაკვეთილის ღერძად იქცევა: ჯგუფები ორივე ნაწყვეტს კითხულობენ და განსხვავებას თავად პოულობენ, დასკვნით ნაწილში კი პასუხობენ კითხვას, როგორ იქცევა ისტორიკოსი, როცა წყაროები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ბოლო ნაბიჯი შეფასებაა. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმად იმავე ინდიკატორის ფორმულირება გამოიყენება, ოღონდ იმავე კონკრეტული სახით, როგორც გაკვეთილის შედეგი. მოსწავლეს ეს კრიტერიუმი წინასწარ ეცნობება – ასე მისთვის ცხადია, რას შეაფასებს მასწავლებელი.

ამ ოთხ ნაბიჯს – ინდიკატორის შერჩევას, მის დაკონკრეტებას, აქტივობის აგებასა და შეფასების განსაზღვრას – მიჰყვება წიგნის ყველა სცენარი. სწორედ ამიტომ იწყება თითოეული სცენარი სტანდარტთან კავშირით და მთავრდება იმავე ინდიკატორებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმებით.

#### სახელმძღვანელოს კომპლექტი

სახელმძღვანელოს კომპლექტი სამი ნაწილისგან შედგება. მოსწავლის წიგნი შინაარსსა და წყაროებს აწვდის მოსწავლეს; მოსწავლის რვეული დავალებებს სთავაზობს, რომლებიც

ცოდნის დამუშავებასა და უნარების გავარჯიშებას ემსახურება; მასწავლებლის წიგნი კი ორივეს გაკვეთილის სცენარში აერთიანებს.

მოსწავლის რვეულის დავალებები სცენარებში ცალკე შემთხვევებად კი არ არის მოხსენიებული, არამედ გაკვეთილის მსვლელობაშია ჩაწერილი: ყოველი სცენარის მეექვსე ნაწილი მიუთითებს, რომელი დავალება სრულდება კლასში, რომელ აქტივობაში და რომელი რჩება საშინაო სამუშაოდ. ეს განაწილება ყოველ პარაგრაფზე ცალკე არის გააზრებული. მაგალითად, §11-ის სცენარში რვეულის სამივე დავალება კლასში სრულდება, სახელმძღვანელოს დავალება კი სახლში რჩება, რადგან იგი სწორედ იმ ცხრილს ეყრდნობა, რომელსაც მოსწავლე კლასში ავსებს. §24-ის სცენარში პირიქითაა: ორი დავალება კლასში სრულდება, მესამე კი – სახლში, სადაც იგი წერითი დავალების საყრდენად გამოიყენება.

მასწავლებლის წიგნის გაკვეთილის სცენარები სავალდებულო არ არის. იგი ერთ შესაძლო გზას აჩვენებს – იმას, რომელიც ავტორებს ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნიათ. მასწავლებელმა კარგად იცის თავისი კლასის შესაძლებლობები, სასწავლო გარემო და ხელმისაწვდომი დრო, ამიტომ მას სრული უფლება აქვს, სცენარი შეცვალოს, აქტივობა ჩაანაცვლოს ან საკუთარი ხერხი დაამატოს.

## 2. როგორ ვისარგებლოთ მასწავლებლის წიგნით

წიგნი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი, რომელსაც ახლა კითხულობთ, მეთოდურ საფუძველს აყალიბებს; მეორე ნაწილში სახელმძღვანელოს შინაარსია განხილული თავების მიხედვით; მესამე ნაწილში თითოეული თავის შესავალი და ოცდახუთი გაკვეთილის სცენარია მოცემული; მეოთხეში პროექტული დავალებებია, მეხუთეში კი – დამხმარე მასალა.

ყველა სცენარი ერთი და იმავე სტრუქტურით არის აგებული. ეს სპეციალურად არის ასე: მასწავლებელმა ერთხელ უნდა დაიმახსოვროს, სად რა ინფორმაციაა და შემდეგ საჭირო ადგილი მთელი ტექსტის წაკითხვის გარეშე იპოვოს. თითოეული გაკვეთილის სცენარი თორმეტი ნაწილისგან შედგება:

კავშირი სტანდარტთან – რომელი სამიზნე ცნება მუშავდება, რომელი შედეგისა და ინდიკატორის ფარგლებში, რომელი ცნებები აქტიურდება დამატებით;

გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები – მიზნის აღწერა და კონკრეტული შედეგი, რომლებიც გაკვეთილის ბოლოს უნდა შემოწმდეს;

წინარე ცოდნის გააქტიურება – რომელი პარაგრაფების მასალას ეყრდნობა გაკვეთილი და რა უნდა გაიხსენოს კლასმა;

მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები – მეთოდების ჩამონათვალი, ღირებულებითი კომპონენტი და კავშირი თანამედროვეობასთან;

გაკვეთილის მსვლელობა – სამი ნაწილი (გახსნა, ძირითადი ნაწილი, დასკვნითი ნაწილი); თითოეული აქტივობა ცხრილის სახით: სახელწოდება, დრო, კლასის ორგანიზების ფორმა, მეთოდი, მსვლელობა ნაბიჯების მიხედვით და მოსალოდნელი შედეგი;

მოსწავლის რვეულზე მუშაობა – რომელი დავალება სრულდება კლასში, რომელია აქტივობა და რომელი რჩება საშინაო დავალებად;

დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი – მრავალდონიანი დავალებები, მხარდამჭერი სტრატეგიები, მასალის მიწოდების მრავალფეროვანი გზები.

საშინაო დავალება – სახელმძღვანელოს დავალების ტექსტი და მისი კონკრეტული ინსტრუქცია;

შეფასება – განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით;

საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები – რომელ საგანთან იკვეთება კავშირი;

მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები – კითხვები, რომლებიც გაკვეთილის შემდეგ უნდა დაისვას;

სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის – ლიტერატურა, ელექტრონული და მატერიალური რესურსები.

**როცა დრო შეზღუდულია**

სცენარის სრულად წაკითხვა ყოველთვის საჭირო არ არის. თუ გაკვეთილისთვის მომზადებას ოც წუთს უთმობთ, სამი ნაწილიც საკმარისია.

წაიკითხეთ მეორე ნაწილი – გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები. ეს ორ წუთს წაიღებს და გეტყვით, რას უნდა მიაღწიოთ;

გადახედეთ მეხუთე ნაწილს – გაკვეთილის მსვლელობას. ჯერ მხოლოდ აქტივობათა სახელწოდებები და დრო წაიკითხეთ, რომ მთელი გაკვეთილის სქემა დაინახოთ; შემდეგ დაწვრილებით გაეცანით იმ აქტივობებს, რომლებიც ახალია თქვენთვის;

წაიკითხეთ მეექვსე ნაწილი რვეულის რომელი დავალება სრულდება კლასში და რომელი – სახლში. ეს გიჩვენებთ, საჭიროა თუ არა რვეულის წინასწარ დათვალიერება;

თუ დრო დაგრჩათ, გადახედეთ მერვე ნაწილს – საშინაო დავალების ინსტრუქციას, რომ გაკვეთილის ბოლოს მზად გქონდეთ.

დანარჩენი ნაწილები (განსაკუთრებით მეშვიდე, დიფერენცირების შესახებ და მეთერთმეტე, რეფლექსიის კითხვებით) გაკვეთილის შემდეგ ან თავისუფალ დროს წაიკითხეთ. რეფლექსიის კითხვები სწორედ გაკვეთილის შემდეგ არის ყველაზე სასარგებლო.

**როცა ახალ თავს გეგმავთ**

ახალ თავზე გადასვლისას ორი ტექსტი უნდა წაიკითხოთ. ჯერ მეორე ნაწილში იპოვეთ ამ თავის მიმოხილვა: რამდენი გაკვეთილი ეთმობა, რომელი ცნებები მუშავდება და რომელი შედეგები აქტიურდება. შემდეგ წაიკითხეთ თავის შესავალი მესამე ნაწილიდან – აქ გაეცნობით თავის მთელ ლოგიკას: შინაარსობრივ ხაზს, ცნებების განაწილებას პარაგრაფების მიხედვით და პრაქტიკულ შენიშვნებს.

პრაქტიკულ შენიშვნებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ. სწორედ იქ არის მითითებული, რომელი გავრცელებული მცდარი წარმოდგენა უნდა გასწორდეს – მაგალითად, VI თავის შესავალში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია და ქართულ წყაროებში მისი ლაშქრობა სიმბოლურად უნდა გავიგოთ. იქვეა მითითებული, რომელი თემა მოითხოვს ფრთხილ განხილვას და რომელი მოსაზრება უნდა წარმოვადგინოთ მეცნიერთა ვარაუდად და არა დადასტურებულ ფაქტად.

თუ თავს პროექტული დავალება უკავშირდება, დაგეგმვისას მასწავლებლის ინსტრუქციასაც გაეცანით (მეოთხე ნაწილი): პროექტის დაწყების დრო წინასწარ უნდა განისაზღვროს, რადგან იგი შედარებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს და შუალედურ კონსულტაციასაც საჭიროებს.

**სცენარები სარეკომენდაციო ხასიათისაა**

სცენარები დაწერილია ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილისთვის, საშუალო სიდიდის კლასისთვის და საშუალო ტემპისთვის. რეალურ საკლასო გარემოში ეს პირობები იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს: ზოგჯერ მასალა უფრო სწრაფად ან ნელა მუშავდება; ერთ კლასს დისკუსია გუადვილდება, მეორეს – წერითი დავალება. ამიტომ სცენარი სავალდებულო ინსტრუქციად არ უნდა იქნეს აღქმული.

თუ დრო არ გყოფნით, ჯობს, ძირითადი ნაწილიდან ერთი აქტივობა ამოიღოთ და მისი დავალება საშინაოდ გადაიტანოთ, ვიდრე ყველა აქტივობა ნაჩქარევად ჩაატაროთ. მთავარია, გახსნის და დასკვნითი ნაწილი შენარჩუნდეს: გახსნა მოსწავლეს გაკვეთილის საკითხს აცნობს, დასკვნით ნაწილში კი მასალა ერთ სურათად იკვრება.

თუ კლასს ზეპირი მსჯელობა უჭირს, იგივე შინაარსი წერითი ფორმითაც შეიძლება დამუშავდეს: მოსწავლეები ჯერ ინდივიდუალურად წერენ პასუხს, შემდეგ წყვილში კითხულო-

ბენ ერთმანეთისას. ეს ხერხი §16-ისა და §19-ის სცენარებში პირდაპირ არის გამოყენებული. თუ, პირიქით, კლასი მასალას სწრაფად ითვისებს, გამოგადგებათ მეშვიდე ნაწილში მოცემული დამატებითი კითხვა მაღალი მზაობის მოსწავლეებისთვის – ასეთი კითხვა ყველა სცენარშია.

ადაპტირებისას მხოლოდ ორი რამ უნდა შენარჩუნდეს: გაკვეთილის კავშირი სტანდარტის ინდიკატორთან და მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობის დრო. თუ ეს ორი პირობა დაცულია, დანარჩენში მასწავლებელი თავისუფალია.

## 3. მეთოდოლოგიური პრინციპები

სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნს ხუთი პრინციპი უდევს საფუძვლად. თითოეული მათგანი კონკრეტული ხერხებით არის განხორციელებული.

### სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული სწავლება

ეროვნული სასწავლო გეგმა ისტორიის კურსს ექვს სამიზნე ცნებაზე აგებს: ისტორიული წყარო, დრო, სივრცე, საზოგადოება, ძალაუფლება და ისტორიული მოვლენა/პროცესი. ცნება ფაქტების ჩამონათვალზე მეტია – ის აზროვნების ხერხია, რომელიც მოსწავლეს ახალი მასალის გააზრებაშიც დაეხმარება.

ამიტომ თითოეულ გაკვეთილს ერთი ძირითადი ცნება აქვს, ერთი ან ორი კი დამატებით აქტიურდება. §18-ის – „აქემენიანთა ირანი და ბერძნული კოლონიზაცია“, ძირითადი ცნებაა „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, რადგან პარაგრაფის ცენტრში მოვლენათა ჯაჭვი დგას; დამატებით კი მუშავდება „სივრცე“, ვინაიდან ბერძნული კოლონიების განლაგება შავიზღვისპირეთში ცალკე განხილვას საჭიროებს. §23-ის – „ფარნავაზის სახელმწიფოებრივი მოწყობა“, ძირითადი ცნებაა „ძალაუფლება“, დამატებითი კი „საზოგადოება“, რადგან საერთო ღვთაება და საერთო ენა სწორედ საზოგადოების გამაერთიანებელ ელემენტებად განიხილება.

ერთი და იგივე ცნება რამდენიმე გაკვეთილზე მუშავდება, ოღონდ ყოველ ჯერზე სხვა ინდიკატორით. მაგალითად, ცნება „ძალაუფლება“ VI თავში ორ მომიჯნავე გაკვეთილზე მუშავდება: §22-ზე – ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებების ინდიკატორით, §23-ზე კი – ორი სხვა ინდიკატორით, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ძალაუფლების გაზიარებულ ღირებულებებთან კავშირს ეხება. ასეთი განაწილება ცნებას აღრმავებს და მექანიკურ გამეორებას არ იწვევს.

### წყაროებთან მუშაობა

ისტორია იმით განსხვავდება წარსულის შესახებ მოთხრობილი ამბებისგან, რომ იგი წყაროებს ეყრდნობა. სახელმძღვანელოს ორი რუბრიკა – „წყარო“ და „მეცნიერის თვალსაზრისი“ – სწორედ ამას ემსახურება: მოსწავლე მზა დასკვნას კი არ იღებს, არამედ ხედავს, რას ეფუძნება ეს დასკვნა.

წყაროსთან მუშაობის უნარი ერთბაშად არ ყალიბდება, ამიტომ იგი ისტორიის კურსში თანდათან ვითარდება. ინფორმაციის ამოკრება – ყველაზე მარტივი ხერხი – §5-ში იწყება და შემდეგ ყველა გაკვეთილზე მეორდება. იქვე ჩნდება სანდოობის შემოწმების პირველი წესი, რომელიც ორ კითხვად არის ჩამოყალიბებული: ვინ წერს და საიდან იცის? §15-ში ამ წესს მესამე კითხვა ემატება: რა ინტერესი აქვს ავტორს? ეს დამატება შემთხვევითი არ არის: სარდურ II-ის წარწერა გამარჯვებული მხარის თვალსაზრისს გადმოსცემს, მოსწავლე კი ხედავს, რომ წყაროს ავტორს შეიძლება საკუთარი ინტერესი ჰქონდეს.

§19-ში მუშავდება მომდევნო უნარი – ავტორის დამოკიდებულების ამოცნობა. ვიტრუვიუსი კოლხურ სახლს დაწვრილებით და ზუსტად აღწერს, მაგრამ მას „ბარბაროსებისთვის

ჩვეულებრივს“ უწოდებს. მოსწავლეები ასკვნიან, რომ ეს შეფასება კოლხების სახლს კი არ ახასიათებს, არამედ რომაელი ავტორის დამოკიდებულებას აჩვენებს სხვა ხალხების მიმართ.

ფაქტისა და ლეგენდის გამიჯვნა §16-ში იწყება, არგონავტების მითის მაგალითზე და §21-ში გრძელდება: ფარნავაზის სიზმარი და გამოქვაბულში ნაპოვნი განძი ლეგენდურ ეპიზოდებად სახელდება, მოსწავლეები კი ფაქტისა და ლეგენდის გარჩევის კრიტერიუმებს თავად აყალიბებენ. ბოლოს, §16-ში და §21-ში წყაროთა განსხვავებული მონაცემების განხილვით მოსწავლეები ორი წყაროს შედარებას (ყველაზე რთული უნარი) ახერხებენ.

**კვლევითი კომპონენტი**

მოსწავლე ცოდნას მაშინ ითვისებს უკეთ, როცა დასკვნას თავად გამოიტანს. ამიტომ სცენარებში აქტივობათა უმეტესობა კითხვით იწყება და არა პასუხით: მოსწავლე ჯერ ვარაუდს გამოთქვამს, შემდეგ ტექსტით ან წყაროთი ამოწმებს მას.

ამის მაგალითია §19-ის გახსნა. კლასი ასახელებს ქალაქებს და თითოეულთან დაკავშირებით იმას, რაც მის გვერდით მდებარეობს; დაფაზე ჩნდება წყვილები: თბილისი და მტკვარი, ქუთაისი და რიონი, მცხეთა და ორი მდინარე. კანონზომიერებას მოსწავლეები თავად ამჩნევენ: ქალაქები წყალთან მდებარეობს. ამის შემდეგ პარაგრაფის კითხვაზე – რატომ გაჩნდა ძველ საქართველოში ბევრი ქალაქი მდინარის სანაპიროზე? – პასუხი უკვე მოსწავლეთა დაკვირვების დაკვირვების საფუძველზე ყალიბდება.

§23-ის გახსნაზე იგივე ხერხი უფრო შორს მიდის: მოსწავლეები ჯერ თავად მსჯელობენ, როგორ უნდა მართოს მეფემ დიდი ქვეყანა, სადაც მხედარი შორეულ მხარემდე რამდენიმე დღეში აღწევს და მხოლოდ ამის შემდეგ ეცნობიან ფარნავაზის გადაწყვეტილებებს. პირველი აქტივობის ბოლოს კლასი ადარებს, რა ივარაუდა სწორად და რა აღმოჩნდა მოულოდნელი. მსგავსადაა აგებული §24-ის გახსნაც: მოსწავლეები ალექსანდრეს მონეტის ქართულ მინაბაძს იკვლევენ და წინააღმდეგობას თავად ამჩნევენ – მონეტა ქართლშია მოჭრილი, მაგრამ უცხო ქვეყნის მეფეს გამოსახავს.

ამავე მიზანს ემსახურება პროექტული დავალებები, სადაც მოსწავლე მთელ ჯაჭვს თავად აწყობს: მასალის შერჩევიდან და მოძიებიდან დასკვნის ჩამოყალიბებამდე.

**ღირებულებითი კომპონენტი**

ისტორიის კურსი მოსწავლის დამოკიდებულებებსაც აყალიბებს. გაკვეთილის სცენარებში ღირებულებითი საკითხები მოსწავლის მსჯელობის საგნად არის ქცეული და არა მზა შეფასებად.

§19-ის მაგალითი უკვე ითქვა: სიტყვა „ბარბაროსი“ იმის ნიმუშად განიხილება, როგორ აფასებდნენ ბერძენი და რომაელი ავტორები სხვა ხალხებს საკუთარი კულტურის საზომით. დასკვნას, რომ განსხვავებული ცხოვრების წესი ჩამორჩენილობას არ ნიშნავს – მასწავლებელი მზა სახით არ აწვდის კლასს; მოსწავლეები მას თავად აყალიბებენ, როცა ხედავენ, რომ კოლხური სახლი ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე ზუსტად მორგებული ნაგებობაა.

§22-ის გახსნაზე ქუჯის დილემა კლასს არჩევნის წინაშე აყენებს: დაეხმაროს ფარნავაზს უანგაროდ, მოითხოვოს სანაცვლოდ პირველობა თუ საერთოდ უარი თქვას დახმარებაზე. მოსწავლეები ჯერ პოზიციას ირჩევენ და ასაბუთებენ, შემდეგ კი წყაროდან იგებენ, რა გადაწყვიტა ქუჯიმ სინამდვილეში. გაკვეთილის ბოლოს ისინი უბრუნდებიან საკუთარ არჩევანს და მსჯელობენ, შეიცვლიდნენ თუ არა მას.

წარსულის ის მოვლენები, რომლებიც დღევანდელი ნორმებით მიუღებელია – მონობა §18-ში, სოციალური უთანასწორობა §24-ში, ომის სისასტიკე §22-ში – განიხილება როგორც იმ ეპოქის მოწყობის ნაწილი. ამასთან, სცენარებში ყოველთვის მითითებულია, რომ დღევანდელი შეფასება განსხვავებულია: მაგალითად, §24-ში მასწავლებელი განმარტავს, რომ წოდებრივი დაყოფა ძველი საზოგადოებების საერთო ნიშანი იყო, დღეს კი ადამიანის უფლებები წარმომავლობაზე დამოკიდებული არ არის.

**კავშირი თანამედროვეობასთან**

თითოეულ სცენარში ცალკეა მითითებული, რა აკავშირებს გაკვეთილის მასალას დღევანდელობასთან. ზოგჯერ ეს კავშირი ტრადიციის უწყვეტობაა: ქვევრში ღვინის დაყენების წესი, რომელიც ნეოლითიდან დღემდე გრძელდება (§9), ან ვიტრუვიუსის აღწერილი კოლხური სახლის მემკვიდრე ოდა, რომელიც დასავლეთ საქართველოში დღესაც შენდება (§19). ზოგჯერ, თანამედროვე სტატუსი: ქართული ანბანის სამი სახეობა, რომელიც 2016 წლიდან იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია (§23), ან მცხეთის ისტორიული ძეგლები, რომლებიც 1994 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია (§24).

## 4. როგორ ვიმუშაოთ VII კლასის საქართველოს ისტორიის სტანდარტით

**სტანდარტის აგებულება**

სტანდარტი სამ დონეზეა აგებული. პირველი დონე სამიზნე ცნებებია: ექვსი ცნება, რომელთა გარშემოც მთელი კურსია აგებული. მეორე დონე შედეგებია: ექვსი ფორმულირება, რომლებიც აღწერს, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს. მესამე დონე ინდიკატორებია – თითოეული შედეგის კონკრეტული აღწერილობები, რომლებიც გვიჩვენებს, რაში ვლინდება შედეგისკენ მიმავალი პროგრესი.

სწორედ ინდიკატორი არის მასწავლებლის მთავარი სამუშაო ერთეული. შედეგი საფეხურის მასშტაბით მიიღწევა და ერთ გაკვეთილზე ვერ შემოწმდება; ინდიკატორი კი საკმარისად კონკრეტულია იმისთვის, რომ ერთ გაკვეთილზე დამუშავდეს, ხოლო შემდეგ იმავე ფორმულირებით შეფასების კრიტერიუმად იქცეს.

**ინდიკატორიდან შეფასებამდე: სამი მაგალითი**

ქვემოთ მოყვანილია სამი მაგალითია სამი სხვადასხვა ცნებიდან. თითოეულში ჩანს, როგორ ვიწროვდება ზოგადი ინდიკატორი ჯერ გაკვეთილის შედეგამდე, შემდეგ კი შეფასების კრიტერიუმამდე.

| სტანდარტის ინდიკატორი | გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგი | შეფასების კრიტერიუმი |
|---|---|---|
| შედეგი 3: კონკრეტული ტერიტორიის მნიშვნელობის ახსნა სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით (§25) | მოსწავლემ ახსნას, რატომ კეტავდნენ ქართლის მეფეები დარიალის ხეობას ციხესიმაგრით და რას აძლევდა ეს სამეფოს? | მოსწავლე ასახელებს დარიალის მდებარეობას და ორ მიზეზს, რის გამოც მისი კონტროლი მნიშვნელოვანი იყო. |
| შედეგი 4: ეპოქის საზოგადოების დახასიათება შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით (§24) | მოსწავლემ დაახასიათოს ქართლის საზოგადოების ოთხი ფენა სტრაბონის ცნობის მიხედვით და დაასახელოს ორი განსხვავება ერისა და ლაოების მდგომარეობას შორის. | მოსწავლე ასახელებს ოთხივე ფენას და ორ განსხვავებას. თითოეულს წყაროს ცნობით ასაბუთებს. |
| შედეგი 6: მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი (§20) | მოსწავლემ ააგოს ჯაჭვი ალექსანდრეს იმპერიის დაშლიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების ხელსაყრელ პირობებამდე. | მოსწავლე ასახელებს ჯაჭვის, სულ მცირე, ოთხ რგოლს სწორი თანმიმდევრობით. |

სამივე მაგალითში ერთი წესი მოქმედებს: გაკვეთილის შედეგი ყოველთვის უფრო ვიწროა, ვიდრე ინდიკატორი და ყოველთვის კონკრეტულ მასალას ეხება. სწორედ ეს გარდაქმნაა მასწავლებლის მთავარი სამუშაო გაკვეთილის დაგეგმვისას.

**სტანდარტის ძლიერი მხარეები**

სტანდარტის მთავარი უპირატესობა მისი ცნებითი აგებულებაა. ცნება კურსს ერთიან ხაზს აძლევს და მასალას ცალკეულ თემებად არ ტოვებს. ეს კარგად ჩანს ცნება „ისტორიული წყაროს“ მაგალითზე: §4-ში იგი ნივთიერი წყაროთი იწყება, §5-ში წერილობით წყაროზე გადადის, §16-ში მითის სანდოობაზე მუშაობს და §21-ში ორი ქართული წყაროს შედარებამდე მიდის. მასწავლებელი ხედავს, რომ ეს ერთი ხაზია და არა ოთხი დამოუკიდებელი თემა, მოსწავლე კი ყოველ ჯერზე უკვე ნაცნობ ხერხს ავარჯიშებს ახალ მასალაზე მუშაობისას.

მეორე უპირატესობა ინდიკატორების ფორმულირებაა. ისინი იმდენად კონკრეტულია, რომ პირდაპირ გამოდგება შეფასების კრიტერიუმად – მასწავლებელს კრიტერიუმის ცალკე მოფიქრება არ სჭირდება. ეს შეფასებას სტანდარტთან პირდაპირ აკავშირებს და მოსწავლისთვისაც უფრო გასაგებს ხდის.

მესამე უპირატესობა ის არის, რომ სტანდარტი საქართველოს და მსოფლიოს ისტორიას ერთმანეთს უკავშირებს. შედეგი 2-ის ერთი ინდიკატორი პირდაპირ მოითხოვს ორი პერიოდიზაციის შედარებას. ამის მაგალითია §20, სადაც ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება ელინისტურ ხანაში თავსდება და მოსწავლე ხედავს, რომ საქართველოს ისტორია მსოფლიო პროცესების ნაწილია.

დაბოლოს, სტანდარტი წყაროებთან მუშაობასა და სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებას ცალკე შედეგად გამოყოფს. ეს კრიტიკული აზროვნების განვითარებას სისტემატურ ხასიათს აძლევს და მას ცალკეულ ეპიზოდად არ ტოვებს.

**გასათვალისწინებელი მხარეები**

პირველი საკითხი ინდიკატორების რაოდენობას ეხება. ყველა ინდიკატორის დამუშავება და, მით უმეტეს, განმსაზღვრელი შეფასება ერთი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდება. გამოსავალი წინასწარ დაგეგმვაშია: სასწავლო წლის დასაწყისში ინდიკატორები თავებზე გადაანაწილეთ. ამაში მეორე ნაწილში მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ.1 ერთ თავზე ორსამ ინდიკატორზე მეტის განმსაზღვრელი შეფასება საჭირო არ არის; დანარჩენები განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მუშავდება;

მეორე საკითხი ინდიკატორების ზოგადი ფორმულირებაა. ერთი და იგივე ინდიკატორი შეიძლება რამდენიმე პარაგრაფში დამუშავდეს, თუმცა, ასეთი პრაქტიკა მასწავლებელს დამატებით ნაბიჯს ავალდებულებს: გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგი ყოველთვის უნდა დაკონკრეტდეს იმ მასალაზე მითითებით, რომელზეც კლასი მუშაობს. სწორედ ამას აჩვენებს ზემოთ მოცემული ცხრილი;

მესამე საკითხი წყაროებს ეხება. ზოგი ინდიკატორი ითხოვს ისეთ ტექსტებს, რომლებიც სახელმძღვანელოში სრული სახით ვერ თავსდება – მოცემულია მხოლოდ ამონარიდები. თუ მასწავლებელს ვრცელი ტექსტი სჭირდება, სცენარების ბოლო ნაწილში მითითებულია, სად მოიძიოს იგი: მაგალითად, სტრაბონისა და ვიტრუვიუსის თხზულებების ქართული თარგმანები ან „ქართლის ცხოვრების“ გამოცემები;

მეოთხე საკითხი ცნებების დაბრუნებას ეხება. ცნებები კურსში მრავალჯერ ბრუნდება და საფეხურების მიხედვით ღრმავდება, ამიტომ მეშვიდე კლასის დონე წინასწარ უნდა განისაზღვროს. ამ ასაკში მოსწავლისგან ცნების განმარტება არ მოითხოვება, არამედ, მოითხოვება მისი გამოყენება კონკრეტულ მასალასთან კავშირში. მოსწავლე არ განმარტავს, რა არის ძალაუფლება; ის ხსნის, რატომ დაყო ფარნავაზმა ქვეყანა საერისთავოებად და რატომ დაადგინა საერთო ღვთაება.

1 ცხრილი მოიცავს პირველი სემესტრის მასალას.

## 5. შეფასება

სცენარებში შეფასება ორ ნაწილად არის გაყოფილი: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. ორივეს თავისი დანიშნულება აქვს და ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებს.

### განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასება გაკვეთილის მსვლელობისას მიმდინარეობს და ქულით არ ფასდება. მისი მიზანი მოსწავლის მიმდინარე მდგომარეობის დანახვა და დროული დახმარებაა. სცენარებში ამისთვის ოთხი ინსტრუმენტია გამოყენებული: მოსწავლეთა ნაწერების გაცნობა, მოსწავლის რვეულის დავალებების გადამოწმება, დაკვირვება წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობაზე და დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

დაკვირვების შედეგის ჩასაწერად რთული დოკუმენტი არ არის საჭირო, ფურცელიც საკმარისია. მის სვეტებში გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგები იწერება, უჯრებში კი მარტივი ნიშანი: „+“ – მოსწავლე თავად აკეთებს, „±“ – დახმარებით აკეთებს, „—“ – ჯერ ვერ აკეთებს. ასეთი ჩანაწერი რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ აჩვენებს, რომელი უნარის განვითარება საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას.

| მოსწავლე | ამოკრებს ინფორმაციას წყაროდან | აკავშირებს დასკვნას მტკიცებულებასთან | მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |

განმავითარებელი შეფასების შედეგი მოსწავლემდე უნდა მივიდეს და, რაც მთავარია, კონკრეტული ფორმით. ზოგადი შენიშვნა – „კარგია, მაგრამ დასაზუსტებელია“ – მოსწავლეს არაფერს ეუბნება იმაზე, რა უნდა გააკეთოს. იმავე შემთხვევაში კონკრეტული უკუკავშირი ასე ჟღერს: „ნივთი ზუსტად აღწერე. ახლა ერთი წინადადება დაამატე იმაზე, თუ რას გვეუბნება ეს ნივთი იმდროინდელ ცხოვრებაზე“.

იგივე წესი მოქმედებს დასაბუთების შემთხვევაშიც. „სუსტი პასუხია“ მოსწავლეს მხოლოდ იმას ეუბნება, რომ ვერ გაართვა თავი; „შენი დასკვნა სწორია, მაგრამ ტექსტში არ ჩანს, საიდან გამოიტანე ეს დასკვნა“. „მიუთითე, რომელი ცნობა დაგეხმარა“ კი მას მომდევნო ნაბიჯს აჩვენებს. მაშინაც კი, როცა შეფასება დადებითია, დაკონკრეტება სასარგებლოა: შეფასება – „კარგად იმუშავე“ – არაეფექტურია, ვიდრე – „ცხრილი სრულად შეავსე და სამივე მასალა ბუნებრივ პირობებს დაუკავშირე... სწორედ ეს იყო დავალების მთავარი მოთხოვნა“.

### განმსაზღვრელი შეფასება და რუბრიკა

განმსაზღვრელი შეფასება ცოდნისა და უნარების დონეს ადგენს და ქულით გამოიხატება. თითოეულ სცენარში ორი კრიტერიუმია შემოთავაზებული და ორივე სტანდარტის ინდიკატორის ფორმულირებას ეყრდნობა. კრიტერიუმები მოსწავლეს წინასწარ უნდა გააცნოთ: როცა მოსწავლემ იცის, რას აფასებს მასწავლებელი, მისი ნამუშევარიც უფრო მიზანმიმართული ხდება, შეფასების შედეგი კი გასაგები და სამართლიანი ეჩვენება.

შეფასების რუბრიკა ორ ეტაპად იქმნება. ჯერ დაწერეთ, როგორ გამოიყურება კრიტერიუმის სრულყოფილი შესრულება – ეს იქნება მაღალი დონე. შემდეგ დაფიქრდით, რა აკლია იმ ნამუშევარს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრული: ჩვეულებრივ ერთი ელემენტი აკლია, მაგალითად, დასკვნა არსებობს, მაგრამ დაუსაბუთებელია – ეს იქნება საშუალო დონე. საწყისი კი ის შემთხვევაა, როცა დავალება მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული. ქვემოთ მოცემულია რუბრიკის ნიმუში §21-ის გაკვეთილისთვის:

| კრიტერიუმი | საწყისი დონე | საშუალო დონე | მაღალი დონე |
|---|---|---|---|
| ორი წყაროს შედარება | ასახელებს ერთ წყაროს და მის ცნობას. | ასახელებს ორივე წყაროს, განსხვავებას ნაწილობრივ აღწერს. | ასახელებს ორივე წყაროს, ზუსტად აღწერს განსხვავებას და საერთოსაც. |
| დასაბუთება | მოსაზრება არგუმენტის გარეშეა. | მოსაზრებას ერთი არგუმენტი ასაბუთებს. | მოსაზრებას ორი არგუმენტით ასაბუთებს, თითოეული არგუმენტი წყაროს ცნობას ეყრდნობა. |

სამი დონე მეშვიდე კლასისთვის საკმარისია. მეტი დონე შეფასებას ზუსტს არ ხდის, მასწავლებელს კი ზედმეტ დროს ართმევს.

## 6. დიფერენცირებული სწავლება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

ერთ კლასში მოსწავლეები განსხვავებული მზაობით, ინტერესითა და სწავლის ტემპით მუშაობენ. დიფერენცირება ამ განსხვავებაზე რეაგირებაა და არა ცალკეული მოსწავლისთვის დავალების გაადვილება.

### მრავალდონიანი დავალებები

თითოეულ გაკვეთილზე დავალებები ორ დონედაა დაყოფილი. საბაზისო დონე მოითხოვს ინფორმაციის ამოკრებას, ცხრილის შევსებას, სქემის აგებას, ტექსტიდან ფაქტების დასახელებას; გაღრმავებული დონე კი მსჯელობასა და დასაბუთებას გულისხმობს. §24-ის მაგალითზე ეს ასე გამოიყურება: გზების სქემისა და საზოგადოების პირამიდის შევსება საბაზისო დონეა, ხოლო პასუხი კითხვაზე – თუ რატომ არ ჩანან ვაჭრები და ხელოსნები სტრაბონის ოთხ გვარში – გაღრმავებული.

აქ ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს: საბაზისო დონე დაბალი მოთხოვნა არ არის. ის ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო მინიმუმია, საიდანაც გაღრმავებულ დონეზე გადასვლა იწყება. მაღალი მზაობის მოსწავლისთვის კი თითოეულ სცენარში დამატებითი კითხვაა შემოთავაზებული. მაგალითად, §20-ში: რატომ ვერ შეინარჩუნა ვერცერთმა დიადოხოსმა მთელი იმპერია? ან §19-ში: რატომ აღწერს რომაელი ავტორი ასე დაწვრილებით შორეული ქვეყნის სახლებს?

### მხარდამჭერი სტრატეგიები

სცენარებში გამოყენებული მხარდამჭერი ხერხები კონკრეტულ სირთულეებს პასუხობს. ყველაზე ხშირი სირთულე ენობრივია: ძველი ქართულით მოხმობილი წყაროები §21-იდან §25-ამდე მოსწავლისთვის რთულად გასაგებია. ამიტომ სცენარებში მითითებულია, რომ მასწავლებელმა ტექსტი ხმამაღლა წაიკითხოს და იქვე თანამედროვე ქართულით გადმოსცეს, ლექსიკონის სიტყვები კი დაფაზე დაწეროს და გაკვეთილის ბოლომდე თვალსაჩინოდ დატოვოს.

მეორე ტიპის სირთულე დავალების აგებას ეხება: მოსწავლემ იცის მასალა, მაგრამ არ იცის, საიდან დაიწყოს. ამას პასუხობს ცარიელი შაბლონები: იერარქიის სქემისთვის – §23-ში, მოვლენების ჯაჭვისთვის – §25-ში, შედარების ცხრილისთვის – §11-ში და წინადადებების მზა დასაწყისები. მაგალითად, §24-ში, სადაც ჯგუფები საზოგადოების ფენას პირველ პირში წარადგენენ, მოსწავლეებს ეძლევათ წინადადების დასაწყისი ფრაზები: „ჩვენ ვართ...“, „ჩვენ ვსაქმიანობთ...“, „ჩვენ გვეკუთვნის...“.

მესამე სირთულე შეიძლება დაკავშირებული იყოს მოცულობასთან. თუ დავალება მოსწავლეს მთლიანობაში დაუძლეველი ეჩვენება. ასეთ შემთხვევაში იგი მცირე ნაბიჯებად იყოფა: ჯერ – ნივთის შერჩევა, შემდეგ – კითხვებზე პასუხი, ბოლოს – დასკვნა. ჯგუფურ მუშაობაში კი როლების წინასწარი განაწილება (წამკითხველი, ჩამწერი, წარმდგენი) თითოეულ მოსწავლეს კონკრეტულ ამოცანას აძლევს და გვაზღვევს იმ სიტუაციისგან, როცა მთელ სამუშაოს ერთი ან ორი მოსწავლე ასრულებს.

ეს ხერხები მთელ კლასს ეხმარება და არა მხოლოდ ცალკეულ მოსწავლეს. სწორედ ეს არის სწავლების უნივერსალური დიზაინის ძირითადი აზრი: ის, რაც ერთი მოსწავლისთვის აუცილებელია, ხშირად ყველასთვის სასარგებლოა.

**წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები**

მასალა მოსწავლეს რამდენიმე გზით მიეწოდება: ტექსტით, რუკით, ილუსტრაციით, ვიდეომასალით, მასწავლებლის თხრობით. ცოდნის წარმოჩენაც სხვადასხვაგვარად შეიძლება: ცხრილით, სქემით, ნახატით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

§23-ის ერთი აქტივობა ამ პრინციპის კარგი მაგალითია. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს „ქართლის ცხოვრების“ აღწერას არმაზის კერპზე – სპილენძის კაცი, ოქროს ჯაჭვის პერანგი, ზურმუხტისა და ბივრილის თვლები. მოსწავლეები მოსმენილს ხატავენ, შემდეგ კი ნახატს სახელმძღვანელოს ილუსტრაციას ადარებენ. ერთ აქტივობაში სამი გზა ერთიანდება: სმენა, ხატვა და შედარება; ისიც, ვისაც წერა უჭირს, სრულფასოვნად მონაწილეობს.

სახელმძღვანელოში მოცემული QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა ამავე მრავალფეროვნებას ემსახურება. სასურველია, მასწავლებელი მას გაკვეთილამდე გაეცნოს და განსაზღვროს, რომელი მათგანი გაკვეთილის მსვლელობის რომელ ეტაპზე გამოადგება – ვიდეოგაკვეთილი საკითხის დასმის შემდეგ უფრო შედეგიანია, ვიდრე გაკვეთილის დასაწყისში.

## 7. ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა

თითოეულ სცენარში ცალკე ნაწილია გამოყოფილი, სადაც მითითებულია, რომელ საგანთან იკვეთება კავშირი. გეოგრაფიასთან კავშირი ყველაზე ხშირად სივრცის ცნებაზე ჩნდება: ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები (§2, §25), ბუნებრივი პირობებისა და დასახლების კავშირი (§19), სავაჭრო გზები (§18, §24). ქართულ ენასთან კავშირი ძველი ტექსტების ლექსიკაზე (§21-§25), მითის ჟანრზე (§16) და ტოპონიმების წარმომავლობაზე (§25) იკვეთება. მოქალაქეობასთან – საზოგადოების მოწყობასა და უთანასწორობაზე (§24), ძალაუფლებასა და მმართველობაზე (§23), პირადი და საერთო ინტერესის თანაფარდობაზე (§22). ვიზუალურ ხელოვნებასთან კი – ოქრომჭედლობასა (§10, §21) და ხუროთმოძღვრებაზე (§19).

**პირველი მაგალითი: ისტორია და გეოგრაფია**

გაკვეთილის თემაა მცხეთა, როგორც საგზაო კვანძი (§24). ისტორიის მასწავლებელი მოსალოდნელ შედეგად ისახავს, რომ მოსწავლემ ახსნას მცხეთის დაწინაურების მიზეზები. ეს შედეგი 3-ის ინდიკატორს ეყრდნობა. გეოგრაფიის მასწავლებელი კი შედეგად ისახავს მოსწავლემ რუკაზე აჩვენოს მდინარეთა შესართავი და ახსნას, რატომ ჩნდება დასახლება ასეთ ადგილას.

გაკვეთილი ისტორიის მასწავლებლის ნაწილით იწყება: პირველი ოცი წუთი ეთმობა მცხეთისკენ მიმავალი ოთხი გზისა და „აბრეშუმის დიდი გზის“ განშტოების განხილვას. შემდეგ გეოგრაფიის მასწავლებელი თანამედროვე რუკაზე ამ მარშრუტებს ადარებს დღევანდელ სატრანსპორტო გზებს. მოსწავლეები ხედავენ, რომ მიმართულებები დიდწილად იმეორებს ძველ სურათს. ბოლო ათი წუთი საერთოა: მოსწავლეები ავსებენ ერთ ცხრილს სათაურით „რატომ აქ?“, სადაც ისტორიულ და გეოგრაფიულ მიზეზებს ერთმანეთის გვერდით წერენ.

ფასდება შევსებული ცხრილი: ისტორიის მასწავლებელი აფასებს, დასახელებულია თუ არა ორი ისტორიული ფაქტორი, გეოგრაფიისა კი – სწორად არის თუ არა ახსნილი მდებარეობის უპირატესობა.

**მეორე მაგალითი: ისტორია და ქართული ენა**

გაკვეთილის თემაა ორი ქართული წყარო ქართლის პირველ მეფეზე (§21). ისტორიის მასწავლებლის მიერ განსაზღვრული შედეგია წყაროების შედარება და განსხვავების დასახელება; ქართულის მასწავლებლის კი – ძველი ქართული ტექსტის ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებების ამოცნობა და ნაწყვეტის თანამედროვე ქართულით გადმოცემა.

ამ შემთხვევაში გაკვეთილი ქართულის მასწავლებლის ნაწილით იწყება, რადგან ტექსტის გაგება შედარების წინაპირობაა. პირველი თხუთმეტი წუთი ეთმობა ძველი ქართული ტექსტების ენას – სიტყვებს „მამამძუძე“, „ჭაბუკი“, „ზრახვა“ და თანამედროვე ქართულით გადმოცემას. შემდეგი ოცი წუთი ისტორიის მასწავლებელს გადაეცემა: კლასი იმავე, უკვე გასაგებ ტექსტებზე მუშაობს და ორი წყაროს ცნობებს ადარებს. ბოლო ათი წუთი კვლავ საერთოა – მოსწავლეები წერენ მოკლე ტექსტს იმაზე, რას გვეუბნება თითოეული წყარო პირველ მეფეზე.

ქართულის მასწავლებელი აფასებს გადმოცემის სიზუსტესა და ენობრივ გამართულობას, ისტორიისა კი – წყაროთა მონაცემების შედარების ხარისხს.

**დაგეგმვის თანმიმდევრობა**

ორივე მაგალითი ერთ თანმიმდევრობას მიჰყვება. ჯერ შეირჩევა თემა, რომელიც ორივე საგნის კურიკულუმშია (გაკვეთილის სცენარების მეათე ნაწილი ასეთ თემებს პირდაპირ ასახელებს). შემდეგ თითოეული მასწავლებელი ცალკე განსაზღვრავს თავისი საგნის მოსალოდნელ შედეგს: ინტეგრირებულ გაკვეთილს ორი შედეგი აქვს და არა ერთი. ამის შემდეგ თანხმდება დროის განაწილება და ის, რომელი მასწავლებელი იწყებს. ეს იმ თანმიმდევრობით უნდა გადაწყდეს, რომელიც შინაარსობრივად უფრო ლოგიკურია. ბოლოს განისაზღვრება შეფასება; სასურველია, მოსწავლემ ერთი ნამუშევარი შეასრულოს, რომელიც ორივე კრიტერიუმით შეფასდება.

დაგეგმვისას ერთი გავრცელებული შეცდომა უნდა ავიცილოთ თავიდან: ორი საგნის მასალის უბრალო თანხვედრა ჯერ კიდევ არ არის ინტეგრაცია. თუ ისტორიის მასწავლებელი ხელოვნების გაკვეთილს მხოლოდ ილუსტრაციას აწვდის, ეს დამხმარე მასალაა; ინტეგრაცია მაშინ ხდება, როცა მოსწავლე ერთსა და იმავე მასალაზე ორივე საგნისთვის მნიშვნელოვან უნარს ივითარებს და ორივე საგანში ფასდება.

## 8. რა არის ახალი?

ისტორიის სახელმძღვანელო და მასწავლებლის წიგნი წინა თაობის სახელმძღვანელოებისგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდება:

პირველი და ყველაზე არსებითი განსხვავება შინაარსის აგებულებაა: მასალა ცნებების გარშემოა ორგანიზებული. ეს პრაქტიკულად იმაში ჩანს, რომ თითოეული სცენარის პირველ ნაწილში დასახელებულია ძირითადი და დამატებითი ცნებები, თავის შესავალში კი მოცემულია მთელი თავის ცნებითი გეგმა – რომელ პარაგრაფზე რომელი ცნება მუშავდება და რომელი ინდიკატორით.

მეორე განსხვავება წყაროს ადგილს და დანიშნულებას ეხება. წყარო აღარ არის ტექსტის ილუსტრაცია, იგი სამუშაო მასალაა. სახელმძღვანელოს რუბრიკა „წყარო“ ყოველთვის კითხვებით არის აღჭურვილი, გაკვეთილის სცენარებში კი წყაროსთან მუშაობის ხუთი განსხვავებული ხერხია გამოყენებული – სანდოობის შემოწმებიდან ორი წყაროს შედარებამ-

დე. ამას ემატება რუბრიკა „მეცნიერის თვალსაზრისი“, რომელიც მოსწავლეს აჩვენებს, რომ ისტორიულ მეცნიერებაში მსჯელობა/დისკუსია გრძელდება: მაგალითად, VI თავში მოცემულია მელიქიშვილისა და ქავთარიას განსხვავებული მოსაზრებები, სცენარებში კი ისინი ვარაუდებად სახელდება და არა დადასტურებულ ფაქტებად.

მესამე განსხვავება კომპლექტის ერთიანობაა. სახელმძღვანელო და რვეული ერთ სისტემას ქმნის: სცენარის მეექვსე ნაწილი თითოეული დავალების ადგილს განსაზღვრავს, რომელ აქტივობაში სრულდება იგი კლასში და რომელია განკუთვნილი დამოუკიდებლად შესასრულებლად.

მეოთხე განსხვავება შეფასებას ეხება. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ სტანდარტის ინდიკატორებიდან მომდინარეობს. ეს შეფასებას გამჭვირვალესა და დასაბუთებულს ხდის როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისა და მშობლისთვის.

დაბოლოს, მასწავლებელს ხელთ აქვს ყველა პარაგრაფის სრული სცენარი აქტივობების ცხრილებით, დროის განაწილებითა და კონკრეტული ინსტრუქციებით, ამას კი ემატება პროექტული დავალებები მასწავლებლისთვის განკუთვნილი ინსტრუქციებით.

## ნაწილი II. სახელმძღვანელოს თემატური ანალიზი

ეს ნაწილი სახელმძღვანელოს შინაარსს სარჩევის მიხედვით მიმოიხილავს. მისი დანიშნულება ის არის, რომ მასწავლებელმა დაინახოს, როგორ ენაცვლება ერთმანეთს თემები, რომელი ცნებები მუშავდება, სად იცვლება მუშაობის ხასიათი და როგორ ნაწილდება დრო. ცალკეული გაკვეთილის დაგეგმვაში მასწავლებელს მესამე ნაწილი დაეხმარება, ეს ნაწილი კი იმისთვისაა, რომ თითოეული გაკვეთილის ადგილი და დანიშნულება სახელმძღვანელოს ერთიან სურათში დაინახოს.

აქვე გაგაცნობთ ერთ მნიშვნელოვან დათქმას: მოსწავლის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, მასწავლებლის წიგნის სცენარები და პროექტული დავალებები პირველ სემესტრზეა გათვლილი. ოცდახუთი პარაგრაფი, თავების შემაჯამებელი გაკვეთილები და სამი პროექტული დავალება ერთი სემესტრის სასწავლო მასალაა; მეორე სემესტრს სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი დაეთმობა.

### 1. სახელმძღვანელოს აგებულება

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ექვსი თავისგან შედგება, თავები კი ოცდახუთ პარაგრაფად არის დაყოფილი. თითოეული პარაგრაფი ერთ ორმოცდახუთწუთიან გაკვეთილს შეესაბამება.

**რუბრიკები და მათი ადგილი გაკვეთილზე**

პარაგრაფის მასალა ექვს რუბრიკად არის ორგანიზებული და თითოეულს გაკვეთილის სცენარებში თავისი დანიშნულება აქვს.

რუბრიკა „წყარო“ ძველი ავტორების ცნობებს გვთავაზობს და სცენარებში იგი, როგორც წესი, ძირითადი ნაწილის ცენტრალურ აქტივობას ეთმობა. მაგალითად, §15-ში სარდურ II-ის წარწერაზე აგებულია მთელი აქტივობა, სადაც მოსწავლეები გამარჯვებულის თვალსაზრისს იკვლევენ. მნიშვნელოვანია, რომ წყარო კითხვების გარეშე არ დარჩეს. გაკვეთილის სცენარებში ყოველ წყაროს კონკრეტული დავალება უკავშირდება.

რუბრიკა „მეცნიერის თვალსაზრისი“ თანამედროვე მკვლევრების მოსაზრებებს აწვდის მოსწავლეს. ეს რუბრიკა ერთ დამატებით ფუნქციასაც ასრულებს: აჩვენებს, რომ ისტორიულ მეცნიერებაში მსჯელობა გრძელდება. VI თავში, სადაც გიორგი მელიქიშვილისა და გრანი ქავთარიას მოსაზრებებია მოცემული, მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ ეს ვარაუდებია და არა დადასტურებული ფაქტები.

რუბრიკა „ლექსიკონი“ ტერმინებს განმარტავს. გაკვეთილის სცენარებში მოცემულია რეკომენდაცია, რომ ტერმინები გაკვეთილის დასაწყისში დაფაზე დაიწეროს და ბოლომდე თვალსაჩინოდ დარჩეს. ზოგჯერ ლექსიკონში უფრო მეტი ინფორმაციაა წარმოდგენილი, ვიდრე სტანდარტული განმარტება ითხოვს: §25-ის სცენარში სწორედ ლექსიკონის სამი ერთეული – კოლა, არტაანი და კლარჯეთი გახდა გაკვეთილის გახსნის მასალა, რადგან სამივე მხარე დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა და ეს ფაქტი მოსწავლეს სამეფოს ზომაზე აფიქრებს.

რუბრიკა „ეს საინტერესოა“ ეპოქის ამსახველ ცალკეულ ამბებს ეთმობა. მისი გამოყენება მასწავლებლის შეხედულებაზეა დამოკიდებული, თუმცა სცენარებში იგი ხშირად კონკრეტულ ადგილას არის ჩართული. მაგალითად, §20-ში პლუტარქეს ვინაობის გაცნობა სწორედ იმ მომენტში ხდება, როცა კლასი მის ცნობაზე მუშაობს და კითხვა ჩნდება, საიდან იცოდა ავტორმა ეს ამბები.

დაბოლოს, ორი რუბრიკა უშუალოდ მოსწავლის სამუშაოს ეხება. „კითხვა“ პარაგრაფის შიგნით დასმულ კითხვებს აერთიანებს; გაკვეთილის სცენარებში ისინი აქტივობებზეა განაწილებული – ერთი აქტივობა ორ-სამ კითხვას მოიცავს. „დავალება“ პარაგრაფის ბოლოს

მოცემულ დავალებებს ეთმობა; ეს დავალება, როგორც წესი, საშინაო სამუშაოდ რჩება, ოღონდ სცენარში მას დამატებითი ინსტრუქცია ახლავს: მოცულობა, სტრუქტურა და გამოსაყენებელი ცნებები.

მოსწავლის რვეული სახელმძღვანელოს ცალკე კომპონენტია, თუმცა მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მისი დავალებები პარაგრაფების მიხედვითაა დალაგებული და ხშირად პარაგრაფის კონკრეტულ გვერდზეც მიუთითებს. სცენარებში განსაზღვრულია, რომელი დავალება რომელ აქტივობაში სრულდება კლასში და რომელი რჩება დამოუკიდებელ სამუშაოდ. რვეულში ასევე მოცემულია კონტურული რუკები და თავების შემაჯამებელი კროსვორდები.

## 2. თემატური მიმოხილვა თავების მიხედვით

ქვემოთ თითოეული თავია განხილული სამი ძირითადი ასპექტის მიხედვით: რას მოიცავს, რომელი ცნებები მუშავდება და რა ფუნქცია აქვს მას სემსტრულ დატვირთვაში.

### I თავი. ჩვენი სამშობლო – საქართველო (§1-§2)

კურსის შესავალი თავი მოსწავლეს საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასა და ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს აცნობს. ძირითადი სამიზნე ცნებაა „სივრცე“, აქტიურდება შედეგი 3-ის ინდიკატორები: მდებარეობის მნიშვნელობის ახსნა და ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ცოდნა.

ამ ორ გაკვეთილს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს: აქ ყალიბდება ის სივრცითი წარმოდგენა, რომელსაც მოსწავლე მთელი კურსის განმავლობაში არაერთხელ დაუბრუნდება. მხარეების სახელები, რომლებსაც §2-ში გაეცნობა, §15-ში კოლხეთის არეალის, §23-ში საერისთავოებისა და §25-ში ქართლის სამეფოს საზღვრების განხილვისას დასჭირდება.

### II თავი. რით ვსწავლობთ ძველ ისტორიას (§3-§5)

თავი ისტორიკოსის სამუშაო ხერხებს აცნობს მოსწავლეს: წელთაღრიცხვას (§3), ნივთიერ წყაროებს (§4) და წერილობით წყაროებს (§5). ძირითადი ცნებებია „დრო“ და „ისტორიული წყარო“, აქტიურდება შედეგი 2-ისა და შედეგი 1-ის ინდიკატორები.

ეს თავი მთელი კურსის ინსტრუმენტულ ბაზას ქმნის. §3-ში ნასწავლი წელთაღრიცხვის წესი ყველა მომდევნო თარიღის გასაგებადაა საჭირო. თუ მოსწავლემ არ გაიაზრა, რომ ძვ. წ. 500 წელი ძვ. წ. 300 წელზე ადრეა, IV და V თავების ქრონოლოგია მისთვის გაუგებარი დარჩება. §4-ის მტკიცებულების წესი – ყოველი დასკვნა წყაროდან უნდა მოდიოდეს, მთელ კურსში მეორდება და პროექტულ დავალებებშიც გამოიყენება. §5-ის წყაროთა სანდოობის შესახებ კითხვა კი VI თავამდე ვითარდება: §15-ში მას ავტორის ინტერესის საკითხი ემატება, §21-ში – ორი წყაროს შედარება.

### III თავი. ქვის ხანის ეპოქის ადამიანის თავგადასავალი (§6-§9)

თავი დმანისის აღმოჩენით იწყება და ხორბლისა და ღვინის უძველესი კერების განხილვით სრულდება. ძირითადი სამიზნე ცნებაა „დრო“; აქტიურდება შედეგი 2-ის ინდიკატორები: ეპოქების შედარება არსებითი მახასიათებლების მიხედვით და პერიოდიზაციის კრიტერიუმების გააზრება.

თავის ცენტრალური საკითხი ნეოლითური რევოლუციაა, მოვლენა, რომელმაც ადამიანის ცხოვრების წესი შეცვალა. აქ პირველად უწევს მოსწავლეს მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება, რომელიც შემდეგ §18-სა და §20-ში მეორდება. §9 კი პირველად აჩვენებს, რომ საქართველოს ტერიტორია მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენების: მიწათმოქმედებისა და მევენახეობის ჩასახვის ერთ-ერთი კერაა.

გასათვალისწინებელია ერთი სირთულე: ამ თავში დიდი ციფრები ჩნდება – 1,8 მილიონი წელი, რვა ათასი წელი. მეშვიდეკლასელისთვის ასეთი მასშტაბი აბსტრაქტულია, ამიტომ გაკვეთილის სცენარებში გამოყენებულია შედარებები და თვალსაჩინოებები.

**IV თავი. ქვიდან ლითონამდე (§10-§14)**

ხუთპარაგრაფიანი თავი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანას მოიცავს და ქართველი ერის წარმოშობის საკითხით სრულდება. ძირითადი ცნებებია „დრო“ და „საზოგადოება“; სწორედ აქ იქცევა „საზოგადოება“ სრულფასოვან სამუშაო ცნებად.

თავის შინაარსობრივი ხაზი ასეთია: ლითონის წარმოება ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ეს კი იწვევს ჭარბი პროდუქტის, ვაჭრობისა და ქონებრივი განსხვავების გაჩენას; შედეგად ჩნდება წარჩინებულთა ფენა, რომლის კვალიც თრიალეთის ყორღანებში ჩანს, ციხე-ქალაქების ციტადელებში და ა.შ.

ამ თავში იცვლება გაკვეთილების ხასიათი: აღწერითი მასალიდან მიზეზშედეგობრივ მსჯელობაზე გადასვლა ხდება. მოსწავლემ აღარ უნდა თქვას მხოლოდ ის, რა იპოვეს არქეოლოგებმა. მან უნდა ახსნას, რას ნიშნავს ეს აღმოჩენა.

§14 ცალკე აღნიშვნას იმსახურებს: ეთნოგენეზის თემა მოითხოვს ფრთხილ განხილვას, რადგან აქ ლეონტი მროველის გადმოცემა და თანამედროვე მეცნიერული მოსაზრებები ერთმანეთს ერწყმიან. გაკვეთილის სცენარში ეს ორი შრე მკაფიოდაა გამიჯნული.

**V თავი. უძველესი ქართული სახელმწიფოები (§15-§19)**

თავი კოლხურ კულტურასა და კოლხას სამეფოს განიხილავს, შემდეგ არგონავტების მითს, აღმოსავლეთისა და სამხრეთის გაერთიანებებს, აქემენიანთა ირანსა და ბერძნულ კოლონიზაციას, ბოლოს კი მშენებლობას ძველ საქართველოში.

ეს თავი ცნებების მხრივ ყველაზე მრავალფეროვანია: ხუთივე პარაგრაფს სხვადასხვა ძირითადი ცნება აქვს: „დრო“ (§15), „ისტორიული წყარო“ (§16), „ძალაუფლება“ (§17), „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ (§18) და „საზოგადოება“ (§19). ერთი თავის ფარგლებში მოსწავლე ხუთივე ცნებას ეცნობა, ეს კი მასწავლებელს კარგ საშუალებას აძლევს, დაინახოს, რომელი ტიპის სამუშაო უადვილდება კლასს და რომელი უჭირს.

თავის მეთოდური ღერძი წყაროს კრიტიკაა. §15-ში სარდურ II-ის წარწერა გამარჯვებულის თვალსაზრისს გადმოსცემს; §16-ში მითი ისტორიულ ფაქტს წარმოაჩენს ფანტასტიკურ გარსში; §17-ში ტიგლათფილესერის წარწერა დამპყრობლის პოზიციიდანაა დაწერილი; §19-ში ვიტრუვიუსი კოლხურ სახლს ზუსტად აღწერს, მაგრამ „ბარბაროსულად“ აფასებს. ოთხივე შემთხვევაში მოსწავლე ერთსა და იმავე კითხვას სვამს: ვინ წერს, საიდან იცის და რა ინტერესი აქვს?

**VI თავი. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო (§20-§25)**

ექვსპარაგრაფიანი, ყველაზე მოცულობითი თავი ქართლის სამეფოს შექმნის ისტორიას ეთმობა: ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლიდან ფარნავაზის მემკვიდრეების მმართველობამდე.

თავს ორი მეთოდური თავისებურება აქვს. პირველი: აქ პირველად ხდება მთავარ სამუშაო წყაროდ ქართული საისტორიო ტრადიცია: „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“. ეს ტექსტები ენობრივად რთულია, ამიტომ სცენარებში ყოველთვის მითითებულია, რომ მასწავლებელმა ისინი ხმამაღლა წაიკითხოს და თანამედროვე ქართულით გადმოსცეს; დანართი 3 ამ სამუშაოს აადვილებს.

მეორე თავისებურება უფრო არსებითია: ორი წყაროს განსხვავებული ცნობა პირველ მეფეზე მოსწავლეს პირველად აჩვენებს, რომ წყაროთა შეუთანხმებლობა ხარვეზი კი არა, ისტორიკოსისთვის სამუშაო მასალაა. §21-ის მთელი გაკვეთილი ამ საკითხზეა აგებული და

სწორედ ეს ხაზი დაედო საფუძვლად მესამე პროექტულ დავალებას.

თავში ორი გავრცელებული მცდარი წარმოდგენის გასწორების შესაძლებლობაა. პირველი: ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია – სახელმძღვანელო ამას პირდაპირ აღნიშნავს. მეორე: ფარნავაზის შესახებ ლეგენდური ეპიზოდები (სიზმარი, გამოქვაბულში ნაპოვნი განძი) ისტორიულ ფაქტად არ უნდა იქნეს მიჩნეული. ორივე საკითხი თავის შესავალშია გამოკვეთილი.

## 3. სამიზნე ცნებების განაწილება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, რომელ პარაგრაფში რომელი ცნება მუშავდება ძირითადად და რომელი აქტიურდება დამატებით.

| თავი | პარაგრაფი | ძირითადი ცნება (შედეგი) | დამატებით აქტიურდება |
|---|---|---|---|
| I | §1 გეოგრაფიული მდებარეობა | სივრცე (3) | საზოგადოება |
| I | §2 ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები | სივრცე (3) | - |
| II | §3 ქრონოლოგია | დრო (2) | - |
| II | §4 მიწაში დამარხული ისტორია | ისტორიული წყარო (1) | - |
| II | §5 წერილობითი წყაროები | ისტორიული წყარო (1) | - |
| III | §6 დმანისი | დრო (2) | ისტორიული წყარო |
| III | §7 ქვის ხანა საქართველოში | დრო (2) | საზოგადოება |
| III | §8 ნეოლითური რევოლუცია | დრო (2) | მოვლენა/პროცესი |
| III | §9 ხორბალი და ღვინო | დრო (2) | ისტორიული წყარო |
| IV | §10 მტკვარ-არაქსის კულტურა | დრო (2) | საზოგადოება |
| IV | §11 თრიალეთის ყორღანები | საზოგადოება (4) | დრო |
| IV | §12 გვიანი ბრინჯაო და ადრე რკინა | დრო (2) | საზოგადოება |
| IV | §13 ციკლოპური ციხე-ქალაქები | ძალაუფლება (5) | საზოგადოება |
| IV | §14 ეთნოგენეზი | მოვლენა/პროცესი (6) | ისტორიული წყარო |
| V | §15 კოლხური კულტურა | დრო (2) | ისტორიული წყარო |
| V | §16 არგონავტების მითი | ისტორიული წყარო (1) | სივრცე |
| V | §17 უძველესი გაერთიანებები | ძალაუფლება (5) | ისტორიული წყარო |
| V | §18 აქემენიანები და კოლონიზაცია | მოვლენა/პროცესი (6) | სივრცე |
| V | §19 მშენებლობა ძველ საქართველოში | საზოგადოება (4) | სივრცე, წყარო |
| VI | §20 ალექსანდრეს იმპერიის დაშლა | მოვლენა/პროცესი (6) | დრო, წყარო |

| | | | |
|---|---|---|---|
| **VI** | §21 ფარნავაზი და აზო | ისტორიული წყარო (1) | ძალაუფლება |
| **VI** | §22 ქართლის სამეფოს შექმნა | ძალაუფლება (5) | მოვლენა/პროცესი |
| **VI** | §23 სახელმწიფოებრივი მოწყობა | ძალაუფლება (5) | საზოგადოება |
| **VI** | §24 რა ვიცით ქართლის სამეფოზე | საზოგადოება (4) | სივრცე, წყარო |
| **VI** | §25 ფარნავაზის მემკვიდრეები | სივრცე (3) | მოვლენა/პროცესი |

ცხრილიდან რამდენიმე დასკვნა გამომდინარეობს, რომლებიც გასათვალისწინებელია გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში.

პირველი: ცნება „დრო“ ყველაზე ხშირად მუშავდება. ეს ბუნებრივია, რადგან მასალა ქრონოლოგიურად ვრცელ პერიოდს მოიცავს, ეპოქების გარჩევა კი მთელი კურსის საფუძველია. მასწავლებელმა ეს სიხშირე ისე უნდა გამოიყენოს, რომ გამეორება არ მოხდეს: ყოველ ჯერზე სხვა ინდიკატორი მუშავდება – §3-ზე წელთაღრიცხვის წესი, §7-ზე ეპოქების შედარება, §8-ზე პერიოდიზაციის კრიტერიუმები, §15-ზე კი ეპოქის ერთიანი სურათის აღდგენა.

მეორე: ცნებები „ძალაუფლება“ და „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ მხოლოდ IV თავიდან ჩნდება ძირითად ცნებებად. ესეც სახელმძღვანელოს შინაარსიდან გამომდინარეობს – ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხი სწორედ ამ თავიდან იწყება. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ სემესტრის პირველ ნახევარში მოსწავლე ძირითადად აღწერასა და კლასიფიკაციაში ვარჯიშობს, მეორეში კი – მსჯელობასა და შეფასებაში.

მესამე: ერთი და იგივე ცნება რამდენიმე გაკვეთილზე მეორდება, ოღონდ სხვადასხვა ინდიკატორით. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია „ძალაუფლება“ VI თავში: §22-ზე იგი ძალაუფლებისთვის ბრძოლის ინდიკატორით მუშავდება, §23-ზე კი ორი სხვა ინდიკატორით: სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და ძალაუფლების გაზიარებულ ღირებულებებთან კავშირის ინდიკატორებით. ინდიკატორების ასეთი განაწილება ცნებას აღრმავებს და ორ მომიჯნავე გაკვეთილს ერთმანეთისგან განასხვავებს.

სასურველია, თითოეული ცნება სემესტრში ერთხელ მაინც შეფასდეს განმსაზღვრელი კრიტერიუმით. პრაქტიკულად ეს ასე შეიძლება განაწილდეს: „სივრცე“ – §2-ზე ან §25-ზე, „დრო“ – §3-ზე ან §8-ზე, „ისტორიული წყარო“ – §5-ზე ან §21-ზე, „საზოგადოება“ – §11-ზე ან §24-ზე, „ძალაუფლება“ – §17-ზე ან §23-ზე, „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ – §18-ზე ან §20-ზე.

## 4. სავარაუდო კალენდარული გეგმა

ქვემოთ მოცემული გეგმა გაკვეთილების შესაძლო განაწილებას აჩვენებს და სავალდებულო არ არის. იგი გათვლილია იმ დაშვებაზე, რომ საგანს კვირაში ორი საათი ეთმობა და სემესტრი დაახლოებით 15-16 სასწავლო კვირას მოიცავს.

| კვირა | სასწავლო მასალა | შენიშვნა |
|---|---|---|
| **1** | §1, §2 | I თავი |
| **2** | I თავის შემაჯამებელი გაკვეთილი, §3 | |
| **3** | §4, §5 | §5-ის ბოლოს – პირველი პროექტული დავალების გაცნობა |
| **4** | II თავის შემაჯამებელი გაკვეთილი, §6 | პროექტის შუალედური კონსულტაცია |
| **5** | §7, §8 | პირველი პროექტის წარდგენა |

| | | |
|---|---|---|
| **6** | §9, III თავის შემაჯამებელი გაკვეთილი | |
| **7** | §10, §11 | IV თავი |
| **8** | §12, §13 | §13-ის ბოლოს – მეორე პროექტული დავალების გაცნობა |
| **9** | §14, IV თავის შემაჯამებელი გაკვეთილი | პროექტის შუალედური კონსულტაცია |
| **10** | §15, §16 | მეორე პროექტის წარდგენა |
| **11** | §17, §18 | |
| **12** | §19, V თავის შემაჯამებელი გაკვეთილი | |
| **13** | §20, §21 | VI თავი |
| **14** | §22, §23 | §23-ის ბოლოს – მესამე პროექტული დავალების გაცნობა |
| **15** | §24, §25 | პროექტის შუალედური კონსულტაცია |
| **16** | VI თავის შემაჯამებელი გაკვეთილი, მესამე პროექტის წარდგენა | სემესტრის შეჯამება |

გეგმის აგებისას სამი პრინციპი იყო გათვალისწინებული და თითოეული მათგანი პრაქტიკულ მოსაზრებას ეყრდნობა.

პირველი: თითოეულ თავს ერთი შემაჯამებელი გაკვეთილი ეთმობა. მასში გამოიყენება რვეულის კროსვორდი და კონტურული რუკები, ასევე თავის საკვანძო კითხვები. ეს გაკვეთილი მხოლოდ გამეორება არ არის – სწორედ აქ ჩანს, რომელი მასალა დარჩა გაუგებარი და რა უნდა გამეორდეს მომდევნო თავზე მუშაობისას.

მეორე: პროექტულ დავალებაზე მუშაობა იმ პარაგრაფის შემდეგ იწყება, რომლის მასალაც ამ სახის დავალებისთვის აუცილებელია. პირველი პროექტი §5-ის შემდეგ იწყება, რადგან მას სამივე – ქრონოლოგიის, ნივთიერი და წერილობითი წყაროს ცოდნა და გამოყენების უნარი სჭირდება. მეორე §13-ის შემდეგ, რადგან მოსწავლემ უკვე იცის როგორც ყორღანები, ისე ციხე-ქალაქები. მესამე §23-ის შემდეგ, რადგან მოსწავლისთვის უკვე ცნობილია წყაროთა განსხვავება და ფარნავაზის რეფორმები.

**თუ გეგმიდან გადაუხვევთ**

რეალობაში გეგმა იშვიათად სრულდება ზუსტად: გაკვეთილები ვერ ტარდება უქმეების, ღონისძიებებისა და სხვა მიზეზების გამო. ამიტომ წინასწარ უნდა იცოდეთ, რისი შემცირება იქნება ყველაზე ოპტიმალური.

პირველ რიგში, შემაჯამებელი გაკვეთილების რაოდენობა შეამცირეთ. მაგალითად, I და II თავები ერთად შეაჯამეთ. ეს ყველაზე უმტკივნეულო გამოსავალია, რადგან შემაჯამებელი მასალა (კროსვორდი, კონტურული რუკა) საშინაო დავალებადაც გამოდგება.

მეორე რიგში, პროექტული დავალებების რაოდენობა განიხილეთ. სამივე პროექტი ერთ სემესტრში მაშინ შეიძლება შესრულდეს, როცა სასწავლო პროცესის რიტმი შეუფერხებელია; შეფერხების შემთხვევაში ორი პროექტის განხორციელებაც საკმარისია – სასურველია, პირველი (II თავზე) და ერთი დანარჩენი ორი პროექტიდან.

პარაგრაფის გამოტოვება ყველაზე უკიდურესი ზომაა, რადგან თითოეული პარაგრაფი კონკრეტულ ინდიკატორზეა მიბმული. თუ ეს მაინც აუცილებელი გახდა, ჯერ ის პარაგრაფი განიხილეთ, რომლის ცნება სხვაგანაც მუშავდება – მაგალითად, „დრო“ რვა პარაგრაფში მეორდება, ამიტომ ერთი მათგანის გამოტოვება ნაკლებ ზიანს მოიტანს.

## 5. სამი საკვანძო მომენტი

დაგეგმვისას სამი მომენტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს:

პირველი მომენტი – II თავის დასრულება. ამ მომენტამდე მოსწავლე ინსტრუმენტებს სწავლობს: წელთაღრიცხვას, ნივთიერი და წერილობითი წყაროს გარჩევას, სანდოობის შემოწმებას. ამის შემდეგ ეს ინსტრუმენტები გამოიყენება ყოველ მომდევნო გაკვეთილზე.

ამიტომ II თავის შემაჯამებელი გაკვეთილი ფორმალობად არ უნდა იქცესს. უნდა დარწმუნდეთ, რომ სამივე ხერხი/ინსტრუმენტი ათვისებულია. ამის შესამოწმებლად სამი მარტივი კითხვა საკმარისია: რომელი წელია უფრო ადრინდელი – ძვ. წ. 500 თუ ძვ. წ. 300? რა განსხვავებაა ნივთიერ და წერილობით წყაროს შორის? რას ვეკითხებით წყაროს, როცა მის სანდოობას ვამოწმებთ? თუ პასუხები არადამაჯერებელია, ჯობს, ერთი გაკვეთილი დაუთმოთ გამეორებას, ვიდრე შემდეგ მთელი სემესტრი გაუგებრობას ებრძოლოთ.

მეორე მომენტი – IV თავის დასაწყისი. აქ ცნება „საზოგადოება“ სრულფასოვან სამუშაო ცნებად იქცევა და გაკვეთილების ხასიათიც იცვლება: აღწერითი მასალიდან მიზეზშედეგობრივ მსჯელობაზე გადასვლა ხდება.

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ აღარ უნდა თქვას მხოლოდ ის, რა იპოვეს არქეოლოგებმა თრიალეთის ყორღანში. მან უნდა ახსნას, რას გვეუბნება ეს აღმოჩენა საზოგადოების მოწყობის/სტრუქტურის შესახებ. მოსწავლეთა ნაწილს ეს გარდამავალი მომენტი უჭირს: ისინი კარგად ჩამოთვლიან ნივთებს, დასკვნას კი ვერ აყალიბებენ. ამიტომ §10-სა და §11-ზე მუშაობისას მეტი დრო დაუთმეთ დასკვნის დასაბუთებას და გამოიყენეთ გაკვეთილის სცენარებში მოცემული დამხმარე ფრაზების დასაწყისები.

მესამე მომენტი – VI თავი. სემესტრის დამაგვირგვინებელი თავი ყველაზე მოცულობითია და ყველაზე მეტ წყაროსთან მუშაობას მოითხოვს. აქ ძველი ქართული ტექსტები ჩნდება, ამიტომ დანართი 3 (ადაპტირებული ტექსტები) უნდა გამოიყენოთ ყოველ გაკვეთილზე.

ამავე თავს უკავშირდება სემესტრის ბოლო პროექტი და თავის შემაჯამებელი გაკვეთილი, ამიტომ დროის განაწილება წინასწარ უნდა გათვალოთ. თუ ხედავთ, რომ სემესტრის ბოლოს დრო არ გეყოფათ, მესამე პროექტი §23-ის ნაცვლად §21-ის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს – მისი პირობის ორი ფორმატის (დებატები და გაზეთი) შესრულება §21-ის მასალითაც შესაძლებელია.

## ნაწილი III. გაკვეთილების სცენარები

### შესავალი

ეს ნაწილი წიგნის ძირითადი და ყველაზე მოცულობითი ნაწილია. იგი სამი ტიპის მასალას აერთიანებს: თითოეული თავის შესავალს, ოცდახუთი პარაგრაფის სცენარსა და თავების შემაჯამებელი გაკვეთილების მოდელებს.

**რას სთავაზობს სცენარი მასწავლებელს**

სცენარში განსაზღვრულია, სტანდარტის რომელ ინდიკატორზე მუშაობს გაკვეთილი, რა შედეგებს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ, რა თანმიმდევრობით მიმდინარეობს აქტივობები, რამდენი წუთი ეთმობა თითოეულს, რომელი დავალება სრულდება კლასში და როგორ შემოწმდება მიღწეული შედეგი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელს გაკვეთილის ნულიდან აგება არ სჭირდება. ის სამუშაო, რომელიც ჩვეულებრივ დაგეგმვას უკავშირდება: ინდიკატორის შერჩევა, მისი კონკრეტულ შედეგად გადათარგმნა, აქტივობების მოფიქრება და დროში გაწერა და სხვ. უკვე შესრულებულია. მასწავლებელს რჩება ის, რაც მხოლოდ მას შეუძლია: მასალის მორგება საკუთარ კლასზე.

**რა პრაქტიკულ სარგებელს იძლევა გაკვეთილის სცენარი**

სცენარების პრაქტიკული ღირებულება რამდენიმე მიმართულებით ვლინდება.

პირველი და ყველაზე თვალსაჩინო – დროის დაზოგვა. ერთი გაკვეთილის სრულფასოვან დაგეგმვას გამოცდილი მასწავლებელიც კი საკმაოს დიდ დროს უთმობს; მზა სცენარით სარგებლობისას ეს დრო ოც-ოცდაათ წუთამდე მცირდება.

მეორე – კავშირი სტანდარტთან უკვე დადგენილია. მასწავლებელს არ უწევს ინდიკატორების ძებნა და მათი მორგება გაკვეთილის მასალაზე; ეს კავშირი სცენარის პირველ ნაწილშივეა ჩამოყალიბებული, ხოლო შეფასების კრიტერიუმები იმავე ინდიკატორებს ეფუძნება.

მესამე – მეთოდების მარაგი. ოცდახუთ სცენარში ორმოცამდე სხვადასხვა მეთოდია გამოყენებული: შედარებითი ცხრილიდან და მიზეზშედეგობრივი ჯაჭვიდან დაწყებული, ექსპერტთა ჯგუფებით, დილემაზე მუშაობითა და როლური წარდგენით დამთავრებული. მასწავლებელს შეუძლია ეს მეთოდები სხვა თემებზეც გამოიყენოს.

მეოთხე – მოსწავლის რვეულთან კავშირი. თითოეულ სცენარში განსაზღვრულია, რომელი დავალება როდის სრულდება. მასწავლებელს აღარ უწევს ცალკე გადაწყვეტა, რომელი დავალება მისცეს კლასში და რომელი სახლში.

მეხუთე – მზა მასალა შეფასებისთვის. თითოეულ სცენარში მოცემულია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და განმსაზღვრელი შეფასების ორი კრიტერიუმი, რომლებიც სტანდარტის ინდიკატორებს ეყრდნობა.

**სცენარები სარეკომენდაციო ხასიათისაა**

ამ ნაწილში მოცემული ყველა მასალა: თავის შესავლი, სცენარები და შემაჯამებელი გაკვეთილების მოდელები სარეკომენდაციო ხასიათისაა. ეს ფორმალური დათქმა არ არის – სცენარი გაკვეთილის ერთ შესაძლო მოდელს აჩვენებს და არა ერთადერთს.

სცენარები დაწერილია ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილისთვის, საშუალო სიდიდის კლასისთვის და საშუალო ტემპისთვის – ანუ იმ პირობებისთვის, რომლებიც რეალურ საკლასო ოტახში იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. ერთგან მოსწავლეთა რაოდენობა ჯგუფური მუშაობისთვის კარგ პირობას ქმნის, მეორეში – ართულებს; ერთ კლასს დისკუსია უადვილდება, მეორეს – წერითი დავალება. გაკვეთილის სცენარებში ამ განსხვავებების გათვალისწინება შეუძლებელია.

ამიტომ სცენარის ადაპტირება არა მარტო დასაშვები, არამედ მოსალოდნელი და სასურველია. მასწავლებელს შეუძლია აქტივობა ჩაანაცვლოს, დრო გადაანაწილოს, დავალება საკლასო სამუშაოდ აქციოს, ორი აქტივობა გააერთიანოს და სხვ. ადაპტირების კონკრეტული ხერხები: რა გავაკეთოთ, როცა დრო არ მყოფნის, როცა კლასს დისკუსიის წარმართვა უჭირს ან როცა მასალას სწრაფად ითვისებენ, მასწავლებლის წიგნის პირველი ნაწილის მეორე თავშია განხილული.

ცვლილებებისას მხოლოდ ორი პირობა უნდა შენარჩუნდეს. პირველი: გაკვეთილის კავშირი სტანდარტის იმ ინდიკატორთან, რომელიც სცენარის პირველ ნაწილშია დასახელებული. მეორე: მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობის დრო, როცა მოსწავლე თავად კითხულობს, ავსებს, მსჯელობს ან წერს. თუ ეს ორი პირობა დაცულია, დანარჩენში მასწავლებელი თავისუფალია.

დაბოლოს, სცენარებით სარგებლობის ორი გზა არსებობს და ორივე თანაბრად მისაღებია: მასწავლებელს შეუძლია სცენარი უცვლელად დატოვოს ან იგი საკუთარი გაკვეთილის დაგეგმვის რესურსად გამოიყენოს – აიღოს მისგან ის, რაც თავის კლასს მიესადაგება.

## გაკვეთილის სცენარები

### I თავი. ჩვენი სამშობლო – საქართველო

### შესავალი მასწავლებლისთვის

**რას ემსახურება ეს თავი**

I თავი ორ პარაგრაფს აერთიანებს (§1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა; §2. მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში) და მოიცავს ორ სარეკომენდაციო საგაკვეთილო საათს. ეს თავი კურსის შესავალს წარმოადგენს და ორ ძირითად მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ, თავი მოსწავლეს აძლევს სივრცით ჩარჩოს, რომელშიც კურსის განმავლობაში შესასწავლი მასალა მოიაზრება: სად მდებარეობს საქართველო, როგორია მისი ბუნებრივი და ისტორიული დაყოფა, რომელი მნიშვნელოვანი გზები კვეთს მის ტერიტორიას და რომელი რეგიონები იძენდა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მეორე მხრივ, თავი პირველივე გაკვეთილებიდან უვითარებს მოსწავლეს ისტორიკოსის საქმიანობისთვის აუცილებელ უნარებს: რუკის კითხვას, ტექსტიდან არსებითი ინფორმაციის ამოკრებას, მიზეზშედეგობრივ მსჯელობასა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთებას.

შინაარსობრივი აქცენტი, რომელიც ორივე გაკვეთილს აერთიანებს, ასეთია: საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ერთდროულად შესაძლებლობაცაა და გამოწვევაც. ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობა ქვეყანას სავაჭრო გზებსა და კულტურულ კავშირებს სთავაზობდა, თუმცა ამავდროულად დიდ სახელმწიფოთა ინტერესების ასპარეზადაც აქცევდა; კავკასიონი ბუნებრივი ფარი იყო, მისი „კარები“ კი – მეფეთა მუდმივი საზრუნავი. ამ ორმაგი ბუნების გააზრება ის ძირითადი დასკვნაა, რომლამდეც მოსწავლეები თავად უნდა მივიდნენ.

**სტანდარტის სამიზნე ცნებებთან კავშირი**

ძირითადი სამიზნე ცნებაა „სივრცე (ტერიტორია, გარემო)“. თავი ამ ცნების თითქმის ყველა ასპექტს ეხება: გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე (§1 – ზონები, ქედები; §2 – მთისა და ბარის თავისებურებები); ქვეყნის მდებარეობა გზაგასაყარზე ხან შესაძლებლობას იძლეოდა, ხან საფრთხეს ქმნიდა (§1); ცალკეული ტერიტორია სტრატეგიული, ეკონომიკური თუ კულტურული მნიშვნელობით გამოირჩეოდა (§1 – გადასასვლელები, ლიხის ქედი; §2 – მხარეები და მათი ღირსშესანიშნაობები).

დამატებით მუშავდება ცნების „საზოგადოება“ ერთი ასპექტი – ქართული საზოგადოების ისტორიული მრავალეთნიკურობა (§2: ქართველები და აფხაზები აფხაზეთში, ებრაული ეთემი ლეჩხუმში, ქართველები და ოსები შიდა ქართლში). ეს ჯერ მხოლოდ პირველი შეხებაა – ცნება სრულფასოვნად მომდევნო თავებში დამუშავდება, აქ კი საძირკველი ეყრება ტოლერანტობისა და საერთო მემკვიდრეობის ღირებულებით ხაზს. სახელწოდებათა ცვლილებაზე დაკვირვება (კოლხეთი → ეგრისი → აფხაზეთი → ლიხთიმერეთი; სახელწოდება „საქართველოს“ გაჩენა) მოსწავლეს ფრთხილად ამზადებს ცნებასთან „დრო (ისტორიული პერიოდი)“ სამუშაოდაც.

**სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები**

თავი მთლიანად ემსახურება სტანდარტის შედეგს (3): გეოგრაფიული გარემოსა და საქართველოს საზოგადოების განვითარების ურთიერთკავშირის ანალიზი. ორი გაკვეთილის განმავლობაში აქტიურდება შედეგის შემდეგი ინდიკატორები:

§1. საქართველოს კონკრეტული ტერიტორიის მნიშვნელობის ახსნა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით (დარიალისა და დვალეთის გადასასვლელები, ლიხის ქედი);

§1. არგუმენტირებული მსჯელობა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის – ევროპისა და აზიის გზაგასაყარი – გავლენაზე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე;

§2. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების შედარება ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით;

§2. საქართველოს საზოგადოების მახასიათებლების დაკავშირება ქვეყნის/კონკრეტული რეგიონის გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან (მთისა და ბარის სამეურნეო-კულტურული თავისებურებები).

ეს ინდიკატორები ორმაგ ფუნქციას ასრულებს: გაკვეთილის დაგეგმვისას ისინი აქტივობების ორიენტირია, ხოლო შეფასებისას – განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები (თითოეული გაკვეთილის მოდელში კონკრეტულადაა მითითებული, რომელი ინდიკატორის შესრულების ხარისხი ფასდება). ინდიკატორი „ვარაუდის გამოთქმა, როგორ განვითარდებოდა რეგიონის ისტორია განსხვავებული გეოგრაფიული პირობების შემთხვევაში“ ამ თავში სავალდებულოდ არ მუშავდება, თუმცა, მასწავლებელს შეუძლია დისკუსიის გასაღრმავებლად გამოიყენოს (მაგ.: „როგორი იქნებოდა საქართველოს ისტორია, კავკასიონი რომ არ არსებობდეს?“).

**პრაქტიკული ორიენტირები მასწავლებლისთვის**

ორივე გაკვეთილის ღერძი რუკაა (რუკები 1, 2 და 3): ყოველი ახალი ტოპონიმი – მხარე, ქედი, გადასასვლელი, ძეგლი და სხვ. რუკაზე ჩვენებით უნდა განმტკიცდეს. სასურველია კლასში იყოს თვალსაჩინოდ განთავსებული საქართველოს ფიზიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების რუკები.

თავი მდიდარია ტოპონიმებითა და ფაქტებით – მათი მექანიკური დაზეპირება კი არა, არამედ მათ შორის არსებული სისტემური კავშირის დანახვაა. მოსწავლემ ზეპირად კი არ უნდა ჩამოთვალოს 21 მხარე, არამედ შეძლოს ნებისმიერი მათგანის რუკაზე მოძებნა, ქვეყნის ნაწილისთვის მიკუთვნება და ერთი განმასხვავებელი ნიშნის დასახელება.

ოკუპირებული ტერიტორიების თემა (§2) საჭიროა სიფრთხილით წარიმართოს – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, მათი მემკვიდრეობა საერთო საგანძურია, ხოლო მომავალი – მშვიდობიანი თანაცხოვრებაა. კლასში შესაძლოა ისხდნენ მოსწავლეები, რომელთა ოჯახებსაც ეს თემა პირადად ეხება.

მოსწავლის რვეულის დავალებები თანაბრადაა გადანაწილებული საკლასო და საშინაო სამუშაოზე (იხ. თითოეული მოდელის მე-6 და მე-8 სექციები); I თავის შემაჯამებელი კროსვორდი განკუთვნილია თავის დასრულების შემდეგ მასალის სისტემატიზაციისა და გამეორებისთვის.

თავის შემაჯამებელი კომპლექსური დავალება და მისი შეფასების რუბრიკა ცალკე დამუშავდება; ამ ეტაპზე შეფასება ორივე გაკვეთილზე განმავითარებელია, განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად კი ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორები გამოიყენება.

## 1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „სივრცე (ტერიტორია, გარემო)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ძირითად ასპექტებს: გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე; საქართველოს მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე ქვეყანას ხან განვითარების შესაძლებლობებს აძლევდა, ხან კი დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების ასპარეზად აქცევდა; ცალკეული ტერიტორია (კავკასიონის გადასასვლელები, ლიხის ქედი) სტრატეგიული მდებარეობის გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

სტანდარტის შედეგი: (3) გეოგრაფიული გარემოსა და საქართველოს საზოგადოების განვითარების ურთიერთკავშირის ანალიზი. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: საქართველოს კონკრეტული ტერიტორიის მნიშვნელობის ახსნა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით (დარიალისა და დვალეთის გადასასვლელები); არგუმენტირებული მსჯელობა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გავლენაზე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა ფიზიკური რუკის, პარაგრაფის ტექსტისა და მეცნიერის თვალსაზრისის გამოყენებით შეისწავლონ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა – მეზობელი ქვეყნები, სამი ბუნებრივი ზონა, ლიხის ქედის გამყოფი როლი და კავკასიონის გადასასვლელები („დარიალის კარი“, „დვალეთის კარი“); გაიაზრონ, საიდან მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდებები სხვადასხვა ეპოქაში („კოლხეთი/ეგრისი“, „იბერია/ქართლი“, „საქართველო“, „ჯორჯია“). ცოდნის შეძენასთან ერთად მოსწავლეები ივარჯიშებენ რუკაზე ორიენტირებაში, ინფორმაციის სქემად გარდაქმნასა და მიზეზშედეგობრივ მსჯელობაში: რატომ იყო გადასასვლელების კონტროლი მეფეთა მთავარი საზრუნავი და როგორ განსაზღვრავს გზაგასაყარზე მდებარეობა ქვეყნის ბედს. გაკვეთილი ხელს უწყობს სამშობლოს ტერიტორიისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას – მოსწავლე ხედავს, რომ ქვეყნის მდებარეობა ერთდროულად შესაძლებლობაცაა და საზრუნავიც. ეს ყველაფერი მიიღწევა რუკებზე აქტიური მუშაობით, წყვილურ და ჯგუფურ აქტივობებში კითხვების განხილვითა და მიგნებების გააზრებით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე რუკაზე აჩვენებს საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, შავ ზღვას, კავკასიონისა და ლიხის ქედებს და ადგენს ქვეყნის „გეოგრაფიულ პასპორტს”;

2. მოსწავლე ხსნის ლიხის ქედისა და კავკასიონის გადასასვლელების მნიშვნელობას და ასახელებს ორ მიზეზს, რის გამოც ქართველი მეფეები „კარების” კონტროლს ცდილობდნენ;

3. მოსწავლე ასახელებს საქართველოს სახელწოდებებს სხვადასხვა ენაზე და სქემის სახით წარმოადგენს ევროპული სახელწოდების წარმომავლობას;

4. მოსწავლე ასახელებს ორ ფაქტორს, რომელიც საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებას განაპირობებს, და თითოეულ მათგანს კონკრეტული მაგალითით ასაბუთებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

დაწყებით საფეხურზე, საგნიდან „ჩვენი საქართველო“, მოსწავლეებმა უკვე იციან: საქართველო კავკასიის რეგიონში მდებარეობს; ქვეყანას აქვს მთიანი და ბარის ნაწილები; იცნო-

ბენ საკუთარ მხარეს და საქართველოს რამდენიმე კუთხის სახელს; აქვთ რუკაზე მუშაობის საწყისი გამოცდილება (მხარეთა და ქალაქების პოვნა). ამავე ცოდნას ეყრდნობა თავის შესავალი ტექსტიც, რომელიც მოსწავლეებმა წაიკითხეს. ეს გაკვეთილი ნაცნობ წარმოდგენებს სისტემურ ცოდნად გარდაქმნის: ცალკეული კუთხეებისა და მთების ნაცვლად მოსწავლე დაინახავს მთლიან სურათს – ქვეყნის მდებარეობას, ზონებად დაყოფასა და მის ისტორიულ მნიშვნელობას.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: გონებრივი იერიში; რუკაზე ორიენტირებული კვლევითი მუშაობა; გრაფიკული ორგანიზატორები (ცხრილი „გეოგრაფიული პასპორტი“, სახელწოდებათა სქემა); სოკრატული დიალოგი; წყვილური და ჯგუფური მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გადასასვლელების კონტროლზე მსჯელობისას (აქტივობა 4) მოსწავლეები განიხილავენ, რას ნიშნავს ქვეყნისთვის საზღვრის დაცვა და რატომ იყო ეს მეფეთა პასუხისმგებლობა – ასე ყალიბდება სამშობლოს ტერიტორიისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება კონკრეტული ისტორიული მაგალითით.

კავშირი თანამედროვეობასთან: პარაგრაფის დებულება – „ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო სტატუსს დიდწილად სწორედ მასზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტები განაპირობებს“, ბუნებრივად უკავშირდება დღევანდელობას: დასკვნით დისკუსიაში მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს შეკითხვით: „როგორ ვლინდება დღეს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი და რატომ რჩება იგივე გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენს მთავარ რესურსად?“ (საერთაშორისო მაგისტრალები, რკინიგზა, მილსადენები).

### 5. გაკვეთილის მსვლელობა
### გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (7 წუთი)

| **აქტივობის სახელწოდება** | **სად ვცხოვრობთ?** |
|---|---|
| **დრო** | 7 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | გონებრივი იერიში, რუკაზე მუშაობა |
| **მსვლელობა** | მასწავლებელი კლასს აჩვენებს ევროპის რუკას (რუკა 1) და ერთ მოსწავლეს სთხოვს, რუკაზე საქართველო აჩვენოს.<br>გონებრივი იერიში: „რა იცით საქართველოს მდებარეობის შესახებ? ვინ გვესაზღვრება?“ – მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ინიშნავს, ამ ეტაპზე არ ასწორებს.<br>მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: „რატომ ამბობენ, რომ საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს, და რას ნიშნავდა ეს ჩვენი ქვეყნისთვის?“ – კითხვა დაფაზე რჩება და გაკვეთილის ბოლოს კითხვა რჩება დაფაზე და კლასი მას გაკვეთილის შეჯამებისას დაუბრუნდება. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები იხსენებენ დაწყებით საფეხურზე ნასწავლს, ჩნდება სასწავლო მოტივაცია; საკვანძო კითხვა გაკვეთილს ერთიან კვლევით ამოცანად კრავს (სამიზნე ცნება „სივრცე“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **საქართველოს „გეოგრაფიული პასპორტი“** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | რუკაზე ორიენტირებული კვლევითი მუშაობა, გრაფიკული ორგანიზატორი |
| **მსვლელობა** | მასწავლებელი ფიზიკურ რუკაზე (რუკა 2) აჩვენებს ნიმუშს: როგორ ვიპოვოთ რუკაზე ქედი და საზღვარი – ერთ მაგალითს კლასთან ერთად აანალიზებს.<br>წყვილები პარაგრაფის ტექსტისა და ფიზიკური რუკის დახმარებით ავსებენ „გეოგრაფიულ პასპორტს“ (მოსწავლის რვეული, დავალება 2; შეესაბამება სახელმძღვანელოს დავალება 1-ს): მდებარეობა, მეზობლები, ფართობი, ლიხის ქედი, ორი მთავარი „კარი“.<br>წყვილები ერთმანეთს უმოწმებენ ნამუშევარს; შედეგები მოკლედ ჯამდება საერთო განხილვით – ერთი წყვილი კითხულობს, დანარჩენები ამოწმებენ და ასწორებენ.<br>მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას სამ ზონად დაყოფასა და ლიხის ქედზე და კლასს უსვამს კითხვას 4: „რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის კავკასიონისა და ლიხის ქედებს?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეს შეუძლია რუკაზე მეზობელი ქვეყნების, ზღვის, ქედების ჩვენება და ქვეყნის მდებარეობის სისტემურად აღწერა – მუშავდება შედეგი 1 და სამიზნე ცნების ის ასპექტი, რომ ბუნებრივი გარემო (ქედები) ქვეყნის შიდა დაყოფასაც განსაზღვრავს. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **რას გვეუბნება ქვეყნის სახელი?** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | კვლევითი კითხვა, გრაფიკული ორგანიზატორი |
| **მსვლელობა** | მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს ქვეყნის სახელწოდებებზე და დაფაზე გამოსახულ სქემას ავსებენ: კოლხეთი/ეგრისი → აფხაზეთი → ლიხთიმერეთი; იბერია/ქართლი → „საქართველო“ (X-XI სს.); „გურგ“ „ჯურჯ“ „ჯორჯია“ (სქემის სრული ვერსია – მოსწავლის რვეულის დავალება 3).<br>საერთო განხილვა პარაგრფაფის კითხვებით 1 და 2: რამ განაპირობა ერთიანი სახელწოდების შემოღება X-XI საუკუნეების მიჯნაზე? როგორ გავრცელდა სახელი ევროპულ ენებში?<br>მასწავლებელი მოსწავლეებს მიახვედრებს დასკვნამდე: სახელწოდების ისტორია ქვეყნის გაერთიანების ისტორიას ირეკლავს. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე სახელწოდებათა ცვლილებას პოლიტიკურ პროცესს (გაერთიანებას) უკავშირებს.<br>მუშავდება შედეგი 3; ვითარდება ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრებისა და სქემად გარდაქმნის უნარი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ვინ აკონტროლებს „კარს“?** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა, სოკრატული დიალოგი |
| **მსვლელობა** | ჯგუფები კითხულობენ „მეცნიერის თვალსაზრისს“ დარიალის შესახებ და ლექსიკონის განმარტებას („ალანები“); რუკაზე პოულობენ დარიალისა და დვალეთის გადასასვლელებს. თითოეული ჯგუფი პარაგრაფის კითხვაზე N 6 მუშაობს: რატომ იყო გადასასვლელების კონტროლი მეფეთა უპირველესი საზრუნავი – ორი მთავარი მიზეზი (ვინ შემოდიოდა ამ გზებით და რა საფრთხე მოჰყვებოდა მათ დაუცველობას).<br>ჯგუფები პასუხებს წარადგენენ; მასწავლებელი სოკრატული კითხვებით აღრმავებს მსჯელობას: რატომ იყო ერთი და იგივე გზა მიმზიდველი როგორც ვაჭრისთვის, ისე მტრისთვის?; რას ნიშნავს სახელწოდება „კარი“ – რატომ გამოიყენებოდა სწორედ ეს სიტყვა?<br>დამატებითი აქტივობა (დროის რესურსის მიხედვით / მე-7 კითხვა): კლასი მსჯელობს, რა ჰქონდათ საერთო დარიალისა და დვალეთის გადასასვლელებს და რით განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისგან. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე კონკრეტული ტერიტორიის (გადასასვლელების) მნიშვნელობას ხსნის ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების ურთიერთმიმართებით – პირდაპირ მიემართება ისტორიის სტანდარტის შედეგი (3)-ის ინდიკატორი და შედეგი 2. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **გზაგასაყარი – შესაძლებლობა თუ საფრთხე?** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | კლასი უბრუნდება დაფაზე დარჩენილ საკვანძო კითხვას; დისკუსია ეყრდნობა პარაგრაფის კითხვებს N 3 და N 5: რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო ქვეყნის განვითარებაზე და რომელი ფაქტორები ხდის საქართველოს მდებარეობას უნიკალურს.<br>კავშირი თანამედროვეობასთან: მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვას: როგორ ვლინდება დღეს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი (საერთაშორისო მაგისტრალები, რკინიგზა, მილსადენები) და რატომ რჩება ეს გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენს მთავარ რესურსად?<br>გასასვლელი ბარათი: მოსწავლეები წერენ ერთ ფაქტორს, რომელიც საქართველოს მდებარეობას განსაკუთრებულს ხდის, და ერთ კითხვას, რომელიც გაკვეთილის შემდეგ გაუჩნდათ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე აჯამებს ნასწავლს და აფასებს მდებარეობის ორმაგ ბუნებას (შესაძლებლობა/საფრთხე) – მუშავდება შედეგი 4; გასასვლელი ბარათი მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აძლევს. |

## 6. მუშაობა მოსწავლის რვეულზე

1. დავალება 2 („გეოგრაფიული პასპორტი“) – სრულდება საკლასო სამუშაოდ, ძირითადი ნაწილის პირველ აქტივობაში, წყვილებში. მხარდაჭერა: მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ფიზიკური რუკა (რუკა 2); მასწავლებელი წინასწარ შეახსენებს, რომ ფართობისა და გადასასვლელების მონაცემები ტექსტშია და არა რუკაზე.

2. დავალება 3 (სახელწოდებათა სქემები) – მუშავდება კლასში, მეორე აქტივობაში (დაფის სქემა), ხოლო რვეულში სრულად შევსება საშინაო დავალების ნაწილია.

3. დავალება 1 (კონტურული რუკა), დავალება 4 (მსჯელობა გადასასვლელებზე) და დავალება 5 („სასაზღვრო ციხის უფროსის მოხსენება“) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ყველა მოსწავლე ერთი შედეგისკენ მიდის, მაგრამ სხვადასხვა სირთულის საფეხურით: „გეოგრაფიულ პასპორტში“ ნაწილი ავსებს ძირითად სტრიქონებს (მეზობლები, ზღვა), ნაწილი – სრულ ცხრილს გადასასვლელების ჩათვლით; ჯგუფურ მსჯელობაში (აქტივობა 4) ერთი მიზეზის დასაბუთება საბაზისო დონეა, ორი მიზეზის შედარება და დვალეთთან შეპირისპირება – გაღრმავებული.

მხარდამჭერი სტრატეგიები: რუკაზე მუშაობის ნიმუშს ჯერ მასწავლებელი აჩვენებს, შემდეგ წყვილი ასრულებს (თანდათანობითი გადაცემა); ვისაც ტექსტიდან ინფორმაციის მოძიება უჭირს, მასწავლებელი აძლევს დამხმარე კითხვებს („სად წერია ფართობი? იპოვე აბზაცი, სადაც ქედებზეა საუბარი“); ლექსიკონი („ალანები“) და დაფაზე დარჩენილი საკვანძო კითხვა ვიზუალურ საყრდენად გამოიყენება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, ორი რუკით, სქემით და QR-კოდის საშუალებით (ვიდეომასალითაც); მოსწავლეს ნასწავლის წარმოჩენა შეუძლია სხვადასხვა ფორმით: ცხრილის შევსებით, რუკაზე ჩვენებით, ზეპირი მსჯელობით ან შემოქმედებითი ტექსტით (რვეულის დავალება 5).

## 8. საშინაო დავალება

**მოსწავლის რვეულში შესასრულებელია სამი დავალება:**

1. დავალება 1: კონტურულ რუკაზე მონიშნეთ მეზობელი სახელმწიფოები (თითოეული სხვადასხვა ფერით, დედაქალაქებით), შავი ზღვა, უკიდურესი წერტილები და სახელმწიფო საზღვარი. ინსტრუქცია: იმუშავეთ სახელმძღვანელოს რუკა 2-ის მიხედვით და აუცილებლად შეადგინეთ პირობითი აღნიშვნები (ლეგენდა).

2. დავალება 3: სრულად შეავსეთ სახელწოდებათა ორივე სქემა – კლასში დაწყებული სამუშაოს დასრულება.

3. დავალება 4 ან 5 – მოსწავლის არჩევით: დაასაბუთეთ წერილობით, რატომ იყო გადასასვლელების კონტროლი მეფეთა უპირველესი საზრუნავი (დავალება 4), ან დაწერეთ „სასაზღვრო ციხის უფროსის მოხსენება“ მითითებული საკვანძო სიტყვების გამოყენებით (დავალება 5).

დავალება 1 უკავშირდება მოსალოდნელ შედეგს 1 (რუკაზე ორიენტირება), დავალება 3 – შედეგს 3, ხოლო დავალებები 4/5 – შედეგებს 2 და 4 (მიზეზშედეგობრივი მსჯელობა და არგუმენტირება).

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: მასწავლებელი აკვირდება წყვილების მუშაობას „გეოგრაფიულ პასპორტზე“ და ჯგუფების მსჯელობას გადასასვლელებზე; საერთო განხილვებისას სვამს დამაზუსტებელ კითხვებს და ტიპურ შეცდომებზე (მაგ., ლიხის ქედისა და კავკასიონის აღრევა) მაშინვე აძლევს უკუკავშირს; საჭიროების შემთხვევაში მომდევნო აქტივობის ტემპსა და აქცენტებს ასწორებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (ერთი ფაქტორი + ერთი კითხვა); წყვილთა ურთიერთშემოწმება „გეოგრაფიული პასპორტის“ შევსებისას; დაკვირვება ჯგუფურ მუშაობაზე.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი (3)-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) საქართველოს კონკრეტული ტერიტორიის (კავკასიონის გადასასვლელების, ლიხის ქედის) მნიშვნელობის ახსნა ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით; ბ) არგუმენტირებული მსჯელობა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გავლენაზე ქვეყნის განვითარებაზე. შესრულების ხარისხი ფასდება ჯგუფური წარდგენებისა და წერითი საშინაო დავალების (დავალება 4/5) მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია (სამიზნე ცნებები – მოსახლეობა, მეურნეობა): რუკაზე მუშაობა, ქვეყნის ბუნებრივი ზონები და მდებარეობის გავლენა სამეურნეო საქმიანობაზე ამ პარაგრაფის ბუნებრივი გადაკვეთაა გეოგრაფიის კურსთან. შესაძლებელია საერთო აქტივობა კონტურულ რუკაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება – ტექსტი): მოსწავლის რვეულის დავალება N 5 („სასაზღვრო ციხის უფროსის მოხსენება“) წარმოადგენს ფუნქციური/ოფიციალური წერის სავარჯიშოს, რაც პირდაპირ უკავშირდება ქართული ენის საგნობრივ სტანდარტს.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეძლო თუ არა კლასის უმრავლესობამ „გეოგრაფიული პასპორტის“ დამოუკიდებლად შევსება – სად დასჭირდათ ყველაზე მეტი დახმარება?

2. რამდენად შეძლეს ჯგუფური მსჯელობა გადასასვლელების დანიშნულების და წარსულში მათი დაცვის აუცილებლობაზე – მარტივი ჩამოთვლიდან დასაბუთებამდე?

3. გასასვლელი ბარათების ანალიზით, რა ძირითადი კითხვები ან ინტერესები გამოიკვეთა მოსწავლეებში? რომელი მათგანი უნდა გავითვალისწინო მომდევნო გაკვეთილზე (§2 – მოგზაურობა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში)?

4. რამდენად ეფექტური იყო დროის განაწილება – რას შევცვლიდი?

**12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის**

1. ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების კლასიკური აღწერა (მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად).

2. თ. ბერაძე, კ. თოფურია, „საქართველოს ისტორიული ატლასი“ – რუკები გადასასვლელებისა და ისტორიული მხარეების საჩვენებლად.

3. ფიზიკური და ისტორიული რუკები; საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ინტერაქტიული რუკები (მაგ., ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალზე განთავსებული ელექტრონული რესურსები).

4. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.

## 2. მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „სივრცე (ტერიტორია, გარემო)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტი (მთა, ბარი, ზღვისპირეთი) არსებითად განაპირობებს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მრავალფეროვნებას,ხოლო თითოეულ მხარეს საკუთარ იერსა და უნიკალურობას სძენს. დამატებით, გაკვეთილი ეხება ცნების „საზოგადოება“ ერთ ასპექტს – ქართული საზოგადოება ისტორიულად მრავალეთნიკური იყო (მაგალითად: ქართველები და აფხაზები აფხაზეთში, ებრაული თემი ლეჩხუმში, ქართველები და ოსები შიდა ქართლში).

სტანდარტის შედეგი: (3) გეოგრაფიული გარემოსა და საქართველოს საზოგადოების განვითარების ურთიერთკავშირის ანალიზი. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების შედარება ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით; საქართველოს საზოგადოების მახასიათებლების დაკავშირება კონკრეტული რეგიონის გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან (მთისა და ბარის სამეურნეო-კულტურული თავისებურებები).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა რუკა 3-ის, დანართებისა და პარაგრაფის ტექსტის გამოყენებით გაიცნონ საქართველოს ისტორიული მხარეები – ისწავლონ მათი დაჯგუფება ქვეყნის ნაწილების მიხედვით (დასავლეთი, აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი), თითოეული მხარის ამოცნობა განმასხვავებელი ნიშნით (ღირსშესანიშნაობა, ისტორიული სახელწოდება, ბუნებრივი პირობები) და ისტორიულ სახელწოდებათა ცვლილების მიდევნება (კოლხეთი/ეგრისი →აფხაზეთი →ლიხთიმერეთი; თაკვერი →რაჭა და ლეჩხუმი; კახეთის გაფართოება კუხეთისა და ჰერეთის ხარჯზე). ცოდნის შეძენასთან ერთად მოსწავლეები ივარჯიშებენ ვრცელი ტექსტიდან არსებითი ინფორმაციის ამოკრებაში, მის სისტემატიზაციაში (ცხრილი, სქემა) და თანაკლასელებისთვის გადაცემაში – ჯიგსოუს მეთოდი თითოეულ მათგანს „ექსპერტის“ პასუხისმგებლობას აკისრებს. გაკვეთილი ხელს უწყობს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაფასებასა და მხარეთა მრავალფეროვნების, მრავალეთნიკური თანაცხოვრების ღირებულებად აღქმას; ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) თემას მასწავლებელი პარაგრაფის ტექსტის ტონით წარმართავს – ეს მხარეები საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მათი ისტორია ჩვენი საერთო ისტორიაა. ეს ყველაფერი მიიღწევა ექსპერტულ ჯგუფებში ტექსტზე მუშაობით, ურთიერთსწავლებითა და შემაჯამებელი სახალისო თამაშით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე რუკაზე აჩვენებს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს და სწორად ანაწილებს მათ ქვეყნის ნაწილების მიხედვით;

მოსწავლე ასახელებს თითოეული დიდი მხარის ერთ ღირსშესანიშნაობას მაინც და ხსნის მის ისტორიულ ან კულტურულ მნიშვნელობას (მათ შორის, იუნესკოს ნუსხაში შეტანილი ძეგლების);

მოსწავლე ასახელებს დასავლეთ საქართველოს სახელწოდებებს და კახეთის ჩამოყალიბების ეტაპებს, ხსნის, როგორ იცვლებოდა მხარეთა სახელწოდებები და საზღვრები, და ასახელებს იმ ნიშანს, რომელიც ჩრდილოეთ საქართველოს მხარეებს აერთიანებს;

მოსწავლე ირჩევს ერთ მხარეს, რომელსაც სტუმარს აჩვენებდა, და თავის არჩევანს ორი არგუმენტით ასაბუთებს.

## 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

წინა გაკვეთილიდან (§1) მოსწავლეებმა იციან: საქართველო სამ ბუნებრივ ზონად იყოფა; ლიხის ქედი ქვეყანას დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ჰყოფს და საუკუნეების განმავლობაში დასავლურ და აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოთა საზღვარი იყო; დასავლეთ საქართველოს კოლხეთი/ეგრისი ერქვა, აღმოსავლეთს – იბერია/ქართლი. დაწყებითი საფეხურიდან („ჩვენი საქართველო“) მოსწავლეები იცნობენ რამდენიმე კუთხის სახელს და საკუთარ მხარეს. ეს გაკვეთილი ამ ცოდნას აზუსტებს და აფართოებს: ზოგადი დაყოფიდან მოსწავლე გადადის კონკრეტულ მხარეებზე და მათ ისტორიულ სახეზე.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ჯიგსოუ (ურთიერთსწავლება ექსპერტული ჯგუფებით); რუკაზე მუშაობა; გრაფიკული ორგანიზატორები („მხარის სავიზიტო ბარათი“, განაწილების სქემა); სასწავლო თამაში („გამომიცანი, რომელი მხარე ვარ!“); შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ჯიგსოუს დროს თითოეული მოსწავლის ცოდნა ჯგუფის საერთო შედეგისთვის აუცილებელია – ასე მუშავდება პასუხისმგებლობა და თანამშრომლობა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე საუბრისას მასწავლებელი ხაზს უსვამს პარაგრაფის მთავარ სათქმელს: ამ მხარეების კულტურული მემკვიდრეობა (ბიჭვინთა, ბედია, მოქვი, ილორი) ჩვენი საერთო საგანძურია, ხოლო საუკუნეების თანაცხოვრება – ქართველებისა და აფხაზების საერთო ისტორია. ლაილაშის ებრაულენოვანი ბიბლიის მაგალითი აჩვენებს სხვადასხვა თემის წვლილს საქართველოს კულტურაში.

კავშირი თანამედროვეობასთან: მხარეთა ღირსშესანიშნაობები დღეს ქვეყნის ტურიზმის საფუძველია (ტექსტშივეა: აჭარა – „ყველაზე ცნობილი ტურისტული რეგიონი“). დასკვნით ნაწილში მოსწავლეები ამ კუთხით უყურებენ ნასწავლს: რას აჩვენებდნენ უცხოელ სტუმარს და რატომ – ეს ხედვა საშინაო დავალებაშიც აისახება.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **მოგზაურობა იწყება** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | რუკაზე მუშაობა, კითხვა-პასუხი |
| **მსვლელობა** | მასწავლებელი კლასს აჩვენებს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების რუკას (რუკა 3) და აცხადებს გაკვეთილის ჩარჩოს: „დღეს მთელ საქართველოს მოვივლით – ყველა მხარეს, თითოეულს თავისი ისტორია აქვს“.<br>წინარე ცოდნის გასააქტიურებლად კლასი მუშაობს პარაგრაფში დასმულ კითხვაზე 1: რუკის გამოყენებით მოსწავლეები უთითებენ, რომელი კუთხეები მოიაზრებოდა ისტორიულ კოლხეთად/ეგრისად და იბერიად/ქართლად – მასწავლებელი ახსენებს ლიხის ქედის გამყოფ როლს (§1).<br>მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა აძლევს თითოეულ მხარეს უნიკალურ თვითმყოფადობას? -ბუნება, ისტორია თუ ორივე ერთად?“ |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები §1-ის ცოდნას ახალ მასალას უკავშირებენ; საკვანძო კითხვა გაკვეთილს ერთიან კვლევით ამოცანად კრავს (სამიზნე ცნება „სივრცე“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **საქართველოს მხარეების ექსპერტები“ (ჯიგსოუს მეთოდი)** |
| **დრო** | 23 წუთი (12 წუთი ექსპერტული ჯგუფები + 11 წუთი ურთიერთსწავლება) |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფური მუშაობა: ექსპერტული და ძირითადი/შერეული ჯგუფები |
| **მეთოდი** | ჯიგსოუ, გრაფიკული ორგანიზატორი, რუკაზე მუშაობა |
| **მსვლელობა** | კლასი იყოფა ოთხ ექსპერტულ ჯგუფად პარაგრაფის ტექსტის ნაწილების მიხედვით: ჯგუფი ა – დასავლეთ საქართველო I (აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი); ჯგუფი ბ – დასავლეთ საქართველო II (იმერეთი, გურია, აჭარა, ლეჩხუმი და რაჭა); ჯგუფი გ – აღმოსავლეთ საქართველო (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, თრიალეთი, კახეთი, ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი, ერწო-თიანეთი); ჯგუფი დ – ჩრდილოეთ და სამხრეთ საქართველო (ხევი, ხევსურეთი, თუშეთი; სამცხე, ჯავახეთი, თორი).<br>ექსპერტული ფაზა: თითოეული ჯგუფი კითხულობს თავის მონაკვეთს და ავსებს „მხარის სავიზიტო ბარათს“ (ერთი ღირსშესანიშნაობა – ერთი განსაკუთრებული ფაქტი), მხარეებს რუკა 3-ზეც პოულობს. ამასთან, თითოეული ჯგუფი პასუხობს თავისი მონაკვეთის შესაბამის, პარაგრაფში დასმულ კითხვებს: ჯგუფები ა და ბ – კითხვები 2, 3 და 4; ჯგუფი გ – კითხვები 5 და 6; ჯგუფი დ – კითხვა 7.<br>ურთიერთსწავლების ფაზა: დგება შერეული ჯგუფები (თითოში თითო ექსპერტი ყოველი ჯგუფიდან). ექსპერტები რიგრიგობით აცნობენ თანაგუნდელებს თავიანთ მხარეებს (2-2 წუთი), მსმენელები კი პარალელურად ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის განაწილების სქემას – მხარეებს ალაგებენ ქვეყნის ნაწილების მიხედვით.<br>მასწავლებელი გადადის ჯგუფიდან ჯგუფში, უსმენს ექსპერტებს და საჭიროებისას აზუსტებს (განსაკუთრებით, იუნესკოს ძეგლებსა და ოკუპირებული ტერიტორიების თემას). |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე პარაგრაფის მონაკვეთს სიღრმისეულად ამუშავებს და ცოდნას თანაკლასელებს უზიარებს, დანარჩენ მხარეებს კი თანატოლებისგან იგებს – მუშავდება შედეგები 1 და 2 და სტანდარტის ინდიკატორი: მხარეების შედარება ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **გამომიცანი, რომელი მხარე ვარ!** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად |
| **მეთოდი** | სასწავლო თამაში |
| **მსვლელობა** | ამ თამაშის კლასში განსახორციელებლად მასწავლებელი წინაწარ უნდა მოემზადოს: დაფაზე დახატოს საქართველოს ისტორიული რეგიონების რუკა წარწერების გარეშე (არ არის აუცილებელი ეს ნახატი რუკის ზუსტი ასლი იყოს -რეალობასთან მიმსგავსებული პირობითი კონტურებიც საკმარისია), ასევე მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს ქაღალდისგან გამოჭრილი ისტორიულ გეოგრაფიული კუთხეების კონტურები, რომლებზეც შესაბამისი სახელწოდება აწერია. ამის შემდეგ მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს მოსწავლის რვეულის დავალება 4-ის ბარათებს („ჩემს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ევრაზიის კონტინენტზე უძველესი ადამიანის ფრაგმენტები...“) – კლასი ცდილობს მხარის გამოცნობას; გამოცნობის შემდეგ მოსწავლე გამოცნობილი მხარის კონტურს დაფაზე დახატული რუკის შესაბამის ადგილზე ამაგრებს.<br>მოსწავლეები პასუხებს ინდივიდუალურად იწერენ რვეულში (დავალება 4 სრულდება კლასში).<br>თუ დრო რჩება, ჯგუფები თავად იგონებენ თითო მსგავს „ბარათს“ თავიანთი მხარის შესახებ და კლასს კლასს სთავაზობენ გამოსაცნობად |
| **მოსალოდნელი შედეგი** | ჯიგსოუს მეთოდით მიღებული ცოდნა მოწმდება და მყარდება სახალისო ფორმით; მასწავლებელი იღებს უკუკავშირს, თუ რომელი მხარე/საკითხი დარჩა მოსწავლეებისთვის ბუნდოვანი (განმავითარებელი შეფასების წყარო). |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **რა აძლევს მხარეს სახეს?** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | კლასი უბრუნდება დაფაზე დარჩენილ საკვანძო კითხვას; დისკუსია ეყრდნობა პარაგრაფის მე-4 კითხვას – მოსწავლეები ასახელებენ თითო ღირსშესანიშნაობას და ხსნიან მის მნიშვნელობას; მასწავლებელი პასუხებს აჯგუფებს: „სახეს“ ქმნის ბუნებაც (სვანეთის მთები, აჭარის ზღვისპირეთი) და ისტორიაც (ძეგლები, სახელწოდებები).<br>ღირებულებითი აქცენტი: მასწავლებელი კიდევ ერთხელ უბრუნდება აფხაზეთის მონაკვეთის დასკვნას – „მომავალში ქართველები და აფხაზები აუცილებლად იცხოვრებენ ერთად“ და კლასთან ერთად აჯამებს, რომ თითოეული მხარის მემკვიდრეობა მთელი ქვეყნის საგანძურია.<br>გასასვლელი ბარათი: „რომელ მხარეში იმოგზაურებდი პირველად და რატომ? დაასახელე ერთი მიზეზი – ბუნებრივი ან ისტორიული.“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე აჯამებს ნასწავლს და პირად არჩევანს არგუმენტით ამყარებს-მუშავდება შედეგი 4; გასასვლელი ბარათი მასწავლებელს აჩვენებს, რამდენად დაუკავშირა მოსწავლემ მხარეს კონკრეტული ნიშანი. |

## 6. მუშაობა მოსწავლის რვეულზე

1. დავალება 2 (მხარეთა განაწილების სქემა) – სრულდება გაკვეთილზე, ჯიგსოუს ურთიერთსწავლების ფაზაში: მსმენელები ექსპერტების მოსმენისას ავსებენ სქემას. მხარდაჭერა: მასწავლებელი წინასწარ განმარტავს, რომ სქემაში რვა უჯრაა გამოსაყენებელი (მათ შორის შუალედური მიმართულებები, მაგ., აჭარა სამხრეთ-დასავლეთში).

2. დავალება 4 („გამომიცანი, რომელი მხარე ვარ!“) – სრულდება კლასში, თამაშის ფორმატში (ძირითადი ნაწილის მეორე აქტივობა); პასუხები რვეულში იწერება.

3. დავალება 1 (კონტურული რუკა), დავალება 3 (ძეგლების ცხრილი იუნესკოს სვეტით), დავალება 5 (ტურისტული ბროშურა) და დავალება 6 (გამოტოვებული ადგილები) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

4. I თავის შემაჯამებელი კროსვორდი – რვეულში §2-ს მოსდევს. რეკომენდებულია მისი გამოყენება მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში, თავის გასამეორებლად, ან დამატებით საშინაო დავალებად მსურველთათვის.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ჯიგსოუს ექსპერტულ ჯგუფებში ტექსტის მონაკვეთები მოცულობითა და სირთულით განსხვავდება. მასწავლებელს შეუძლია ჯგუფების შედგენისას ეს გაითვალისწინოს (მაგ., მოსწავლეს მისცეს კომპაქტური მონაკვეთი – ჩრდილოეთი საქართველო). „სავიზიტო ბარათში“ საბაზისო დონეა მხარისა და ღირსშესანიშნაობის დასახელება, გაღრმავებული – განსაკუთრებული ფაქტის ახსნა (მაგ., რატომ დარჩა „თაკვერი“ მხოლოდ ლეჩხუმის სახელად).

მხარდამჭერი სტრატეგიები: ექსპერტული ჯგუფის ბარათს ახლავს დამხმარე კითხვები („სად მდებარეობს? რომელი ძეგლია ტექსტში დასახელებული? რა ერქვა ძველად?“); ლექსიკონის განმარტებები (მატიანე, ოკუპირებული, კათედრალი, იუნესკო) ხელმისაწვდომია ყველა ჯგუფისთვის; ურთიერთსწავლების ფაზაში ექსპერტი პასუხისმგებელია მხოლოდ თავის მონაკვეთზე – დატვირთვა თანაბრად ნაწილდება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით,

რუკით, ფოტოებით (ტაძრები, კოშკები, ნაქალაქარები) და დანართებით; მოსწავლეს ნასწავლის წარმოჩენა შეუძლია ზეპირი გადმოცემით (ექსპერტის როლი), სქემის შევსებით, რუკაზე ჩვენებით ან შემოქმედებითი ტექსტით (ბროშურა, სტუმრის მარშრუტი).

## 8. საშინაო დავალება

ძირითადი დავალება – პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ უცხოელ თანატოლს მასპინძლობთ. აირჩიეთ საქართველოს სამი ისტორიული მხარე, სადაც აუცილებლად წაიყვანთ მას. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დავალება სრულდება წერილობით, 8-10 წინადადების მოცულობით;

2. სამი მხარე ისე შეარჩიეთ, რომ საქართველოს სხვადასხვა ნაწილიდან იყოს (მაგ., ერთი – დასავლეთიდან, ერთი – აღმოსავლეთიდან, ერთი – მთიანი მხარეებიდან); არჩევანში დაგეხმარებათ რუკა 3 და დანართები 1 და 2;

3. თითოეულ მხარეზე დაწერეთ: სად მდებარეობს, რას აჩვენებდით სტუმარს (კონკრეტული ღირსშესანიშნაობა) და რატომ არის ის მნიშვნელოვანი – დასაბუთება ისტორიულ ან კულტურულ მნიშვნელობას უნდა ეყრდნობოდეს და არა მხოლოდ იმას, რომ „ლამაზია“;

4. ვისაც სურს, ტექსტს დაურთოს მარშრუტის მარტივი სქემა (რომელი მხარიდან რომელში გადავა სტუმარი).

მოსწავლის რვეულში: დავალება 1 (კონტურული რუკა – მხარეები, საზღვრები წყვეტილი ხაზით, ცენტრები, ლიხის ქედი და აუცილებლად ლეგენდა), დავალება 3 (ძეგლების ცხრილი – შეახსენეთ, რომ იუნესკოს სვეტში →მხოლოდ სამ ძეგლს ეკუთვნის) და დავალება 6 (გამოტოვებული ადგილები). დავალება 5 (ტურისტული ბროშურა) სასურველი დამატებითი დავალებაა მსურველთათვის – ის ძირითადი დავალების მოკლე, ერთ მხარეზე ფოკუსირებული ვარიანტია და შეუძლია შეასრულოს იმ მოსწავლემაც, ვისთვისაც სამი მხარის დასაბუთება ჯერ რთულია (ამ შემთხვევაში ბროშურა ძირითად დავალებას ჩაანაცვლებს).

ძირითადი დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგებს 2 და 4 (ღირსშესანიშნაობის მნიშვნელობის ახსნა და არჩევანის არგუმენტირება), რვეულის დავალება 1 – შედეგს 1, დავალებები 3 და 6 – შედეგებს 2 და 3.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: ექსპერტული ფაზისას მასწავლებელი ჯგუფებთან გადის და ამოწმებს, სწორად ამოკრიბეს თუ არა არსებითი ინფორმაცია; ურთიერთსწავლების ფაზაში უსმენს ექსპერტების გადმოცემას და საჭიროებისას აზუსტებს; თამაშის დროს ტიპურ აღრევებზე (მაგ., რაჭისა და ლეჩხუმის, ხევისა და ხევსურეთის გარჩევა) მაშინვე ახდენს რეაგირებას.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (მხარე + ერთი მიზეზი); დაკვირვება ექსპერტების გადმოცემაზე შერეულ ჯგუფებში; რვეულის დავალება 2-ის სქემის სისწორის სწრაფი გადამოწმება.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი (3)-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების შედარება ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით; ბ) საზოგადოების მახასიათებლების დაკავშირება რეგიონის გეოგრაფიულ პირობებთან (მთისა და ბარის თავისებურებები). შესრულების ხარისხი ფასდება ექსპერტის გადმოცემის, საკლასო აქტივობებისა და წერითი საშინაო დავალების (სამი მხარის დასაბუთებული არჩევანი) მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია (სამიზნე ცნებები – მოსახლეობა, მეურნეობა): მხარეთა ბუნებრივი პირობები და მთა-ბარის სამეურნეო თავისებურებები გეოგრაფიის კურსის უშუალო გადაკვეთაა – კონტურული რუკის დავალება შესაძლებელია საერთო სამუშაოდ დაიგეგმოს. ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება – ტექსტი): ტურისტული ბროშურა და სტუმრის მარშრუტის დასაბუთება ფუნქციური წერის ჟანრებია. მუსიკა: გურიის მრავალხმიანი სიმღერის მოსმენა (გურული „კრიმანჭული“ იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნაწილია) გაკვეთილს ცოცხალ განზომილებას შემატებს.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. იმუშავა თუ არა ჯიგსოუს მეთოდმა? – შეძლო თუ არა ყველა ექსპერტმა თავისი მონაკვეთის გასაგებად გადმოცემა და სად დასჭირდათ ჩარევა?

2. როგორ გაართვა კლასმა თავი დროის ჩარჩოს? – ექსპერტული და ურთიერთსწავლების ფაზები დაგეგმილ დროში ჩაეტია თუ არა და რას შევცვლიდი?

3. ოკუპირებული ტერიტორიების თემაზე საუბარი რამდენად კონსტრუქციული გამოვიდა? – გაუჩნდათ თუ არა მოსწავლეებს კითხვები, რომლებსაც მომდევნო გაკვეთილებზე უნდა დავუბრუნდე?

4. გასასვლელი ბარათებისა და თამაშის მიხედვით, რომელი მხარეები დარჩა მოსწავლეებისთვის ბუნდოვანი? – I თავის შემაჯამებელი კროსვორდით გამეორებისას რას გავუსვა ხაზი?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების კლასიკური აღწერა.

2. თ. ბერაძე, კ. თოფურია, „საქართველოს ისტორიული ატლასი“ – მხარეთა ისტორიული საზღვრებისა და ცენტრების საჩვენებლად.

3. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ოფიციალური ნუსხა (whc.unesco.org) – საქართველოს ძეგლების (მცხეთა, უშგული/ზემო სვანეთი, გელათი) აქტუალური მონაცემები.

4. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული რესურსები – ძეგლების ფოტო და ვიდეომასალა ჯგუფური მუშაობისთვის.

5. გურული მრავალხმიანი სიმღერის ჩანაწერი (მაგ., ანსამბლების საჯარო ჩანაწერები) – საგანთაშორისი ინტეგრაციისთვის.

## II თავი. რით ვსწავლობთ ძველ ისტორიას

## შესავალი მასწავლებლისთვის

**რას ემსახურება ეს თავი**

II თავი სამ პარაგრაფს აერთიანებს (§3. ქრონოლოგია; §4. მიწაში დამარხული ისტორია; §5. წერილობითი წყაროები) და სამ გაკვეთილზეა გათვლილი. თუ პირველმა თავმა მოსწავლეს სივრცითი ჩარჩო გააცნო, თავი მეორე აუცილებელ ღერძს – დროის ჩარჩოს სთავაზობს და, ამასთან, პასუხობს კითხვას, რომელიც ისტორიის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია: საიდან ვიცით ის, რაც წარსულის შესახებ ვიცით?

თავის შინაარსობრივი ბირთვი ორი ნაწილისგან შედგება. §3 მოსწავლეს აძლევს დროში ორიენტირების ინსტრუმენტებს: კაცობრიობის ისტორიის დაყოფას წინარეისტორიულ და ისტორიულ ხანებად, დიდი ეპოქების თანმიმდევრობას ქვის ხანიდან უახლეს პერიოდამდე, წელთაღრიცხვის სისტემებს (ერებს) და ქრისტეს შობამდელი და შობის შემდგომი წლების ათვლის წესს. აქვე მოსწავლე ეცნობა ქართული კალენდრის ისტორიას – ახალი წლის თარიღების ცვლილებასა და თვეთა ძველ ქართულ სახელწოდებებს. §4 და §5 კი მოსწავლეს ისტორიკოსის „სამზარეულოში“ შეჰყავს: ჯერ ნივთიერ წყაროებს აცნობს – არქეოლოგის საქმიანობას, აღმოჩენათა სახეობებსა და თანამედროვე კვლევის მეთოდებს, შემდეგ კი წერილობით წყაროებს – ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ისტორიულ დოკუმენტებს, საისტორიო თხზულებებსა („მოქცევაი ქართლისაი“, „ქართლის ცხოვრება“) და ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს.

თავის მთავარი ღირებულებითი იდეა ისაა, რომ ისტორია მზა მოთხრობა კი არ არის, არამედ ცოდნა, რომელსაც მეცნიერები წყაროებზე დაყრდნობით, ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენენ. ამ აზრს თავად სახელმძღვანელო აცოცხლებს რუბრიკით „მეცნიერის თვალსაზრისი“: მოსწავლე კითხულობს გიორგი ლომთათიძის მსჯელობას მონეტების ღირებულებაზე, ინგა მარტყოფლიშვილის კვლევას სამკურნალო მცენარეთა მტვერზე, თენგიზ მეშველიანის მონათხრობს ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილ უძველეს ძაფზე, ვალერი სილოგავას მიმოხილვას ქართული წარწერების შესახებ. ამასთან, თავი მოსწავლეს აჩვენებს, რომ საქართველოში მოძიებული მასალა მსოფლიო მეცნიერებისთვისაც ფასეულია – ძუძუანას აღმოჩენამ გავლენიანი საერთაშორისო გამოცემების ყურადღება მიიპყრო, ვაზისა და ხორბლის უძველესი კვალი კი ქვეყნის მიწათმოქმედების ისტორიას მსოფლიო კონტექსტში რთავს.

**სტანდარტის სამიზნე ცნებებთან კავშირი**

თავი ორ სამიზნე ცნებას ამუშავებს თანაბარი სისრულით. პირველია „დრო (ისტორიული პერიოდი)“ (§3): მოსწავლე აცნობიერებს, რომ ისტორია დროში მიმდინარე ცვლილებების შემსწავლელი დარგია; რომ სხვადასხვა ეპოქაში ადამიანები დროის აღრიცხვის სხვადასხვა სისტემას იყენებდნენ, და რომ ისტორიის ეპოქებად დაყოფა პირობითი კი არ არის, არამედ თითოეული ეპოქის გამორჩეულ ნიშან-თვისებებს ეყრდნობა. საქართველოს მასალა (კალენდრის ცვლილება, თვეთა სახელწოდებები) აჩვენებს, რომ ქვეყნის ისტორია დროის აღრიცხვის მსოფლიო სისტემებს ბუნებრივად უკავშირდება.

მეორეა „ისტორიული წყარო“ (§4—§5): მოსწავლე ეცნობა წყაროთა ძირითად ტიპებს – ნივთიერსა და წერილობითს და მათ სახეობებს (არქეოლოგიური მასალა, ეპიგრაფიკული ძეგლები, დოკუმენტები, საისტორიო თხზულებები); აცნობიერებს, რომ ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის და რომ სანდოობაზე მსჯელობისას მნიშვნელობა აქვს, თვითმხილველია თუ არა ავტორი და რა მიზნით წერს. ამ ცნების სრულფასოვანი დამუშავება (მაგ., ქართული და უცხოური წყაროების შეპირისპირება) მომდევნო თავებში გაგრძელდება.

**სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები**

თავი სტანდარტის ორი შედეგის მიღწევას ემსახურება. §3 უკავშირდება შედეგს N2 – საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით; §4 და §5 კი შედეგს N1 – საქართველოს ისტორიის მოვლენა-პროცესების ანალიზი ისტორიული წყაროების საფუძველზე სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებით. აქტიურდება შემდეგი ინდიკატორები:

§3: საქართველოში სხვადასხვა პერიოდში გამოყენებული დროის აღრიცხვის სისტემების შედარება ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებში არსებულ სისტემებთან (ქართული კალენდრები; ქრისტიანული, ისლამური და ბუდისტური ერები);

§3: პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა – რა გამორჩეული ნიშნით გამოიყოფა ესა თუ ის ეპოქა (ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანები, ანტიკური ეპოქა, შუა საუკუნეები);

§3: საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შედარება მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციასთან – მსგავსებებისა და თავისებურებების გამოკვეთა;

§4-§5: სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირებული გამოყენება – მოსწავლე ხედავს, რომ არქეოლოგიური მასალა, წარწერები და თხზულებები ერთმანეთს ავსებს (მაგ., თრეხვის წარწერამ „ქართლის ცხოვრების“ ავტორის მოღვაწეობის დრო დააზუსტა);

§4-§5: წყაროების კლასიფიცირება არსებითი მახასიათებლების მიხედვით (შექმნის მიზანი, პერიოდი, ავტორის პოზიცია);

§5: წყაროს სანდოობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვეთა – პირველადი და მეორეული წყაროს გარჩევა, ავტორის თვითმხილველობის მნიშვნელობა („მარტვილობისა“ და „ცხოვრების“ ჟანრის მაგალითზე).

ეს ინდიკატორები, ისევე როგორც პირველ თავში, ორმაგ ფუნქციას ასრულებს: დაგეგმვისას აქტივობების ორიენტირია, შეფასებისას კი – განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული მითითებები თითოეული გაკვეთილის მოდელის მე-9 სექციაშია).

**პრაქტიკული ორიენტირები მასწავლებლისთვის**

ყველაზე გავრცელებული სირთულე ძველი წელთაღრიცხვის ათვლაა: მოსწავლეს უჭირს იმის გააზრება, რომ ქრისტეს შობამდე წლები კლებადი მიმდევრობით მოდის, საუკუნის ფარგლებში კი წლების მიკუთვნება ორივე მიმართულებით ვარჯიშს მოითხოვს (თარიღების დალაგება, საუკუნის განსაზღვრა).

თავი ტერმინებითაა დატვირთული (პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი, ენეოლითი, ეპიგრაფიკა, სტელა და სხვ.). მოსწავლეს დახმარებას სახელმძღვანელოშივე მოცემული ეტიმოლოგია უწევს – ბერძნული ფუძეების („პალეოს“, „მეზოს“, „ნეოს“, „ლითოს“) გააზრებით მოსწავლე ტერმინებს კი არ იზეპირებს, არამედ აგებს. მიზანი ეპოქათა თანმიმდევრობისა და დაყოფის ლოგიკის გაგებაა და არა ქრონოლოგიური ცხრილების ზეპირად დასწავლა.

„მეცნიერის თვალსაზრისის“ რუბრიკები ამ თავში უბრალო საკითხავი მასალა კი არ არის, არამედ თავად წყაროა – მათი დამუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს: ვინ წერს, რას იკვლევს, რა დასკვნამდე მიდის და რა მტკიცებულებას ეყრდნობა.

ფრთხილი ფორმულირებები სახელმძღვანელოში („ბევრ მეცნიერს მიაჩნია“, „ზოგი მეცნიერის აზრით“ – მაგ., რკინის პირველად დამუშავებაზე მსჯელობისას) თავად არის ღირებული სასწავლო მასალა: მასწავლებელმა მოსწავლეებს სწორედ ამ მაგალითებით უნდა აჩვენოს განსხვავება დადასტურებულ ფაქტსა და მეცნიერულ ვარაუდს შორის.

თავზე მუშაობისას განვითარებული უნარები საქართველოს ისტორიის მთელი კურსის სწავლის პროცესისთვის იქნება აქტუალური: ქრონოლოგიური ათვლა, წყაროთა ტიპების გარჩევა და სანდოობაზე მსჯელობა და სხვ. ყოველ მომდევნო თავში აქტიურდება.

## 3. ქრონოლოგია

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ძირითად ასპექტებს: ისტორია დროში მიმდინარე ცვლილებების შემსწავლელი დარგია; ისტორიის ეპოქებად დაყოფა შემთხვევითი არ არის – თითოეული ეპოქა გამორჩეული ნიშან-თვისებით ხასიათდება; სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში ადამიანები დროის აღრიცხვის სხვადასხვა სისტემას იყენებდნენ, მათ შორის საქართველოშიც, სადაც კალენდარი რამდენჯერმე შეიცვალა.

სტანდარტის შედეგი: (2) საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: საქართველოში სხვადასხვა პერიოდში გამოყენებული დროის აღრიცხვის სისტემების შედარება ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებში არსებულ სისტემებთან; საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა – რა ფაქტორები განაპირობებს ეპოქის ცალკე პერიოდად გამოყოფას.

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რა პრინციპით იყოფა კაცობრიობის ისტორია პერიოდებად – წინარეისტორიულ და ისტორიულ ხანებად, ხოლო შემდეგ დიდ ეპოქებად (ქვის ხანა თავისი სამი პერიოდით, ენეოლითი, ბრინჯაოსა და რკინის ხანები, ანტიკური ეპოქა, შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი პერიოდები) და დაინახონ, რომ თითოეული ეპოქის სახელწოდება მის განმასხვავებელ ნიშანს ასახავს. მოსწავლეები გაეცნობიან წელთაღრიცხვის სისტემებს (ქრისტიანულ, ისლამურ და ბუდისტურ ერებს) და აითვისებენ ქრისტეს შობამდელი და შობის შემდგომი წლებისა და საუკუნეების ათვლის წესს. ქართული კალენდრის ისტორია (ახალი წლის თარიღების ცვლილება, თვეთა ძველი სახელწოდებები) მოსწავლეს დაანახებს, რომ დროის აღრიცხვა ხალხის ცხოვრების წესს, რწმენასა და კულტურულ კავშირებს ირეკლავს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ხსნის, რა ნიშნით გამოიყოფა წინარეისტორიული და ისტორიული ხანები, და ასახელებს კრიტერიუმს, რომელსაც დიდი ეპოქების სახელწოდებები ეყრდნობა;

2. მოსწავლე სწორად ალაგებს ეპოქებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და თითოეულს უსადაგებს მთავარ მახასიათებელს;

3. მოსწავლე დროის ხაზზე ათავსებს ძვ. წ. და ახ. წ. თარიღებს და ხსნის, რატომ არის ძვ. წ. V საუკუნე უფრო ძველი, ვიდრე ახ. წ. V საუკუნე;

4. მოსწავლე ადარებს წელთაღრიცხვის სისტემებს და ასახელებს, რა ცვლილებები მოხდა ქართულ კალენდარში და რას უკავშირდება ისინი ქვეყნის კულტურულ ისტორიაში.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებმა უკვე იციან ტერმინები „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“ და „ჩვენი წელთაღრიცხვით“, იციან, რომ წარსული „დიდი ხნის წინანდელ“ და „ახლახანდელ“ მოვლენებად იყოფა, თუმცა ეს ცოდნა ჯერ სისტემური არ არის. ამ თავის შესავალი ტექსტიდან მოსწავლეებმა იციან, რომ თავი ისტორიის პერიოდიზაციასა და წყაროებს მიეძღვნება. წინა თავიდან მათ ახსოვთ დმანისის, ვაზისა და ხორბლის უძველესი აღმოჩენები – ეს ფაქტები ახლა კონკრეტულ ეპოქებს დაუკავშირდება.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: დროის ხაზზე მუშაობა; წყვილებში სავარჯიშოები თანდათანობითი გადაცემის პრინციპით (ნიმუში – ერთობლივი ცდა – დამოუკიდებელი შესრულება); მინი-ლექცია ვიზუალურ საყრდენზე დაყრდნობით; ეტიმოლოგიური სიტყვაწარმოება; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ისტორიული ერების შედარებისას (ქრისტიანული, ისლამური, ბუდისტური) მოსწავლეები ხედავენ, რომ სხვადასხვა კულტურა დროს საკუთარი მნიშვნელოვანი მოვლენიდან ითვლის – ეს სხვადასხვა კულტურის პატივისცემის ბუნებრივი გაკვეთილია. პარაგრაფში დასმული კითხვა 3 კი („ზოგი მეცნიერის აზრით, რკინის დამუშავება პირველად სამხრეთ კავკასიაში დაიწყო“) მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლეებს ფაქტისა და მეცნიერული ვარაუდის განსხვავება ასწავლოს.

კავშირი თანამედროვეობასთან: ქრისტიანული ერა დღეს საერთაშორისო სტანდარტია, თუმცა ისლამური კალენდარი მილიონობით ადამიანისთვის დღესაც მოქმედია – მასწავლებელი სვამს შეკითხვას, თუ სად შეხვედრიათ განსხვავებული კალენდარი (რელიგიური დღესასწაულების მოძრავი თარიღები, აღმოსავლური საახალწლო ტრადიციები). ძველი ქართული თვეების სახელწოდებები კი დღევანდელ ენაშიც ცოცხლობს (გიორგობა, მარიამობა).

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (7 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რომელია უფრო ძველი?** |
|---|---|
| **დრო** | 7 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა, სწრაფი გამოკითხვა |
| **მოსალოდნელი შედეგი** | პრობლემური კითხვა ააქტიურებს წინარე წარმოდგენებს და ავლენს ტიპურ შეცდომებს (სამიზნე ცნება „დრო“). |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ თარიღს – „ძვ. წ. 500 წელი“ და „ახ. წ. 500 წელი“ და კლასს ეკითხება: რომელია უფრო ძველი? რამდენი წელი აშორებს მათ ერთმანეთისგან? მოსწავლეები პასუხებს ხელის აწევით აფიქსირებენ. ტიპური შეცდომები (მაგ., „500 წელი აშორებთ“) დაფაზევე გამოჩნდება.<br>2. მასწავლებელი პასუხის გაჟღერებისგან ჯერ თავის იკავებს და აცხადებს: „ამ კითხვას გაკვეთილის ბოლოს თავად უპასუხებთ უშეცდომოდ“. კლასს აჩვენებს ცარიელ დროის ხაზს/ლენტს (დაფაზე ან კედელზე გამოფენილს).<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ დაალაგეს მეცნიერებმა ათასწლეულები/საუკუნეები და საიდან იწყება ათვლა?“ |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ეპოქების კიბე** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, ეტიმოლოგიური სიტყვაწარმოება, გრაფიკული ორგანიზატორი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს „ეპოქებად დაყოფილი ისტორია“ და დროის ხაზზე/ლენტზე თანმიმდევრობით ალაგებენ ეპოქათა ბარათებს: ქვის ხანა (პალეოლითი,-მეზოლითი, ნეოლითი), ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, ანტიკური ეპოქა, შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი პერიოდები.<br>2. მასწავლებელი ბერძნული ფუძეების („პალეოს“ – ძველი, „მეზოს“ – შუა, „ნეოს“ – ახალი, „ლითოს“ – ქვა) დახმარებით მოსწავლეებთან ერთად „აგებს“ ტერმინებს. მოსწავლეები ხედავენ, რომ სახელწოდებები ლოგიკურია და არა დასაზეპირებელი.<br>3. საკითხის საერთო განხილვა პარაგრაფში დასმული კითხვებით 1 და 2: რა მთავარი ნიშანი ჰყოფს წინარეისტორიულ და ისტორიულ ხანებს (დამწერლობა)? რა გავლენა იქონია იარაღის მასალის ცვლილებამ ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაზე?<br>4. პარაგრაფში დასმულ კითხვა 3-ზე მსჯელობისას მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ფორმულირებაზე „ზოგი მეცნიერის აზრით“ და კლასს ეკითხება: რით განსხვავდება ეს დადასტურებული ფაქტისგან? რატომ არის ასეთი ვარაუდიც კი მნიშვნელოვანი ისტორიისთვის?<br>5. შემაჯამებელ ეტაპზე წყვილები ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს (ეპოქისა და მახასიათებლის დაკავშირება) და ერთმანეთს უმოწმებენ პასუხებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ეპოქათა თანმიმდევრობას დროის ხაზზე ხედავს და თითოეულის გამომყოფ ნიშანს ასახელებს – მუშავდება შედეგები 1 და 2 და ინდიკატორი: პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **საიდან იწყება ათვლა?** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად |
| **მეთოდი** | მინილექცია ვიზუალურ საყრდენზე, თანდათანობითი გადაცემა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი სახელმძღვანელოს დროის ხაზის ილუსტრაციაზე დაყრდნობით ხსნის ათვლის წესს: ქრისტეს შობამდე წლები და საუკუნეები კლებადი მიმდევრობით მოდის საწყისამდე, შობიდან კი აღმავალი ხაზით გრძელდება. აქვე განიხილება პარაგრაფში დასმული კითხვა 4: სამი ერის (ქრისტიანული, ისლამური, ბუდისტური) საწყისი თარიღები და მათი საერთო პრინციპი.<br>2. ერთობლივი მუშაობა: კლასი მასწავლებელთან ერთად პასუხობს პარაგრაფში დასმულ კითხვებს (5 და 6) – რას ნიშნავს ძვ. წ. V და ახ. წ. V საუკუნეები, რომელია უფრო ძველი და რა წლებს მოიცავს ძვ. წ. III და ახ. წ. III საუკუნეები. პასუხები დროის ხაზზე/ლენტზე ინიშნება.<br>3. დამოუკიდებელი მუშაობა: მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ს – დროის ხაზზე აღნიშნავენ ოთხ მოვლენას (რკინის ხანის დასაწყისი, ბუდას გარდაცვალება, ჰიჯრა, „იანვრის წელიწადის“ შემოღება). |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ითვისებს ძვ. წ. / ახ. წ. ათვლის წესს ჯერ ნიმუშით, შემდეგ ერთობლივი და ბოლოს დამოუკიდებელი ვარჯიშით – მუშავდება შედეგი 3 და ინდიკატორი: დროის აღრიცხვის სისტემების შედარება. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **რას გვიყვება ქართული კალენდარი?** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | კვლევითი კითხვა, სოკრატული დიალოგი |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთებს „როდის იწყებოდა წელიწადი საქართველოში“ და „თვეების დასახელება ძველ საქართველოში“ და პასუხობენ პარაგრაფში დასმულ კითხვებს 7 და 8: რას უკავშირდებოდა თვეთა ძველი ქართული სახელწოდებები (სამეურნეო საქმიანობა, ბუნებრივი მოვლენები) და რაზე მიუთითებს ქრისტიანული სახელწოდებების გაჩენა.<br>2. საერთო განხილვა: მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების პასუხებს და კლასს პარაგრაფში დასმულ მე-9 კითხვას უსვამს – რატომ უკავშირდება დღევანდელი თვეების სახელწოდებათა უმრავლესობა რომაულ კულტურას; მოსწავლეები ასკვნიან, რომ კალენდარი ხალხის ცხოვრების წესსა და კულტურულ კავშირებს ირეკლავს.<br>3. მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას დღემდე შემორჩენილ კვალზე: გიორგობა და მარიამობა დღესაც თვეების ძველ სახელწოდებებს გვახსენებს. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ქართული კალენდრის ცვლილებებს ქვეყნის კულტურულ ისტორიას უკავშირებს – მუშავდება შედეგი 4 და ინდიკატორი: საქართველოში გამოყენებული დროის აღრიცხვის სისტემების შედარება სხვა ქვეყნების სისტემებთან. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ახლა კი – უშეცდომოდ!** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება თავდაპირველ კითხვას: რომელია უფრო ძველი – ძვ. წ. 500 თუ ახ. წ. 500 წელი და რამდენი წელი აშორებთ? მოსწავლეები ახლა უკვე დროის ხაზზე დაყრდნობით ასაბუთებენ პასუხს (1000 წელი) და ადარებენ გაკვეთილის დასაწყისში გაცემულ პასუხებს – თავად ხედავენ საკუთარ წინსვლას.<br>2. მოკლე დისკუსია საკვანძო კითხვაზე: რატომ სჭირდება კაცობრიობას საერთო ათვლის წერტილი და რატომ არსებობს მაინც სხვადასხვა ერა?<br>3. გასასვლელი ბარათი: მოსწავლეები წერენ ნებისმიერ ორსამ თარიღს, მიუწერენ შესაბამის საუკუნეს და ერთ კითხვას, რომელიც გაკვეთილის შემდეგ გაუჩნდათ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | გახსნის/თავდაპირველ კითხვასთან დაბრუნება მოსწავლეს საკუთარ პროგრესს აჩვენებს და ნასწავლს ამყარებს; გასასვლელი ბარათი მასწავლებელს განმავითარებელი შეფასებისთვის საკმარის ინფორმაციას აძლევს. |

## 6. მუშაობა მოსწავლის რვეულზე

1. დავალება 2 (ეპოქისა და მახასიათებლის დაკავშირება) – სრულდება კლასში, პირველი აქტივობის ბოლოს, წყვილებში ურთიერთშემოწმებით. მხარდაჭერა: გაურკვევლობის შემთხვევაში წყვილს შეუძლია ეპოქათა ბარათებიან დაფაზე დახაზულ/გამოკრულ დროის ხაზს დაუბრუნდეს.

2. დავალება 1 (მოვლენების განთავსება დროის ხაზზე) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობის დამოუკიდებელი შესრულების ფაზაში. მხარდაჭერა: მასწავლებელი წინასწარ შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ორი მოვლენა ძვ. წ. პერიოდს ეკუთვნის და ორი – ახ. წ. პერიოდს.

3. დავალება 3 (თვეთა ძველი ქართული სახელწოდებების ცხრილი) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ათვლის ვარჯიშში საბაზისო დონეა თარიღების სწორად დალაგება, გაღრმავებული – მოვლენებს შორის დროის მანძილის გამოთვლა, მათ შორის ერის საზღვარზე გადასვლით (მაგ., ბუდას გარდაცვალებიდან ჰიჯრამდე). ეპოქების აქტივობა-

ში მოსწავლეების ნაწილი თანმიმდევრობაზე აკეთებს აქცენტს, ნაწილი კი დამატებით ასაბუთებს, რომელი ნიშნით გამოიყო თითოეული ეპოქა.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ათვლის წესი ინერგება თანდათანობითი გადაცემით (ნიმუში →ერთობლივი ცდა →დამოუკიდებელი შესრულება); ვიზუალური საყრდენი – ფერებით გამიჯნული დროის ხაზი (ძვ. წ. და ახ. წ. სხვადასხვა ფერით) და მიმართულების ისრები – მთელი გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოა; მათემატიკასთან ანალოგია (რიცხვითი ღერძი ნულის ორივე მხარეს) ეხმარება მათ, ვისთვისაც რიცხვითი მოდელი ნაცნობია.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, დროის ხაზით/ლენტით, ეპოქათა ბარათებითა და ეტიმოლოგიური „აგებით"; შესაძლებელია კინესთეტიკური ვარიანტიც – „ცოცხალი დროის ხაზი", როცა მოსწავლეები მოვლენათა ბარათებით ხელში თავად დგებიან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ხაზზე ჩვენებით, წერილობით ან ზეპირი დასაბუთებით.

## 8. საშინაო დავალება

ძირითადი დავალება – პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „დაალაგეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: ახ. წ. III საუკუნე; ძვ. წ. VII საუკუნე; ახ. წ. I საუკუნე; ძვ. წ. II საუკუნე." მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. საუკუნეები დაალაგეთ უძველესიდან უახლესისკენ და თანმიმდევრობა დროის ხაზზეც გამოსახეთ – დახაზეთ მარტივი ხაზი, შუაში მონიშნეთ ქრისტეს შობა და ოთხივე საუკუნე თავის ადგილას განათავსეთ;

2. თითოეულ საუკუნეს მიუწერეთ, რა წლებს მოიცავს (ისე, როგორც კლასში ვივარჯიშეთ პარაგრაფში დასმულ მე-6 კითხვაზე პასუხისას);

3. ერთი წინადადებით ახსენით, რატომ დგას დროის ხაზის დასაწყისში ძვ. წ. VII საუკუნე – ეს ახსნა აჩვენებს, რომ ათვლის წესი გაგებული გაქვთ და არა მექანიკურად დამახსოვრებული.

მოსწავლის რვეულში: დავალება 3 – თვეთა ძველი ქართული სახელწოდებების ცხრილის შევსება პარაგრაფის ტექსტზე დაყრდნობით; თითოეულ თვეს მიუთითეთ, სამეურნეო საქმიანობას/ბუნებრივ მოვლენას უკავშირდება მისი სახელწოდება თუ რელიგიურ დღესასწაულს.

ძირითადი დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგს N 3 (ათვლის წესის გააზრებული გამოყენება), მოსწავლის რვეულის დავალება 3 კი – შედეგს N 4 (კალენდრისა და კულტურის კავშირი).

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: გახსნის ეტაპის სწრაფი გამოკითხვა მასწავლებელს საწყის სურათს აჩვენებს; დასკვნით ნაწილში გახსნის კითხვასთან დაბრუნება ცხადად წარმოაჩენს, ვინ რამდენად დაეუფლა ათვლის წესს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (დაბადების წლის საუკუნე + ერთი კითხვა); მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ადგილზე გადამოწმება; წყვილთა ურთიერთშემოწმება დავალება 2-ზე.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი 2-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) საქართველოში სხვადასხვა პერიოდში გამოყენებული დროის აღრიცხვის სისტემების შედარება ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებში არსებულ სისტემებთან; ბ) პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა – რა ნიშნით გამოიყოფა ეპოქა ცალკე პერიოდად. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო და წერითი საშინაო დავალების (დროის ხაზი) მიხედვით (სწორად დაალაგა ეპოქების ბარათები, სწორად ჩასვა ძველი და ახალი წელთაღრიცხვა, სწორად განსაზღვრა საუკუნე).

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

მათემატიკა: ძვ. წ. / ახ. წ. ათვლა რიცხვითი ღერძის უშუალო ანალოგიაა – ნულის ორივე მხარეს მიმართული ათვლა და მანძილის გამოთვლა მათემატიკის გაკვეთილზე ნასწავლს ეყრდნობა და ამყარებს. ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება – ტექსტი): ტერმინთა ეტიმოლოგიური აგება ბერძნული ფუძეებით სიტყვაწარმოების ცოცხალი სავარჯიშოა; თვეთა ძველი სახელწოდებები (თიბათვე, მკათათვე, ღვინობისთვე) ენის ისტორიის საინტერესო მასალაა.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. გახსნისა და დასკვნითი ნაწილის პასუხების შედარებით – კლასის რა ნაწილმა აითვისა ათვლის წესი და ვისთან დამჭირდება ინდივიდუალური მუშაობა?
2. იმუშავა თუ არა თანდათანობითმა გადაცემამ – საკმარისი აღმოჩნდა ერთობლივი ცდა დამოუკიდებელ შესრულებამდე, თუ მეტი ერთობლივი ვარჯიში სჭირდებოდა კლასს?
3. რომელი ტერმინები დარჩა ბუნდოვანი და როგორ გამოვიყენო ეს ტერმინები მომდევნო გაკვეთილებზე?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. დიდი ზომის დროის ხაზის/ლენტის შაბლონი (ქაღალდის ან ელექტრონული) – კლასში გამოსაფენად; ეპოქათა და მოვლენათა ბარათები.
2. ივანე ჯავახიშვილის შრომები ქართული ქრონოლოგიისა და კალენდრის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად ქართული წელთაღრიცხვის სისტემებზე (მათ შორის ქორონიკონზე, რომელიც მომდევნო კლასებში დაწვრილებით შეისწავლება).
3. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.

## 4. მიწაში დამარხული ისტორია

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ისტორიული წყარო“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ წარსულის შესასწავლად ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროს იყენებენ და მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი ნივთიერი წყაროა: სამარხები, ნაგებობათა ნაშთები, იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, მონეტები. მოსწავლე ხედავს, რომ ზოგიერთი ეპოქის შესახებ სხვა წყარო უბრალოდ არ არსებობს და ცოდნა მთლიანად არქეოლოგიას ეყრდნობა.

სტანდარტის შედეგი 1: საქართველოს ისტორიის მოვლენა-პროცესების ანალიზი ისტორიული წყაროების საფუძველზე სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ მიემართება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირებული გამოყენება კონკრეტული მოვლენის/პროცესის დასახასიათებლად (არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა); საკუთარი მოსაზრების დასაბუთება კონკრეტული წყაროს ღირებულებასა და სანდოობასთან დაკავშირებით (მონეტების მაგალითზე).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიგონ, რას იკვლევს არქეოლოგი და რას იძლევა ნივთიერი მასალა: რა ტიპის ნაშთები გვხვდება მიწაში, რას გვეუბნება ისინი ადამიანების ყოფაზე და რატომ არის მონეტა დათარიღებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო. მოსწავლეები ნახავენ, როგორ მუშაობს დღევანდელი არქეოლოგია სხვა დარგებთან ერთად – დნმ-ის ანალიზი, მცენარის მტვრის კვლევა, კომპიუტერული ტექნოლოგიები და კონკრეტულ მაგალითებზე (მცხეთის სამარხი, ძუძუანას მღვიმე, ინგა მარტყოფლიშვილის კვლევა) გაანალიზებენ, თუ რა დასკვნები გამოაქვთ მეცნიერებს ნივთებიდან. ამასთან, მოსწავლეები განივითარებენ ისტორიკოსის მთავარ უნარს: დააკვირდნენ ნივთს, დასვან კითხვა და დასკვნა მტკიცებულებით დაასაბუთონ.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ასახელებს, რა ტიპის ნივთიერი მასალა გვხვდება მიწაში, და ხსნის, რატომ არის არქეოლოგია ერთადერთი გზა იმ ეპოქების შესასწავლად, რომლებზეც წერილობითი წყაროები არ არსებობს;
2. მოსწავლე სამარხის ნივთებზე დაკვირვებით გამოაქვს დასკვნა დაკრძალული ადამიანის სოციალურ სტატუსზე და ასაბუთებს მას კონკრეტული ნივთით;
3. მოსწავლე ასახელებს მაგალითს, რას მატებს არქეოლოგიას სხვა დარგებთან თანამშრომლობა (დნმ, მცენარის მტვერი, კომპიუტერული ტექნოლოგიები).

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

მოსწავლეებისთვის არქეოლოგია უცხო სიტყვა არ არის: წინა თავში შეიტყვეს დმანისის ნაქალაქარის, აგრეთვე ვაზისა და ხორბლის უძველესი კვალის შესახებ, §3-ში კი – რომ წინარეისტორიულ ხანაზე წარმოდგენას სწორედ არქეოლოგების აღმოჩენილი მასალა გვიქმნის. ბევრ მათგანს ფილმებიდანაც აქვს გარკვეული წარმოდგენა გათხრებზე, თუმცა ხშირად არაზუსტი („განძის მაძიებელი“ არქეოლოგის ნაცვლად). გაკვეთილი აჩვენებს, რომ არქეოლოგისთვის უმთავრესად ღირებული არა ძვირფასი ნივთი, არამედ ინფორმაციაა – ისიც კი, რაც მტვრის სახითაა შემორჩენილი.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: სააზროვნო ექსპერიმენტი; წყაროზე (ნივთიერ მასალაზე) დაკვირვება და დასკვნის დასაბუთება; ჯგუფური კითხვა როლების განაწილებით; გონებრივი რუკა; „ჭეშმარიტი/მცდარი“ თამაში.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთილზე ბუნებრივად დგება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემა: ნივთი მხოლოდ მაშინ „ლაპარაკობს“, თუ ის თავის ადგილზე, კონკრეტულ კულტურულ შრეშია აღმოჩენილი – ამიტომ შემთხვევით ნაპოვნი სიძველის თვითნებური ამოღება ღირებულ ინფორმაციას სამუდამოდ ანადგურებს. მასწავლებელი ამას კონკრეტულ მაგალითზე ხსნის: რას დაკარგავდა მეცნიერება, ძუძუანას მტვერი ვინმეს რომ „უბრალოდ გაეფანტა“?

კავშირი თანამედროვეობასთან: ტექსტშივეა თანამედროვე მასალა – დნმ-ის ანალიზი, აეროფოტოგრაფია, სამგანზომილებიანი რეკონსტრუქცია. მასწავლებელი დისკუსიაში იყენებს იმასაც, რომ გათხრები დღესაც მიმდინარეობს (გრაკლიანი გორა, მცხეთა) და ახალი აღმოჩენა ნებისმიერ დროსაა მოსალოდნელი.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რა დარჩება ჩვენგან?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | სააზროვნო ექსპერიმენტი, გონებრივი იერიში |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს სთავაზობს სააზროვნო ექსპერიმენტს: „წარმოიდგინეთ, რომ 2000 წლის შემდეგ არქეოლოგები ჩვენი საკლასო ოთახის ადგილას არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ. რა შემორჩება და რას გაიგებენ ჩვენზე?“ მოსწავლეები ასახელებენ ნივთებს, ხოლო მასწავლებელი დაფაზე ორ სვეტად ანაწილებს: „შემორჩება“ / „გაქრება“.<br>2. მოკლე დაკვირვება ჩამონათვალზე: ქაღალდი და ქსოვილი ლპება, ლითონი, კერამიკა და ქვა რჩება – ესე იგი, არქეოლოგი მთელ სურათს კი არა, მის ნაწილს ხედავს და დანარჩენს დასკვნებით ავსებს.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ ადგენს არქეოლოგი ნივთებისგან იმას, რაც არსად წერია?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები საკუთარი გამოცდილებით ხედავენ ნივთიერი წყაროს ბუნებას – რა ინახება და რა იკარგება; საკვანძო კითხვა გაკვეთილს ერთიან ამოცანად კრავს (სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რას გვიყვება მცხეთის სამარხი?** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე დაკვირვება, დასკვნის დასაბუთება |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ მცხეთის სამარხის ილუსტრაციას და ნივთების ჩამონათვალს (ოქროს დიადემა, ყელსაბამი, ვერცხლის ჯამები, ვერცხლით მოჭედილი საწოლის ფეხები) და პარაგრაფში დასმულ კითხვა 3-ზე მუშაობენ: რას გვეუბნება ეს ნივთები დაკრძალულის სოციალურ სტატუსზე? წესი მარტივია – ყოველი დასკვნა კონკრეტულ ნივთს უნდა ეყრდნობოდეს („მდიდარი იყო, რადგან...“).<br>2. წყვილები პასუხებს წარადგენენ; მასწავლებელი აჩვენებს, რომ ერთი და იმავე ნივთიდან შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული არგუმენტირებული მოსაზრება გამოითქვას – ასეა ისტორიკოსის მსჯელობაც.<br>3. საერთო განხილვა პარაგრაფში დასმული კითხვებით 1 და 4: რატომ არის არქეოლოგია ერთადერთი გზა უძველესი ეპოქების შესასწავლად და რა ტიპის მასალა გვხვდება მიწაში (ტექსტიდან და ლომთათიძის თვალსაზრისიდან).<br>4. მოსწავლეები კითხულობენ გიორგი ლომთათიძის თვალსაზრისს და პასუხობენ პარაგრაფში დასმულ კითხვებს 5 და 6: რატომ არის მონეტა დათარიღებისთვის სანდო წყარო და რატომ გვხვდება იშვიათად. მასწავლებელი ხაზს უსვამს: მეცნიერი საკუთარ შეფასებას ასაბუთებს – ზუსტად ისე, როგორც ახლახან მოსწავლეთა წყვილებმა დაასაბუთეს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ნივთიერი წყაროს საფუძველზე გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას – მუშავდება შედეგები 2 და 3 და ორივე სამიზნე ინდიკატორი (წყაროთა დაკავშირება; მოსაზრების დასაბუთება წყაროს ღირებულებაზე). |

| **აქტივობის სახელწოდება** | **არქეოლოგის თანამედროვე ხელსაწყოები** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ჯგუფური კითხვა, გონებრივი რუკა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი იყოფა ჯგუფებად; თითოეული ჯგუფი კითხულობს ტექსტის ერთ მონაკვეთს: ა) XX საუკუნის ცვლილებები და დნმ-ის კვლევა; ბ) თანამედროვე კვლევები და ინგა მარტყოფლიშვილის თვალსაზრისი (მცენარის მტვერი, კვების რაციონი); გ) ძუძუანას აღმოჩენა თენგიზ მეშველიანის მონათხრობით.<br>2. ჯგუფები დაფაზე ავსებენ გონებრივ რუკას (მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის სქემით): რომელი დარგი/ტექნოლოგია ეხმარება არქეოლოგს და რის დადგენაში.<br>3. საერთო განხილვა პარაგრაფში დასმული კითხვებით 2, 7 და 8: რას მატებს კვლევას სხვა დარგები; როგორ შეიცვალა კვების რაციონი პალეოლითიდან ნეოლითამდე; რას გვეუბნება სამკურნალო მცენარეების გაორმაგებული რაოდენობა ადამიანის ცოდნაზე.<br>4. მასწავლებელი ერთი წინადადებით აჯამებს ძუძუანას მაგალითს: მტვერში შემორჩენილმა ძაფმა მსოფლიო გამოცემების ყურადღება იმიტომ მიიპყრო, რომ ის უძველესი დამზადებული ძაფია – პატარა ნივთი დიდ ინფორმაციას გვაწვდის. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე კონკრეტული მაგალითებით გაიაზრებს, როგორ ფართოვდება არქეოლოგიის შესაძლებლობები სხვა დარგებთან ერთად – მუშავდება შედეგი 4; მეცნიერთა ტექსტები თავად გამოიყენება წყაროდ. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ჭეშმარიტი თუ მცდარი?** |
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად |
| **მეთოდი** | სასწავლო თამაში |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის მსჯელობებს; მოსწავლეები პასუხს ხელის აწევით/კონკრეტული მინიშნებით აფიქსირებენ (→/ ↛, მცდარ მსჯელობას კი ერთად ასწორებენ – მაგალითად, „ძუძუანაში ქერის ძაფი აღმოაჩინეს“ სწორდება სელის ძაფად, „ყორღანი სასახლეა“ – გორასამარხად.<br>2. პასუხები რვეულში ინდივიდუალურად იწერება (დავალება 3 სრულდება კლასში).<br>3. მასწავლებელი ყოველ სწორ პასუხზე ითხოვს დასაბუთებას ტექსტიდან – „სად წერია? საიდან იცი?“ – ეს იმისთვისაა საჭირო, რომ თამაში გამოცნობად არ იქცეს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | ძირითადი ფაქტები მოწმდება და მყარდება; მასწავლებელი ადგილზევე ხედავს, რა არის მოსწავლეთათვის გაუგებარი/ბუნდოვანი (განმავითარებელი შეფასების საფუძველი). |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ნივთები ლაპარაკობენ** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას: როგორ იგებს არქეოლოგი ნივთებისგან იმას, რაც არსად წერია? მოსწავლეები გაკვეთილის მაგალითებით პასუხობენ (სამარხის ნივთები → სტატუსი; მონეტა → თარიღი; მტვერი → კვება და მცენარეები).<br>2. მასწავლებელი ერთ პრაქტიკულ წესს ამატებს: შემთხვევით ნაპოვნი სიძველე სპეციალისტს უნდა შეატყობინო და არა თავად ამოიღო მიწიდან – ნივთი ინფორმაციას მხოლოდ თავის ადგილზე პოვნისას ინახავს.<br>3. გასასვლელი ბარათი: „დაწერე ერთი რამ, რაც მეცნიერებმა ნივთებით (და არა ტექსტით) გაიგეს, და ერთი კითხვა, რომელიც გაგიჩნდა“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ნასწავლს კონკრეტული მაგალითებით აჯამებს – მუშავდება შედეგი 1; ბოლო ნაბიჯი ბუნებრივ ხიდს დებს წერილობითი წყაროების გაკვეთილისკენ. |

**6. მუშაობა მოსწავლის რვეულზე**

• დავალება 1 (გონებრივი რუკა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობის დროს: ჯგუფები საერთო რუკას დაფაზე ქმნიან, თითოეული მოსწავლე კი საკუთარ რვეულში ავსებს. მხარდაჭერა: მასწავლებელი წინასწარ აჩვენებს ერთ შევსებულ უჯრას ნიმუშად (მაგ., „დნმ-ის ანალიზი → წარმომავლობა, დაავადებები, ნათესაური კავშირები“).

• დავალება 3 („ჭეშმარიტი თუ მცდარი?“) – სრულდება კლასში, თამაშის ფორმატში (ძირითადი ნაწილის მესამე აქტივობა); თითოეული სწორი ვარიანტი ტექსტში მოცემული ინფორმაციით საბუთდება.

• დავალება 2 (მარტყოფლიშვილის კვლევის ცხრილი) და დავალება 4 (არქეოლოგის დასკვნა მცხეთის სამარხზე) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8). ორივე კლასში განხილულ მასალას ეყრდნობა, ამიტომ მოსწავლეს არ გაუჭრდება მისი დამოუკიდებლად შერსულება.

**7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი**

მრავალდონიანი დავალებები: სამარხზე დაკვირვებისას საბაზისო დონეა ერთი დასაბუთებული დასკვნა („მდიდარი იყო, რადგან ოქროს დიადემა აქვს“), გაღრმავებული – რამდენიმე ნიშნის დაკავშირება და იმის განსაზღვრაც, რას ვერ გავიგებთ ნივთებით (სახელი, ენა, ამბები). საშინაო დავალება 4-ში დამატებითი კითხვა („რომელ თანამედროვე კვლევას ჩაატარებდი?“) სწორედ გაღრმავებული დონისთვისაა.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ჯგუფური კითხვისას როლები ნაწილდება (წამკითხველი, ჩამწერი, წარმდგენი), რათა ყველა ჩართული იყოს; გონებრივი რუკის ერთი უჯრის სანიმუშოდ შევსება და ლექსიკონის განმარტებები მოსწავლეებს ეხმარება უკეთ გაიაზრონ დავალების

პირობა; ვისაც ვრცელი ტექსტის კითხვა უჭირს, მასწავლებელი მოკლე მონაკვეთს (ძუძუანას ამბავი) აძლევს დასამუშავებლად.

ინფორმაციის წარმოდგენის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, ფოტოებით (გათხრები, სამარხის ნივთები), სქემითა და QR-კოდით მითითებული ვიდეომასალით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ზეპირი დასაბუთებით, სქემის შევსებით ან წერილობით; საშინაო დავალების ძირითად ნაწილში ფორმატს მოსწავლე თავად ირჩევს (ტექსტი, პოსტერი ან პრეზენტაცია).

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „აუხსენით მეგობარს, რას ნიშნავს გამოთქმა „არქეოლოგია მიწაში დამარხული ცოცხალი ისტორიაა“. მოამზადეთ მოკლე ტექსტი, პოსტერი ან პრეზენტაცია და კონკრეტული მაგალითებით აჩვენეთ, როგორ ეხმარება არქეოლოგიური აღმოჩენები ისტორიკოსებს ადამიანების წარსული ცხოვრების შესწავლაში“. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. აირჩიეთ ერთი ფორმატი: მოკლე ტექსტი (6-8 წინადადება), პოსტერი ან პრეზენტაცია (3-4 სლაიდი) – ფასდება შინაარსი და არა ვიზუალური გაფორმება;

2. გამოიყენეთ სულ მცირე სამი კონკრეტული მაგალითი პარაგრაფიდან (მაგ., მცხეთის სამარხი, ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი ძაფი, მცენარის მტვრის კვლევა, მონეტები) და თითოეულთან მიუთითეთ, კონკრეტულად რა გავიგეთ ამ აღმოჩენით;

3. დაიმახსოვრეთ, ვისთვის წერთ: ტექსტი მეგობარმა უნდა გაიგოს – წერეთ მარტივად, საკუთარი სიტყვებით.

მოსწავლის რვეულში: დავალება 2 – მარტყოფლიშვილის კვლევის მიხედვით შეავსეთ ცხრილი (პალეოლითი/ნეოლითი: საკვები, მეურნეობის დარგები, სამკურნალო მცენარეები) – ეს კლასში განხილული 7 და 8 კითხვების გამყარებას ემსახურება; დავალება 4 – დაწერეთ არქეოლოგის მოკლე დასკვნა მცხეთის სამარხზე კლასში გამოყენებული წესით: ყოველი დასკვნა კონკრეტულ ნივთს დაუკავშირეთ.

ძირითადი დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგებს 1 და 4, მოსწავლის რვეულის დავალება 2 – შედეგს 4, დავალება 4 კი – შედეგს 2 (დასაბუთებული დასკვნა ნივთიერ წყაროზე).

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: მასწავლებელი აკვირდება, ასაბუთებენ თუ არა წყვილები დასკვნებს კონკრეტული ნივთით და საჭიროების შემთხვევაში უბრუნდება კითხვას „რომელი ნივთიდან ჩანს ეს?“; „ჭეშმარიტი/მცდარის“ თამაში მთელი კლასის ცოდნას ამოწმებს; გასასვლელი ბარათები აჩვენებს, რა დარჩა გაუგებარი.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (ერთი აღმოჩენა + ერთი კითხვა); ხელის ნიშნებით პასუხები თამაშისას; დაკვირვება წყვილებისა და ჯგუფების მუშაობაზე.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი (1)-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირებული გამოყენება კონკრეტული პროცესის დასახასიათებლად (არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა); ბ) საკუთარი მოსაზრების დასაბუთება წყაროს ღირებულებასთან დაკავშირებით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მსჯელობისა და წერითი საშინაო დავალებების (რვეულის დავალება 4 და ძირითადი დავალება) მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ბიოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: შესაძლებელია ერთობლივი საუბარი იმაზე, რას ინახავს ორგანული მასალა და როგორ იკვლევენ მას. ინფორმაციული ტექნოლოგიები: ექსპონატის სამგანზომილებიანი აღდგენა და აეროფოტოგრაფია. მოქალაქეობა (სამიზნე ცნება – საზოგადოება): კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წესები და მოქალაქის პასუხისმგებლობა შემთხვევითი აღმოჩენისას.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. იმუშავა თუ არა დასაბუთების წესმა („ყოველი დასკვნა – ნივთიდან“) – რამდენად შეძლეს წყვილებმა დაუსაბუთებელი ვარაუდისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული დასკვნის გარჩევა?
2. „ჭეშმარიტი/მცდარის“ რომელი მსჯელობა გამოდგა ყველაზე რთული და ხომ არ მიანიშნებს ეს ტექსტის რომელიმე მონაკვეთის ხელახლა განხილვის საჭიროებაზე?
3. რა დავიტანე დროის ხაზზე ამ გაკვეთილიდან (ძუძუანას აღმოჩენა, ნეოლითის ცვლილებები) და როგორ გამოვიყენებ §5-ზე გადასვლისას გაკვეთილის ბოლოს გადებულ ხიდს („რას ვერ გვეუბნება ნივთი“)?
4. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რა კითხვები გაუჩნდათ მოსწავლეებს და რომელი მათგანის განმეორებითი განხილვაა საჭირო?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – მცხეთის სამარხის მასალა და დმანისის ექსპოზიცია; შესაძლებლობის შემთხვევაში, თავის დასრულების შემდეგ სასწავლო ვიზიტიც დაიგეგმება.
2. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“, 2012 წლის აგვისტოს ნომერი – ძუძუანას აღმოჩენის ვრცელი მასალა (სახელმძღვანელოში ციტირებული წყარო).
3. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული რესურსები – მიმდინარე გათხრებისა და ძეგლების ფოტო- და ვიდეომასალა.
4. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.

## 5. წერილობითი წყაროები

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ისტორიული წყარო“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ორ ძირითად ასპექტს: წერილობითი წყაროები მრავალგვარია (ეპიგრაფიკული ძეგლები, დოკუმენტები, საისტორიო თხზულებები, მხატვრული ნაწარმოებები) და თითოეულ სახეობას თავისი დანიშნულება აქვს; ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის – მნიშვნელობა აქვს, თვითმხილველია თუ არა ავტორი და რა მიზნით წერს.

სტანდარტის შედეგი: (1) საქართველოს ისტორიის მოვლენა-პროცესების ანალიზი ისტორიული წყაროების საფუძველზე სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: საქართველოს ისტორიის წყაროების კლასიფიცირება არსებითი მახასიათებლების მიხედვით (შექმნის მიზანი, პერიოდი, ავტორის პოზიცია); წყაროს სანდოობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვეთა (პირველადი/მეორეული წყარო, ავტორის თვითმხილველობა); სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირებული გამოყენება (თრეხვის წარწერისა და „ქართლის ცხოვრების“ მაგალითზე).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიცნონ წერილობითი წყაროების ძირითადი სახეობები და კონკრეტული ნიმუშები: ეპიგრაფიკული ძეგლები (ბოლნისის სიონის წარწერა, დავათის სტელა, არმაზის ბილინგვა), ისტორიული დოკუმენტები (სიგელები, სავაჭრო გარიგებები), საისტორიო თხზულებები („მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“) და ქრისტიანობის შემდეგ გაჩენილი ჰაგიოგრაფიული ჟანრი („მარტვილობა“ და „ცხოვრება“). მოსწავლეები ისწავლიან წყაროთა დაჯგუფებას და, რაც მთავარია, სანდოობაზე მსჯელობისთვის ორ მარტივ კითხვას: ვინ წერს და საიდან იცის? თრეხვის წარწერის მაგალითზე ისინი ნახავენ, როგორ ავსებს ერთი წყარო მეორეს – ქვაზე ამოკვეთილმა რამდენიმე წინადადებამ „ქართლის ცხოვრების“ ავტორის მოღვაწეობის დრო დააზუსტა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე აჯგუფებს კონკრეტულ ქართულ წყაროებს სახეობების მიხედვით (ეპიგრაფიკული, დოკუმენტი, საისტორიო თხზულება, მხატვრული ნაწარმოები) და თითოეულს უსადაგებს მაგალითს;

2. მოსწავლე თრეხვის წარწერის საფუძველზე ხსნის, რა დაადგინეს მისი დახმარებით ისტორიკოსებმა და როგორ დაუკავშირდა ერთმანეთს წარწერა და „ქართლის ცხოვრება”;

3. მოსწავლე ადარებს „მოქცევაი ქართლისაისა” და „ქართლის ცხოვრების” შექმნის დროს, შინაარსსა და ავტორებს;

4. მოსწავლე ხსნის, რატომ ფასობს ისტორიკოსისთვის თვითმხილველი ავტორის ნაწერი, და ამ წესს თანამედროვე მაგალითზეც იყენებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

მოსწავლეებმა §3-დან იციან, რომ ისტორიული ხანა დამწერლობის გაჩენით იწყება, §4-დან კი – რომ წყარო შეიძლება ნივთიც იყოს და მისი „წაკითხვა“ დასაბუთებას მოითხოვს. ეს გაკვეთილი ამ ცოდნას ერთმანეთს უკავშირებს: მოსწავლე გაიაზრებს, რომ დასაბუთების იგივე წესი წერილობით წყაროზეც მუშაობს – ოღონდ აქ ნივთის ნაცვლად ყურადღებას ვამახვილებთ ავტორის პიროვნებასა და მისი ინფორმაციის წყაროზე (ვინ არის ავტორი და რა არის მისი ცნობის წყარო).

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: წყაროთა დახარისხება (კლასიფიკაციის სავარჯიშო); წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; ჯგუფური მუშაობა; შედარების ცხრილი; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთილი მოსწავლეს პატივისცემას უყალიბებს წერილობითი მემკვიდრეობისადმი კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით: სამეფო არქივები შემოსევებმა გაანადგურა და ამიტომ IX საუკუნეზე ძველი დოკუმენტი არ შემოგვრჩა, რაც შემორჩა, სწორედ იმიტომ არის ძვირფასი, რომ კონკრეტულ წარმოდგენებს გვიქმნის ჩვენს წარსულზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ამ მემკვიდრეობას იცავს და მისი მასალა გაკვეთილზეც გამოიყენება.

კავშირი თანამედროვეობასთან: სანდოობის ორი კითხვა – ვინ წერს და საიდან იცის – დღესაც აქტუალურია. დასკვნით ნაწილში მასწავლებელი მოსწავლეებს ჰკითხავს: ჩვენი ეპოქის შესახებ რა წყაროები დარჩება (სტატიები, ფოტოები, პოსტები) და როგორ გაარჩევს მომავლის ისტორიკოსი სანდოს არასანდოსგან? ეს მედიაწიგნიერების უნარის განვითარებისთვისაც მნშვნელოვანი საკითხია.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ქვა, რომელიც ლაპარაკობს** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შედარება, კითხვა-პასუხი |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ორ ილუსტრაციას აჩვენებს: მცხეთის სამარხის ნივთებს (წინა გაკვეთილიდან) და ბოლნისის სიონის წარწერას. კითხვა: „რით განსხვავდება ეს ორი წყარო? რას გვეუბნება მეორე ისეთს, რასაც პირველი ვერასდროს გვეტყვის?“<br>2. მოკლე დისკუსიის შემდეგ კლასი აჯამებს: წარწერიანი ქვა უკვე სახელებს, თარიღებსა და ამბებს გვიყვება – ეს წერილობითი წყაროა, თუნდაც ქვაზე იყოს ამოკვეთილი.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა სახის წერილობითი წყაროები არსებობს და როგორ გავარკვიოთ, რომელს ვენდოთ?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები §4-ის ცოდნას ახალ თემას უკავშირებენ და ხედავენ განსხვავებას ნივთიერ და წერილობით წყაროს შორის (სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **წყაროთა დახარისხება** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |

| | |
|---|---|
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, კლასიფიკაციის სავარჯიშო |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთებს წყაროთა სახეობებზე (ეპიგრაფიკული წყაროები, ისტორიული დოკუმენტები) და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ს: რვა კონკრეტულ წყაროს (ბოლნისის სიონის წარწერა, დავათის სტელა, არმაზის ბილინგვა, სიგელი, სავაჭრო გარიგება, „ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“, „შუშანიკის წამება“) ოთხ ჯგუფში ანაწილებენ.<br>2. მასწავლებელი თითო წყაროზე ეკითხება წყვილს: „რატომ მოხვდა ამ ჯგუფში?“ – პასუხი ყოველთვის სახეობის ნიშანს უნდა ეყრდნობოდეს (მასალა, დანიშნულება, ავტორი).<br>3. პარაგრაფში დასმული კითხვებით 1 და 2 კლასი აჯამებს: რა მასალაზე კეთდებოდა წარწერები, რომელი ენების ეპიგრაფიკაა საქართველოში აღმოჩენილი და რა ინფორმაციას მიაწვდიდა ისტორიკოსებს ახლად ნაპოვნი უცნობი სტელა. დამატებით მასწავლებელი ვალერი სილოგავას თვალსაზრისიდან განმარტავს,, რომ ქართული წარწერები სამივე დამწერლობითაა შესრულებული და შინაარსითაც მრავალგვარია. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროებს არსებითი ნიშნებით აჯგუფებს – უშუალოდ მუშავდება ინდიკატორი: წყაროების კლასიფიცირება; მუშავდება შედეგი 1. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **თრეხვის წარწერის გამოძიება** |
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ სახელმძღვანელოს რუბრიკას „წყარო“ – თრეხვის წარწერას („მე, ლეონტი მროველმან... მაშინ, როდესაც ალფ-არსლან სულთანი ქვეყანას აოხრებდა“, 1066 წ.) და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის სამივე კითხვას: ვინ არის ავტორი და რა ტიტული აქვს; რის დადგენაში დაეხმარა აღმოჩენა ისტორიკოსებს; რას გვეუბნება ფრაზა სულთანზე XI საუკუნის საქართველოს მდგომარეობაზე.<br>2. ჯგუფები პასუხებს წარადგენენ; მასწავლებელი პარაგრაფში დასმული კითხვებით 6 და 7 აღრმავებს მსჯელობას და დაფაზე მარტივ სქემას ხაზავს: წარწერა ქვაზე + „ქართლის ცხოვრება“ → დასკვნა (ლეონტი მროველი XI საუკუნეში მოღვაწეობდა). დასკვნა არცერთ წყაროში ცალკე არ წერია – ის ორი წყაროს შეერთებით მიიღეს.<br>3. მასწავლებელი კლასს ახსენებს §4-ის წესს: იქ დასკვნას ნივთით ვასაბუთებდით, აქ – წყაროს სიტყვებით. წესი იგივეა, მასალა შეიცვალა. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ავითარებს წყაროს გაანალიზების, მასში მოცემული ინფორმაციის ამოღებისა და შესაბამისი დასკვნის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ამ პროცესში მუშავდება შედეგი 2-ის ინდიკატორი – სხვადასხვა ტიპის წყაროში მოცემული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირებული გამოყენება. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ორი წიგნი – ერთი ისტორია** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შედარების ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები ტექსტზე დაყრდნობით ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის ცხრილს – ადარებენ „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრებას“ სამი ნიშნით: როდის შეიქმნა, რას გადმოგვცემს, ვინ არის ავტორი (ან ვის უკავშირებენ).<br>2. პასუხების გადამოწმებისას კლასი პარაგრაფში დასმულ კითხვა 3-ს პასუხობს; კითხვები 4 და 5 მოკლე მსჯელობით განიხილება.<br>3. ბოლოს მასწავლებელი პარაგრაფში დასმულ კითხვებს (8 და 9) სვამს: რომელი ახალი ჟანრი გაჩნდა ქრისტიანობის შემდეგ და რატომ არის მნიშვნელოვანი „მარტვილობა“ და „ცხოვრება“, როგორც ისტორიული წყარო? რა განსხვავებაა მათ შორის? აქვე შეიძლება გამოყენებული იქნას ტერმინები „პირველადი“ და „მეორეული“ წყარო. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორ მთავარ საისტორიო კრებულს არსებითი ნიშნებით ადარებს და ითვისებს სანდოობის ერთ-ერთ კრიტერიუმს (თვითმხილველობა) – მუშავდება შედეგები 3 და 4 და ინდიკატორი: სანდოობის ფაქტორების გამოკვეთა. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ვინ წერს, რატომ წერს და საიდან აქვს ინფორმაცია?** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას – ვინ წერს და საიდან იცის?<br>2. აქცენტი თანამედროვეობაზე: „ჩვენი ეპოქის შესახებ რა წყაროები დარჩება და როგორ გაარჩევს მომავალი ისტორიკოსი სანდოს არასანდოსგან?“ – მოსწავლეები ხედავენ, რომ იგივე ორი კითხვა დღესაც აქტუალურია.<br>3. გასასვლელი ბარათი: „დაასახელეთ ერთი წერილობითი წყარო, რომელიც დღეს გაიცანით, მიუთითეთ მისი სახეობა და დაწერეთ ერთი კითხვა, რომელიც გაგიჩნდათ“.<br>4. მასწავლებელი აჯამებს II თავს – ახლა ვიცით, როგორ ითვლება დრო და რა წყაროებით ისწავლება წარსული. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე სანდოობის წესს იმახსოვრებს მოკლე, გამოსაყენებელი ფორმით და ხედავს მის კავშირს დღევანდელ ცხოვრებასთან – მუშავდება შედეგი 4. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (წყაროთა განაწილება ჯგუფებში) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში. მხარდაჭერა: მასწავლებელი წინასწარ განმარტავს, რომ ერთი ჯგუფი („მხატვრული ნაწარმოებები“) მხოლოდ ერთ წყაროს შეიცავს.

2. დავალება 3 (თრეხვის წარწერაზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში; პასუხები მოსწავლის რვეულში იწერება.

3. დავალება 2 („მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრების“ შედარება) – იწყება კლაში, მესამე აქტივობაში.

4. დავალება 4 (ოჯახის/სკოლის ისტორიის წყაროები) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

5. II თავის შემაჯამებელი კროსვორდი – მოსწავლის რვეულში §5-ს მოსდევს; რეკომენდებულია მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში, თავის გასამეორებლად.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: თრეხვის წარწერაზე მუშაობისას საბაზისო დონეა ა) კითხვაზე პასუხი (ავტორი და ტიტული პირდაპირ ტექსტშია), გაღრმავებული – ბ) და გ) კითხვები, სადაც დასკვნა ორი წყაროს დაკავშირებას მოითხოვს. საშინაო დავალებაში მოსწავლე ორ ამოცანას შორის ირჩევს – ისტორიკოსის დასაბუთება ან ოჯახის წყაროები – ორივე ერთსა და იმავე უნარს ავარჯიშებს, სირთულე კი მსგავსია.

მხარდამჭერი სტრატეგიები: თრეხვის წარწერა ძველი ქართულითაა შესრულებული და მასწავლებელი კითხვამდე ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს („ქვაბი“ – გამოქვაბული, „საყდარი“ – ეკლესია) იქვე განმარტავს; ლექსიკონის განმარტებები (რეკონსტრუქცია, სტელა, არამეული, მროველი, ჟანრი) ყველასთვის ხელმისაწვდომია.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, ფოტოებით (წარწერები, ხელნაწერები, მინიატიურები) და ცხრილებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია დახარისხებით, ცხრილის შევსებით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება: „დაასახელეთ წერილობითი წყაროების სახეობები, რომლებითაც ისტორიკოსები საქართველოს წარსულს სწავლობენ, და თითოეულს დაურთეთ კონკრეტული მაგალითი.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. პასუხი გააფორმეთ ორსვეტიანი ცხრილით: სახეობა – მაგალითი; მაგალითები აიღეთ პარაგრაფიდან (კლასში შევსებული რვეულის დავალება 1 დაგეხმარებათ);

2. ერთ სახეობასთან, სურვილისამებრ, მიუწერეთ მეორე მაგალითიც – ეს აჩვენებს, რომ სახეობის ნიშანი გესმით და არა მხოლოდ კონკრეტული ნიმუში გახსოვთ.

მეორე დავალება – არჩევით, ორიდან ერთი:

1. პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 2: წარმოიდგინეთ, რომ ისტორიკოსი ხართ და თანამედროვე მოვლენის შესახებ წერთ. 5-6 წინადადებით დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება გახდეს თქვენი ნაშრომი მომავალში ჩვენი ეპოქის შესწავლის წყარო – დასაბუთებაში გამოიყენეთ გაკვეთილზე განხილული ორი კითხვა (ვინ წერს და საიდან იცის) და მიუთითეთ, თვითმხილველი ხართ თუ არა;

2. მოსწავლის რვეულის დავალება 4: დაასახელეთ სამი სხვადასხვა სახის წერილობითი წყარო, რომლებითაც თქვენი ოჯახის ან სკოლის ისტორიას შეისწავლიდით, და ახსენით, რა ინფორმაციას მოგცემდათ თითოეული მათგანი.

ვინც მესამე აქტივობაში რვეულის დავალება 2-ის ცხრილი ვერ დაასრულა, სახლში ასრულებს. ძირითადი დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგს 1 (კლასიფიცირება), არჩევითი დავალებები კი – შედეგს 4 (სანდოობის წესის გამოყენება ახალ მასალაზე).

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: წყაროთა დახარისხების გადამოწმებისას მასწავლებელი ყოველ პასუხზე ითხოვს ნიშნის დასახელებას („რატომაა ეპიგრაფიკული?“) – ამით ირკვევა, რამდენად გააზრებული აქვს მოსწავლეს სახეობის ნიშანი (არსებითი მახასიათებელი), თუ მექანიკურად ანაწილებს/აჯგუფებს მასალას.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (ერთი წყარო + სახეობა + ერთი კითხვა); დაკვირვება ჯგუფურ მუშაობაზე; რვეულის დავალება 1-ის საერთო გადამოწმება.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი (1)-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) წყაროების კლასიფიცირება არსებითი მახასიათებლების მიხედვით; ბ) წყაროს სანდოობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვეთა (პირველადი/მეორეული წყარო, ავტორის თვითმხილველობა). შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალებების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნებები – ტექსტი, კონტექსტი): შესაძლებელია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან შეთანხმებით, ისტორიული წყარო განხილულ იქნას ლიტერატურულ ტექსტად; დამწერლობის სამი სახეობა (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) ქართული ენის ისტორიის თემას ეხმიანება. მოქალაქეობა: სანდოობის ორი კითხვა მედიაწიგნიერების საბაზისო უნარია და გამოიყენება ინფორმაციის შეფასებისას.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა წყაროთა დახარისხების ნიშნების დასახელება – რომელი სახეობა აღმოჩნდა ყველაზე ბუნდოვანი?

2. თრეხვის წარწერის შესახებ ბ) კითხვაზე (ორი წყაროს დაკავშირება) რამდენმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა დასკვნა დამოუკიდებლად და რამდენს დასჭირდა დამხმარე კითხვა?

3. გასასვლელი ბარათებისა და კროსვორდის შედეგების მიხედვით, რომელ საკითხს დავუბრუნდე III თავზე გადასვლამდე?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ციფრული რესურსები – ხელნაწერების, მინიატიურებისა და ასტროლოგიური თხზულებების გამოსახულებები

3. ვალერი სილოგავას შრომები ქართული ეპიგრაფიკის შესახებ – წარწერების ჯგუფებისა და ნიმუშების დამატებითი მასალა.

4. ბოლნისის სიონისა და დავათის სტელის ფოტომასალა (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რესურსები) – პირველი აქტივობისა და წყაროთა დახარისხების სავარჯიშოსთვის.

5. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.(სახელმძღვანელოს ილუსტრაციების წყარო).

2. „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემა (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით) – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად; მოსწავლეებთან საკმარისია სახელმძღვანელოს მასალა.

## III თავი. ქვის ხანის ეპოქის ადამიანის თავგადასავალი

## შესავალი მასწავლებლისთვის

**რას ემსახურება ეს თავი**

მესამე თავი ოთხ პარაგრაფს აერთიანებს (§6. უძველესი ადამიანის ნაკვალევი დმანისიდან; §7. ქვის ხანა საქართველოში; §8. ნეოლითური რევოლუცია; §9. ხორბლისა და ღვინის უძველესი კერები საქართველოში) და ოთხ გაკვეთილზეა გათვლილი. აქ მოსწავლე პირველად გამოიყენებს იმ ცოდნას, რომელიც წინა თავის სწავლისას შეიძინა: §3-ში ნასწავლი ეპოქების თანმიმდევრობა ახლა კონკრეტული მასალით ივსება, ხოლო ამ პერიოდის შესახებ ჩვენი ცოდნა ძირითადად არქეოლოგიურ მასალას ეფუძნება, რომელსაც §4 მიეძღვნა. წერილობითი მასალა ამ ეპოქებზე არ არსებობს და პირველი წერილობითი წყარო (ქსენოფონტი) მხოლოდ §9-ის ბოლოს ჩნდება.

თავს ქრონოლოგიური სტრუქტურა აქვს: დმანისელი ჰომინინებიდან (1,8 მილიონი წლის წინ), პალეოლითისა და მეზოლითის გავლით, ნეოლითურ რევოლუციამდე და მის ქართულ შედეგებამდე – ხორბლისა და ვაზის კულტივირების უძველეს კერებამდე.

თემატურ თხრობას ორი ძირითადი ხაზი აერთიანებს. პირველი ხაზს უსვამს ტექნოლოგიისა და მეურნეობის განვითარებას და მის გავლენას საზოგადოების გარდაქმნაზე: შემგროვებლური მეურნეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლას მოჰყვა ბინადარი ცხოვრების დამკვიდრება, შრომის იარაღების სრულყოფა და სოციალური ორგანიზაციის თანდათანობით გართულება – ჯოგიდან ჯერ გვაროვნულ, ხოლო შემდეგ თემურ გაერთიანებამდე.

მეორე ხაზი საქართველოს არქეოლოგიურ მასალას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში განიხილავს. დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენები აფრიკის ფარგლებს გარეთ ადამიანის ადრეული არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოში ხორბლისა და მეღვინეობის უძველესი კერების გამოვლენა ქვეყნის ტერიტორიას ადრეული მიწათმოქმედებისა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონად წარმოაჩენს.

**სტანდარტის რომელი ცნებები მუშავდება**

ძირითადი სამიზნე ცნებაა „დრო (ისტორიული პერიოდი)“. თუ §3-ში მოსწავლემ ეპოქების ზოგადი ჩარჩო გაიცნო, ამ თავში ის თითოეულ ეპოქას სიღრმისეულად ახასიათებს: რა იარაღით მუშაობდა ადამიანი, სად და როგორ ცხოვრობდა, რისი სწამდა (ტოტემიზმი), როგორ იცვლებოდა ეს ყველაფერი პალეოლითიდან ენეოლითამდე.

პარალელურად მუშავდება კიდევ ორი ცნება: „ისტორიული წყარო“ – მთელი თავი ნივთიერ მასალას ეყრდნობა, §9-ში კი პირველად შემოდის წერილობითი წყაროც (ქსენოფონტი) და მოსწავლე ხედავს, როგორ ადასტურებს ერთი ტიპის წყარო მეორეს; „ისტორიული მოვლენა, პროცესი“ – ნეოლითური რევოლუცია საუკეთესო რესურსია იმის გასააზრებლად, რით განსხვავდება ხანგრძლივი პროცესი ერთჯერადი მოვლენისგან.

**მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები**

თავი ძირითადად ემსახურება სტანდარტის შედეგს (2): საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით. აქტიურდება შედეგის შემდეგი ინდიკატორები:

1. კონკრეტული ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით – თითოეული პერიოდი (ქვედა/შუა/ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი, ენეოლითი) იარაღების, მეურნეობის, საცხოვრისისა და რწმენა-წარმოდგენების ურთიერთდაკავშირებით ხასიათდება;

2. ეპოქების/პერიოდების შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით (ტექნოლო-

გიების დონე, რელიგიური წარმოდგენები, ყოველდღიური ცხოვრება) – მაგ., რა შეიცვალა ზედა პალეოლითში, რა მოიტანა მეზოლითში დათბობამ, რით განსხვავდება ენეოლითი ნეოლითისგან;

3. პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა – რა ფაქტორებმა განსაზღვრა ნეოლითის „რევოლუციური" ეპოქის სტატუსი;

4. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შედარება მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციასთან – საქართველოში ქვის ხანა მსოფლიო პროცესის ნაწილია (დმანისი ადამიანის მიგრაციის გლობალურ კონტექსტშია ჩართული), თუმცა ადგილობრივი თავისებურებებითაც გამოირჩევა (ხორბლისა და ვაზის კულტურის დამოუკიდებელი კერა).

ამასთან, კვლავ მუშავდება შედეგი (1)-ის ინდიკატორები – სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირება (§9: არქეოლოგიური მასალა + ქსენოფონტის ცნობა; ბრინჯაოს დანა + ეთნოგრაფიული პარალელი) და საკუთარი მოსაზრების დასაბუთება წყაროზე დაყრდნობით. შედეგი (6) კი პირველად სთხოვს მოსწავლეს,განასხვავოს მოვლენა და პროცესი,ასევე დაადგინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები (კლიმატის ცვლილება – საცხოვრებლის შეცვლა; მიწათმოქმედება – ბინადარი ცხოვრება – იარაღების სრულყოფა). ინდიკატორები, ჩვეულებისამებრ, ორმაგ ფუნქციას ასრულებს: ერთი მხრივ, დაგეგმვის ორიენტირია და მეორე მხრივ, განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმი (კონკრეტული მითითებები თითოეული მოდელის მე-9 სექციაშია).

**პრაქტიკული ორიენტირები მასწავლებლისთვის**

1. დროის ხაზი ამ თავშიც ერთ-ერთ მთავარ თვალსაჩინოებად რჩება, ოღონდ ახალი სირთულით: მასშტაბები მილიონობით და ათასობით წელს მოიცავს (2-1,8 მილიონი – 40 ათასი – ძვ. წ. VIII ათასწლეული). ამ განსხვავებაზე საჭიროა ცალკე ყურადღების გამახვილება, რადგან მოსწავლეს უჭირს წარმოდგენა, რამდენად ხანგრძლივია პალეოლითი მომდევნო ეპოქებთან შედარებით. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელოს თავფურცლის ქრონოლოგიური ხაზიც.

2. თავი შეიცავს ფრთხილ ფორმულირებებს: „როგორც ჩანს", „ვარაუდობენ", „ფიქრობენ" (დმანისელის ნადირობა, ირმის რქის კავი, მშვილდ-ისრის არსებობა). §3-ში დაწყებული ხაზი გრძელდება – მოსწავლემ უნდა გამიჯნოს დადასტურებული ფაქტი და მეცნიერული ვარაუდი და დაინახოს, რა მტკიცებულებას ეყრდნობა თითოეული.

3. თავი განსაკუთრებით მდიდარია „მეცნიერის თვალსაზრისებით" (ოთარ ლორთქიფანიძე, გერმანე გობეჯიშვილი, გიორგი ჩიტაია, ანდრია ლეკიაშვილი, ნანა რუსიშვილი) და §9-ში ჩნდება რუბრიკა „წყარო" ქსენოფონტის ცნობით. ეს ტექსტები წყაროებად უნდა დამუშავდეს – II თავში გააქტიურებული კითხვებით: ვინ წერს, რას ეყრდნობა, პირველადია თუ მეორეული.

4. უცხო/ახალი ტერმინები საკმაოდ ბევრია (ჰომინინი, ჰომო ერექტუსი, ჰომო გეორგიკუსი, ჰომო საპიენსი, ტოტემიზმი, პეტროგლიფი, ენდემური, არტეფაქტი, სელექცია, ყალიბი, ცივად ჭედვა). ლექსიკონის რუბრიკა ყველა პარაგრაფშია – საჭიროა მისი სისტემატური გამოყენება.

## 6. უძველესი ადამიანის ნაკვალევი დმანისიდან

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის საერთო ჩარჩოშია ჩართული: ადამიანის ევოლუციისა და აფრიკიდან განსახლების პროცესის ერთ-ერთი უძველესი კვალი სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი. მოსწავლე ხედავს, როგორ ახასიათებენ მეცნიერები უშორეს ეპოქას ნივთიერი მასალით.

სტანდარტის შედეგი: (2) საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით. გაკვეთილი უშუალოდ მიემართება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: კონკრეტული ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით (დმანისელი ჰომინინის გარეგნობა, იარაღი, საქმიანობა და სოციალური მოწყობა); საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შედარება მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციასთან – დმანისის აღმოჩენის ადგილი ადამიანის გავრცელების საერთო სურათში.

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა გაიგონ, რა აღმოაჩინეს დმანისში და რატომ ითვლება ეს აღმოჩენა მნიშვნელოვნად მთელი მსოფლიოსთვის: ჰომო ერექტუსი აფრიკიდან აზიის გავლით ევროპისკენ მოძრაობდა და მისი უძველესი კვალი სწორედ დმანისშია ნაპოვნი. მოსწავლეები გაეცნობიან აღმოჩენის ისტორიას (1960-იანი წლებიდან 1999 წლამდე) და დაინახავენ, როგორ გროვდებოდა მტკიცებულებები ეტაპობრივად – მარტორქის კბილიდან 1,8 მილიონი წლის წინანდელი ჰომინინის ქვედა ყბამდე და თავის ქალებამდე. ისინი შეადგენენ დმანისელი ჰომინინის (ჰომო გეორგიკუსის) დახასიათებას – გარეგნობა, ტვინის მოცულობა, იარაღი, საქმიანობა – და გაიცნობენ პირველყოფილ ადამიანთა ჯგოგს, სოციალური მოწყობის უმარტივეს ფორმას. მოსწავლეები ივარჯიშებენ რუკაზე მიგრაციის მარშრუტზე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე რუკაზე აჩვენებს ადამიანის განსახლების ძირითად მიმართულებებს (აფრიკა – მახლობელი აღმოსავლეთი – საქართველო – ევროპა და აზია) და ხსნის დმანისის მნიშვნელობას ამ გზაზე;
2. მოსწავლე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოსცემს დმანისის აღმოჩენების ისტორიას და ხსნის, რომელი მტკიცებულება რას ამატებდა მეცნიერთა ცოდნას;
3. მოსწავლე ახასიათებს დმანისელ ჰომინინს (სახელწოდება, ასაკი, გარეგნობა, ტვინის მოცულობა, უნარები) და ასახელებს პირველყოფილ ადამიანთა გაერთიანების ოთხ ძირითად ნიშანს;
4. მოსწავლე ასაბუთებს დმანისის აღმოჩენის მნიშვნელობას საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიისთვის ორი არგუმენტით მაინც.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

მოსწავლეები დმანისს უკვე ორჯერ გაეცნენ: §2-ში გაიგეს, რომ ქვემო ქართლში, დმანისთან, ქვის ხანის ადამიანის ერთ-ერთი უძველესი სადგომი აღმოაჩინეს, §4-ში კი რომ არქეოლოგია ისეთი ეპოქების შესწავლის ერთადერთი გზაა, რომლებზეც წერილობითი წყარო არ არსებობს. §3-დან მოსწავლეებმა უკვე იციან ისტორიული ეპოქების თანმიმდევრობა და დროის ხაზზე მუშაობის პრინციპები. ამ გაკვეთილზე მოსწავლეები გაეცნობიან დმანისელ

ადამიანებს, მათი ნაშთების აღმოჩენის ისტორიასა და ამ აღმოჩენის მნიშვნელობას საქართველოსა და მსოფლიო ისტორიისთვის.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ტექსტზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; ქრონოლოგიური ცხრილის შედგენა; რუკაზე მუშაობა; წყვილებში და ჯგუფური მუშაობა; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: აღმოჩენის ისტორია მოსწავლეს აჩვენებს, რომ დიდი შედეგი ხანგრძლივ, მოთმინებით შესრულებულ შრომას მოჰყვება – ქვედა ყბა ექსპედიციის ერთ-ერთ ბოლო სამუშაო დღეს იპოვეს, გათხრების დაწყებიდან სამი ათეული წლის შემდეგ. სახელმძღვანელოში დასახელებული ქართველი მეცნიერები (მედეა ნიორაძე, დავით ლორთქიფანიძე, ჯუმბერ კოპალიანი, აბესალომ ვეკუა) მოსწავლისთვის კონკრეტული მაგალითია, რომ მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენები საქართველოშიც კეთდება.

კავშირი თანამედროვეობასთან: დმანისის ნაქალაქარი და მუზეუმ-ნაკრძალი დღეს ღიაა დამთვალიერებლისთვის, კვლევა კი გრძელდება – ახალი და მნიშვნელოვანი აღმოჩენები კვლავაც შესაძლებელია. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს უთხრას, რომ დმანისის მასალა დღეს მსოფლიოს წამყვან მუზეუმებსა და სამეცნიერო ჟურნალებში განიხილება და საქართველოს საერთაშორისო ცნობადობის ერთ-ერთი წყაროა.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რამდენი წლის წინანდელია უძველესი კვალი?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს რიცხვს – 1 800 000 – და კლასს ეკითხება: რას შეიძლება აღნიშნავდეს ეს რიცხვი? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს.<br>2. მასწავლებელი პასუხს აზუსტებს: ამდენი წლისაა დმანისში ნაპოვნი ადამიანის ნაშთები – უძველესი ევრაზიაში. კლასი დროის ხაზზე ადარებს ამ თარიღს აქამდე ნასწავლ თარიღებს და ხედავს მასშტაბურ განსხვავებას.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რას გვეუბნება დმანისის აღმოჩენა ადამიანის წარმოშობასა და გავრცელებაზე – და როგორ მივიდნენ მეცნიერები ამ ცოდნამდე?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები აცნობიერებენ დროის ახალ მასშტაბს და უკავშირებენ მას ნასწავლ ქრონოლოგიას; საკვანძო კითხვა გაკვეთილს ერთიან ამოცანად კრავს (სამიზნე ცნება „დრო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **აღმოჩენის ისტორია ნაბიჯ-ნაბიჯ** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, ქრონოლოგიური ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთებს „დმანისის აღმოჩენა, რომელმაც შეცვალა ევროპის ისტორია“ და „ახალი აღმოჩენები დმანისში“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის ცხრილს: რა აღმოაჩინეს 1960 წლიდან, 1982, 1983, 1991 და 1999 წლებში.<br>2. პასუხების გადამოწმებისას მასწავლებელი დაფაზე აღმოჩენების ჯაჭვს აგებს და ყოველ რგოლზე ეკითხება კლასს: რა დაამატა ამ აღმოჩენამ მეცნიერთა ცოდნას? ასე ირკვევა პარაგრაფში დასმული კითხვები 3 და 4 – საიდან გახდა ნათელი, რომ შუა საუკუნეების ქალაქი უძველეს ნამოსახლარზე იდგა, და რა ხდის 1991 წლის აღმოჩენას განსაკუთრებულს.<br>3. პარაგრაფში დასმულ კითხვაზე – 5 მსჯელობისას მასწავლებელი ხაზს უსვამს დათარიღების ლოგიკას: ყბის ასაკი ფენის ასაკით დაადგინეს – დასკვნა მტკიცებულებას ეყრდნობა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ხედავს, რომ სამეცნიერო ცოდნა ეტაპობრივად, მტკიცებულებების დაგროვებით ყალიბდება – მუშავდება შედეგი 2. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **გზა აფრიკიდან დმანისამდე** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ წყვილში |
| **მეთოდი** | რუკაზე მუშაობა, კითხვებზე დაყრდნობით მსჯელობა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი კითხულობს ტექსტის პირველ მონაკვეთს ევოლუციისა და განსახლების შესახებ; მასწავლებელი სახელმძღვანელოს რუკაზე („ჰომინინების მიგრაცია აფრიკის კონტინენტიდან ევრაზიაში“) კლასთან ერთად მიჰყვება მარშრუტს: აფრიკა – მახლობელი აღმოსავლეთი – საქართველო – ევროპა და აზია.<br>2. წყვილები პასუხობენ პარაგრაფში დასმულ კითხვებს 1 და 2: რომელი სახეობა გასცდა პირველად აფრიკას და რატომ იყო ეს მნიშვნელოვანი; რა სირთულეების დაძლევა მოუწევდა მას გზაში. მეორე კითხვაზე პასუხები თავისუფალი ვარაუდებია – მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ვარაუდი გეოგრაფიულ გარემოს დაუკავშირონ (მთები, მდინარეები, კლიმატი).<br>3. მასწავლებელი კითხულობს მეცნიერის თვალსაზრისს „ვინაა დმანისელი ჰომინინი“ და მოსწავლეები რუკაზე დაყრდნობით მსჯელობენ: წინაპრების ნაშთები მხოლოდ აფრიკაშია, შთამომავლები კი საქართველოდან ორივე მიმართულებით გავრცელდნენ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე დმანისს ადამიანის განსახლების მსოფლიო კონტექსტში განიხილავს – მუშავდება შედეგი 1 და ინდიკატორი: საქართველოს ისტორიის დაკავშირება მსოფლიო ისტორიის პროცესებთან. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **დმანისელის პორტრეტი** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტიდან მონაცემების ამოკრება, გრაფიკული ორგანიზატორი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები ტექსტისა და მეცნიერის ორივე თვალსაზრისის მიხედვით ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის ცხრილს – დმანისელი ჰომინინის „პორტრეტს“: სახელწოდება (ჰომო გეორგიკუსი), ყბის ასაკი, სიმაღლე, ტვინის მოცულობა, უნარები, წარმომავლობის გზა.<br>2. საერთო განხილვისას მასწავლებელი ამოწმებს ცხრილს და ყურადღებას ამახვილებს ფრთხილ ფორმულირებებზე: ტექსტში წერია „როგორც ჩანს“, „შესაძლოა, ნადირობდა კიდეც“ – რა არის აქ დადგენილი ფაქტი და რა ვარაუდი?<br>3. კლასი კითხულობს მონაკვეთს „დმანისელი ჰომინინების საქმიანობა“ და დაფაზე ერთად ივსება მოსწავლის რვეულის დავალება 4 – პირველყოფილ ადამიანთა ჯგოგის ოთხი ნიშანი: წევრების რაოდენობა, საქმიანობა, ქონებრივი თანასწორობა, თანაცხოვრება და საკვების განაწილება. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე დმანისელი ადამიანის ერთიან სურათს კრავს გარეგნობის, იარაღის, საქმიანობისა და სოციალური მოწყობის დაკავშირებით – მუშავდება შედეგი 3 და ინდიკატორი: ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რატომ ლაპარაკობს მსოფლიო დმანისზე?** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას; დისკუსია პარაგრაფის ბოლოს მოცემულ დავალებებს 1 და 2 ეყრდნობა: რა მნიშვნელობა აქვს დმანისის აღმოჩენას საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიისთვის და რას გვეუბნება ის მიგრაციის გზებზე. მოქმედებს წესი: ყოველი დებულება მტკიცებულებით უნდა გამყარდეს.<br>2. მასწავლებელი აჯამებს ოთარ ლორთქიფანიძის თვალსაზრისით: დმანისში იარაღის შემქმნელი ადამიანი ევრაზიის ერთ-ერთ უძველეს ჰომინინადაა აღიარებული.<br>3. გასასვლელი ბარათი: „დაწერეთ ერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს დმანისის აღმოჩენის მნიშვნელობას და ერთი კითხვა, რომელიც გაგიჩნდათ“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე დებულებას მტკიცებულებით ასაბუთებს – მუშავდება შედეგი 4; ზეპირი მსჯელობა ამზადებს წერით საშინაო დავალებას. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (აღმოჩენების ქრონოლოგიური ცხრილი) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში.

2. დავალება 3 (დმანისელი ჰომინინის „პორტრეტი“) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობაში, წყვილებში; მონაცემები ტექსტიდან და მეცნიერის ორივე თვალსაზრისიდან იკრიბება.

3. დავალება 4 (ჯოგის ოთხი ნიშანი) – ივსება კლასში, მესამე აქტივობის ბოლოს, საერთო განხილვით.

4. დავალება 1 (კონტურული რუკა) და დავალება 5 (წერითი მსჯელობა) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: „პორტრეტის“ ცხრილში საბაზისო დონეა მონაცემების ამოკრება, გაღრმავებული – ფაქტისა და ვარაუდის გარჩევა თითოეულ სტრიქონში; დასკვნით დისკუსიაში ერთი არგუმენტის დასახელება საბაზისო დონეა, ორი არგუმენტის დასაბუთება მტკიცებულებით – გაღრმავებული.

მხარდამჭერი სტრატეგიები: მოსწავლის რვეულის ცხრილების სტრიქონები მოსწავლეს კარნახობს, რა მოძებნოს ტექსტში; რუკაზე მარშრუტი ჯერ მასწავლებელთან ერთად გაივლება და მხოლოდ შემდეგ ასრულებენ წყვილები სამუშაოს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, მიგრაციის რუკით, ფოტოებით (თავის ქალები, გათხრები, რეკონსტრუქციები) და QR-კოდით მითითებული ვიდეომასალით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილის შევსებით, რუკაზე ჩვენებით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალებები 1 და 2 კლასში ზეპირად განიხილება (დასკვნითი აქტივობა), წერილობით კი მოსწავლის რვეულის დავალება 5-ით სრულდება – ის ორივე დავალებას აერთიანებს: ახსენით, რატომ არის დმანისის აღმოჩენა მნიშვნელოვანი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისტორიისთვის, რას გვეუბნება ის ადამიანის მიგრაციაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 6-8 წინადადება და გამოიყენეთ სულ მცირე ორი არგუმენტი – მაგალითად, ნაშთების ასაკი (უძველესი ევრაზიაში) და დმანისის ადგილი მიგრაციის გზაზე;

2. თითოეულ არგუმენტს დაურთეთ მტკიცებულება ტექსტიდან (თარიღი, აღმოჩენა, მეცნიერის დასკვნა) – კლასში შევსებული ცხრილები დაგეხმარებათ;

3. ბოლო წინადადებაში ახსენით საკუთარი სიტყვებით, რას ნიშნავს გამოთქმა „საქართველო – პირველი ევროპელის სამშობლო“.

მოსწავლის რვეულში ასევე სრულდება დავალება 1: კონტურულ რუკაზე გააფერადეთ აფრიკა, ისრებით აღნიშნეთ განსახლების მიმართულებები და მონიშნეთ დმანისი; ისრები გაავლეთ გარკვევით და რუკის კუთხეში დაურთეთ ლეგენდა – ეს მოთხოვნა თავად რვეულშია ჩაწერილი და მისი დაცვა ფასდება.

დავალება 5 უკავშირდება მოსალოდნელ შედეგს 4 (დასაბუთება), დავალება 1 კი – შედეგს 1 (მიგრაციის მარშრუტი რუკაზე).

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: ცხრილების საერთო გადამოწმება მასწავლებელს აჩვენებს, ვინ როგორ კრებს ინფორმაციას ტექსტიდან; აღმოჩენების ჯაჭვის აგებისას კითხვა „როგორ გაამდიდრა ამ აღმოჩენამ არსებული ცოდნა?“ ამოწმებს გაგებას და არა დამახსოვრებას; დისკუსიაში მასწავლებელი დაუსაბუთებელ დებულებას აბრუნებს კითხვით „რომელი მტკიცებულება ადასტურებს ამას?“.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (ერთი მტკიცებულება + ერთი კითხვა); დაკვირვება წყვილების მუშაობაზე; რვეულის ცხრილების ადგილზე გადამოწმება.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი (2)-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის ელემენტების ურთიერთდაკავშირებით (დმანისელი ჰომინინის დახასიათება); ბ) საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შედარება მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციასთან (დმანისის ადგილი ადამიანის გავრცელების საერთო სურათში). შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ბიოლოგია: ევოლუციის, სახეობისა და ადაპტაციის ცნებები ბიოლოგიის კურსს უკავშირდება – დმანისელი ჰომინინის ტვინის მოცულობისა და გარეგნობის მონაცემები ამ თემის კონკრეტული მასალაა. გეოგრაფია (სამიზნე ცნებები – მოსახლეობა, მეურნეობა): კონტინენტები, მიგრაციის მარშრუტი და კონტურულ რუკაზე მუშაობა გეოგრაფიის უნარებს ამყარებს – საშინაო დავალება 1 შესაძლებელია გეოგრაფიის მასწავლებელთან შეთანხმებით შეფასდეს ორივე საგანში.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. გაიგო თუ არა კლასმა აღმოჩენების ჯაჭვის ლოგიკა – შეძლეს მოსწავლეებმა იმის ახსნა, რით გაამდიდრა თითოეულმა აღმოჩენამ უკვე არსებული ცოდნა, თუ მხოლოდ თარიღები დაიმახსოვრეს?
2. რამდენად გაართვა კლასმა თავი ფაქტისა და ვარაუდის გარჩევას „პორტრეტის“ შევსებისას – რომელი ფორმულირება გამოდგა რთული?
3. ახალი ტერმინები (ჰომინინი, ერექტუსი, გეორგიკუსი) ხომ არ აღრევია მოსწავლეებს ერთმანეთში და ღირს თუ არა მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში მათი გამეორება?
4. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რა კითხვები დარჩა მოსწავლეებს და რომელი მათგანი გამოდგება §7-ზე („ქვის ხანა საქართველოში“) გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები დმანისის შესახებ – თავის ქალების ფოტომასალა და ექსპოზიციის აღწერა; შესაძლებლობის შემთხვევაში, დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის სასწავლო ვიზიტი.
2. დავით ლორთქიფანიძის საჯარო ლექციები და ინტერვიუები დმანისის აღმოჩენებზე – ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე და კარგი მასალაა მასწავლებლის მოსამზადებლად.
3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ქვის ხანის თემაზე.
4. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.

## 7. ქვის ხანა საქართველოში

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ძირითად ასპექტს: ეპოქა ცხოვრების მთლიანი წესია და მისი შეცვლა ერთდროულად ეხება ტექნოლოგიას, საცხოვრებელს, საზოგადოებას და რწმენა-წარმოდგენებს. მოსწავლე ქვის ხანის საფეხურებს (ქვედა, შუა და ზედა პალეოლითი, მეზოლითი) სწორედ ამ ნიშნებით ადარებს ერთმანეთს.

სტანდარტის შედეგი: (2) საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: სხვადასხვა ეპოქის/პერიოდის შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით (ტექნოლოგიების დონე, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ყოველდღიური ცხოვრება); კონკრეტული ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით (ზედა პალეოლითი: ჰომო საპიენსი, ახალი იარაღი, გვაროვნული თემი, ტოტემიზმი).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ ქვის ხანის ქრონოლოგიური დაყოფა საქართველოში (პალეოლითი თავისი სამი საფეხურით, მეზოლითი) და ისწავლონ ეპოქების შედარება არსებითი ნიშნებით: რა იარაღი ჩნდება (შუბი, მშვილდ-ისარი), სად ცხოვრობს ადამიანი (გამოქვაბული, ღია სადგომი), როგორ ეწყობა საზოგადოება (ოჯახი, გვარი, გვაროვნული თემი) და რა რწმენა-წარმოდგენები ჩნდება (ტოტემიზმი). მოსწავლეები რუკა 4-ის დახმარებით ნახავენ, სად არის აღმოჩენილი ქვის ხანის ძეგლები საქართველოში, დააკვირდებიან კლიმატის გავლენას – რატომ ირჩევდა ადამიანი ზღვისპირა და ზომიერი ჰავის ადგილებს ზედა პალეოლითში და რატომ დატოვა გამოქვაბულები მეზოლითის დათბობისას. ისინი გაეცნობიან პატარა ხრამის პეტროგლიფებს – უძველეს კლდის მხატვრობას საქართველოში და გიორგი ჩიტაიას თვალსაზრისზე დაყრდნობით იმსჯელებენ ტოტემიზმზე. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მონაცემების სისტემატიზაციასა (სქემა, შედარების ცხრილი) და ისტორიულ წყაროზე მუშაობაზე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლემ სქემით წარმოადგინოს ქვის ხანის დაყოფა საქართველოში და რუკაზე აჩვენოს, რომელ რეგიონებშია აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქის ძეგლები;

2. მოსწავლემ შეადაროს ზედა პალეოლითი და მეზოლითი კლიმატის, საცხოვრებლის, იარაღისა და ცხოვრების წესის მიხედვით;

3. მოსწავლემ დაახასიათოს ზედა პალეოლითი, როგორც ცვლილებების ეპოქა – ჰომო საპიენსის ჩამოყალიბება, ახალი იარაღი, გვაროვნული თემი, ტოტემიზმი – და ეს ელემენტები ერთმანეთს დაუკავშიროს;

4. მოსწავლემ ახსნას, რას ნიშნავს ტოტემიზმი, დაასახელოს მისი ქართული მაგალითი; ახსნას, რას გვეუბნება პატარა ხრამის პეტროგლიფები მეზოლითელი ადამიანის ცხოვრებაზე.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

მოსწავლეებმა §3-დან იციან ქვის ხანის სამი პერიოდის სახელწოდებები, §6-დან – რომ საქართველოში ადამიანის კვალი 1,8 მილიონი წლის წინ იწყება და რომ დმანისელი ჰომინინი ქვის იარაღს ამზადებდა. §1-დან ახსოვთ საქართველოს რეგიონები, რაც რუკა 4-ზე

მუშაობისას გამოადგებათ. ეს გაკვეთილი ცოდნის ნაცნობ ჩარჩოს ახალი შინაარსით ავსებს: ზოგადი სახელწოდებების მიღმა მოსწავლე კონკრეტულ ცვლილებებს ხედავს – როგორ იცვლებოდა იარაღი, საცხოვრებელი პირობები და ცხოვრების წესი ეპოქიდან ეპოქამდე.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: გრაფიკული ორგანიზატორები (დაყოფის სქემა, შედარების ცხრილი); რუკაზე მუშაობა; ჯგუფური კითხვა; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გიორგი ჩიტაიას ტექსტი ბუნებისადმი პირველყოფილი ადამიანის დამოკიდებულებას აჩვენებს – ხე და ცხოველი მისთვის სულიერი არსება იყო. მასწავლებელი ამ მასალას მოსწავლეების დღევანდელ გამოცდილებას უკავშირებს: პატივისცემა ბუნებისადმი ქართული კულტურის უძველესი შრეა. პეტროგლიფებზე საუბრისას ბუნებრივად დგება ისტორიული ძეგლის დაცვის საკითხი.

კავშირი თანამედროვეობასთან: პატარა ხრამის პეტროგლიფები აჩვენებს, რომ გამოსახვის მოთხოვნილება ადამიანს ათასწლეულების წინ გაუჩნდა – მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ჰკითხოს, დღეს რა ფორმებით აკეთებს ადამიანი იმავეს (ფოტო, ნახატი, ვიდეო) და რას დაუტოვებს ჩვენი გამოსახულებები მომავლის მკვლევრებს. სვანური დროშის სახელწოდება „ლემ“ დღემდე ინახავს ტოტემური წარმოდგენის კვალს.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რა შეიცვლება მილიონ წელიწადში?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | კითხვა-პასუხი, დროის ხაზზე მუშაობა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ახსენებს წინა გაკვეთილს: დმანისელი ადამიანი 1,8 მილიონი წლის წინ ქვის იარაღს ამზადებდა. კითხვა კლასს: ქვის ხანა კიდევ დიდხანს გაგრძელდა – რა შეიძლებოდა შეცვლილიყო ამ ხნის განმავლობაში ადამიანის ცხოვრებაში?<br>2. მოსწავლეთა ვარაუდები დაფაზე ინიშნება სვეტებად: იარაღი, საცხოვრებელი, საზოგადოება, რწმენა – ეს სვეტები გაკვეთილის ბოლომდე რჩება და შედარების საყრდენი იქნება.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა იცვლებოდა ქვის ხანის ეპოქიდან ეპოქამდე და რა რჩებოდა უცვლელი?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები §6-ის ცოდნას ახალ ამოცანას უკავშირებენ; ოთხი სვეტი წინასწარ აძლევს კლასს შედარების კრიტერიუმებს (სამიზნე ცნება „დრო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ქვის ხანის რუკა და სქემა** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, გრაფიკული ორგანიზატორი, რუკაზე მუშაობა |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ პარაგრაფის შესავალ მონაკვეთს და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის სქემას: ქვის ხანა საქართველოში იწყება 1,8 მილიონი წლის წინ და იყოფა პალეოლითად, მეზოლითად და ნეოლითად; პალეოლითი – ქვედა, შუა და ზედა საფეხურებად.<br>2. კლასი რუკა 4-ზე მუშაობს პარაგრაფში დასმული კითხვებით 1 და 2: რომელ რეგიონებშია ნაპოვნი ქვის ხანის ძეგლები და როგორ ჯგუფდება ისინი ეპოქების მიხედვით. მოსწავლეები §1-ში ნასწავლ რეგიონებს იხსენებენ და პირობით ნიშნებს არჩევენ.<br>3. მასწავლებელი გერმანე გობეჯიშვილის თვალსაზრისზე დაყრდნობით აზუსტებს, რისგან მზადდებოდა იარაღი და რატომ შემორჩა ჩვენამდე მხოლოდ ქვის ნაკეთობები – ხის იარაღი არ ინახება. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ქვის ხანის დაყოფას სქემით და ძეგლების გავრცელებას რუკით ითვისებს – მუშავდება შედეგი 1. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ზედა პალეოლითი – ცვლილებების ეპოქა** |
|---|---|
| **დრო** | 13 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ჯგუფური კითხვა, წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთებს „ქვედა და შუა პალეოლითი“ და „ზედა პალეოლითი“ და დაფის ოთხ სვეტში წერენ, რა შეიცვალა ზედა პალეოლითში: იარაღი (ისრის წვერები, მშვილდი), საზოგადოება (ოჯახი – გვარი – გვაროვნული თემი), საცხოვრებელი (კლიმატის გაუარესების გამო ზღვისპირა და ზომიერი ადგილები), რწმენა (ტოტემიზმის ჩასახვა).<br>2. საერთო განხილვა პარაგრაფში დასმული კითხვებით 3 და 4: რა ცვლილება განიცადა ადამიანმა ზედა პალეოლითში და რა გავლენა მოახდინა კლიმატურმა ცვლილებებმა მის ცხოვრებაზე. მოსწავლეები ცხრილის („რა შეიცვალა ზედა პალეოლითიდან მეზოლითამდე“) პირველ სვეტს ავსებენ.<br>3. კლასი კითხულობს გიორგი ჩიტაიას ტექსტს და პასუხობს ტოტემიზმის შესახებ პარაგრაფში დასმულ კითხვას: რას ნიშნავს ტოტემიზმი და როგორ აისახა მგლის ტოტემი სვანურ დროშაზე. მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ ჩიტაიას ტექსტი წყაროა და მასზე წერითი მუშაობა სახლში გაგრძელდება. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ზედა პალეოლითის ერთიან სურათს კრავს ოთხივე ელემენტის დაკავშირებით – მუშავდება შედეგი 3 და ინდიკატორი: ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **დათბობა და პირველი ნახატები** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, შედარების ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთებს მეზოლითის ეპოქასა და მშვილდ-ისრის პირველ გამოსახულებაზე და შედარების ცხრილის მეორე სვეტს ავსებენ: დათბობა, გამოქვაბულის დატოვება და ღია სადგომები, მჭიდრო დასახლება, მშვილდ-ისრის დამკვიდრება.<br>2. საერთო განხილვა მეზოლითის შესახებ პარაგრაფში დასმული ორი კითხვით: რა გავლენა მოახდინა დათბობამ ადამიანის ცხოვრებაზე და რას გვეუბნება პატარა ხრამის კლდის მხატვრობა მეზოლითელი ადამიანის ცხოვრებაზე.<br>3. მასწავლებელი პეტროგლიფების ილუსტრაციაზე კლასთან ერთად პოულობს სამ მშვილდოსანს და აჯამებს: გამოსახულება ისეთივე მტკიცებულებაა, როგორც იარაღი – ის ადასტურებს, რომ მშვილდი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორ ეპოქას არსებითი ნიშნებით ადარებს – მუშავდება შედეგი 2 და ინდიკატორი: ეპოქების შედარება ტექნოლოგიის, ყოველდღიური ცხოვრებისა და რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **რა შეიცვალა და რა დარჩა?** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და დაფის ოთხი სვეტის მიხედვით აჯამებს: რა იცვლებოდა (იარაღი, საცხოვრებელი, საზოგადოების მოწყობა, რწმენა) და რა რჩებოდა უცვლელი (მეურნეობა მთელი ქვის ხანის განმავლობაში შემგროვებლობა და ნადირობა იყო).<br>2. მასწავლებელი ნიადაგს ამზადებს მომდევნო გაკვეთილისთვის: სწორედ უცვლელი ნაწილი – მეურნეობა – შეიცვლება ნეოლითში და ამ ცვლილებას „რევოლუცია“ ჰქვია.<br>3. გასასვლელი ბარათი: „დაასახელეთ ერთი ცვლილება, რომელიც ზედა პალეოლითში ან მეზოლითში მოხდა, და მიუთითეთ, რომელ სვეტს მიეკუთვნება; დაწერეთ ერთი კითხვა, რომელიც გაგიჩნდათ“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ეპოქათა შედარებას ოთხივე კრიტერიუმით აჯამებს – მუშავდება შედეგი 2; ხიდი ამზადებს §8-ის თემას. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (ქვის ხანის დაყოფის სქემა) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში.

2. შედარების ცხრილი „ზედა პალეოლითი – მეზოლითი“ – ივსება კლასში ორ ეტაპად: პირველი სვეტი მეორე აქტივობაში, მეორე სვეტი მესამეში.

3. დავალება 4 (გიორგი ჩიტაიას ტექსტზე მუშაობა) – ტექსტი და ტოტემიზმის კითხვა კლასში განიხილება, სამივე კითხვაზე (ა, ბ, გ) წერითი პასუხი კი საშინაო დავალებაა.

4. დავალება 1 (კონტურული რუკა) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: შედარების ცხრილში საბაზისო დონეა უჯრების შევსება ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, გაღრმავებული – ცვლილებათა მიზეზების ახსნა (რატომ დატოვა ადამიანმა გამოქვაბული); კონტურულ რუკაზე საბაზისო დონეა ძეგლების დატანა ლეგენდის მიხედვით, გაღრმავებული – მეხუთე პუნქტი: მდინარეებისა და მთიანი რეგიონების მონიშვნა და მსჯელობა, რატომ ირჩევდა ადამიანი ამ ადგილებს.

მხარდამჭერი სტრატეგიები: დაფის ოთხი სვეტი (იარაღი, საცხოვრებელი, საზოგადოება, რწმენა) მთელი გაკვეთილის განმავლობაში შედარების საყრდენია; ჯგუფურ კითხვაში როლები ნაწილდება; ტერმინები (ტოტემიზმი, პეტროგლიფი, ობსიდიანი) ლექსიკონის განმარტებებთან ერთად დაფაზე იწერება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, რუკით, პეტროგლიფების ფოტოთი და მისი გადახაზული სქემით, რეკონსტრუქციების ილუსტრაციებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია სქემით, ცხრილით, რუკაზე ჩვენებით, ზეპირი მსჯელობით ან შემოქმედებითი ტექსტით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ მეზოლითის ხანის მონადირე ხართ და პატარა ხრამის ხეობის კლდეზე ცხოველებისა და მშვილდოსნების გამოსახულებებს ხედავთ. დაწერეთ მოკლე ტექსტი: რისთვის შექმნეს ადამიანებმა ეს გამოსახულებები და რას ნიშნავს ისინი თქვენთვის, როგორც მონადირისთვის?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 5-7 წინადადება პირველ პირში – მეზოლითელი მონადირის თვალით დანახული;

2. ტექსტში გამოიყენეთ სულ მცირე ორი ფაქტი პარაგრაფიდან (მაგალითად: მშვილდ-ისარი ყოველდღიური იარაღია; ნადირობა მთავარი საქმიანობაა; გამოსახულებებში ცხოველები და მშვილდოსნები ჩანან);

3. გამოსახულებების დანიშნულებაზე ვარაუდის გამოთქმა თავისუფლად შეგიძლიათ, ოღონდ ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

მოსწავლის რვეულში: დავალება 1 – კონტურულ რუკაზე სამი ეპოქის ძეგლების დატანა სამი ფერითა და პირობითი ნიშნით, სახელწოდებების მიწერით და ლეგენდით; დავალება 4 – ჩიტაიას ტექსტის სამივე კითხვაზე (ა, ბ, გ) წერილობითი პასუხი კლასში განხილულის მიხედვით.

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგს 4, რვეულის დავალება 1 – შედეგს 1, დავალება 4 კი – შედეგებს 3 და 4.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: სქემისა და ცხრილის საერთო გადამოწმება მასწავლებელს აჩვენებს, ვინ როგორ აჯგუფებს ინფორმაციას; ჯგუფების პასუხებზე მასწავლებელი დამაზუსტებელ კითხვებს სვამს („რომელ სვეტს მიეკუთვნება ეს ცვლილება? რა იყო მისი მიზეზი?“); გასასვლელი ბარათი აჩვენებს, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ შედარების კრიტერიუმები.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (ერთი ცვლილება + სვეტი + ერთი კითხვა); დაკვირვება ჯგუფურ მუშაობაზე; ცხრილის ადგილზე გადამოწმება.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი (2)-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) ეპოქების/პერიოდების შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით (ზედა პალეოლითისა და მეზოლითის შედარება); ბ) ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის ელემენტების ურთიერთდაკავშირებით (ზედა პალეოლითის დახასიათება). შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალებების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ვიზუალური ხელოვნება: პატარა ხრამის პეტროგლიფები გამოსახვის უძველესი ფორმაა – შესაძლებელია ხელოვნების გაკვეთილთან დაკავშირება, სადაც მოსწავლეები კლდის მხატვრობის სტილს გაეცნობიან ან საკუთარ „პეტროგლიფს“ შექმნიან. გეოგრაფია (სამიზნე ცნებები – მოსახლეობა, მეურნეობა): კლიმატის ცვლილების გავლენა დასახლებაზე და კონტურულ რუკაზე მუშაობა გეოგრაფიის უნარებს ამყარებს.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. იმუშავა თუ არა ოთხი სვეტის სისტემამ – შეძლეს მოსწავლეებმა ცვლილებების კრიტერიუმებით დაჯგუფება, თუ ფაქტები ზოგადად ჩამოთვალეს?

2. შედარების ცხრილის ორეტაპიანი შევსება რამდენად გამართლდა – ხომ არ დაიკარგა კავშირი პირველ და მეორე სვეტს შორის?

3. ტოტემიზმის განხილვისას რამდენად გაარჩიეს მოსწავლეებმა რწმენა-წარმოდგენა და ისტორიული ფაქტი – გ. ჩიტაიას ტექსტის რომელი ადგილი საჭიროებს დაზუსტებას საშინაო დავალების შემოწმებისას?

4. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რა კითხვები დარჩა მოსწავლეებს და როგორ გამოვიყენებ დასკვნით ნაწილში გადებულ ხიდს §8-ის („ნეოლითური რევოლუცია“) გახსნისას?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები ქვის ხანის ძეგლებზე (ძუძუანა, საკაჟია, დევისხვრელი) – ფოტომასალა და ექსპოზიციების აღწერა.

2. პატარა ხრამის პეტროგლიფების ფოტო- და ვიდეომასალა (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რესურსები) – მესამე აქტივობისა და საშინაო დავალებისთვის.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ქვის ხანის თემაზე – ინტერაქტიული სავარჯიშოები და ილუსტრაციები.

4. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.

## 8. ნეოლითური რევოლუცია

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ცენტრალურ ასპექტს: ეპოქის ცალკე გამოყოფა კონკრეტულ კრიტერიუმს ეყრდნობა. მოსწავლე არკვევს, რა ცვლილებების გამო დამკვიდრდა ტერმინი „ნეოლითური „რევოლუცია“ და რით იწყება ახალი, ენეოლითის ეპოქა. დამატებით მუშავდება ცნების „ისტორიული მოვლენა, ფაქტი, პროცესი“ ერთი ასპექტი: ნეოლითური რევოლუცია ათასწლეულების პროცესია და მაინც „რევოლუციად“ იწოდება – მოსწავლე ხედავს განსხვავებას ერთჯერად მოვლენასა და ხანგრძლივ პროცესს შორის.

სტანდარტის შედეგი: (2) საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორებს: პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა – რა ფაქტორები განაპირობებს ნეოლითისა და ენეოლითის ცალკე ეპოქებად გამოყოფას; ეპოქების შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით (მეურნეობის ფორმა, იარაღის მასალა, ცხოვრების წესი).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რატომ ითვლება ნეოლითი გარდამტეხ ეპოქად: მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დაწყებამ ადამიანი მომთაბარე შემგროვებლიდან ბინადარ მიწათმოქმედად აქცია და ამ ცვლილებას ჯაჭვისებურად მოჰყვა: მუდმივი დასახლება, ახალი იარაღები (თოხი, ნამგალი, კავი, ხელსაფქვავი), ახალი ტიპის საცხოვრებელი. მოსწავლეები ოთარ ლორთქიფანიძის თვალსაზრისზე დაყრდნობით განიხილავენ მიწის დამუშავების ეტაპებსა და შესაბამის იარაღებს, ხოლო ენეოლითის შესახებ მონაკვეთით გაიგებენ, როგორ გადადგა ადამიანმა პირველი ნაბიჯი ლითონისკენ – სპილენძის ცივად ჭედვიდან დნობა-ჩამოსხმამდე და რატომ ჩაეყარა ამით საფუძველი მეტალურგიას. გრძელდება მუშაობა მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგებაზე, წყაროზე მუშაობასა და ეპოქების შედარებაზე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე აგებს მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს: დაკვირვება ბუნებაზე – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა – მკვიდრი დასახლება – იარაღების სრულყოფა – და ამ ჯაჭვით ასაბუთებს, რატომ ეწოდება ეპოქას „რევოლუცია”;

მოსწავლე ასახელებს ნეოლითის ხანის იარაღებს, მიუთითებს მათ მასალასა და დანიშნულებას და წყაროზე დაყრდნობით ხსნის, რატომ სჭირდებოდა მიწის დამუშავების სხვადასხვა ეტაპს სხვადასხვა იარაღი;

მოსწავლე ხსნის ტერმინს „ენეოლითი”, აღწერს სპილენძის დამუშავების ორ ხერხს – ცივად ჭედვასა და დნობა-ჩამოსხმას – და ასახელებს დნობა-ჩამოსხმის მნიშვნელობას მეტალურგიის დასაწყისისთვის;

მოსწავლე განასხვავებს ერთჯერად მოვლენასა და ხანგრძლივ პროცესს და ხსნის, რატომ ჰქვია ათასწლეულების პროცესს „რევოლუცია”.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

წინა გაკვეთილზე კლასმა გააცნობიერა, რომ ქვის ხანის ეპოქებში ბევრი რამ იცვლებოდა, მაგრამ მეურნეობა – შემგროვებლობა და ნადირობა – უცვლელი რჩებოდა. მოსწავლეებმა §3-დან იციან ნეოლითისა და ენეოლითის ტერმინების ეტიმოლოგია („ნეოს“ – ახალი, „ენეოს“ –

სპილენძი), §4-დან კი ახსოვთ ინგა მარტყოფლიშვილის კვლევა – ნეოლითში მარცვლეულის მოყვანა დაიწყო და კვების რაციონი გაუმჯობესდა.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება; ტექსტსა და წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; გრაფიკული ორგანიზატორები (ჯაჭვი, იარაღების ცხრილი); ჯგუფური და წყვილებში მუშაობა; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ნეოლითის მასალა შრომის მნიშვნელობას კონკრეტულად აჩვენებს: მოსავალისთვის საჭიროა ნათესის მოვლა, იარაღი კი ეტაპობრივი სრულყოფის შედეგია. მასწავლებელი ამ აზრს ტექსტიდანვე იღებს – „თუ ნათესს მოუვლიდა, მოსავალი ორმაგდებოდა“ და მოსწავლეებს დაფიქრებისკენ უბიძგებს: დიდი ცვლილება დაკვირვებით და თანმიმდევრული შრომით იწყება.

კავშირი თანამედროვეობასთან: ტერმინი „რევოლუცია“ დღესაც გამოიყენება ცხოვრების წესის ძირეული ცვლილების აღსანიშნავად – მოსწავლეები იხსენებენ მათთვის ნაცნობ ტერმინებს (ინდუსტრიული, ტექნოლოგიური, ციფრული რევოლუცია) და ადარებენ მათ ნეოლითურ რევოლუციას-როგორ იცვლება თითოეული მათგანის დროს ადამიანის საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და ყოველდღიური ცხოვრება.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **„ნელი რევოლუცია“** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ეკითხება: რას ნიშნავს სიტყვა „რევოლუცია“? პასუხები ჯამდება – სწრაფი, ძირეული ცვლილება.<br>2. მასწავლებელი საუბრობს ერთგვარ პარადოქსზე – ნეოლითური ეპოქა ათასწლეულები გრძელდებოდა და მაინც „რევოლუცია“ ჰქვია. კლასი წინა გაკვეთილის დასკვნას იხსენებს – ქვის ხანაში მეურნეობა უცვლელი რჩებოდა – და ვარაუდობს, რა უნდა შეცვლილიყო.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა შეცვალა მიწათმოქმედებამ ისე ძირეულად, რომ ამ ეპოქას რევოლუცია ეწოდა?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | პარადოქსი მოტივაციას ქმნის და მოსწავლეებს მოვლენისა და პროცესის განსხვავებაზე აფიქრებს (სამიზნე ცნებები „დრო“ და „პროცესი“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ცვლილებების ჯაჭვი** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „მიწათმოქმედების დასაწყისი“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის ჯაჭვს: დაკვირვება თესლზე – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა – მკვიდრი დასახლება – იარაღების სრულყოფა და ახალი ტერიტორიების ათვისება.<br>2. ჯაჭვი დაფაზეც იგება; ყოველ რგოლზე მასწავლებელი ეკითხება კლასს: რატომ მოჰყვა ეს შედეგი წინა რგოლს? ასე ირკვევა პარაგრაფში დასმული კითხვა 1 – რა რევოლუციური ცვლილებები მოხდა ადამიანის ცხოვრებაში.<br>3. პარაგრაფში დასმულ მე-2 კითხვაზე მოსწავლეები მოკლედ მსჯელობენ ნეოლითელი ადამიანის პერსპექტივიდან: თუკი აქამდე მათი წინაპრები საკვების საძებნელად მუდმივად გადაადგილდებოდნენ, რატომ დააკავშირა მიწათმოქმედებამ ადამიანი ერთ ადგილს? მასწავლებელი პასუხებს მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს უკავშირებს – ნათესი მოვლას ითხოვს, მოვლა კი – ადგილზე ყოფნას. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე „რევოლუციის“ არსს მიზეზშედეგობრივი ჯაჭვით ხსნის – მუშავდება შედეგი 1 და ინდიკატორი: პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ნეოლითის პერიოდის იარაღები** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით, ცხრილის შევსება |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთს მესაქონლეობასა და იარაღებზე და ოთარ ლორთქიფანიძის ტექსტს ირმის რქის კავზე; ტექსტებიდან ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის ცხრილს: თოხი, ნამგალი, კავი, ხელსაფქვავი და ფილთაქვა, ქვის დანა – რისგან მზადდებოდა და რისთვის იყენებდნენ.<br>2. საერთო განხილვა პარაგრაფში დასმული კითხვებით 3, 4 და 5: რა მასალისგან მზადდებოდა იარაღი; რომელი ორი ნიშნის გამო მიიჩნევენ ირმის რქას სახვნელად (სიგრძე და საგანგებო გაპრიალება); რატომ სჭირდებოდა მიწის დამუშავების სხვადასხვა ეტაპს (გაფხვიერება, ხვნა, მკა) სხვადასხვა იარაღი.<br>3. მასწავლებელი ნეოლითური საცხოვრებლის ნახაზსა და რეკონსტრუქციას აჩვენებს: მკვიდრმა ცხოვრებამ მუდმივი სახლიც მოითხოვა – კერით, საკვამურითა და საოჯახო ნივთების კუთხით. ეს ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლია. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე იარაღების სისტემას მეურნეობის ეტაპებს უკავშირებს და წყაროზე დაყრდნობით ასაბუთებს დასკვნას – მუშავდება შედეგი 2. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **პირველი ნაბიჯი ლითონისკენ** |
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, შედარება |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ენეოლითის ეპოქა“ და პასუხობენ პარაგრაფში დასმულ კითხვებს 6 და 7: რას ნიშნავს „ენეოლითი“ და რა მსგავსება-განსხვავებაა სპილენძის კრისტალებისა და ქვის დამუშავებას შორის – თავიდან ადამიანი სპილენძს ისევე ამუშავებდა, როგორც ქვას.<br>2. საერთო განხილვა პარაგრაფში დასმული მე-8 კითხვის მიხედვით: რომელი აღმოჩენით დასრულდა ნეოლითი (სპილენძის დნობა მაღალ ტემპერატურაზე და ყალიბში ჩასხმისას ფორმის შენარჩუნება) და რატომ ჩაეყარა ამით საფუძველი მეტალურგიას.<br>3. მასწავლებელი მეცნიერის თვალსაზრისზე დაყრდნობით აზუსტებს: ენეოლითში ლითონის ნივთი ჯერ კიდევ იშვიათია და ძირითადი მასალა ქვის იარაღია – ეპოქათა ცვლა თანდათანობითი პროცესია და არა ერთბაშადი გარდატეხა. რუკა 5-ზე კლასი ენეოლითური ძეგლების გავრცელების არეალს იკვლევს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ენეოლითს ნეოლითისგან არსებითი ნიშნით – ლითონის გამოჩენით – მიჯნავს და ხედავს გარდამავალი ეპოქის ბუნებას – მუშავდება შედეგი 3 და ინდიკატორი: ეპოქების შედარება არსებითი ნიშნებით. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რევოლუცია თუ პროცესი?** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და დაფაზე გამოსახული ჯაჭვის საფუძველზე პასუხობს: რა შეცვალა მიწათმოქმედებამ, სად ცხოვრობს, რას საქმიანობს და რა იარაღით მუშაობს ადამიანი – ცვლილება ნელი იყო, შედეგი კი ძირეული. ამიტომ ხანგრძლივ პროცესსაც შეიძლება „რევოლუცია“ ეწოდოს.<br>2. კავშირი თანამედროვეობასთან: მასწავლებელი ეკითხება კლასს, კიდევ რომელი „რევოლუციები“ სმენიათ (ინდუსტრიული, ციფრული) და რა აქვთ მათ საერთო ნეოლითურ რევოლუციასთან.<br>3. გასასვლელი ბარათი: „დაასრულეთ წინადადება: ნეოლითს რევოლუცია ჰქვია, რადგან... – და დაწერეთ ერთი კითხვა, რომელიც გაგიჩნდათ“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მოვლენისა და პროცესის განსხვავებას საკუთარი სიტყვებით აყალიბებს – მუშავდება შედეგი 4. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში; ჯაჭვი პარალელურად დაფაზეც იგება.

2. დავალება 3 (ნეოლითის იარაღების ცხრილი) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში; მონაცემები ტექსტიდან და ლორთქიფანიძის წყაროდან იკრიბება.

3. დავალება 4 (ლორთქიფანიძის ტექსტზე მუშაობა) – წყარო კლასში განიხილება (კითხვები 4 და 5), სამივე კითხვაზე (ა, ბ, გ) წერითი პასუხი კი საშინაო დავალებაა.

4. დავალება 1 (კონტურული რუკა) და დავალება 5 (სპილენძის აღმოჩენის მნიშვნელობა) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგებისას საბაზისო დონეა უჯრების შევსება ტექსტიდან, გაღრმავებული – რგოლებს შორის კავშირის ახსნა („რატომ მოჰყვა?“); კონტურულ რუკაზე მუშაობის საბაზისო დონეა ძეგლების დატანა ლეგენდის გამოყენებით, გაღრმავებული – მეხუთე პუნქტი: ნასახლართა ადგილმდებარეობის დაკავშირება მიწათმოქმედების დაწყებასთან; საშინაო დავალებაში მოსწავლე არჩევანს აკეთებს შემოქმედებით და ანალიტიკურ ვარიანტებს შორის.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ჯაჭვისა და ცხრილის სტრიქონები მოსწავლეს კარნახობს რა ინფორმაცია მოიძიოს ტექსტში; ტერმინები (ნეოლითი, ყალიბი, ცივად ჭედვა, მეტალურგია) ლექსიკონის განმარტებებთან ერთად დაფაზე იწერება; ჯგუფურ მუშაობაში როლები

ნაწილდება; ლორთქიფანიძის ტექსტს მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს იქვე განმარტავს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, რუკით, იარაღებისა და საცხოვრებლის რეკონსტრუქციებით, ნახაზით და QR-კოდით მითითებული ვიდეომასალით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ჯგაჭვით, ცხრილით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

წერითი დავალება – არჩევით, ორიდან ერთი:

1. პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1 (შემოქმედებითი): წარმოიდგინეთ, რომ ენეოლითის ხანაში ცხოვრობთ და შემთხვევით შეამჩნიეთ, რომ ცეცხლში მოხვედრილი სპილენძი დნება და ფორმას იცვლის. დაწერეთ 5-7 წინადადება პირველ პირში და იმსჯელეთ, როგორ შეცვლის ეს აღმოჩენა თქვენი თემის ყოველდღიურ ცხოვრებას – შეეხეთ სამივე მიმართულებას, რომელსაც დავალება ასახელებს: შრომას, იარაღების დამზადებას და სამკაულებს;

2. მოსწავლის რვეულის დავალება 5 (ანალიტიკური): ახსენით, რატომ ითამაშა სპილენძის დნობის აღმოჩენამ უდიდესი როლი კაცობრიობის განვითარებაში – ახსნაში გამოიყენეთ ტერმინები „ყალიბი“ და „მეტალურგია“ და მიუთითეთ, რა ვერ გაკეთდებოდა ცივად ჭედვით.

მოსწავლის რვეულში ასევე სრულდება: დავალება 1 – კონტურულ რუკაზე ნეოლითისა და ენეოლითის ნასახლარების დატანა ორი ფერით, მდინარეების მონიშვნით და ლეგენდით; დავალება 4 – ლორთქიფანიძის ტექსტის სამივე კითხვაზე (ა, ბ, გ) წერითი პასუხი კლასში განხილულის მიხედვით.

არჩევითი დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგებს 3 და 4, რვეულის დავალება 1 – შედეგს 1, დავალება 4 კი – შედეგს 2.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: ჯგაჭვის აგებისას კითხვა „რატომ მოჰყვა ეს შედეგი წინა რგოლს?“ ამოწმებს მიზეზშედეგობრივი კავშირის გაგებას; ცხრილის საერთო გადამოწმება აჩვენებს, ვინ როგორ კრებს ინფორმაციას ორი წყაროდან; გასასვლელი ბარათის დაუსრულებელი წინადადება ზომავს, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ „რევოლუციის“ არსი.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (დაუსრულებელი წინადადება + ერთი კითხვა); დაკვირვება წყვილებისა და ჯგუფების მუშაობაზე; ჯგაჭვისა და ცხრილის ადგილზე გადამოწმება.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება სტანდარტის შედეგი (2)-ის შემდეგი ინდიკატორები: ა) პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა – რა ფაქტორები განაპირობებს ნეოლითისა და ენეოლითის ცალკე ეპოქებად გამოყოფას; ბ) ეპოქების შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალებების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: თესლის აღმოცენება და მცენარის მოვლა ბიოლოგიის თემაა, სპილენძის დნობა და ფორმის შენარჩუნება კი ნივთიერების თვისებების საკითხი – ორივე შესაძლებელია საბუნებისმეტყველო გაკვეთილთან დაკავშირდეს. გეოგრაფია (სამიზ-

ნე ცნებები – მოსახლეობა, მეურნეობა): ნასახლართა განლაგება მდინარეების გასწვრივ და მორწყვის საჭიროება გეოგრაფიის კურსის უშუალო გადაკვეთაა – კონტურული რუკის მეხუთე პუნქტი სწორედ ამ კავშირს ამუშავებს.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. გაიგო თუ არა კლასმა მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის ლოგიკა – შეძლეს მოსწავლეებმა რგოლებს შორის კავშირის ახსნა, თუ უჯრებში პასუხები ტექსტიდან გადმოწერეს?
2. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რამდენმა მოსწავლემ ახსნა „რევოლუციის“ არსი საკუთარი სიტყვებით და ვისთან დამჭირდება დამატებითი განმარტება მოვლენისა და პროცესის განსხვავებაზე?
3. ხომ არ აღრევიათ მოსწავლეებს ნეოლითი და ენეოლითი ერთმანეთში – ღირს თუ არა მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში ეტიმოლოგიის („ნეოს“, „ენეოს“) გამეორება?
4. რას აჩვენებს არჩევითი საშინაო დავალების შედეგები – რომელი ვარიანტი აირჩია კლასის უმრავლესობამ და როგორ გამოვიყენებ ამას მომდევნო არჩევითი დავალებების დაგეგმვისას?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები ნეოლითისა და ენეოლითის ძეგლებზე – ნასახლართა მასალისა და იარაღების ფოტოები.
2. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ნეოლითური რევოლუციის თემაზე – ილუსტრაციები და ინტერაქტიული სავარჯიშოები.
3. ოთარ ლორთქიფანიძის შრომები საქართველოს უძველესი მეურნეობის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.
4. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.

## 9. ხორბლისა და ღვინის უძველესი კერები საქართველოში

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას მსოფლიო ჩარჩოსთან ერთად თავისებურებებიც აქვს: ნეოლითური რევოლუციის ქართული მასალა ქვეყანას ხორბლისა და ვაზის წარმოშობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ კერად წარმოაჩენს, მევენახეობის ტრადიცია კი ნეოლითიდან დღემდე უწყვეტია. დამატებით მუშავდება ცნება „ისტორიული წყარო“: მოსწავლე პირველად ხვდება წერილობით ცნობას ქართული ტომების შესახებ (ქსენოფონტი) და ხედავს, როგორ ამტკიცებს ერთსა და იმავე დებულებას სამი სხვადასხვა ტიპის მასალა.

სტანდარტის შედეგი: (2) საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით – ინდიკატორი: საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისა და პროცესების შედარება მსოფლიო ისტორიასთან და თავისებურებების გამოკვეთა (წარმოშობის დამოუკიდებელი კერა). ამასთან აქტიურდება შედეგი (1)-ის ინდიკატორი: სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირებული გამოყენება კონკრეტული პროცესის დასახასიათებლად (არქეოლოგიური მასალა, წერილობითი ცნობა, ეთნოგრაფიული პარალელი).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გაიაზრონ, რატომ ითვლება საქართველო ხორბლისა და ვაზის მოშენების ერთ-ერთ უძველეს კერად: არუხლოში ნაპოვნი ხორბლის 8 სახეობა (ველური და კულტურული), გადაჭრილი გორის ძვ. წ. VI ათასწლეულის ვაზის წიპწები, ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილი საღვინე ჭურჭელი, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი საწნახლები. მოსწავლეები გაეცნობიან ქსენოფონტის ცნობას – პირველ წერილობით წყაროს ქართული ტომების შესახებ და II თავში ათვისებული ინფორმაციით შეაფასებენ მას: ისინი ააგებენ უწყვეტი ტრადიციის ჯაჭვს ნეოლითის წიპწებიდან დღევანდელ ქვევრამდე და ისწავლიან განსხვავებული ტიპის მტკიცებულებების ერთმანეთთან დაკავშირებას: არქეოლოგია, წერილობითი წყარო და ეთნოგრაფიული პარალელი ერთსა და იმავე დასკვნას ამყარებს. გაკვეთილი აჯამებს III თავს და მოსწავლეს აჩვენებს, რომ ეროვნული მემკვიდრეობის შესახებ დებულებები მეცნიერული მტკიცებულებებით მყარდება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ასახელებს ხორბლისა და ვაზის უძველეს აღმოჩენებს, მიუთითებს მათ ადგილს და ხსნის, რას ამტკიცებს თითოეული;

2. მოსწავლე აფასებს ქსენოფონტის ცნობას წყაროს სანდოობის წესებით (ვინ წერს და საიდან იცის) და ხსნის, რას ამატებს წერილობითი ცნობა არქეოლოგიურ აღმოჩენებს;

3. მოსწავლე ხსნის, როგორ ადგენენ მეცნიერები უძველესი ნივთების დანიშნულებას (ბრინჯაოს სასხლავისა და საწნახლების მაგალითზე), და აგებს მევენახეობის უწყვეტი ტრადიციის ჯაჭვს ნეოლითიდან დღემდე;

4. მოსწავლე განმარტავს ფრაზას „წარმოშობის დამოუკიდებელი კერა” და საკუთარ მოსაზრებას მტკიცებულებით ასაბუთებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

ეს გაკვეთილი წინა სამივე გაკვეთილს ეყრდნობა: §8-დან მოსწავლეებმა იციან, რა არის ნეოლითური რევოლუცია და სად მდებარეობს ქვემო ქართლის ნასახლარები (რუკა 5), §4-

დან ახსოვთ, რომ მცენარის თესლი და მტვერიც კი ინფორმაციის წყაროა, §5-დან კი – წყაროს სანდოობის ორი კითხვა: ვინ წერს და საიდან იცის. I თავიდან იციან, რომ ვაზი და ხორბალი საქართველოში 8000 წლის წინ მოჰყავდათ. ახლა ეს ფაქტი მტკიცებულებებით შეივსება – გაკვეთილი აჩვენებს, საიდან მოდის ეს ცოდნა და როგორ დგინდება.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: მტკიცებულებათა ცხრილის შედგენა; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; ჯგუფური და წყვილებში მუშაობა; ჯაჭვის აგება; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: მოსწავლე ხედავს, რომ ხორბლისა და ღვინის უძველესი კერის შესახებ დებულება მეცნიერული დასკვნაა და იუნესკოს ნუსხითა და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის შეფასებითაა გამყარებული. წინაპართა შრომის დაფასებაც კონკრეტულ მასალას ეფუძნება: 8 სახეობის ხორბალი ხანგრძლივი ხალხური სელექციის შედეგია.

კავშირი თანამედროვეობასთან: უწყვეტი ტრადიცია დღესაც ცოცხალია: ქვევრის ღვინის დაყენების ქართული მეთოდი იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაშია, ქართული ღვინო კი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქტია. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ჰკითხოს, სად შეხვედრიათ ქვევრი ან ძველი ჯიშის ხორბლისგან გამომცხვარი პური.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რას ნიშნავს ეს რიცხვები?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს ოთხ რიცხვს – 8000, 530, 15, 5 – და კლასს ეკითხება: ყველა ეს რიცხვი დღევანდელ თემას უკავშირდება – რას შეიძლება ნიშნავდეს თითოეული? ვარაუდები დაფაზე ინიშნება.<br>2. მასწავლებელი აცხადებს, რომ კითხვას პასუხებს გაკვეთილის ბოლოს თავად მოსწავლეები გასცემენ, და §8-ის ერთ-ერთ დებულებას ახსენებს მოსწავლეებს: ნეოლითურმა რევოლუციამ საქართველოში განსაკუთრებული კვალი დატოვა.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ მტკიცდება, რომ საქართველო ხორბლისა და ღვინის ერთ-ერთი უძველესი კერაა?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | გამოუცნობი რიცხვები ინტერესს იწვევს და გაკვეთილს ერთიან ამოცანად კრავს; დასკვნით ნაწილში მათთან დაბრუნება ნასწავლის შემოწმების ბუნებრივი ფორმა იქნება. |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | მტკიცებულებათა საქმე |
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, მტკიცებულებათა ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთებს „ნეოლითის ეპოქის მეურნეობა“ და „ხორბლისა და ვაზის უძველესი ნიმუშები“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილს: ოთხი აღმოჩენა (ხორბლის 8 სახეობა, ვაზის წიპწები, საღვინე ჭურჭელი, საწნახლები) – სად აღმოაჩინეს და რას ამტკიცებს ეს აღმოჩენა.<br>2. საერთო გადამოწმებისას მასწავლებელი პარაგრაფში დასმულ კითხვებს 1, 2 და 3 სვამს: რას გვიჩვენებს ნეოლითური ნასახლარები, რას გვეუბნება არუხლოს აღმოჩენები სასოფლო-სამეურნეო ცოდნაზე და რას მიანიშნებს ველური და კულტურული ჯიშების ერთად არსებობა (ხანგრძლივ ხალხურ სელექციას).<br>3. კლასი კითხულობს ნანა რუსიშვილის თვალსაზრისს და პარაგრაფში დასმულ კითხვებზე 6 და 7 მსჯელობს: რა დასკვნა გააკეთა მკვლევარმა და როგორ ესმით ფრაზა „წარმოშობის დამოუკიდებელი კერა“ – ხორბალი ადგილზე მოჰყავდათ და სხვადასხვა ჯიში გამოჰყავდათ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე დებულებას მტკიცებულებათა ცხრილით ამყარებს – მუშავდება შედეგები 1 და 4 და ინდიკატორი: საქართველოს პროცესების თავისებურებების გამოკვეთა მსოფლიო ფონზე. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **პირველი წერილობითი მოწმე** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს მიმართავს: დღეს პირველად ვხვდებით წერილობით წყაროს, რომელიც ქართულ ტომებზე მოგვითხრობს. წყვილები კითხულობენ ქსენოფონტის ცნობას და პასუხობენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის სამივე კითხვას (ა, ბ, გ).<br>2. საერთო განხილვა §5-ის წესებით: ვინ წერს – ძველი ბერძენი მეომარი და მემატიანე; საიდან იცის – თვითმხილველია, ლაშქართან ერთად თავად იყო ამ სოფლებში. მოსწავლეები ასკვნიან, რომ ეს პირველადი წყაროა და მისი ცნობა განსაკუთრებით სანდოა.<br>3. პარაგრაფში დასმული კითხვა 9-ზე პასუხით კლასი აჯამებს, რას გვეუბნება ქსენოფონტი ღვინის რაოდენობასა და შენახვის წესზე, და პასუხობს დავალების გ) კითხვას: წერილობითი ცნობა არქეოლოგიურ აღმოჩენებს ადასტურებს და ავსებს – ძვ. წ. V საუკუნეშიც ღვინო ყოფის ჩვეულებრივი ნაწილია. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე II თავში ათვისებულ სანდოობის წესებს ახალ წყაროზე იყენებს – მუშავდება შედეგი 2 და ინდიკატორი: სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირება. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **უწყვეტი ტრადიციის ჯაჭვი** |
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა, ჯაჭვის აგება |
| **მსვლელობა** | 1. კლასი კითხულობს ანდრია ლეკიაშვილის თვალსაზრისს და პარაგრაფში დასმულ კითხვა 10-ზე პასუხობს: როგორ დაადგინეს მეცნიერებმა ნივთების დანიშნულება – ბრინჯაოს მოღუნული დანა კახელი მევენახის რკინის სასხლავს შეადარეს (ეთნოგრაფიული პარალელი), უფლისციხის დიდი და პატარა აუზების კავშირი კი საწნახელისა და “სატკბილის” აგებულებამ ახსნა.<br>2. დაფაზე იგება უწყვეტი ტრადიციის ჯაჭვი: ნეოლითური ხანის წიპწები და საღვინე ჭურჭელი – ქსენოფონტის ცნობა (ძვ. წ. V ს.) – ბრინჯაოს სასხლავი – უფლისციხის საწნახლები – შუა საუკუნეების საწნახელი იყალთოში – დღევანდელი ქვევრი. კლასი პარაგრაფში დასმულ კითხვა 5-ს პასუხობს: სწორედ ამ ჯაჭვს ჰქვია „უწყვეტი ტრადიცია“.<br>3. მასწავლებელი აქტივობას პარაგრაფში დასმული კითხვით (N8) ასრულებს: იუნესკომ „ქართული ხორბლის კულტურა“ არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა – რატომ არის ხორბალი და ღვინო ქვეყნისთვის მეტი, ვიდრე მხოლოდ საკვები და სასმელი? |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ხედავს, როგორ ერწყმის ერთ დასკვნაში არქეოლოგია, წერილობითი წყარო და ეთნოგრაფია – მუშავდება შედეგი 3. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ციფრები ლაპარაკობენ** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი სავარჯიშო, გასასვლელი ბარათი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება გახსნის აქტივობისას დაფაზე ჩამოწერილ რიცხვებს და მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს: 20/15/5 – ხორბლის სახეობები, 530 – ვაზის ჯიშები, 8000 – ღვინის წარმოების ისტორია, 3000 – ბრინჯაოს სასხლავის ხნოვანება; თითოეულის მნიშვნელობას ერთი წინადადებით ხსნიან.<br>2. სწრაფი გადამოწმებისას კლასი თავდაპირველად გამოთქმულ ვარაუდებს ადარებს ბოლო პასუხებს და საკვანძო კითხვას პასუხობს: დებულება მტკიცდება აღმოჩენებით, წერილობითი ცნობით და უწყვეტი ტრადიციით.<br>3. მასწავლებელი აჯამებს III თავს: ქვის ხანის ეპოქებმა გვაჩვენა, როგორ იცვლებოდა ადამიანის ცხოვრება და როგორ დგინდება ეს ცოდნა.<br>4. გასასვლელი ბარათი: „დაასახელეთ ერთი მტკიცებულება, რომელიც ყველაზე დამაჯერებლად მოგეჩვენათ, და ახსენით, რატომ“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე აანალიზებს მიწათმოქმედების განვითარების ტრადიციას საქართველოში, აცნობიერებს, თუ რატომ არის თანამედროვეობისთვის მნიშვნელოვანი ის, რომ საქართველო წარმოადგენდა ღვინისა და ხორბლის წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერას. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 („მტკიცებულებათა საქმე“) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, ჯგუფებში.

2. დავალება 3 (ქსენოფონტის ცნობაზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, წყვილებში; პასუხები რვეულში იწერება.

3. დავალება 2 („ციფრები ლაპარაკობენ“) – სრულდება კლასში, დასკვნით აქტივობაში, ინდივიდუალურად – გახსნისას გამოთქმული ვარაუდების შესამოწმებლად.

4. დავალება 4 (იუნესკო და „წარმოშობის დამოუკიდებელი კერა“) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

5. III თავის შემაჯამებელი დავალებები – რვეულში §9-ს მოსდევს; რეკომენდებულია მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში, თავის გასამეორებლად.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მტკიცებულებათა ცხრილში საბაზისო დონეა აღმოჩენის ადგილის მითითება, გაღრმავებული – სვეტი „რას ამტკიცებს“, სადაც აღმოჩენა დასკვნას უნდა დაუკავშირდეს; ქსენოფონტის ცნობის შესახებ დავალებაში ა) და ბ) კითხვები ტექსტის

ინფორმაციას უკავშირდება, გ) კი წყაროთა ტიპების შედარებას მოითხოვს – ეს ბუნებრივი საფეხურებია სხვადასხვა მზაობის მოსწავლისთვის.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ცხრილების სტრიქონები მოსწავლეს კარნახობს, რა მოძებნოს ტექსტში; ქსენოფონტის წყაროს მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს იქვე განმარტავს; ტერმინები (ენდემური, სელექცია, არტეფაქტი) ლექსიკონის განმარტებებთან ერთად დაფაზე იწერება; ჯგუფურ მუშაობაში როლები ნაწილდება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, რუკით, ფოტოებით (ქვევრი, საწნახლები, ხორბლის ყანა, გადაჭრილი გორის მუზეუმი) და QR-კოდით მითითებული ვიდეომასალით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით, ჯაჭვის აგებით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ მოგზაურობთ უფლისციხეში და უცხოელ სტუმრებს უნდა მოუყვეთ ქართული მევენახეობის უძველეს ისტორიაზე. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც გამოიყენებთ გაკვეთილიდან მიღებულ ცოდნას – არქეოლოგიური აღმოჩენების, საწნახლის, სამეურნეო იარაღისა და მევენახეობის შესახებ.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 6-8 წინადადება, თითქოს სტუმრებს უფლისციხის საწნახლებთან ესაუბრებით – მარტივი, გასაგები ენით;

2. ტექსტში გამოიყენეთ სულ მცირე სამი მტკიცებულება სამი სხვადასხვა ტიპისა: ერთი არქეოლოგიური აღმოჩენა (მაგალითად, ვაზის წიპწები ან საღვინე ჭურჭელი), ერთი წერილობითი ცნობა (ქსენოფონტი) და ერთი ნივთი, რომლის დანიშნულებაც შედარებით დაადგინეს (სასხლავი ან საწნახელი);

3. დაასრულეთ ერთი წინადადებით იმაზე, რითი გრძელდება ეს ტრადიცია დღეს.

მოსწავლის რვეულში ასევე სრულდება დავალება 4: ახსენით წერილობით, როგორ გესმით ფრაზა „წარმოშობის დამოუკიდებელი კერა“ და რატომ არის ხორბალი და ღვინო ჩვენი ქვეყნისთვის მეტი, ვიდრე მხოლოდ „საკვები და სასმელი“ – მოსაზრება კლასში აგებული მტკიცებულებათა ცხრილიდან ორი ფაქტით მაინც გაამყარეთ.

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგებს 1 და 3, რვეულის დავალება 4 კი – შედეგს 4.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: მტკიცებულებათა ცხრილის სვეტი „რას ამტკიცებს“ პირდაპირ აჩვენებს, აკავშირებს თუ არა მოსწავლე აღმოჩენას დასკვნასთან; ქსენოფონტის განხილვისას მასწავლებელი ამოწმებს, გამოიყენეს თუ არა მოსწავლეებმა §5-ის სანდოობის წესები დამოუკიდებლად; დასკვნითი სავარჯიშო („ციფრები ლაპარაკობენ“) მთელი გაკვეთილის ათვისების ხარისხს ზომავს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (ერთი მტკიცებულება დასაბუთებით); რვეულის დავალება 2-ის ინდივიდუალური შესრულების გადამოწმება; დაკვირვება ჯგუფურ და წყვილებში მუშაობაზე.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 2-ის ინდიკატორი – საქართველოს ისტორიის პროცესების შედარება მსოფლიო ისტორიასთან და თავისებურებების გამოკვეთა (წარმოშობის დამოუკიდებელი კერა); ბ) შედეგი 1-ის ინდიკატორი – სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირებული გამოყენება კონკრეტული პროცესის დასახასიათებლად. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალებების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ბიოლოგია: ველური და კულტურული ჯიშები, სელექცია და ენდემური სახეობები ბიოლოგიის კურსის ცნებებია – არუხლოს ხორბლის მასალა მათი ისტორიული ილუსტრაციაა. ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება – ტექსტი): გიდის ტექსტი უცხოელი სტუმრებისთვის ფუნქციური წერის სავარჯიშოა – აუდიტორიის გათვალისწინება, მარტივი ენა, ფაქტების შერჩევა.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა სვეტის „რას ამტკიცებს“ შევსება დამოუკიდებლად – აღმოჩენასა და დასკვნას შორის კავშირი გაიგეს თუ მხოლოდ აღმოჩენის ადგილების ჩამოთვლით შემოიფარგლნენ?
2. გამოიყენეს თუ არა მოსწავლეებმა ქსენოფონტის ინფორმაციაზე მუშაობისას წყაროს სანდოობის შემოწმების წესები შეხსენების გარეშე?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – უძველესი ქვევრი წიპწის ნაშთებით, არუხლოსა და გადაჭრილი გორის მასალა; გადაჭრილი გორის არქეოლოგიური მუზეუმი მარნეულის მუნიციპალიტეტში.
2. ჟურნალ „National Geographic“-ის ქართული გამოცემის მასალა ნანა რუსიშვილის კვლევაზე (სახელმძღვანელოში ციტირებული წყარო).
3. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის ოფიციალური მასალები „ქართული ხორბლის კულტურისა“ და ქვევრის ღვინის დაყენების მეთოდის შესახებ.
4. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – გაკვეთილამდე გადახედვა დაეხმარება მასწავლებელს მისი ადგილის განსაზღვრაში.

## IV თავი. ქვიდან ლითონამდე

## შესავალი მასწავლებლისთვის

### თავის დანიშნულება და სტრუქტურა

IV თავი ხუთ პარაგრაფს მოიცავს (§10. ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა; §11. შუა ბრინჯაოს ხანა – „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“; §12. გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა; §13. ციკლოპური ციხე-ქალაქები; §14. ქართველი ერის წარმოშობა, ანუ ეთნოგენეზი) და ხუთი გაკვეთილისთვისაა განკუთვნილი. ქრონოლოგიურად თავი მოიცავს პერიოდს ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე – ლითონის ეპოქას, რომლის განმავლობაშიც ქვის ხანის თანასწორი საზოგადოება ეტაპობრივად რთულ, დიფერენცირებულ საზოგადოებად გარდაიქმნება.

თავის შინაარსს ერთიანი მიზეზშედეგობრივი ხაზი აერთიანებს, რომელიც პარაგრაფიდან პარაგრაფამდე თანმიმდევრულად ვითარდება: ლითონის ათვისება ზრდის შრომის ნაყოფიერებას და განაპირობებს ხელოსნობის გამოყოფას; ვითარდება გაცვლა და დაგროვება; მოსახლეობაში ჩნდება ქონებრივი უთანასწორობა და გამოიყოფიან ბელადები („მეფეები“, რომელთა განსასვენებელია თრიალეთის დიდი ყორღანები); ტომები ერთიანდებიან და ყალიბდება პოლიტიკური ცენტრები – ციკლოპური ციხე-ქალაქები. თავი ლოგიკურად სრულდება ეთნოგენეზის საკითხით: სწორედ ამ ეპოქაში, საერთოქართველური ენის დაშლისა და ტომობრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების ფონზე, დგება ქართველი ერის წარმოშობის საკითხი. ამგვარად, გზა „ქვიდან ლითონამდე“ წარმოჩნდება არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ცვლილებად, არამედ საზოგადოების გარდაქმნის პროცესად.

### სამიზნე ცნებები

თავი ორ სამიზნე ცნებას ამუშავებს. პირველია „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გრძელდება III თავში დაწყებული მუშაობა: მოსწავლე ახასიათებს ბრინჯაოს ხანის სამ საფეხურს (ადრეული, შუა, გვიანი) და რკინის ეპოქის დასაწყისს მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტების – იარაღის, კერამიკის, საცხოვრებლის, სამარხისა და ხელოვნების ნიმუშების მიხედვით და აკვირდება, რომ ეპოქათა მიჯნებს კონკრეტული ცვლილებები განსაზღვრავს (ბრინჯაოს ათვისება, ყორღანული კულტურის აღზევება, რკინის მეტალურგია).

მეორეა „საზოგადოება“ – ამ თავში იგი პირველად გვევლინება სრულფასოვან სამუშაო ცნებად. თუ აქამდე მოსწავლე თანასწორ გაერთიანებებს იცნობდა (გვაროვნული თემი), ახლა იგი აკვირდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილების პროცესს: ქონებრივი დიფერენციაცია, ხელოსნობის დარგობრივი განვითარება, გაცვლა, ბელადების გამოყოფა, ტომობრივი გაერთიანებები და დასასრულს, ეთნოგენეზი – ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, რომელშიც ერთიანდება საერთო ენა, ტერიტორია, კულტურა და ისტორია. ამავე კონტექსტში მუშავდება კავკასიელ ხალხთა ნათესაობისა და მრავალფეროვნების თემა („ქართლის ცხოვრების“ ცნობა თარგამოსის შვილებზე, აფხაზები – საქართველოს უძველესი მკვიდრნი).

### სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები

თავი სტანდარტის ორ შედეგის მიღწევას ემსახურება: შედეგზე (2) – საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრების საფუძველზე – გადის §10-§13, ხოლო შედეგზე (4) – საქართველოს ისტორიაში არსებული საზოგადოებების შედარებითი ანალიზი და მათი ტრანსფორმაციის გააზრება – მთელი თავი, განსაკუთრებით §11 და §14. აქტიურდება შემდეგი ინდიკატორები:

1. (2): კონკრეტული ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის

ურთიერთდაკავშირებით – მტკვარ-არაქსის კულტურა (კერამიკა, არქიტექტურა, მეურნეობა), თრიალეთის კულტურა (ყორღანები, ოქრომჭედლობა), გვიანი ბრინჯაოს ორი კულტურული კერა (კოლხური და აღმოსავლეთქართული);

2. (2): ეპოქების/პერიოდების შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით და პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა – რა განასხვავებს ადრეულ, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანას და რა საფუძვლით იწყებს რკინის ათვისება ახალ ეპოქას;

3. (4): კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით – მეურნეობა, ხელოსნობა, ქონებრივი მდგომარეობა და სოციალური მოწყობა ერთიან სურათში;

4. (4): საზოგადოების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ტრანსფორმაციის მიზეზშედეგობრივი კავშირების ახსნა – ლითონის მეურნეობიდან უთანასწორობამდე და ტომობრივ გაერთიანებებამდე;

5. (4): საქართველოს განვითარებაში სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფის როლის განსაზღვრა და გაცნობიერება – ქართველური ენების განშტოება, კავკასიელ ხალხთა ნათესაობა, აფხაზები.

ამასთან, კვლავ მუშავდება შედეგი (1)-ის ინდიკატორები: თავის მთელი შინაარსი არქეოლოგიურ მასალას ეფუძნება, §14-ში კი მოსწავლე ერთმანეთს ადარებს ლეგენდარულ ცნობასა („ქართლის ცხოვრება“ თარგამოსზე) და თანამედროვე მეცნიერების (ანთროპოლოგია, ენათმეცნიერება) მონაცემებს – ეს მნიშვნელოვანი მასალაა წყაროთა ბუნების გასარჩევად. შედეგის მიღწევის ინდიკატორები ორმაგ ფუნქციას ასრულებს: წარმოადგენს დაგეგმვის ორიენტირსაც და განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმსაც (კონკრეტული მითითებები თითოეული გაკვეთილის მოდელის მე-9 სექციაშია მოცემული).

**მეთოდიკური რეკომენდაციები**

1. დროის ხაზზე ქრონოლოგიური მასშტაბი კვლავ იცვლება: III თავის მილიონობით წლის ნაცვლად აქ ათასწლეულები და საუკუნეები განიხილება (ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული – ძვ. წ. IX-VIII საუკუნეები). მიზანშეწონილია თავფურცლის ქრონოლოგიის საკლასო დროის ხაზზე გადატანა და მასზე ეპოქათა მიჯნების ეტაპობრივი დატანა.

2. თავის ძირითადი სააზროვნო ხაზი – ლითონის ათვისება განაპირობებს საზოგადოების ცვლილებას – ყოველ პარაგრაფში უნდა წარმოჩნდეს. მოსწავლემ ცალკეული ფაქტების ნაცვლად მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი უნდა დაინახოს: ეს §8-ში დაწყებული მიზეზშედეგობრივი მსჯელობის გაგრძელებაა უფრო რთულ მასალაზე.

3. ეთნოგენეზის თემა (§14) განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს: იგი მოსწავლის იდენტობას უკავშირდება და უნდა დამუშავდეს სახელმძღვანელოს მიდგომის შესაბამისად – მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით. ლეონტი მროველის ცნობა თარგამოსის შვილებზე ერთობის იდეის უძველესი გამოხატულებაა; მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს ლეგენდისა და მეცნიერული კვლევის განსხვავება ისე, რომ ორივე მათგანის ღირებულება შენარჩუნდეს.

4. ფრთხილი ფორმულირებები რეალურად სასწავლო რესურსს წარმოადგენს: „მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს“ (ხალიბები ქართველური ტომი იყო; დოლმენებს რელიგიური დანიშნულება ჰქონდათ) – გრძელდება მოსწავლეთა უნარების განვითარება დადასტურებული ფაქტისა და მეცნიერული ვარაუდის გამიჯვნაში.

5. თავში ფართოდაა წარმოდგენილი რუბრიკა „მეცნიერის თვალსაზრისი“ (ოთარ ჯაფარიძე, ტარიელ ჩუბინიშვილი, გერმანე გობეჯიშვილი, დიმიტრი ნარიმანიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ანთროპოლოგი ლია ბითაძე); ეს ტექსტები წყაროებად უნდა დამუშავდეს შემდეგი კითხვების გამოყენებით: ვინ წერს, რას ეყრდნობა, პირველადია თუ მეორეული. ვიზუალური მასალის ბირთვს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატები შეადგენს (წნორის ოქროს ლომი, თრიალეთის თასები, საბრძოლო ეტლის მოდელი).

6. გამოყენებულია მრავალფეროვანი ტერმინები (ყორღანი, ციკლოპური, მეგალითური, დოლმენი, ციტადელი, ეთნოგენეზი, პროტოქართველური, მოკირწყლული, რიტუალი). ლექსიკონის რუბრიკა ყველა პარაგრაფშია მოცემული; რეკომენდებულია მისი სისტემატური გამოყენება და ახალი ტერმინის დაფაზე დაწერა შესაბამისი განმარტებით.

## 10. ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების არსებით ასპექტს: ახალი ეპოქა ახალი მასალის ათვისებით იწყება – ბრინჯაოს ათვისებამ საქართველოში კულტურული განვითარების ახალი საფეხური გახსნა, რომელსაც მეცნიერები მტკვარ-არაქსის კულტურას უწოდებენ. ამასთან, იწყება ცნების „საზოგადოება“ დამუშავება: ეპოქის დასაწყისში მოსახლეობა ქონებრივად თანასწორია, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან კი თავს იჩენს სოციალური და ქონებრივი დიფერენციაცია – საზოგადოების გარდაქმნის ის ხაზი, რომელიც მთელ თავს გასდევს.

სტანდარტის შედეგი: (2) საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით – ინდიკატორი: კონკრეტული ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით (მტკვარ-არაქსის კულტურის არქიტექტურა, კერამიკა, ხელოსნობა, ვაჭრობა, მეურნეობა). ამასთან აქტიურდება შედეგი (4)-ის ინდიკატორი: საზოგადოების განვითარებისა და ტრანსფორმაციის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნა (ბრინჯაოს ათვისება – შრომის ნაყოფიერებისა და საბრძოლო პოტენციალის ზრდა – ვაჭრობა და დაგროვება – ქონებრივი დიფერენციაციის დასაწყისი).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რატომ ჩაანაცვლა ბრინჯაომ სპილენძი (შენადნობი უფრო მაგარია, დნობის ტემპერატურა კი უფრო დაბალი აქვს – 700-900 გრადუსი 1100-ის ნაცვლად) და როგორ დაედო ეს აღმოჩენა საფუძვლად ახალ ეპოქას სამხრეთ კავკასიაში. მოსწავლეები დაახასიათებენ მტკვარ-არაქსის კულტურას მისი ელემენტების ერთობლიობით – ალიზისა და რიყის ქვის არქიტექტურა, შავპრიალა კერამიკა, ხელოსნობის დარგები, საერთაშორისო ვაჭრობა (შემოჰქონდათ კალა, გაჰქონდათ ბრინჯაოს ნაწარმი), მეურნეობა და დასახლებები და რუკების საშუალებით დაადგენენ, რომ ეს კულტურა საქართველოს ფარგლებს გასცდა და მცირე აზიიდან ჩრდილო კავკასიამდე გავრცელდა. ტარიელ ჩუბინიშვილის ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლეები გაარკვევენ, რა ნიშნით ადგენენ მეცნიერები კულტურის გავრცელების არეალს, ხოლო წნორის ოქროს ლომის მაგალითზე გამოავლენენ ქონებრივი დიფერენციაციის პირველ ნიშნებს. გრძელდება მუშაობა შედარების ცხრილზე, ისტორიულ წყაროებზე დაკვირვებასა და მიზეზშედეგობრივი კავშირების გაანალიზებაზე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ადარებს სპილენძსა და ბრინჯაოს თვისებების მიხედვით და ხსნის, რატომ გაზარდა ბრინჯაოს იარაღმა შრომის ნაყოფიერება და საბრძოლო პოტენციალი;

2. მოსწავლე ახასიათებს მტკვარ-არაქსის კულტურას ოთხი მიმართულებით – არქიტექტურა, კერამიკა, ხელოსნობა და ვაჭრობა, მეურნეობა და თითოეულზე ასახელებს კონკრეტულ ფაქტებს;

3. მოსწავლე რუკაზე აჩვენებს კულტურის გავრცელების არეალს და წყაროზე დაყრდნობით ხსნის, რა ნიშნით ადგენენ მეცნიერები ამ არეალს (დამახასიათებელი კერამიკა);

4. მოსწავლე ასახელებს, რა ცვლილება იწყება ეპოქის მიწურულს საზოგადოებაში, და ამ ცვლილებას ბრინჯაოს ათვისებას მიზეზშედეგობრივად უკავშირებს.

## 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

მოსწავლეებმა §8-დან იციან, რომ ენეოლითში ადამიანმა აითვისა სპილენძის დნობა-ჩამოსხმა და ამით საფუძველი ჩაუყარა მეტალურგიას; მათთვის ცნობილია ისიც, რომ სპილენძი რბილი ლითონია. §9-დან იცნობენ ქვემო ქართლის ნასახლარებს და იციან, რომ სამეურნეო ტრადიციები საქართველოში უწყვეტად ვითარდებოდა. III თავიდან აქვთ მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის აგების გამოცდილება. გაკვეთილი სწორედ იმ კითხვაზე პასუხით იწყება, რომელიც ენეოლითის მასალამ წამოჭრა: თუ სპილენძი რბილია, როგორ მიიღო ადამიანმა უფრო მყარი ლითონი?

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: შედარების ცხრილი; ჯგუფური კითხვა და მახასიათებლების ცხრილის შევსება; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; რუკაზე მუშაობა; მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთილი წარმოაჩენს, რომ საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდანვე ჩართული იყო რეგიონთაშორის ურთიერთობებში – აქაური დასახლებები საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობდნენ, ადგილობრივი კულტურა კი მეზობელ რეგიონებს უკავშირდებოდა. ამგვარად, კონკრეტული ისტორიული მასალა ცხადყოფს: ჩვენი უძველესი კულტურა ღია იყო გარე სამყაროსთვის – მისი განვითარება სწორედ გაცვლასა და კავშირებზე იყო დამოკიდებული.

კავშირი თანამედროვეობასთან: წნორის ოქროს ლომი გამოსახულია ქართული ფულის ნიშნებზე – მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დაავალოს, დააკვირდნენ, სად შეხვდებათ ეს გამოსახულება. ამგვარად მოსწავლე აცნობიერებს, რომ ადრე ბრინჯაოს ხანის არტეფაქტი დღეს ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკის ნაწილია. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალი თანამედროვე სახელმწიფოთა საზღვრებს არ ემთხვევა – ეს დაკვირვება თავისთავად სასწავლო ღირებულების მქონეა.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რბილი ლითონის პრობლემა** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ახსენებს §8-ის დასკვნას: ენეოლითში ადამიანმა სპილენძის დნობა ისწავლა. შემდეგ კლასს მიმართავს კითხვით: სპილენძის იარაღი მუშაობისას მალე იღუნება და ცვდება – როგორ გადაჭრიდით ამ პრობლემას უძველესი ხელოსნის ადგილას?<br>2. მოსწავლეთა ვარაუდები მოკლედ განიხილება; მასწავლებელი განმარტავს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტამ – ლითონთა შენადნობის მიღებამ – ახალი ეპოქა ჩამოაყალიბა, რომელსაც საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის სახელით ვიცნობთ.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ შეცვალა ბრინჯაომ ცხოვრება საქართველოში და სად ვრცელდებოდა მტკვარ-არაქსის კულტურა?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები §8-ის ცოდნას ახალ პრობლემას უკავშირებენ; ტექნოლოგიური ამოცანა (რბილი ლითონი) ეპოქის ცვლილების ასახსნელ საწყის წერტილად გამოიყენება (სამიზნე ცნება „დრო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **სპილენძისა და ბრინჯაოს შედარება** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, შედარების ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ბრინჯაოს აღმოჩენა“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის ცხრილს: სპილენძი და ბრინჯაო – შემადგენლობა, დნობის ტემპერატურა, იარაღის სიმტკიცე და ცხრილის დასკვნით წინადადებას (შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, საბრძოლო პოტენციალი გაძლიერდა).<br>2. შესრულებული სამუშაო მოწმდება პარაგრაფში დასმული კითხვებით 1 და 2: რა იყო სპილენძის იარაღის მთავარი ნაკლი და როგორ გადაიჭრა იგი; როგორ შეცვლიდა ბრინჯაოს იარაღი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას.<br>3. კლასი ეცნობა ოთარ ჯაფარიძის თვალსაზრისს და პასუხობს პარაგრაფში დასმულ კითხვა 3-ს: მეტალურგები პირველი ხელოსნები არიან, ბრინჯაოს იარაღი კი ერთდროულად ცვლის მეურნეობასა და საბრძოლო საქმეს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორი ლითონის შედარების საფუძველზე ხსნის ეპოქის ცვლილების მიზეზს – მუშავდება შედეგი 1. |

| აქტივობის სახელწოდება | **მტკვარ-არაქსის კულტურის დახასიათება** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ჯგუფური კითხვა, მახასიათებლების ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთებს არქიტექტურაზე, კერამიკაზე, ხელოსნობა-ვაჭრობასა და მოსახლეობის განსახლებაზე და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის ცხრილს – თითოეულ უჯრაში ორი კონკრეტული ფაქტი: ალიზი და რიყის ქვა, ურბნისის საცხოვრებლის სქემა; შავპრიალა კერამიკა შიგნიდან ვარდისფერი ან მოწითალო ზედაპირით; შემოჰქონდათ კალა, გაჰქონდათ ბრინჯაოს ნაწარმი; მოსახლეობამ დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისება დაიწყო.<br>2. შედეგები განიხილება პარაგრაფში დასმული კითხვებით 4, 5 და 6: როგორი იყო საცხოვრებელი, რა მასალას იყენებდნენ სხვადასხვა მხარეში და რა განასხვავებს ამ კულტურის კერამიკას.<br>3. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს წყაროს რუბრიკაზე – წნორის ოქროს ლომზე: მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ოსტატურად ნაკეთები ოქროს ფიგურა იმის ნიშანია, რომ ეპოქის მიწურულს საზოგადოებაში ქონებრივი დიფერენციაცია იწყება. ტექსტიდან ამოიკითხება შესაბამისი დებულებაც: დასაწყისში მოსახლეობა თანასწორი იყო, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან კი განსხვავებამ იჩინა თავი. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ქმნის კულტურის ერთიან სურათს ოთხი მიმართულების ურთიერთდაკავშირებით და ამჩნევს საზოგადოების ცვლილების პირველ ნიშნებს – მუშავდება შედეგები 2 და 4. |

| აქტივობის სახელწოდება | **კულტურის გავრცელების არეალი** |
|---|---|
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით, რუკაზე მუშაობა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ ტარიელ ჩუბინიშვილის ტექსტს და მუშაობენ მოსწავლის რვეულის დავალება 4-ის ა) და ბ) კითხვებზე: რის საფუძველზე ადგენს მკვლევარი კულტურის არეალს (დამახასიათებელი კერამიკის აღმოჩენა) და რომელ რეგიონებს ასახელებს.<br>2. კლასი რუკა 7-ზე მიჰყვება კულტურის გავრცელების მიმართულებებს: მცირე აზია, ირანი, ჩრდილო კავკასია, სირია-პალესტინა; მასწავლებელი სვამს პარაგრაფში დასმულ კითხვებს 7 და 9 – რატომ ეწოდა კულტურას მდინარეების სახელი და რა საერთო ნიშნები ადასტურებს კულტურის სხვა ტერიტორიებზე გავრცელებას (ერთგვაროვანი კერამიკა, საცხოვრებელი, ცხოვრების წესი).<br>3. დავალება 4-ის გ) კითხვაზე – რა განაპირობებდა კულტურის ამგვარ ფართო გავრცელებას – მოსწავლეები ზეპირად გამოთქვამენ ვარაუდებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროდან იგებს მეცნიერული დასკვნის ლოგიკას და საქართველოს კულტურას ფართო რეგიონულ კონტექსტში განიხილავს – მუშავდება შედეგი 3. |

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)

| **აქტივობის სახელწოდება** | **შეჯამება: ბრინჯაოს ათვისების შედეგები** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | მიზეზ-ედეგობრივი ჯაჭვი, გასასვლელი ბარათი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და დაფაზე ერთობლივად აგებს მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს: ბრინჯაოს ათვისება – შრომის ნაყოფიერებისა და საბრძოლო ძალის ზრდა – ხელოსნობა და ვაჭრობა – დაგროვება – ქონებრივი დიფერენციაციის დასაწყისი.<br>2. მასწავლებელი ამზადებს გადასვლას §11-ის თემაზე: თუ ეპოქის მიწურულს ზოგიერთი ოჯახი სხვებზე მეტად დაწინაურდა და დააგროვა სიმდიდრე, ვინ არიან ისინი და როგორ დასტურდება ეს არქეოლოგიურად ? საკითხის განხილვა გაგრძელდება მომდევნო გაკვეთილზე – თრიალეთის დიდი ყორღანების მაგალითზე.<br>3. გასასვლელი ბარათი: „დაასახელეთ მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი მახასიათებელი და ერთი ტერიტორია, სადაც ის გავრცელდა; ჩამოაყალიბეთ ერთი კითხვა, რომელიც გაგიჩნდათ“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე გაკვეთილის მასალას ერთიან მიზეზშედეგობრივ ჯაჭვად აერთიანებს – მუშავდება შედეგი 4; მომზადებულია გადასვლა §11-ის თემაზე. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (სპილენძისა და ბრინჯაოს შედარება) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში; დასკვნითი წინადადების შევსება სავალდებულოა.

2. დავალება 3 (კულტურის მახასიათებლების ცხრილი) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში; თითოეულ უჯრაში ორი კონკრეტული ფაქტი იწერება.

3. დავალება 4 (ჩუბინიშვილის ტექსტზე მუშაობა) – ა) და ბ) კითხვები სრულდება კლასში, მესამე აქტივობაში; გ) კითხვაზე წერითი პასუხი საშინაო დავალებაა.

4. დავალება 1 (კონტურული რუკა) – სრულდება საშინაო დავალებად (იხ. სექცია 8).

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მახასიათებლების ცხრილში საბაზისო დონეა თითო ფაქტის მოძიება, გაღრმავებული – ორი ფაქტი და მათი მნიშვნელობის ახსნა; კონტურული რუკის დავალება ექვსსაფეხურიანია და თავისთავად ქმნის სირთულის გრადაციას – პირველი სამი პუნქტი (არეალი, ძეგლები, მდინარეები) საბაზისო დონეა, გავრცელების მიმართულებები და თანამედროვე ქვეყნები – გაღრმავებული; ჩუბინიშვილის ტექსტის გ) კითხვა მსჯელობასა და ორი მიზეზის დასაბუთებას მოითხოვს.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ცხრილების სტრიქონები და უჯრების სათაურები მოსწავლეს მიუთითებს, რა უნდა მოიძიოს ტექსტში; ჩუბინიშვილის ტექსტს მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და გეოგრაფიულ სახელებს პარალელურად რუკაზე აჩვენებს; ტერმინები (შენადნობი, ალიზი, არეალი) დაფაზე იწერება განმარტებით; ჯგუფებში როლები ნაწილდება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, ორი რუკით, ურბნისის საცხოვრებლის სქემით, ექსპონატების ფოტოებით (კერამიკა, სატევრები, ოქროს ლომი) და QR-კოდით მითითებული ვიდეომასალით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით, რუკაზე ჩვენებით, ჯაჭვის აგებით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ ადრე ბრინჯაოს ხანის ხელოსანი. წერილობით გადმოეცით თქვენი ცხოვრების ერთი დღე: რა იარაღით მუშაობდით, რომელი პროდუქტით ვაჭრობდით მეზობელ ტომებთან, რა პრობლემებს აწყდებოდით და როგორ ახერხებდით მათ დაძლევას.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 6-8 წინადადება პირველ პირში – ადრე ბრინჯაოს ხანის ხელოსნის თვალთახედვით;

2. ტექსტში გამოიყენეთ სულ მცირე სამი კონკრეტული დეტალი პარაგრაფიდან (მაგალითად: ბრინჯაოს მისაღებად სპილენძს კალა ან დარიშხანი უნდა შეერიოს; კალა შემოტანილია; ჭურჭელი შავპრიალაა; ნაწარმი მეზობელ ტომებში გააქვთ);

3. პრობლემა და მისი გადაჭრის გზა თქვენ უნდა მოიფიქროთ, ოღონდ ის ეპოქას უნდა შეესაბამებოდეს – ახსენით, რატომ არის იგი სწორედ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი.

მოსწავლის რვეულში ასევე სრულდება: დავალება 1 – კონტურულ რუკაზე კულტურის არეალის, ძეგლების, მდინარეების, გავრცელების მიმართულებებისა და თანამედროვე ქვეყნების დატანა ლეგენდით (დამხმარე მასალაა რუკები 6 და 7); დავალება 4-ის გ) კითხვა – წერილობით დაასაბუთეთ ორი მიზეზი, რომლებიც კულტურის ფართო გავრცელებას განაპირობებდა.

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგებს 1 და 2, რვეულის დავალება 1 – შედეგს 3, დავალება 4-ის გ) კითხვა კი – შედეგს 4.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: შედარების ცხრილის დასკვნითი წინადადება აჩვენებს, დაუკავშირა თუ არა მოსწავლემ ლითონის თვისებები ცხოვრების წესის ცვლილებას; მახასიათებლების ცხრილის გადამოწმებისას მასწავლებელი ფაქტების დასახელებასთან ერთად სვამს კითხვას „რას ნიშნავს ეს?“; ჩუბინიშვილის ტექსტის ა) კითხვა ამოწმებს, ესმის თუ არა მოსწავლეს მეცნიერული დასკვნის საფუძველი.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (მახასიათებელი + ტერიტორია + ერთი კითხვა); ცხრილების ადგილზე გადამოწმება; დაკვირვება ჯგუფურ და წყვილურ მუშაობაზე.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი (2)-ის ინდიკატორი – კონკრეტული ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით (მტკვარ-არაქსის კულტურის დახასიათება); ბ) შედეგი (4)-ის ინდიკატორი – საზოგადოების განვითარებისა და ტრანსფორმაციის მიზეზშედეგობრივი კავშირების ახსნა. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალებების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: შენადნობის ცნება, ლითონთა თვისებები და დნობის ტემპერატურა ქიმიისა და ფიზიკის სასწავლო მასალას უკავშირდება – სპილენძისა და ბრინჯაოს შედარების ცხრილი ამ საგნებთან პირდაპირკავშირშია. გეოგრაფია (სამიზნე ცნებები – მოსახლეობა, მეურნეობა): კულტურის არეალის შედარება თანამედროვე ქვეყნების რუკასთან და კონტურულ რუკაზე მუშაობა განამტკიცებს გეოგრაფიული კვლევის უნარებს.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა ლითონის თვისებებისა და საზოგადოებრივი ცვლილებების ურთიერთდაკავშირება – დასკვნითი ჯაჭვი გააზრებულად აიგო თუ მექანიკურად?

2. მახასიათებლების ცხრილში რომელი მიმართულება (არქიტექტურა, კერამიკა, ვაჭრობა, მეურნეობა) აღმოჩნდა ყველაზე რთული და საჭიროა თუ არა მისი გამეორება §11-ის დასაწყისში?

3. გაიაზრა თუ არა კლასმა ჩუბინიშვილის ტექსტიდან მეცნიერული დასკვნის ლოგიკა – კერამიკა, როგორც კულტურის გავრცელების არეალის დადგენის ნიშანი?

4. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რა კითხვები დარჩა მოსწავლეებს და როგორ გამოვიყენებ დასკვნით ნაწილში მომზადებულ გადასვლას („ვინ იმარხება მდიდრულ სამარხებში?“) §11-ის გახსნისას?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – წნორის ოქროს ლომი, მტკვარ-არაქსის კერამიკა და ბრინჯაოს ნივთები.

2. ოთარ ჯაფარიძისა და ტარიელ ჩუბინიშვილის შრომები ადრე ბრინჯაოს ხანის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ბრინჯაოს ხანის თემაზე.

4. სახელმძღვანელოს QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა – რეკომენდებულია მისი წინასწარ გაცნობა გაკვეთილში ადგილის განსაზღვრისთვის.

## 11. შუა ბრინჯაოს ხანა – „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „საზოგადოება“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: საზოგადოება დროთა განმავლობაში იცვლება და რთულდება. შუა ბრინჯაოს ხანაში მოსახლეობა უკვე ფენებად იყოფა, ყალიბდება წარჩინებულთა ფენა და გამოიყოფიან ბელადები, რომლებიც ქონებასთან ერთად რეალურ ძალაუფლებასაც ფლობენ. დამატებით მუშავდება ცნება „დრო (ისტორიული პერიოდი)“: მოსწავლე ეცნობა შუა ბრინჯაოს ხანის, როგორც ცალკე პერიოდის, გამოყოფის საფუძველს – თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილ, წინა ეპოქისგან მკვეთრად განსხვავებულ მასალას.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 4 – საქართველოს ისტორიაში არსებული საზოგადოებების შედარებითი ანალიზი და მათი ტრანსფორმაციის გააზრება. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით (მეურნეობა, ხელოსნობა, ქონებრივი მდგომარეობა, სოციალური ფენები). ამასთან აქტიურდება შედეგი 2-ის ინდიკატორი: ეპოქების შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით (მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურის შედარება).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რა ცვლილებები მოხდა შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოებაში და რის საფუძველზე ადგენენ ამას მეცნიერები. ისინი გაეცნობიან „თრიალეთის კულტურის” სახელწოდების წარმომავლობას, ოთარ ლორთქიფანიძის ტექსტზე დაყრდნობით შეისწავლიან დიდი ყორღანების აგებულებას (ქვაყრილი, „დასაკრძალავი დარბაზი“, ხის გადახურვა, მოკირწყლული სარიტუალო გზა) და დაასაბუთებენ დასკვნას, რომ ასეთი სამარხები მცირე პოლიტიკური გაერთიანებების „მეფეებს“ ეკუთვნოდა. მოსწავლეები გაიაზრებენ წარჩინებულთა ფენის ჩამოყალიბების პროცესს, გაეცნობიან ოქრომჭედლობის განვითარების ნიმუშებს (თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის თასები) და შუა ბრინჯაოს ხანას მტკვარ-არაქსის ეპოქას შეადარებენ. გაკვეთილზე გრძელდება ვარჯიში ისტორიულ წყაროებთან მუშაობაში, მტკიცებულებიდან დასკვნის გამოტანასა და ეპოქების შედარებაში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ხსნის, საიდან მომდინარეობს სახელწოდება „თრიალეთის კულტურა”, და ასახელებს მასალას, რომლის საფუძველზეც მეცნიერებმა შუა ბრინჯაოს ხანა ცალკე პერიოდად გამოყვეს;

მოსწავლე წყაროზე დაყრდნობით აღწერს დიდი ყორღანის აგებულებას და ხსნის, როგორ ადგენენ მეცნიერები შემოუნახავი ელემენტების (ხის გადახურვის) არსებობას;

მოსწავლე ახასიათებს შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოებას – ფენებად დაყოფას, წარჩინებულთა ფენას, ბელადის ძალაუფლებას – და ყორღანების ნიშნებს ამ დახასიათების მტკიცებულებებად იყენებს;

მოსწავლე ადარებს მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების საზოგადოებებს და ასახელებს მათ შორის არსებით განსხვავებებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

წინა გაკვეთილზე მოსწავლეებმა შეისწავლეს მტკვარ-არაქსის კულტურა და გაიგეს, რომ ადრე ბრინჯაოს ხანის დასაწყისში მოსახლეობა ქონებრივად თანასწორი იყო, ძვ. წ.

III ათასწლეულის შუა ხანებიდან კი სოციალურმა და ქონებრივმა განსხვავებამ იჩინა თავი; ამ ცვლილების ერთ-ერთ ნიშნად წნორის ოქროს ლომი განიხილეს. §4-დან მოსწავლეებს ახსოვთ დასაბუთების წესი – ყოველი დასკვნა კონკრეტულ ნივთს/ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს. ეს გაკვეთილი წინა გაკვეთილზე დაწყებულ ხაზს აგრძელებს: მოსწავლეები ნახავენ, რა მოჰყვა ქონებრივი განსხვავების გაღრმავებას და როგორ აისახა ეს არქეოლოგიურ მასალაში.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; გრაფიკული გამოსახულებები (სქემა „მტკიცებულება – დასკვნა“, შედარებითი ცხრილი); წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთ ბუნებრივად დგება სოციალური უთანასწორობის თემა: მოსწავლეები განიხილავენ, რას ნიშნავს საზოგადოებისთვის ის ფაქტი, რომ უზარმაზარი სამარხი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის შენდება, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა ჩვეულებრივ სამარხებში იკრძალება. მასწავლებელი ამ მსჯელობას შეფასების გარეშე, ისტორიული ანალიზის ფარგლებში წარმართავს – მიზანია მოვლენის გაგება და არა განსჯა.

კავშირი თანამედროვეობასთან: თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის თასები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილია და ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეულ ნიმუშებს წარმოადგენს. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს აცნობოს, რომ ამ ნივთების ნახვა მუზეუმში დღესაც შესაძლებელია, ხოლო მათი გამოსახულებები ხშირად გამოიყენება საქართველოს კულტურის წარმოსაჩენად.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **დარბაზი ერთი ადამიანისთვის** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ რიცხვს – 50 და 175 – და განმარტავს: პირველი საკლასო ოთახის სავარაუდო ფართობია კვადრატულ მეტრებში, მეორე კი შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი სამარხი დარბაზისა. კითხვა კლასს: ეს დარბაზი მხოლოდ ერთი ადამიანის დასაკრძალავად აშენდა – რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ფაქტიდან?<br>2. მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ; მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ინიშნავს და აზუსტებს, რომ მათ სისწორეს გაკვეთილის მასალით შეამოწმებს.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა ინფორმაციას გვაწვდიან დიდი ყორღანები შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოების შესახებ?“ |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | რიცხვების შედარება მოსწავლეებში ინტერესს იწვევს და გაკვეთილს ერთიან ამოცანად კრავს; გამოთქმული ვარაუდები დასკვნით ნაწილში გადამოწმდება (სამიზნე ცნება „საზოგადოება“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ახალი კულტურის სახელწოდება** |
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ პარაგრაფის პირველ მონაკვეთსა და ოთარ ჯაფარიძის თვალსაზრისს,შემდეგ კი პასუხობენ პარაგრაფში დასმულ პირველ და მე-2 კითხვებს: რატომ შეიძლება ჩაითვალოს დიდი ყორღანები საზოგადოების განვითარების მაჩვენებლად და რომელი ძეგლების შესწავლამ მისცა მეცნიერებს შუა ბრინჯაოს ხანის ცალკე ეტაპად გამოყოფის საფუძველი.<br>2. საერთო განხილვისას მასწავლებელი აზუსტებს სახელწოდების წარმომავლობას: პირველი ასეთი ყორღანი თრიალეთში აღმოჩნდა, ამიტომ ამ პერიოდის კულტურას „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ ეწოდა.<br>3. მასწავლებელი ჯაფარიძის ტექსტიდან გამოყოფს ეპოქის განმასხვავებელ ნიშნებს – დახვეწილი მეთუნეობა, მეტალურგია და, განსაკუთრებით, ოქრომჭედლობა – და კლასს სთხოვს, ისინი მტკვარ-არაქსის კულტურის მასალას შეადარონ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ეცნობა კულტურის სახელწოდების წარმომავლობასა და პერიოდის გამოყოფის საფუძველს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **რას მოწმობს დასაკრძალავი დარბაზი** |
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ ოთარ ლორთქიფანიძის ტექსტს (სახელმძღვანელო, გვ. 62) და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: ა) ჩამოთვლიან ავტორის მიერ დასახელებულ სამშენებლო მასალებს და მიუთითებენ, დარბაზის რომელ ნაწილში გამოიყენებოდა თითოეული; ბ) ხსნიან, როგორ დაადგინეს მეცნიერებმა ხის გადახურვის არსებობა – გახრწნილი ხის ნაშთებისა და ბოძების კვალის მიხედვით; გ) მსჯელობენ, თუ რას გვეუბნება 175 კვადრატული მეტრის ფართობის დარბაზის ერთი ადამიანისთვის აშენება.<br>2. ჯგუფები წარადგენენ პასუხებს; მასწავლებელი პარაგრაფში დასმული მე-3 კითხვით აჯამებს განხილვას – მოსწავლეები აღწერენ დარბაზის შიდა აგებულებასა და მორთულობას (ჭილოფი, ოქროს თხელი ფირფიტები) და ასახელებენ, რა აოცებთ მეცნიერებს ყველაზე მეტად.<br>3. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ბ) კითხვის პასუხზე: მეცნიერული დასკვნა შესაძლებელია მაშინაც, როცა ნივთი აღარ არსებობს – საკმარისია მისი კვალი. ეს §4-ში ათვისებული დასაბუთების წესის გაგრძელებაა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროზე დაყრდნობით აღწერს ყორღანის აგებულებას და ეცნობა არაპირდაპირ მტკიცებულებაზე დასკვნის გამოტანის ხერხს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **წარჩინებულთა ფენა** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, სქემა „მტკიცებულება – დასკვნა“ |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოება“ და პასუხობენ პარაგრაფში დასმულ მე-4, მე-5 და მე-6 კითხვებს: რა შეიცვალა საზოგადოებაში წინა პერიოდთან შედარებით, რას ნიშნავს ცნება „წარჩინებულთა ფენა“ და რის საფუძველზე მიიჩნევენ მეცნიერები მდიდრულ ყორღანებს მცირე პოლიტიკური გაერთიანებების „მეფეების“ სამარხებად.<br>2. ამის შემდეგ წყვილები ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის სქემას: მარცხენა უჯრებში წერენ ყორღანების სამ ნიშანს (მაგალითად, დარბაზის ზომა და მშენებლობის მასშტაბი; ძვირფასი ლითონის ნივთები და იარაღი; მოკირწყლული სარიტუალო გზა), მარჯვენა უჯრებში კი – რას გვეუბნება თითოეული ნიშანი იმდროინდელ საზოგადოებაზე.<br>3. საერთო განხილვისას მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის თასების ილუსტრაციებს და პარაგრაფში დასმულ მე-7 და მე-8 კითხვებს სვამს: რა სახის რიტუალია გამოსახული ვერცხლის თასზე და რა ადასტურებს ოქრომჭედლობის განვითარებას. მოსწავლეები ასკვნიან, რომ ასეთი ნივთების დამზადება მაღალი ოსტატობის მქონე ხელოსნებსა და მდიდარ დამკვეთებს მოითხოვდა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე საზოგადოების დახასიათებას კონკრეტულ მტკიცებულებებზე აშენებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 4-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ორი ეპოქა ერთ ცხრილში** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შედარებითი ცხრილი, შემაჯამებელი დისკუსია |
| **მსვლელობა** | 1. მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის შედარებით ცხრილს: მტკვარ-არაქსის კულტურა და თრიალეთის კულტურა – მოსახლეობის ქონებრივი დაყოფა, სამარხების ტიპი, მმართველის გამოჩენა, დაწინაურებული ხელოსნობის დარგი.<br>2. სწრაფი გადამოწმების შემდეგ კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და გაკვეთილის დასაწყისში გამოთქმულ ვარაუდებს: დიდი ყორღანები საზოგადოების ფენებად დაყოფისა და ბელადის ძალაუფლების მაჩვენებელია.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს მომდევნო გაკვეთილის თემაზე: გვიანი ბრინჯაოს ხანაში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და პირველი ქართული ტომობრივი გაერთიანებები ჩამოყალიბდება. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორი ეპოქის საზოგადოებებს არსებითი ნიშნებით ადარებს – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი; შევსებული ცხრილი მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 3 (ოთარ ლორთქიფანიძის ტექსტზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

2. დავალება 2 (სქემა „მტკიცებულება – დასკვნა“) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობაში, წყვილებში.

3. დავალება 1 (მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების შედარებითი ცხრილი) – სრულდება კლასში, დასკვნით აქტივობაში, ინდივიდუალურად; ცხრილი ორივე გაკვეთილის მასალას აჯამებს.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ლორთქიფანიძის ტექსტზე მუშაობისას ა) კითხვა ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, ბ) და გ) კითხვები კი დასკვნის გამოტანას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; სქემაში საბაზისო დონეა ნიშნების ჩამოთვლა, გაღრმავებული – თითოეული ნიშნის დასკვნასთან დაკავშირება.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ლორთქიფანიძის ტექსტს მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს („ქვაყრილი“, „ჭილოფი“, „პროფილირებული“) იქვე განმარტავს; ცხრილებისა და სქემის სტრუქტურა მოსწავლეებს მიუთითებს, რა უნდა მოიძიონ ტექსტში; საკვანძო ტერმინები (ყორღანი, წარჩინებულთა ფენა) ლექსიკონის განმარტებებთან ერთად დაფაზე იწერება; ჯგუფებში როლები თანაბრად ნაწილდება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, აკლდამის ფოტოთი, ყორღანის რეკონსტრუქციით, ექსპონატების გამოსახულებებით (ოქროსა და ვერცხლის თასები, ჩაბარუხის განძი); მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია სქემით, ცხრილით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობითი ფორმით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ შუა ბრინჯაოს ხანაში ცხოვრობთ და ხედავთ, როგორ აშენებს უამრავი ადამიანი უზარმაზარ სამარხს მხოლოდ ერთი პიროვნებისთვის. დაწერეთ მოკლე ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: ვინ შეიძლება იყოს ეს პიროვნება და რატომ აშენებენ მისთვის ასეთ სამარხს? რას გვეუბნება ეს საზოგადოებაში ადამიანთა უთანასწორობაზე? შეადარეთ ეს ვითარება მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქას – რა შეიცვალა?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 6-8 წინადადება და უპასუხეთ სამივე კითხვას;

2. პასუხებში გამოიყენეთ ცნებები „წარჩინებულთა ფენა“ და „ბელადი“, ხოლო შედარებისას – კლასში შევსებული შედარებითი ცხრილი (მოსწავლის რვეულის დავალება 1);

3. თითოეული მოსაზრება გაამყარეთ პარაგრაფიდან აღებული კონკრეტული ფაქტით – სამარხის ზომით, ინვენტარით ან სარიტუალო გზის არსებობით.

დავალება უკავშირდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელ შედეგებს – საზოგადოების დახასიათებასა და ეპოქების შედარებას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: ჯგუფების პასუხები ლორთქიფანიძის ტექსტზე მასწავლებელს აჩვენებს, განასხვავებენ თუ არა მოსწავლეები ინფორმაციის ამოკრებასა და დასკვნის გამოტანას; სქემის გადამოწმებისას მასწავლებელი თითოეულ დასკვნაზე ითხოვს შესაბამისი მტკიცებულების დასახელებას; დასკვნითი ცხრილის ინდივიდუალური შევსება მთელი გაკვეთილის ათვისების დონეს ამოწმებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: შედარებითი ცხრილის ინდივიდუალური შესრულების ხარისხის გადამოწმება; დაკვირვება წყვილურსა და ჯგუფურ მუშაობაზე; დამაზუსტებელი შეკითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 4-ის ინდიკატორი – კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით; ბ) შედეგი 2-ის ინდიკატორი – ეპოქების შედარება არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით. დავალების შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

მოქალაქეობა (სამიზნე ცნება – საზოგადოება): სოციალური ფენების, ძალაუფლებისა და უთანასწორობის ცნებები მოქალაქეობის კურსშიც მუშავდება – ისტორიული მასალა ამ ცნებების კონკრეტულ საილუსტრაციო მაგალითს იძლევა. ხელოვნება (სამიზნე ცნება – სხვადასხვა ეპოქის მხატვრული მახასიათებლები): თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის თასები ქართული ლითონმქანდაკებლობის ადრეული ნიმუშებია და შესაძლებელია ხელოვნების გაკვეთილზე მათი მხატვრული ანალიზი.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა ლორთქიფანიძის ტექსტის ბ) კითხვაზე პასუხის დამოუკიდებლად ჩამოყალიბება – გასაგები აღმოჩნდა თუ არა არაპირდაპირი მტკიცებულების ლოგიკა?

2. სქემის შევსებისას რამდენად დაუკავშირეს მოსწავლეებმა თრიალეთის კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშნები საკუთარ დასკვნებს – რომელი კავშირი საჭიროებდა მასწავლებლის დახმარებას?

3. დასკვნითი ცხრილის შედეგები რას აჩვენებს – რომელი განსხვავება (ქონებრივი დაყოფა, სამარხები, მმართველი, ხელოსნობა) დარჩა მოსწავლეებისთვის ბუნდოვანი?

4. უთანასწორობის თემაზე მსჯელობა რამდენად წარიმართა ანალიზის ფარგლებში და რომელი კითხვა გამოდგება მომდევნო გაკვეთილის (§12) გახსნისას ტომობრივ გაერთიანებებზე გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის თასების, ჩაბარუხის განძისა და ბრილის სამარხის მასალის გამოსახულებები და აღწერები.

2. ოთარ ჯაფარიძისა და ოთარ ლორთქიფანიძის შრომები შუა ბრინჯაოს ხანისა და თრიალეთის კულტურის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ბრინჯაოს ხანის თემაზე.

## 12. გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ორ ასპექტს: გვიანი ბრინჯაოს ხანა საქართველოში ორი მძლავრი კულტურული კერის ჩამოყალიბებით ხასიათდება, ხოლო ახალი ეპოქის დასაწყისს კონკრეტული ტექნოლოგიური ცვლილება – რკინის ათვისება – განსაზღვრავს. დამატებით მუშავდება ცნება „საზოგადოება“: ხელოსნობის დარგების განვითარება, ვაჭრობის გაფართოება, ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენა და ცხენის როლი ტომთა დაახლოებაში საზოგადოების გართულების ურთიერთდაკავშირებული გამოვლინებებია.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 2 – საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება აღნიშნული შედეგის ინდიკატორს: პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთას – რომელი ფაქტორები განაპირობებს რკინის ეპოქის ცალკე პერიოდად გამოყოფას. ამასთან, აქტიურდება შედეგი 4-ის ინდიკატორი: საზოგადოების განვითარებისა და ტრანსფორმაციის მიზეზშედეგობრივი კავშირების ახსნა (ხელოსნობის სპეციალიზაცია, ვაჭრობა, ცხენის მოშინაურება და რკინის წარმოება, როგორც საზოგადოების განვითარების ფაქტორები).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა დაახასიათონ გვიანი ბრინჯაოს ხანის საქართველო: გაეცნონ ორ კულტურულ კერას – დასავლურს (კოლხურს) და აღმოსავლურს – და მათთვის დამახასიათებელ იარაღს (კოლხური ცული და სატევარი; გრძელი მახვილი და შუბი), ხელოსნობის დარგების განვითარებას, ვაჭრობის გაფართოებასა და ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენას. ისინი გერმანე გობეჯიშვილის ტექსტზე დაყრდნობით გააანალიზებენ ცხენის მოშინაურების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისთვის და გაეცნობიან საბრძოლო ეტლების არქეოლოგიურ ნიმუშებს. გაკვეთილის დასკვნით საკითხს რკინის ეპოქის დასაწყისი წარმოადგენს: მოსწავლეები შეისწავლიან რკინის წარმოების ეტაპებს, შეადარებენ რკინას ბრინჯაოსთან და ოთარ ჯაფარიძის მოსაზრებაზე დაყრდნობით იმსჯელებენ ახალი ლითონის გავლენის შესახებ საზოგადოების განვითარებაზე. გაკვეთილზე გრძელდება ვარჯიში წყაროებთან მუშაობაში, სქემისა და ცხრილის შედგენასა და მიზეზშედეგობრივ მსჯელობაში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ახასიათებს გვიანი ბრინჯაოს ხანის ორ კულტურულ კერას და ასახელებს თითოეულისთვის დამახასიათებელ იარაღსა და მათ საერთო ნიშნებს;

მოსწავლე წყაროზე დაყრდნობით ხსნის ცხენის მოშინაურების მნიშვნელობას და ასახელებს მეცხენეობის განვითარების დამადასტურებელ არქეოლოგიურ ძეგლებს;

მოსწავლე თანმიმდევრულად აღწერს რკინის წარმოების ეტაპებს და ხსნის, რატომ მოითხოვდა ეს წარმოება სხვადასხვა უნარ-ჩვევის მქონე ადამიანების თანამშრომლობას;

მოსწავლე ასაბუთებს, რატომ ითვლება რკინის ათვისება ცივილიზაციის განვითარების უფრო მაღალ საფეხურად.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

წინა გაკვეთილებიდან მოსწავლეებმა იციან, რომ ბრინჯაოს ათვისებამ შრომის ნაყოფიერება და საბრძოლო პოტენციალი გაზარდა (§10), შუა ბრინჯაოს ხანაში კი საზოგადოება ფენებად დაიყო და წარჩინებულთა ფენა ჩამოყალიბდა (§11). §3-დან მათ ახსოვთ, რომ

რკინის ხანა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან აითვლება, ხოლო §9-დან – რომ ძველი ბერძნები რკინის დამუშავების დაწყებას სამხრეთ კავკასიას უკავშირებდნენ. ეს გაკვეთილი აღნიშნულ ცოდნას აერთიანებს და აჩვენებს, როგორ მიუახლოვდა საზოგადოება ბრინჯაოს ხანის მიწურულს განვითარების ახალ საფეხურს.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ტექსტსა და წყაროებთან მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; გრაფიკული ორგანიზატორები (შედარებითი ცხრილი, წარმოების ეტაპების სქემა); წყვილებში და ჯგუფური მუშაობა; შემაჯამებელი დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: რკინის წარმოების მასალა შრომის ორგანიზების მნიშვნელობას წარმოაჩენს: მადნის მოპოვება, ქურაში დამუშავება და ჭედვა სხვადასხვა უნარ-ჩვევის მქონე ადამიანების შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვდა. მოსწავლეები ამ მაგალითზე აცნობიერებენ, რომ რთული საქმის შესრულება თანამშრომლობასა და შრომის დანაწილებას ეფუძნება.

კავშირი თანამედროვეობასთან: პარაგრაფში დასმული მე-5 კითხვა უშუალოდ ითვალისწინებს პარალელის გავლებას თანამედროვეობასთან: მოსწავლეები ადარებენ თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილ სამეურნეო ეტლსა და საბრძოლო ეტლს და თანამედროვე ცხოვრებიდან ასახელებენ ტექნოლოგიების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მაგალითებს, ხოლო ბრინჯაოს რგოლების ფულის ფუნქციით გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლეებთან ერთად განიხილოს ფულ ის წარმოშობის საკითხი.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ლითონი, რომელიც ბრინჯაოს ჭრის** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს პარაგრაფის ერთ წინადადებას: „რკინას თავისუფლად შეეძლო ბრინჯაოს იარაღის გაჭრა“. კითხვა კლასს: რას შეცვლიდა ეს გარემოება იმ საზოგადოებაში, რომლის იარაღიც ბრინჯაოსია?<br>2. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს; მასწავლებელი განმარტავს, რომ გაკვეთილი სწორედ ამ ტექნოლოგიური გარდატეხის წინა პერიოდსა და თავად გარდატეხას მიეძღვნება.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რომელიც რჩება დაფაზე): „რა ცვლილებები მოიტანა გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანამ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებაში?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | პრობლემური კითხვა მოსწავლეებს ეპოქათა ცვლის მნიშვნელობაზე აფიქრებს და გაკვეთილს ერთიან ამოცანად კრავს (სამიზნე ცნება „დრო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ორი კულტურული კერა** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, შედარებითი ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ პარაგრაფის პირველ მონაკვეთებს და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილს: ორი კულტურული კერის სახელწოდება, თითოეულში გავრცელებული საომარი იარაღი, სარიტუალო დანიშნულების მქონე იარაღი და ორივე კერისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები.<br>2. ნაშრომების საერთო გადამოწმებისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ 1-ელ და მე-2 კითხვებს: რა სახეობის იარაღი იყო გავრცელებული დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენას ვაჭრობის განვითარებისთვის.<br>3. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ვაჭრობის განვითარების ნიშნებზე: ხელოსნობის ცალკეულ დარგებად ჩამოყალიბება, საერთაშორისო სავაჭრო გზები და ბრინჯაოს რგოლების ფულის ფუნქციით გამოყენება. კლასი მოკლედ განიხილავს, რატომ გახდა საჭირო გაცვლის საერთო საზომის შემოღება. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე გვიანი ბრინჯაოს ხანის საქართველოს ორი კულტურული კერის მიხედვით ახასიათებს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | ცხენი და ეტლი |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ გერმანე გობეჯიშვილის ტექსტს (სახელმძღვანელო, გვ. 66) და მონაკვეთს საბრძოლო ეტლების შესახებ,შემდეგ კი ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: ა) ჩამოთვლიან სფეროებს, რომლებშიც ცხენმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; ბ) საკუთარი სიტყვებით ხსნიან გამოთქმას „ცხენმა გააცხოველა ურთიერთობა შორეულ მხარეთა შორის“; გ) ასახელებენ მეცხენეობის განვითარების დამადასტურებელ არქეოლოგიურ ძეგლებს (თრელის მხედრის ფიგურა, სამთავროს ბრინჯაოს სარტყელი, დედოფლისწყაროს ეტლის მოდელი, უფლისციხის ეტლები).<br>2. ჯგუფები წარადგენენ პასუხებს; მასწავლებელი პარაგრაფში დასმული მე-3 და მე-6 კითხვებით აზუსტებს ცხენის მნიშვნელობას მეურნეობაში, ვაჭრობასა და მხედრობაში,ასევე მის როლს ტომთა დაახლოების პროცესში.<br>3. დასასრულს, კლასი პარაგრაფში დასმულ მე-5 კითხვას განიხილავს: ერთი და იგივე გამოგონება – ეტლი – სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულებით გამოიყენებოდა. მოსწავლეები თანამედროვე ცხოვრებიდან ასახელებენ ტექნოლოგიის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მაგალითებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროზე დაყრდნობით ასაბუთებს ცხენის მოშინაურების მნიშვნელობას – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **რკინის ეპოქის დასაწყისი** |
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა, ეტაპების სქემა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „რკინის ეპოქის დასაწყისი“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის სქემას – რკინის წარმოების ეტაპებს: მადნის მოპოვება და ქურაში ჩაყრა; მადნის დამუშავება მაღალ ტემპერატურაზე და ზოდის მიღება; ზოდის ჭედვა და იარაღისთვის ფორმის მიცემა.<br>2. სქემის გადამოწმების შემდეგ კლასი პარაგრაფში დასმულ მე-9 კითხვას პასუხობს: ილუსტრაციაზე ნაჩვენები სამუშაოების მიხედვით მოსწავლეები ასაბუთებენ, რატომ მოითხოვდა რკინის წარმოება სხვადასხვა უნარ-ჩვევის მქონე ადამიანების თანამშრომლობას და როგორ უწყობდა ხელს შრომის ასეთი ორგანიზება საზოგადოების განვითარებას.<br>3. მასწავლებელი პარაგრაფში დასმულ მე-8 კითხვას სვამს: ძველი ბერძნები რკინის დამუშავების დაწყებას ხალიბების ტომს მიაწერდნენ, მეცნიერთა ნაწილი კი ხალიბებს ქართველურ ტომად მიიჩნევს. კლასი განიხილავს, რას მიანიშნებს ტომის სახელის ამ აღმოჩენასთან დაკავშირება და რით განსხვავდება ეს ვარაუდი ისტორიულად დადასტურებული ფაქტისგან.<br>4. დასასრულს, კლასი ეცნობა ოთარ ჯაფარიძის მოსაზრებას და პარაგრაფში დასმულ მე-7 კითხვაზე მსჯელობს: რა გავლენა იქონია რკინის წარმოებაზე გადასვლამ ეკონომიკის, კულტურისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე რკინის წარმოების ეტაპებს თანმიმდევრულად აღწერს და წარმოებას საზოგადოების განვითარებას უკავშირებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ეპოქის შედეგები** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და ერთად აჯამებს ეპოქის ცვლილებებს: ხელოსნობის დარგების განვითარებას მოჰყვა ვაჭრობის გაფართოება და ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენა; ცხენმა დააახლოვა შორეული მხარეები და ხელი შეუწყო ტომთა გაერთიანების პროცესს; რკინის ათვისებამ კი ეკონომიკის განვითარების ახალი საფუძველი შექმნა.<br>2. მასწავლებელი პარაგრაფის ბოლოს მოცემულ პირველ დავალებას ზეპირი მსჯელობისთვის იყენებს: რატომ ითვლება რკინის ათვისება ცივილიზაციის განვითარების უფრო მაღალ საფეხურად. მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, დასაბუთებული წერითი პასუხის მომზადება ეძლევათ საშინაო დავალებად.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს მომდევნო გაკვეთილის თემაზე: გაძლიერებულ ტომობრივ გაერთიანებებს პოლიტიკური ცენტრები სჭირდებოდათ – ასეთი ცენტრები ციკლოპური ციხე-ქალაქები იყო.<br>4. გასასვლელი ბარათი: „დაასახელეთ ერთი ცვლილება, რომელიც გვიანი ბრინჯაოს ხანის საზოგადოებაში მოხდა და მიუთითეთ მისი მიზეზი; დაწერეთ ერთი კითხვა, რომელიც გაკვეთილის მსვლელობისას გაგიჩნდათ“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ეპოქის ცვლილებებს მიზეზშედეგობრივად აჯამებს – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი; ზეპირი მსჯელობა წერით საშინაო დავალებას ამზადებს. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (ორი კულტურული კერის შედარებითი ცხრილი) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში.

2. დავალება 3 (გერმანე გობეჯიშვილის ტექსტზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

3. დავალება 2 (რკინის წარმოების ეტაპების სქემა) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობაში, წყვილებში; სქემას თანდართული კითხვა შრომის თანამშრომლობის შესახებ საერთო განხილვისას მუშავდება.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: გობეჯიშვილის ტექსტზე მუშაობისას ა) და გ) კითხვები ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, ბ) კითხვა კი გამოთქმის საკუთარი სიტყვებით ახსნას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; წარმოების სქემაში საბაზისო დონეა ეტაპების თანმიმდევრობით ჩაწერა, ხოლო გაღრმავებული – თითოეულ ეტაპზე საჭირო უნარ-ჩვევის განსაზღვრა.

მხარდამჭერი სტრატეგიები: გობეჯიშვილის ტექსტს მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს („გაცხოველდა“, „ასპარეზი“) იქვე განმარტავს; ცხრილისა და სქემის სტრუქტურა მოსწავლეებს მიუთითებს, რა უნდა მოიძიოს ტექსტში; საკვანძო ტერმინები (კულტურული კერა, ზოდი, ქურა) დაფაზე იწერება განმარტებით; ჯგუფებში როლები თანაბრად ნაწილდება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, ექსპონატების გამოსახულებებით (კოლხური ცულები, საბრძოლო ეტლის მოდელი, მახვილები, რკინის წარმოების ილუსტრაცია); მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით, სქემით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობითი ფორმით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „რატომ ითვლება რკინის ათვისება ცივილიზაციის განვითარების უფრო მაღალ საფეხურად?“ მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს: პასუხი ჩამოაყალიბეთ 4-5 წინადადებით, დაეყრდენით ოთარ ჯაფარიძის მოსაზრებას და დაასახელეთ რკინის ორი უპირატესობა ბრინჯაოსთან შედარებით.

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 2: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ გვიანი ბრინჯაოს ხანის მჭედელი და ცხოვრობთ ნაყოფიერებისა და ომის ღვთაების ტაძრის მახლობლად. გადმოეცით, რა იარაღს ამზადებთ ტაძრისთვის და როგორ შეიცვალა თქვენი მუშაობა ბრინჯაოდან რკინაზე გადასვლის შემდეგ?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 6-8 წინადადება პირველ პირში – მჭედლის თვალით;
2. ტექსტში გამოიყენეთ სულ მცირე სამი კონკრეტული დეტალი პარაგრაფიდან (მაგალითად: სარიტუალო დანიშნულების იარაღი; რკინის დამუშავება მაღალ ტემპერატურაზე; ზოდის ჭედვა; რკინის სიმტკიცე ბრინჯაოსთან შედარებით);
3. ცვლილების აღწერისას შეადარეთ ორი ლითონის დამუშავების წესი და მიღებული იარაღის თვისებები.

პირველი დავალება უკავშირდება მე-4 მოსალოდნელ შედეგს, მეორე – მე-3 და მე-4 მოსალოდნელ შედეგებს.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: ცხრილისა და სქემის საერთო გადამოწმება მასწავლებელს აჩვენებს, როგორ კრებენ და ალაგებენ მოსწავლეები ინფორმაციას; მე-9 კითხვაზე მსჯელობისას მასწავლებელი ამოწმებს, უკავშირებენ თუ არა მოსწავლეები შრომის ორგანიზებას საზოგადოების განვითარების პროცესს; გასასვლელი ბარათი ცვლილებისა და მისი მიზეზის დაკავშირების უნარს აფასებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (შესაბამისი ცვლილება მიზეზითა და ერთი შეკითხვით); ცხრილისა და სქემის შესრულების ხარისხის გადამოწმება; დაკვირვება ჯგუფებში და წყვილებში მუშაობაზე.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 2-ის ინდიკატორი – პერიოდიზაციის კრიტერიუმების გამოკვეთა (რკინის ეპოქის ცალკე პერიოდად გამოყოფის ფაქტორები); ბ) შედეგი 4-ის ინდიკატორი – საზოგადოების განვითარების მიზეზშედეგობრივი კავშირების ახსნა. დავალების შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: რკინის მადნის მაღალ ტემპერატურაზე დამუშავება და ლითონების თვისებების შედარება ქიმიისა და ფიზიკის სასწავლო მასალას უკავშირდება. მოქალაქეობა: შრომის დანაწილება, ფულის წარმოშობა და ვაჭრობის განვითარება ეკონომიკური განათლების საწყისი ცნებებია და ისტორიის გაკვეთილზე მათი განხილვა მოქალაქეობის კურსისთვისაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა ორი კულტურული კერის საერთო ნიშნების დამოუკიდებლად გამოკვეთა, თუ მხოლოდ განსხვავებების დასახელებით შემოიფარგლნენ?

2. გობეჯიშვილის ტექსტის ბ) კითხვაზე პასუხისას რამდენად ახსნეს მოსწავლეებმა გამოთქმა საკუთარი სიტყვებით და ვის დასჭირდა დამატებითი დახმარება?

3. ხალიბების საკითხზე მსჯელობისას გაარჩიეს თუ არა მოსწავლეებმა მეცნიერული ვარაუდი და დადასტურებული ფაქტი?

4. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რომელი მიზეზშედეგობრივი კავშირი დარჩა ბუნდოვანი და რომელი საკითხი გამოდგება მომდევნო – §13-ის გახსნისას ციკლოპურ ციხე-ქალაქებზე გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და სიღნაღის მუზეუმის საგანმანათლებლო რესურსები – კოლხური ცულების, საბრძოლო ეტლის მოდელისა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მახვილების გამოსახულებები.

2. გერმანე გობეჯიშვილისა და ოთარ ჯაფარიძის სამეცნიერო შრომები გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის შესახებ – მასწავლებლის პროფესიული ცოდნის გასაღრმავებლად.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ბრინჯაოსა და რკინის ხანის თემატიკაზე.

## 13. ციკლოპური ციხე-ქალაქები

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ძალაუფლება“ – ამ გაკვეთილზე ეს ცნება, როგორც ძირითადი ცნებითი ორიენტირი, პირველად მუშავდება: ციკლოპური ციხე-ქალაქი ძალაუფლების მატერიალური გამოხატულებაა. ქალაქის მფლობელი საგანგებოდ გამაგრებულ ციტადელში ცხოვრობს, ციხე-ქალაქი კი რეგიონის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენს – სივრცითი მოწყობა თვალსაჩინოდ ასახავს, ვის უჭირავს ძალაუფლება და როგორ არის ის დაცული. დამატებით მუშავდება ცნება „საზოგადოება“ – ქალაქის მოწყობა საზოგადოების იერარქიასა და ეკონომიკურ ცხოვრებას ასახავს.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 5 – ძალაუფლებისა და მმართველობის ფორმების კრიტიკული შეფასება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. გაკვეთილი ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: ძალაუფლების გამოვლინებებისა და სიმბოლოების დაკავშირება კონკრეტული ეპოქის საზოგადოებრივ მოწყობასთან (ციტადელი და ციხე-ქალაქი, როგორც მმართველის ძალაუფლების გამოხატულება). ამასთან აქტიურდება შედეგი 4-ის ინდიკატორი: კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით (თავდაცვა, პოლიტიკური ცენტრი, ვაჭრობა, სოციალური იერარქია).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რატომ გაჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანაში ახალი სახის დასახლებები – ციკლოპური ციხე-ქალაქები – და რას გვამცნობენ ისინი იმდროინდელი საზოგადოების შესახებ. ისინი დიმიტრი ნარიმანიშვილის ტექსტზე დაყრდნობით შეისწავლიან აბულის ციხე-ქალაქის მასშტაბებს, გაეცნობიან ტერმინების „მეგალითური“ და „ციკლოპური“ წარმომავლობას და დაახასიათებენ მეგალითურ ქალაქს, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს: (ციტადელი, მოკირწყლული მთავარი ქუჩა, სავაჭრო და სახელოსნო უბნები). გაკვეთილის დასკვნით საკითხს მეგალითების ეპოქის დასასრული წარმოადგენს: მოსწავლეები შეადარებენ მშრალი წყობითა და დუღაბით მშენებლობას და ახსნიან, რატომ შეამცირა ქვის სასროლმა მანქანებმა გიგანტური კედლების თავდაცვისუნარიანობა. გაკვეთილზე გრძელდება ვარჯიში წყაროებიდან რიცხობრივი მონაცემების ამოკრებაში, დასკვნის დასაბუთებასა და ცნებების დახარისხებაში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე წყაროდან ამოკრებს აბულის ციხე-ქალაქის რიცხობრივ მონაცემებს და მათზე დაყრდნობით მსჯელობს ეპოქის საზოგადოების განვითარების დონესა და საჭიროებებზე;
2. მოსწავლე ხსნის ტერმინების „მეგალითური” და „ციკლოპური” წარმომავლობას და ასახელებს მეგალითური ნაგებობების ძირითად დანიშნულებას;
3. მოსწავლე ახასიათებს ციხე-ქალაქის მოწყობას (ციტადელი, მთავარი ქუჩა, საცხოვრებელი და სავაჭრო უბნები) და მას საზოგადოების იერარქიას უკავშირებს;
4. მოსწავლე ადარებს მშრალი წყობითა და დუღაბით მშენებლობას და ასახელებს ცვლილებებს, რომლებმაც მეგალითური მშენებლობების ეპოქა დაასრულა.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

წინა გაკვეთილზე მოსწავლეებმა გაიგეს, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანაში ხელოსნობა და ვაჭრობა განვითარდა, გაჩნდა ქალაქური ტიპის დასახლებები და დაიწყო ტომთა გაერთიანება.

§11-დან მათ ახსოვთ, რომ საზოგადოება ფენებად დაიყო და გამოიკვეთნენ მმართველები. §3-დან მოსწავლეები ფლობენ ტერმინის ეტიმოლოგიური გაანალიზების ხერხს (ბერძნული ფუძეები „მეგა“ და „ლითოსი“ ამ გაკვეთილზეც გამოადგებათ), ხოლო §5-დან – წერილობითი წყაროს ცნობის შეფასების წესს, რომელიც დუღაბის დათარიღების საკითხის განხილვისას დასჭირდებათ. ეს გაკვეთილი აჩვენებს, სად და როგორ ცხოვრობდნენ გაძლიერებული ტომობრივი გაერთიანებების მმართველები და მოსახლეობა.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: აზროვნების რუტინა „ვხედავ – ვფიქრობ – მაინტერესებს“; წყაროს ანალიზი რაოდენობრივი მონაცემების ამოკრებით; როლური კითხვა (გიდი და სტუმარი); მინიდებატი; ეტიმოლოგიური ანალიზი; T-დიაგრამა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: აბულის სასწავლო მასალა მოსწავლეებს წინაპართა შრომისა და ცოდნის დაფასების უნარს კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით უყალიბებს: შვიდმეტრიანი კედლების აგება შრომის რთულ ორგანიზებას, საინჟინრო ცოდნასა და მრავალი ადამიანის შეთანხმებულ საქმიანობას მოითხოვდა. ამასთან, კულტურული ძეგლების დაცვის საკითხიც ბუნებრივად დგება – სამცხე-ჯავახეთში შემონახული 230-მდე მეგალითური ნაგებობა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

კავშირი თანამედროვეობასთან: აბულის ციხე-ქალაქი დღესდღეობით ერთ-ერთი კარგად შემონახული მეგალითური ძეგლია და მისი მონახულება შესაძლებელია. ქალაქის მოწყობის აღწერისას მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებთან ერთად გაავლოს პარალელი თანამედროვე ქალაქის ელემენტებთან (მთავარი ქუჩა, სავაჭრო უბანი, საცხოვრებელი უბნები), რაც აჩვენებს,რომ ქალაქის ძირითადი სტრუქტურა ათასწლეულების წინ ჩამოყალიბდა.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ვხედავ – ვფიქრობ – მაინტერესებს** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | აზროვნების რუტინა „ვხედავ – ვფიქრობ – მაინტერესებს“ |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს აჩვენებს აბულის ციხე-ქალაქის ფოტოს და მოსწავლეები რიგრიგობით პასუხობენ რუტინის სამ კითხვას: რას ვხედავ (მხოლოდ დაკვირვებადი დეტალები), რას ვფიქრობ ამის შესახებ (ვარაუდები), რა მაინტერესებს (კითხვები). პასუხები დაფაზე სამ სვეტად იწერება.<br>2. მასწავლებელი სვეტში „ვფიქრობ“ ორ ისტორიულ წარმოდგენას ამატებს: ძველი ბერძნები ასეთი კედლების მშენებლებად მითოლოგიურ ციკლოპებს მიიჩნევდნენ, ძველი ქართველები კი – მითიურ გმირებსა თუ ლეგენდარულ ამირანს. კლასი მოკლედ განიხილავს, რატომ დასჭირდათ ადამიანებს ამ ფაქტის ზებუნებრივი ახსნა.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რომელიც რჩება დაფაზე): „ვინ და რისთვის აშენებდა ციკლოპურ ციხე-ქალაქებს და რას გვამცნობენ ისინი ძალაუფლებისა და საზოგადოების შესახებ?“ სვეტში „მაინტერესებს“ ჩაწერილ კითხვებს კლასი გაკვეთილის ბოლოს დაუბრუნდება. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | დაკვირვების, ვარაუდისა და კითხვის გამიჯვნა მოსწავლეებს ისტორიკოსის აზროვნების ხერხებს აჩვევს; ჩაწერილი კითხვები გაკვეთილს პირად მნიშვნელობას ანიჭებს (სამიზნე ცნება „ძალაუფლება“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **აბულის ციხე-ქალაქის მონაცემები** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროს ანალიზი რაოდენობრივი მონაცემების ამოკრებით |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ დიმიტრი ნარიმანიშვილის ტექსტს (სახელმძღვანელო, გვ. 68) და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: ა) ამოკრებენ რიცხობრივ მონაცემებს – ციხე-ქალაქისა და ციტადელის ფართობს, კედლის სიმაღლეს, სიგანეს საძირკველთან და შესასვლელების რაოდენობას; ბ) მსჯელობენ, რას გვამცნობს მშენებლობის მასშტაბი და აგების სირთულე ეპოქის საზოგადოების განვითარებასა და საჭიროებებზე; გ) ხსნიან, რა ორმაგ დანიშნულებას ემსახურებოდა კედლებში სათავსების გამართვა.<br>2. ჯგუფები წარადგენენ პასუხებს; მასწავლებელი პარაგრაფში დასმული პირველი კითხვით აჯამებს დისკუსიას; მონაცემების თვალსაჩინოებისთვის კლასი ციტადელის ფართობს (ნახევარი ჰექტარი – 5000 კვადრატული მეტრი) საკლასო ოთახის ან სკოლის ეზოს ფართობს ადარებს,რის საფუძველზეც ასკვნის: მასშტაბური მშენებლობა კარგად ორგანიზებულ, მრავალრიცხოვან და თავდაცვის საჭიროების მქონე საზოგადოებაზე მიუთითებს.<br>3. დასასრულს, კლასი პარაგრაფში დასმულ მე-2 კითხვას უბრუნდება და ტერმინების ეტიმოლოგიას არკვევს: „მეგალითური“ – „მეგა“ (დიდი) და „ლითოს“ (ქვა); „ციკლოპური“ – ბერძნული მითოლოგიური წარმოდგენებიდან(ციკლოპებიდან). მასწავლებელი მოსწავლეებს §3-ში ათვისებულ ხერხს ახსენებს – ტერმინის შინაარსი მისი ფუძეების ცოდნით იხსნება. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროდან ამოკრებილ მონაცემებზე დაყრდნობით ასაბუთებს დასკვნას – მუშავდება პირველი და მე-2 მოსალოდნელი შედეგები. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ექსკურსია ციხე-ქალაქში** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | როლური კითხვა (გიდი და სტუმარი), T-დიაგრამა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილებში როლები შემდეგნაირად ნაწილდება: „გიდი“ კითხულობს მონაკვეთს „მეგალითური ქალაქები“ და „სტუმარს“ ტექსტის მიხედვით ატარებს ქალაქში – მოკირწყლული მთავარი ქუჩიდან სავაჭრო ობიექტებისა და საცხოვრებელი უბნების გავლით ციტადელამდე; „სტუმარი“ კი თითოეულ გაჩერებაზე ერთ დამაზუსტებელ კითხვას სვამს.<br>2. ექსკურსიის შემდეგ წყვილი ერთად ავსებს მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის თ-დიაგრამას: ციტადელი (ვინ ცხოვრობდა მასში და რა ფუნქცია ჰქონდა მას) და ქალაქის ქვედა ნაწილი (ვინ ცხოვრობდა იქ და რა ობიექტები იყო განთავსებული). ნაშრომების საერთო გადამოწმებისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-3, მე-4 და მე-5 კითხვებს.<br>3. მასწავლებელი მოსწავლეებს დიაგრამის ორივე სვეტის შედარებას სთხოვს და ძალაუფლების ასპექტს გამოკვეთს: მმართველი ქალაქზე ამაღლებულ, საგანგებოდ გამაგრებულ ციტადელში ცხოვრობს – ძალაუფლება ქალაქის სივრცეშივეა გამოხატული. კლასი ამ დაკვირვებას §11-ში ნასწავლ წარჩინებულთა ფენის ცნებას უკავშირებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ციხე-ქალაქის მოწყობას საზოგადოების იერარქიასა და ძალაუფლების გამოხატვას უკავშირებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 5-ის ინდიკატორი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **რამ დაასრულა მეგალითების ეპოქა?** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ორ ჯგუფად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | მინიდებატი |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი კითხულობს მონაკვეთს „დუღაბის გამოგონება და მეგალითების ეპოქის დასასრული“ და ორ ჯგუფად იყოფა. მასწავლებელი დებატის ძირითად საკითხს ასახელებს: „რამ დაასრულა მეგალითების ეპოქა – ქვის სასროლმა მანქანებმა თუ კირის დუღაბმა?“ თითოეული ჯგუფი ტექსტზე დაყრდნობით თავისი პოზიციის დასასაბუთებლად ორ არგუმენტს ამზადებს.<br>2. ჯგუფები არგუმენტებს რიგრიგობით წარადგენენ და ერთმანეთს თითო კითხვას უსვამენ. მასწავლებელი დებატს აჯამებს: ორივე ფაქტორი ერთად მოქმედებდა – ქვის სასროლმა მანქანებმა მშრალი წყობის კედლები დაუცველი გახადა, დუღაბმა კი უფრო მტკიცე მშენებლობის შესაძლებლობა გააჩინა.<br>3. დასასრულს, კლასი პარაგრაფში დასმულ მე-6 კითხვას პასუხობს: რა მნიშვნელობა ჰქონდა კირის დუღაბის გამოგონებას და რომელ წყაროს ეყრდნობიან მეცნიერები დუღაბით მშენებლობის დათარიღებისას. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ცნობის შეფასებაზე: „ქართლის ცხოვრება“ მშენებლობის დაწყებას ძვ. წ. III საუკუნით ათარიღებს, მეცნიერები კი უფრო ადრეულ პერიოდს ვარაუდობენ – წერილობითი წყაროს ცნობა სხვა მონაცემებთან ერთად მოწმდება. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე პოზიციას ტექსტიდან აღებული არგუმენტებით იცავს და ეპოქის დასასრულს ტექნოლოგიურ ცვლილებებს უკავშირებს – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რას გვამცნობს კედლები** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვასა და გაკვეთილის დასაწყისში შევსებულ სვეტს „მაინტერესებს“: მოსწავლეები ამოწმებენ, რომელ კითხვას გაეცა პასუხი გაკვეთილზე და აჯამებენ – ციხე-ქალაქები ზებუნებრივმა ძალებმა კი არა, ორგანიზებულმა საზოგადოებამ ააგო თავდაცვის, მმართველობისა და ვაჭრობის საჭიროებისთვის.<br>2. მასწავლებელი მოკლედ წარადგენს რუბრიკას „ეს საინტერესოა“ – დოლმენებს, მეგალითური მშენებლობის კიდევ ერთ სახეობას, რომლის ნიმუშების უმრავლესობა აფხაზეთის ტერიტორიაზეა მიკვლეული.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს მომდევნო გაკვეთილის თემაზე: გაერთიანებული ტომები და მათი ცენტრები უკვე ვიცით – შემდეგი გაკვეთილი უპასუხებს კითხვას, ვინ იყვნენ ეს ადამიანები და როგორ ჩამოყალიბდა ქართველი ერი.<br>4. გასასვლელი ბარათი: „დაასახელეთ ციხე-ქალაქის ერთი ელემენტი და მიუთითეთ, რას გვამცნობს ის იმდროინდელი საზოგადოების შესახებ; დაწერეთ ერთი კითხვა, რომელიც გაკვეთილის ბოლოს გაგიჩნდათ“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე გაკვეთილის მასალას ეპოქის საზოგადოების დახასიათების სახით აჯამებს; გასასვლელი ბარათი მასწავლებელს განმავითარებელი შეფასებისთვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 3 (დიმიტრი ნარიმანიშვილის ტექსტზე მუშაობა) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, ჯგუფებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

2. დავალება 2 (თ-დიაგრამა: ციტადელი და ქალაქის ქვედა ნაწილი) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, წყვილებში.

3. დავალება 1 (მშრალი წყობისა და დუღაბით მშენებლობის დახარისხება) – სრულდება საშინაო დავალებად: მოსწავლეები კლასში გამართული დებატის არგუმენტებს ეყრდნობიან, დახარისხების შედეგი კი პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალების საყრდენია (იხ. სექცია 8).

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ნარიმანიშვილის ტექსტზე მუშაობისას ა) კითხვა მონაცემების ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, ბ) და გ) კითხვები კი დასკვნის დასაბუთებას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; დებატში როლები მოსწავლეთა მზაობის მიხედვით ნაწილდება(არგუმენტის მომძიებელი, ჩამწერი, წარმდგენი); დახარისხების ცხრილში საბაზისო დონეა მახასიათებლების სვეტებში განაწილება,ხოლო გაღრმავებული – საერთო ნიშნების გამოკვეთა.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ნარიმანიშვილის ტექსტს მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და საზომ ერთეულებს (ჰექტარი, კვადრატული მეტრი) იქვე განმარტავს; T-დიაგრამის სვეტების კითხვები მოსწავლეებს მიუთითებს, რა უნდა მოიძიონ ტექსტში; საკვანძო ტერმინები (მეგალითური, ციკლოპური, ციტადელი, დუღაბი) შესაბამის განმარტებებთან ერთად დაფაზე იწერება; ჯგუფებში როლები ნაწილდება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, აბულის ფოტოებითა და მისი რეკონსტრუქციით, თრიალეთის „ციკლოპური“ ნამოსახლარის

გამოსახულებითა და დოლმენის ფოტოთი; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით, დიაგრამით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობითი ფორმით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „ტექსტში ვკითხულობთ, რომ მეგალითური ციხეების ეპოქა „ქვის არტილერიის“ გამოგონებამ დაასრულა. რატომ გახდა გიგანტური კედლები დაუცველი მას შემდეგ, რაც ადამიანმა ქვის მსროლელი მანქანები გამოიგონა?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. ჯერ შეავსეთ მოსწავლის რვეულის დავალება 1 – ცხრილში გაანაწილეთ ცხრა მახასიათებელი მშრალი წყობის, დუღაბით მშენებლობისა და საერთო ნიშნების სვეტებში; კლასში გამართული დებატის არგუმენტები დაგეხმარებათ;

2. ამის შემდეგ პასუხი ჩამოაყალიბეთ 5-6 წინადადებით და მსჯელობისას გამოიყენეთ შევსებული ცხრილი. მიუთითეთ, რით განსხვავდება მშრალი წყობა დუღაბით ნაგები კედლისგან;

3. დაასახელეთ ორივე ფაქტორი, რომელმაც მეგალითური მშენებლობის ეპოქა დაასრულა( ქვის სასროლი მანქანების გამოგონება და კირის დუღაბის დანერგვა) და ახსენით თითოეულის როლი.

მოსწავლის რვეულის დავალება 1 და პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება ერთად უკავშირდება მე-4 მოსალოდნელ შედეგს – სამშენებლო ტექნოლოგიების შედარებასა და ეპოქის დასასრულის მიზეზების ახსნას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: ნარიმანიშვილის ტექსტზე მუშაობისას მასწავლებელი ამოწმებს, განასხვავებენ თუ არა მოსწავლეები მონაცემის ამოკრებასა და შესაბამისი დასკვნის გამოტანას; T-დიაგრამის შედარებისას დამაზუსტებელი კითხვები ავლენს, უკავშირებენ თუ არა მოსწავლეები სივრცით მოწყობას ძალაუფლებასა და იერარქიას; დებატის პროცესში მასწავლებელი აკვირდება, ეყრდნობა თუ არა თითოეული არგუმენტი ტექსტს – ფაქტებს, კონკრეტულ ინფორმაციას; გასასვლელი ბარათი ელემენტისა და დასკვნის დაკავშირების უნარს ზომავს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი (არჩეული ელემენტი დასკვნითურთ და ერთი კითხვით); შევსებული ცხრილისა და T-დიაგრამის ადგილზე გადამოწმება; ჯგუფურ და წყვილებში მუშაობაზე დაკვირვება.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 5-ის ინდიკატორი – ძალაუფლების გამოვლინებებისა და სიმბოლოების დაკავშირება კონკრეტული ეპოქის საზოგადოებრივ მოწყობასთან; ბ) შედეგი 4-ის ინდიკატორი – კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. შესრულების ხარისხი ფასდება როგორც საკლასო აქტივობების, ისე წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

მათემატიკა: ნარიმანიშვილის ტექსტიდან ამოკრებილი ზომები (ჰექტარი, კვადრატული მეტრი, კედლის სიმაღლე და სიგანე) ფართობისა და მასშტაბების გამოთვლისთვის პრაქტიკულ მასალას იძლევა – შესაძლებელია ციტადელის ფართობის შედარება საკლასო ოთახის ან სკოლის ეზოს ფართობთან. ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება – ტექსტი): ამირანის თქმულება ქართული ხალხური ეპოსის ნაწილია და მისი მოშველიება მეგალითების ასახსნელად ლიტერატურის გაკვეთილს უკავშირდება.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა ნარიმანიშვილის ტექსტის ბ) კითხვაზე მონაცემებზე დაფუძნებული მსჯელობა, თუ პასუხები ზოგადი დარჩა?

2. T-დიაგრამის შედარებისას რამდენად დამოუკიდებლად დაუკავშირეს მოსწავლეებმა ქალაქის მოწყობა საზოგადოების იერარქიას?

3. დებატში რამდენად ეყრდნობოდა არგუმენტები ტექსტს და შეინარჩუნა თუ არა კლასმა მსჯელობის კონსტრუქციული ტონი; დულაბის დათარიღების საკითხზე გამოიყენეს თუ არა მოსწავლეებმა წყაროს შეფასების წესი?

4. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და როგორ გამოვიყენებ დასკვნით ნაწილში დასმულ კითხვას – ვინ იყვნენ ეს ადამიანები – §14-ის გაკვეთილის დასაწყისში ?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რესურსები – აბულის, შაორისა და სამცხე-ჯავახეთის სხვა მეგალითური ძეგლების ფოტო და ვიდეომასალა.

2. დიმიტრი ნარიმანიშვილის პუბლიკაციები ციკლოპური ციხე-ქალაქების შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ბრინჯაოს ხანის ძეგლების თემაზე.

## 14. ქართველი ერის წარმოშობა, ანუ ეთნოგენეზი

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ისტორიული მოვლენა, პროცესი“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ძირითად ასპექტს: ეთნოგენეზი ერთჯერადი მოვლენა კი არა, ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარე პროცესია, რომელსაც თანმიმდევრული ეტაპები აქვს – საერთო ქართული ერთობის ჩამოყალიბება, სვანების გამოყოფა, ქართული და მეგრულ-ჭანური ერთობების გაყოფა, სამი მონათესავე ტომობრივი გაერთიანების წარმოქმნა. დამატებით მუშავდება ცნება „ისტორიული წყარო“: ერთსა და იმავე საკითხზე მოსწავლე ორ განსხვავებული შინაარსის ცნობას ადარებს – ლეონტი მროველის ლეგენდარულ გადმოცემასა და ანთროპოლოგ ლია ბითაძის მეცნიერულ დასკვნას.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 6 – საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ინტერპრეტაცია მიზეზშედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით. გაკვეთილი ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ახსნა სხვადასხვა პერსპექტივისა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით (ეთნოგენეზის ეტაპობრივი პროცესის აღწერა და მისი განსხვავებული წყაროებით ახსნა). ამასთან აქტიურდება შედეგი 1-ის ინდიკატორი: წყაროების კლასიფიცირება არსებითი მახასიათებლების მიხედვით – შექმნის მიზნის, პერიოდისა და ავტორის პოზიციის გათვალისწინებით.

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ ცნებები „ერი“ და „ეთნოგენეზი“ და ქართველი ერის წარმოშობა ხანგრძლივ, ეტაპობრივ პროცესად წარმოიდგინონ: ადრე ბრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურის დროს, სამხრეთ კავკასიის ზეგანზე ჩამოყალიბდა საერთოქართველური ენის მქონე ეთნიკური ერთობა (წინარექართველები), რომელიც შემდგომ ეტაპობრივად დაიშალა და ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისთვის სამ მონათესავე ტომობრივ გაერთიანებად იქცა. მოსწავლეები ქართველურ ენათა გენეალოგიური სქემით დაადგენენ ამ ენების ნათესაობას, ხოლო ორი განსხვავებული წყაროს – ლეონტი მროველის ლეგენდარული ცნობისა და ლია ბითაძის ანთროპოლოგიური დასკვნის – შედარებით გაარკვევენ, თუ რას გვთავაზობს თითოეული მათგანი. გაკვეთილი წარმოაჩენს კავკასიელ ხალხთა ნათესაობის იდეასა და საქართველოს კუთხეთა მრავალფეროვნებას, როგორც ერთიანი ქართული კულტურის სიმდიდრეს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე განმარტავს ცნებებს „ერი” და „ეთნოგენეზი” და კონკრეტული მაგალითებით ასახელებს ერის გამაერთიანებელ ნიშნებს;

მოსწავლე ეთნოგენეზს ეტაპობრივ პროცესად აღწერს: თანმიმდევრობით ასახელებს ეტაპებს და თითოეულს სავარაუდო ათასწლეულს უთითებს;

მოსწავლე გენეალოგიური სქემით ხსნის ქართველურ ენათა ნათესაობასა და წარმომავლობას;

მოსწავლე ადარებს ლეონტი მროველისა და ლია ბითაძის ცნობებს შექმნის დროის, ავტორის პოზიციისა და ცოდნის ტიპის მიხედვით და ასახელებს, რა ღირებულება აქვს თითოეულ მათგანს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

ეს გაკვეთილი IV თავს აჯამებს და მთელი თავის ცოდნას ეყრდნობა: §10-დან მოსწავლეებმა იციან მტკვარ-არაქსის კულტურა – სწორედ მის ეპოქას უკავშირდება საერთოქართული

ერთობის ჩამოყალიბება; §12-დან ახსოვთ, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანაში პირველი ქართული ტომობრივი გაერთიანებები წარმოიქმნა. §5-დან მოსწავლეები იცნობენ „ქართლის ცხოვრებას“ და ლეონტი მროველს, §4-დან კი – თანამედროვე მეცნიერების შესაძლებლობებს წარმომავლობის კვლევაში. I თავიდან მათ ახსოვთ საქართველოს კუთხეები და მოსახლეობის მრავალფეროვნება. გაკვეთილი ამ ცოდნას ერთ კითხვაზე პასუხად კრავს: ვინ არიან ქართველები და როგორ ჩამოყალიბდნენ ერად.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ასოციაციური რუკა; ეტაპების განლაგება დროის ხაზზე; გენეალოგიური სქემის ანალიზი; ორმაგი ჩანაწერის დღიური (ორი წყაროს შედარებითი ჩანაწერი); დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთილი მოსწავლის იდენტობის საკითხს ეხება და ამიტომ მასალა მეცნიერულ მონაცემებს ეფუძნება: ეროვნული კუთვნილების განცდა ზუსტ ცოდნას უნდა ეყრდნობოდეს. მროველის ცნობა თარგამოსის შვილებზე ერთიანი კავკასიის იდეის უძველესი გამოხატულებაა და კავკასიელ ხალხთა ურთიერთპატივისცემის საფუძველს იძლევა. აფხაზეთის მონაკვეთი ქართველებისა და აფხაზების საუკუნოვან თანაცხოვრებას წარმოაჩენს, კუთხეთა მრავალფეროვნება კი ერთიანი კულტურის სიმდიდრედ განიხილება.

კავშირი თანამედროვეობასთან: ერის გამაერთიანებელი ნიშნები დღევანდელ ცხოვრებაში უშუალოდ შეიმჩნევა – საერთო ენა, სახელმწიფო, კულტურა და ტრადიციები. პარაგრაფში დასმული მე-2 კითხვა მოსწავლეს საკუთარი გვარის წარმოშობის მოძიებას სთავაზობს – ისტორია ოჯახის ამბიდან იწყება. მეგრული და სვანური ენების ჟღერადობა კი მოსწავლეებს ათასწლეულების წინანდელი პროცესის დღევანდელ ცოცხალ კვალს აჩვენებს.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რა გვაერთიანებს?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ასოციაციური რუკა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფის ცენტრში წერს სიტყვას „ერი“ და მოსწავლეები რიგრიგობით ასახელებენ, რა აერთიანებს, მათი აზრით, ერთი ერის წარმომადგენლებს. პასუხები დაფაზე ასოციაციური რუკის სახით ინიშნება.<br>2. კლასი პარაგრაფის პირველ მონაკვეთს ეცნობა და რუკას ტექსტის განმარტებას ადარებს – პარაგრაფში დასმული პირველი კითხვის მიხედვით მოსწავლეები ასახელებენ ერის ნიშნებს: საერთო ენა, ისტორია, კულტურა, ტრადიციები, ეკონომიკა, ეროვნული შეგნება.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რომელიც გაკვეთილის ბოლომდე რჩება დაფაზე): „როგორ ჩამოყალიბდა ქართველი ერი და საიდან ვიცით ეს?“ |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები საკუთარ წარმოდგენებს ტექსტის განმარტებას ადარებენ და ცნებას „ერი“ ზუსტი ნიშნებით ითვისებენ – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი. |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ეთნოგენეზის ეტაპები** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ეტაპების განლაგება დროის ხაზზე, გენეალოგიური სქემის ანალიზი |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი ტერმინს „ეთნოგენეზი“ ეტიმოლოგიას არკვევს: „ეთნოს“ – ხალხი, „გენესის“ – წარმომავლობა. წყვილები ეცნობიან მონაკვეთებს წინარექართველებისა და საერთოქართული ერთობის დაშლის შესახებ,რის შემდეგაც ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს: ოთხ მთავარ მოვლენას სავარაუდო ათასწლეულს მიუსადაგებენ და ქართველურ ენათა ჯგუფის სამ მონათესავე ენას ჩამოწერენ.<br>2. ნაშრომების საერთო გადამოწმებისას ეთნოგენეზის ეტაპები დაფაზე გამოსახულ ქრონოლოგიურ ხაზზე თანმიმდევრობით ლაგდება. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-3, მე-4 და მე-5 კითხვებს: ვინ არიან წინარექართველები, რომელ ეპოქასა და კულტურას უკავშირდება ერთობის ჩამოყალიბება, რომელი ერთობა გამოეყო პირველად და სად გადასახლდა.<br>3. კლასი აანალიზებს სახელმძღვანელოში მოცემულ გენეალოგიურ სქემას და პარაგრაფში დასმულ მე-6 კითხვას პასუხობს – მოსწავლეები საკუთარი სიტყვებით აღწერენ პროცესს. მასწავლებელი ცნებით მუშაობას აჯამებს: ეთნოგენეზი ერთჯერადი მოვლენა კი არა,ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარე პროცესია, რომელსაც თავისი კონკრეტული ეტაპები გააჩნია (აღნიშნული სტრუქტურული განსხვავება მოსწავლეებისთვის მე-8 პარაგრაფიდანვეა ცნობილი). |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ეთნოგენეზს ეტაპობრივ პროცესად აღწერს და ენათა ნათესაობას სქემით ხსნის – მუშავდება მე-2 და მე-3 მოსალოდნელი შედეგები და შედეგი 6-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | ორი წყარო – ორი **პასუხი** |
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ორმაგი ჩანაწერის დღიური |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ ორ ტექსტს: ლეონტი მროველის ცნობას თარგამოსის შვილებზე და ლია ბითაძის თვალსაზრისს. მოსწავლეები რვეულში ორსვეტიან ჩანაწერს აკეთებენ – თითოეული წყაროსთვის წერენ: ვინ არის ავტორი, როდის შეიქმნა ცნობა, რას ამბობს ქართველების წარმომავლობაზე და რა ტიპის ცოდნას წარმოადგენს (ლეგენდარული გადმოცემასა თუ მეცნიერულ კვლევას).<br>2. წყვილები ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: მროველის ცნობის მიხედვით ჩამოწერენ ყველა ხალხს, რომელსაც გადმოცემით ერთი წინაპარი ჰყავდა. ნაშრომების საერთო განხილვისას მასწავლებელი განმარტავს ცნობის მნიშვნელობას: ის ერთიანი კავკასიის იდეის ერთ-ერთი პირველი გამოხატულებაა.<br>3. კლასი პარაგრაფში დასმულ მე-8 კითხვას პასუხობს: ბითაძის დასკვნით, ქართველების წინაპრები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. მასწავლებელი შედარებას ავჯამებს: ლეგენდა ეპოქის წარმოდგენებსა და ღირებულებებს გვაცნობს, მეცნიერული კვლევა კი – ფაქტობრივ სურათს; ისტორიკოსი ორივე წყაროს იყენებს, თუმცა სრულიად განსხვავებული დანიშნულებით. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორ განსხვავებული ბუნების წყაროს არსებითი ნიშნებით ადარებს – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **მრავალფეროვნება და ერთიანობა** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | დისკუსია |
| **მსვლელობა** | 1. კლასი კითხულობს მონაკვეთს აფხაზეთის შესახებ და რუბრიკას „ეს საინტერესოა“ მეგრული და სვანური ენების თაობაზე. მასწავლებელი დისკუსიას ორი ძირითადი კითხვით წარმართავს: რას გვეუბნება ქართველებისა და აფხაზების საუკუნოვანი თანაცხოვრება და რატომ არის კუთხეთა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება ერთიანი ქართული კულტურის სიმდიდრე.<br>2. მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რა აერთიანებს ყველა კუთხის მცხოვრებს – საერთო ისტორია, სახელმწიფო და სალიტერატურო ენა; მასწავლებელი აზუსტებს, რომ ეს საკითხი საშინაო დავალებაში წერილობით გაგრძელდება.<br>3. დისკუსიის ბოლოს კლასი გაკვეთილის დასაწყისში შექმნილ ასოციაციურ რუკას უბრუნდება: მოსწავლეები ამოწმებენ, ერის რომელი ნიშანი დადასტურდა გაკვეთილის მასალით. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მრავალფეროვნებას ეროვნული ერთიანობის ნაწილად განიხილავს და საკუთარ მსჯელობას გაკვეთილის მასალით ამყარებს – ამ აქტივობით მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ერის ნიშნები** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | სქემის შევსება, შემაჯამებელი დისკუსია |
| **მსვლელობა** | 1. მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის სქემას: ერის ექვსივე ნიშანს ქართველი ერის ცხოვრებიდან თითო კონკრეტულ მაგალითს მიუსადაგებენ.<br>2. პასუხების გადამოწმების შემდეგ, კლასი გაკვეთილის საკვანძო კითხვას უბრუნდება და პასუხს ორ ნაწილად აჯამებს: როგორ ჩამოყალიბდა ერი (ეტაპობრივი პროცესი მტკვარ-არაქსის ეპოქიდან) და საიდან ვიცით ეს (ენათმეცნიერება, ანთროპოლოგია, წერილობითი წყაროები).<br>3. მასწავლებელი IV თავს აჯამებს: ქვიდან ლითონამდე გავლილმა გზამ საზოგადოება თანასწორი თემებიდან ფენებად დაყოფილ,მსხვილ ტომობრივ გაერთიანებამდე მიიყვანა – სწორედ ამ გარემოში ჩამოყალიბდნენ ქართველთა წინაპრები. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ცნებას „ერი“ კონკრეტული მაგალითებით აცნობიერებს; შევსებული სქემა მასწავლებელს განმავითარებელი შეფასებისთვის ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (ეთნოგენეზის მოვლენებისა და ათასწლეულების ცხრილი) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში.

2. დავალება 3 (მროველის ცნობის მიხედვით ხალხთა ჩამოწერა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, წყვილებში.

3. დავალება 1 (ერის ნიშნების სქემა მაგალითებით) – სრულდება კლასში, დასკვნით აქტივობაში, ინდივიდუალურად; შევსებული სქემა პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალების საყრდენია.

4. დავალება 4 (მრავალფეროვნება და გამაერთიანებელი ფასეულობები) – სრულდება საშინაო დავალებად: მოსწავლეები კლასში გამართული დისკუსიის მსჯელობას წერილობით აყალიბებენ (იხ. სექცია 8).

5. IV თავის შემაჯამებელი დავალებები – რვეულში §14-ს მოსდევს; რეკომენდებულია მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში, თავის გასამეორებლად.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მოსწავლის რვეულის ეთნოგენეზის ცხრილში საბაზისო დონეს წარმოადგენს მოვლენებისთვის შესაბამისი ათასწლეულების მიწერა, ხოლო გაღრმავებული – პროცესის საკუთარი სიტყვებით აღწერა (მე-6 კითხვა); ორმაგი ჩანაწერის დღიურში საბაზისო დონეა ავტორისა და დროის მითითება, გაღრმავებული – ცოდნის ტიპის განსაზღვრა და ორი წყაროს დანიშნულების შედარება.

მხარდამჭერი სტრატეგიები: მროველის ძველი ქართულით დაწერილ ცნობას მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და ხალხთა სახელწოდებებს („რანნი“, „მოვაკნელნი“, „ჰერნი“) იქვე განმარტავს; გენეალოგიური სქემა დაფაზეც იხაზება და შტოები ეტაპობრივად ივსება; ტერმინები (ეთნოგენეზი, წინარექართველები, ანთროპოლოგი) ლექსიკონის განმარტებებთან ერთად დაფაზე იწერება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, გენეალოგიური სქემითა და ეთნოგრაფიული ჯგუფების ილუსტრაციებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია სქემით, დროის ხაზით, ორსვეტიანი ჩანაწერით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ მკვლევარი და ამზადებთ პატარა მოხსენებას თემაზე: „რა აერთიანებს დღევანდელ ქართველებს ერთ ერად“. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც გამოიყენებთ გაკვეთილში ჩამოთვლილ ერის ნიშნებს – ენას, ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს – და თითოეულზე მოიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 7-9 წინადადება მკვლევრის პოზიციიდან – მოხსენების სათაურითა და მოკლე დასკვნით;

2. ტექსტის საყრდენად გამოიყენეთ კლასში შევსებული ერის ნიშნების სქემა (მოსწავლის რვეულის დავალება 1) – თითოეულ ნიშანს თითო კონკრეტული მაგალითი მიუსადაგეთ;

3. დასკვნაში ერთი წინადადებით მიუთითეთ, რომელი ნიშანი მიგაჩნიათ ყველაზე მთავარ გამაერთიანებელ ფაქტორად და რატომ.

მოსწავლის რვეულში ასევე სრულდება დავალება 4: წერილობით ჩამოაყალიბეთ, როგორ ამდიდრებს კუთხეთა მრავალფეროვნება ერთიან ქართულ კულტურას და რა მთავარი ფასეულობები აერთიანებს ყველა კუთხის მცხოვრებს – კლასში გამართული დისკუსიის მსჯელობა დაგეხმარებათ.

დამატებითი, არასავალდებულო დავალება – პარაგრაფში დასმული მე-2 კითხვა: ოჯახის წევრებთან ერთად მოიძიეთ ინფორმაცია თქვენი გვარის წარმოშობის შესახებ; მსურველები მოკლე ამბავს მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში გაუზიარებენ კლასს.

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება უკავშირდება პირველ მოსალოდნელ შედეგს, რვეულის დავალება 4 – პირველ და მე-2 მოსალოდნელ შედეგებს.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: ეთნოგენეზის ცხრილის გადამოწმება აჩვენებს, აღიქვამენ თუ არა მოსწავლეები პროცესს ეტაპობრივად და არა ერთჯერად მოვლენად; ორმაგი ჩანაწერის დღიურის განხილვისას მასწავლებელი ამოწმებს, განასხვავებენ თუ არა მოსწავლეები ლეგენდარულ გადმოცემასა და მეცნიერულ კვლევას ერთმანეთისგან; დასკვნითი სქემის ინდივიდუალური შევსება ცნების „ერი“ ათვისების ხარისხს ზომავს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ერის ნიშნების სქემის ინდივიდუალური

შესრულების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში მუშაობასა და დისკუსიაში მონაწილეობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 6-ის ინდიკატორი – საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ახსნა სხვადასხვა პერსპექტივისა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით; ბ) შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროების კლასიფიცირება არსებითი მახასიათებლების მიხედვით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალებების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა (სამიზნე ცნება – ენა): ქართველურ ენათა ნათესაობა და წინარექართული ენის ცვლილება ენის ისტორიის საკითხია – შესაძლებელია ქართულის მასწავლებელთან ერთად მეგრული და სვანური სიტყვების ქართულ შესატყვისებთან შედარება. მოქალაქეობა: ერის, ეროვნული შეგნებისა და კულტურული მრავალფეროვნების ცნებები მოქალაქეობის კურსის ძირითადი მასალაა.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. აღიქვეს თუ არა მოსწავლეებმა ეთნოგენეზი ეტაპობრივ პროცესად – მე-6 კითხვაზე პასუხისას პროცესის აღწერა თანმიმდევრული იყო თუ ცალკეული ფაქტების ჩამოთვლა?

2. იდენტობის თემაზე მსჯელობა რამდენად წარიმართა მეცნიერული ცოდნის ფარგლებში და მრავალფეროვნების საკითხი ეროვნულ სიმდიდრედ აღიქვა თუ არა კლასმა?

3. მოსწავლის რვეულის შემაჯამებელი დავალებებისთვის რომელი საკითხი საჭიროებს გამეორებას?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის შრომები ქართველურ ენათა ისტორიისა და წინარექართული ენის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. ლია ბითაძის პუბლიკაციები ქართველების ანთროპოლოგიური ისტორიის შესახებ.

3. ნინო ბრაილაშვილის ეთნოგრაფიული ჩანახატები (სახელმძღვანელოს ილუსტრაციების წყარო) – საქართველოს კუთხეთა ტრადიციული სამოსის მასალა.

## V თავი. უძველესი ქართული სახელმწიფოები

### შესავალი მასწავლებლისთვის

**თავის მიზანი და შინაარსობრივი ხაზი**

V თავი ხუთ პარაგრაფს – ხუთ გაკვეთილს – მოიცავს: §15 კოლხური კულტურა და კოლხას სამეფო, §16 კოლხური სამყარო და არგონავტების მითი, §17 აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, §18 აქემენიანთა ირანი, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო, §19 მშენებლობა ძველ საქართველოში.

თავის შინაარსობრივი ხაზი ასეთია: გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული კერების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ყალიბდება – კოლხა, დიაოხი, მოგვიანებით სასპერთა გაერთიანება და აღდგენილი კოლხეთის (ეგრისის) სამეფო. ეს გაერთიანებები მჭიდრო ურთიერთობაში შედიან ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან (ასურეთი, ურარტუ, აქემენიანთა ირანი) და ბერძნულ სამყაროსთან. მოსწავლე აკვირდება, როგორ გადადის საზოგადოება ტომობრივი გაერთიანებიდან სახელმწიფომდე და როგორ აისახება ეს პროცესი წერილობით წყაროებში, არქეოლოგიურ მასალასა და მითოლოგიაში.

თავი საკმაოდ მდიდარია წყაროებით: მოსწავლე ეცნობა სარდურ II-ისა და ტიგლათფილესერ I-ის წარწერებს, ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელის, ჰეროდოტეს, სტრაბონის, აპიანესა და ვიტრუვიუსის ცნობებს, აგრეთვე ოთარ ლორთქიფანიძის, გიორგი მელიქიშვილისა და ირაკლი ციციშვილის თვალსაზრისებს. შესაბამისად, ამ თავის მეთოდიკურ ბირთვს წყაროებთან სისტემური მუშაობა წარმოადგენს – განსაკუთრებით, ავტორის პერსპექტივისა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

**სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები პარაგრაფების მიხედვით**

თითოეულ პარაგრაფზე ძირითადი აქცენტი ერთ სამიზნე ცნებაზე კეთდება; აქვე მითითებულია, რომელი ცნების დამუშავებას უწყობს ხელს გაკვეთილი დამატებით და რომელი ინდიკატორის მიხედვით. ამ განაწილებით თავში ექვსივე სამიზნე ცნება მუშავდება.

1. §15 – ძირითადი ცნება „დრო (ისტორიული პერიოდი)“, შედეგი 2. ინდიკატორი: ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით – კოლხური კულტურა ცულის, მეტალურგიის, კერამიკისა და ჯვარგვალური არქიტექტურის ერთიანობით ხასიათდება. დამატებით აქტიურდება ცნება „ისტორიული წყარო“ – შედეგი 1-ის ინდიკატორები: წყაროს სანდოობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვეთა (სარდურ II-ის წარწერა გამარჯვებულის პერსპექტივას ასახავს) და ვარაუდის გამოთქმა, როგორ აღწერდა იმავე მოვლენას მოწინააღმდეგე მხარე (მე-8 კითხვა – მეფე მეშას წარმოსახვითი წარწერა).

2. §16 – ძირითადი ცნება „ისტორიული წყარო“, შედეგი 1. ინდიკატორები: წყაროების კლასიფიცირება არსებითი მახასიათებლების მიხედვით (მითი, როგორც წყაროს განსაკუთრებული ტიპი – ფანტასტიკური და ისტორიული ელემენტების გამიჯვნა) და ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი წყაროების შედარება (ჰომეროსისა და აპოლონიოს როდოსელის ცნობები, წყაროს შექმნის დროის მნიშვნელობა). დამატებით აქტიურდება ცნება „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელობის ახსნა (არგონავტების მარშრუტი, რუკა 9).

3. §17 – ძირითადი ცნება „ძალაუფლება“, შედეგი 5. ინდიკატორი: ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებებისა და მისი შედეგების გამოკვეთა – ასურეთისა და ურარტუს ექსპანსია, ხარკი, მძევლები, ნაირის ქვეყნების კოალიცია, დიაოხის დასუსტება და განადგურება. დამატებით აქტიურდება ცნება „ისტორიული წყარო“ – შედეგი 1-ის ინდიკატორები: ვარაუდის გამოთქმა მოწინააღმდეგის პერსპექტივაზე (მე-7 კითხვა – დიაოხის მეფის წარმო-

სახვითი წარწერა) და წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების შეპირისპირება (დიაოხი და კოლხა წერილობითი ცნობებით, დიდნაური – მხოლოდ არქეოლოგიური მასალით, მე-8 კითხვა).

4. §18 – ძირითადი ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, შედეგი 6. ინდიკატორები: მოვლენების/პროცესების შედარება არსებითი მახასიათებლების მიხედვით (ბერძნული კოლონიზაცია, როგორც ორმხრივად სასარგებლო სავაჭრო ურთიერთობა, და ირანისთვის ხარკის გადახდა, როგორც იძულებითი ურთიერთობა) და მიზეზშედეგობრივი კავშირების ანალიზი (კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები – კოლხას სამეფოს დაცემა – ეგრისის/კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბება). დამატებით აქტიურდება ცნება „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: შავი ზღვის სანაპიროსა და საზღვაო გზების მნიშვნელობა ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობაში.

5. §19 – ძირითადი ცნება „საზოგადოება“, შედეგი 4. ინდიკატორი: ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით – ქალაქების გაჩენა სახელმწიფოებრიობის განვითარების ნიშანია და ვაჭრობის, ხელოსნობისა და მიმოსვლის განვითარებას უკავშირდება. დამატებით აქტიურდება ცნება „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: საზოგადოების მახასიათებლების დაკავშირება გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან (კოლხური ხის სახლი და ნესტიანი ჰავა, მთისა და ბარის სამშენებლო მასალა), აგრეთვე ცნება „ისტორიული წყარო“ – ვიტრუვიუსის აღწერაზე მუშაობით.

პრაქტიკული შენიშვნები

1. თავში პირველად დგება გამარჯვებული მხარის პერსპექტივის პრობლემა: სარდურ II-ისა და ტიგლათფილესერ I-ის წარწერები დამპყრობლის თვალთახედვას ასახავს. ეს ხაზი §5-ში ჩამოყალიბებულ სანდოობის წესს („ვინ წერს და საიდან იცის?“) აგრძელებს და აღრმავებს – მოსწავლე სწავლობს, რომ წყაროს ავტორის ინტერესი ტექსტის შინაარსზე აისახება.

2. §16-ში მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა: მითის ფანტასტიკური ელემენტები ისტორიული ბირთვისგან ისე უნდა გაიმიჯნოს, რომ მითის კულტურული ღირებულება არ დაკნინდეს. ტიმ სევერინის 1984 წლის ექსპერიმენტი ამ მსჯელობის კარგი საყრდენია.

3. §18-ში ნახსენებია კოლხი მონების გაყიდვა საბერძნეთში. მასწავლებელი ამ თემას ისტორიული ანალიზის ფარგლებში, ეპოქის კონტექსტის გათვალისწინებით განიხილავს – მონობა ძველ სამყაროში გავრცელებული პრაქტიკა იყო, რაც მის შეფასებას თანამედროვე ღირებულებების პოზიციიდან არ გამორიცხავს.

4. თავი მდიდარია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატებით (კოლხური ცულისპირები, ცაიშის განძი, ვანის ოქრომჭედლობის ნიმუშები, კოლხური თეთრი) – ეს რესურსები გამოსადეგია დიფერენცირებისა და ვიზუალური მხარდაჭერისთვის.

5. მოსწავლის რვეულში V თავს ოთხი კონტურული რუკა ახლავს: კოლხური კულტურის გავრცელება (§15-ის შემდეგ), არგონავტების ლაშქრობა (§16-ის შემდეგ), ქართველური ტომები და გარესამყარო (§17-ის შემდეგ), ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში (§18-ის შემდეგ). თავის ბოლოს მოცემულია შეჯამების კროსვორდი, რომელიც განმეორების გაკვეთილზე ან საშინაო დავალებად გამოიყენება.

## 15. კოლხური კულტურა და კოლხას სამეფო

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: ეპოქის ერთიანი სურათი კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით იქმნება. გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოს კოლხური კულტურა ლითონის საომარი და სამეურნეო იარაღის, სპეციფიკური კერამიკის, ჯარგვალური არქიტექტურისა და განვითარებული მეტალურგიის ერთიანობით ხასიათდება, ხოლო ამ კულტურის მქონე მოსახლეობამ საფუძველი ჩაუყარა კოლხას სამეფოს – პირველ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას საქართველოს ტერიტორიაზე.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 2 – საქართველოს ისტორიის ეპოქების დახასიათება/შედარება სულიერი და მატერიალური კულტურის კრიტიკული გააზრებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით. ამასთან აქტიურდება ცნება „ისტორიული წყარო“ – შედეგი 1-ის ორი ინდიკატორი: წყაროს სანდოობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვეთა (სარდურ II-ის წარწერა გამარჯვებულის პერსპექტივას ასახავს) და ვარაუდის გამოთქმა, როგორ შეიცვლებოდა წყაროს შინაარსი ავტორის პერსპექტივის შეცვლის შემთხვევაში (მე-8 კითხვა – მეფე მეშას წარმოსახვითი წარწერა).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა დაახასიათონ კოლხური კულტურა მისი შემადგენელი ელემენტების ერთიანობით და გაიგონ, როგორ ადგენენ მეცნიერები კულტურის გავრცელების საზღვრებს ნივთიერი წყაროების – პირველ რიგში, კოლხური ცულის – აღმოჩენების მიხედვით. ისინი გაეცნობიან კოლხას სამეფოს ჩამოყალიბებას, სარდურ II-ის წარწერიდან გამოიტანენ დასკვნებს სამეფოს მოწყობის შესახებ და ივარჯიშებენ გამარჯვებულის მიერ შედგენილი წყაროს კრიტიკულ ანალიზში. მოსწავლეები ახსნიან რკინის დამუშავების მნიშვნელობას, როგორც ტექნოლოგიური განვითარების მაჩვენებელს, და გამოთქვამენ ვარაუდს, როგორ აღწერდა იმავე ომს დამარცხებული მხარე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ახასიათებს კოლხურ კულტურას მისი ელემენტების (ლითონის იარაღი, კერამიკა, ჯარგვალური არქიტექტურა) ურთიერთდაკავშირებით და ხსნის, როგორ ადგენენ მეცნიერები კულტურის გავრცელების საზღვრებს კოლხური ცულის აღმოჩენების მიხედვით;

2. მოსწავლე რუკაზე დაკვირვებით ასახელებს კოლხური კულტურის გავრცელების ძირითად ცენტრებს და მსჯელობს, დასავლეთ საქართველოს რომელი რეგიონი იყო უფრო განვითარებული;

3. მოსწავლე სარდურ II-ის წარწერიდან გამოაქვს დასკვნა კოლხას სამეფოს მოწყობის შესახებ (მეფისნაცვალი, გამაგრებული სამეფო ქალაქი) და ხსნის, რატომ საჭიროებს გამარჯვებულის შედგენილი წყარო კრიტიკულ მიდგომას;

4. მოსწავლე ხსნის რკინის ბეჭდის მნიშვნელობას და გამოთქვამს ვარაუდს, როგორ აღწერდა იმავე ომს კოლხთა მეფე მეშა.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§12-ში მოსწავლეებმა შეისწავლეს გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა და გაიგეს, რომ საქართველოში ორი კულტურული კერა ჩამოყალიბდა; მათ იციან, რომ კოლხურ

ცულს სარიტუალო დანიშნულებაც ჰქონდა და იცნობენ რკინის წარმოების ეტაპებს. §13-დან ახსოვთ, რომ გამაგრებული დასახლება საზოგადოების მოწყობასა და ძალაუფლებაზე მეტყველებს, §14-დან კი – მეგრულ-ჭანური ენობრივი ერთობის არსებობა (ამ ცოდნას ლექსიკონის სიტყვა „ჯარგვალი“ დაუკავშირდება). ეს გაკვეთილი დასავლურ ქართული კულტურული კერის სრულ სურათს შლის: ცალკეული ნიშნებიდან მოსწავლე ერთიან კულტურამდე და მის საფუძველზე წარმოქმნილ პირველ სახელმწიფოებრივ გაერთიანებამდე მიდის.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: პრობლემაზე დაფუძნებული კითხვა; ტექსტზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; რუკაზე დაკვირვება; წყაროს კრიტიკული ანალიზი ავტორის პერსპექტივის გათვალისწინებით; პერსპექტივის შეცვლის სავარჯიშო; შემაჯამებელი ცხრილი; წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: სარდურ II-ის წარწერა გამარჯვებულის თვალთახედვას ასახავს და ომის სისასტიკესაც აღწერს (მოსახლეობის დაწვა, ტყვეობა). მასწავლებელი ამ ადგილებს ისტორიული ანალიზის ფარგლებში განიხილავს – მთავარი მიზანია ეპოქის სიღრმისეული გაგება, წყაროსადმი კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცალმხრივი ინფორმაციის ამოცნობა და გადამოწმების ჩვევის განმტკიცება.

კავშირი თანამედროვეობასთან: ცალმხრივი პერსპექტივით გადმოცემული ინფორმაცია დღესაც აქტუალურია როგორც მედიაში, ისე ყოველდღიურ ურთიერთობებში. §5-ში ჩამოყალიბებული წესი „ვინ წერს და საიდან იცის?“ ამ გაკვეთილზე ახალი კრიტიკული კითხვით ივსება: „რა ინტერესი აქვს ავტორს?“. ცხინვალში აღმოჩენილი კოლხური ცულისპირები და კოლხური ბრინჯაოს სხვა ნიმუშები საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული, სადაც მათი ნახვა დღესაც შესაძლებელია.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **საზღვარი ერთი ნივთით** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს აჩვენებს კოლხური ცულის გამოსახულებას და §12-ის მასალას ახსენებს: გვიანი ბრინჯაოს ხანაში საქართველოში ორი კულტურული კერა ჩამოყალიბდა, დასავლური კერის განმასხვავებელი იარაღი კი კოლხური ცული იყო.<br>2. მასწავლებელი სვამს პრობლემურ კითხვას: ამ ეპოქის მოსახლეობას წერილობითი დოკუმენტები არ დაუტოვებია. მაშ, საიდან იციან მეცნიერებმა, სად გადიოდა კოლხური კულტურის საზღვრები? მოსწავლეები გამოთქვამენ სავარაუდო ვერსიებს, ხოლო მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ინიშნავს.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რომელიც გაკვეთილის ბოლომდე დაფაზე რჩება): „რა აკავშირებს ერთმანეთთან კოლხურ ცულს, ჯარგვალსა და კოლხას სამეფოს – როგორ იქმნება ეპოქის ერთიანი სურათი?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | პრობლემური კითხვა მოსწავლეებს მკვლევრის პოზიციაში აყენებს; გამოთქმული ვარაუდები პირველ აქტივობასა და დასკვნით ნაწილში გადამოწმდება (სამიზნე ცნება „დრო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **კულტურის პორტრეტი** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ტექსტზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით, რუკაზე დაკვირვება |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „კოლხური კულტურა“, ოთარ ლორთქიფანიძის თვალსაზრისსა და ლექსიკონის განმარტებებს („ჯარგვალი“, „ფაზისი“); შემდეგ პასუხობენ პარაგრაფში დასმულ პირველ და მე-2 კითხვებს: რატომ არის კოლხური ცული კულტურის გავრცელების ისტორიული მტკიცებულება და რა გზებით შეიძლება მოხვედრილიყო კოლხების იარაღი მეზობელ ხალხებთან (ვაჭრობა, გაცვლა, ლაშქრობები).<br>2. ნაშრომის საერთო განხილვისას მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს კულტურის ძირითად ელემენტებს – ლითონის საომარ და სამეურნეო იარაღს, სპეციფიკურ კერამიკას, ჯარგვალურ არქიტექტურას – და ხაზს უსვამს ოთარ ლორთქიფანიძის შეფასებას: ეს კულტურა თავისთავადი და უნიკალურია, მისი ფორმირების საწყისი ხანა ძვ. წ. XVI-XV საუკუნეებიდან ივარაუდება.<br>3. კლასი რუკა 8-ზე დაკვირვებით პასუხობს მე-3 და მე-4 კითხვებს: ასახელებს გავრცელების ძირითად ცენტრებს და მსჯელობს, რომელი რეგიონი ჩანს უფრო განვითარებული. აქვე მოწმდება გაკვეთილის დასაწყისში გამოთქმული ვარაუდები: კულტურის გავრცელების საზღვრებს ნივთიერი წყაროების – პირველ რიგში, კოლხური ცულის – აღმოჩენის კერები ადგენს. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე კულტურას მისი ელემენტების ერთიანობით ახასიათებს და ეცნობა კულტურული არეალის საზღვრების დადგენის მეთოდს – მუშავდება პირველი და მე-2 მოსალოდნელი შედეგები. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **გამარჯვებულის წარწერა** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროს კრიტიკული ანალიზი ავტორის პერსპექტივის გათვალისწინებით |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი მოკლედ გადმოსცემს მონაკვეთს „კოლხას სამეფო“: ასურული წყაროებისა და ბერძნული მითების მიხედვით, სამეფო ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში კი გაძლიერდა და ვანის ტბასთან აღზევებულ ურარტუს გაუმეზობლდა – ვრცელი საერთო საზღვარი დაპირისპირების მიზეზად იქცა.<br>2. ჯგუფები კითხულობენ სარდურ II-ის წარწერას და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს: ა) რომელი სამეფოს წინააღმდეგ ლაშქრობს სარდური და რა განაპირობებს ლაშქრობას; ბ) რომელი გეოგრაფიული პუნქტებია დასახელებული; გ) რა სიმდიდრეზე მიუთითებს წარწერა (გამაგრებული სამეფო ქალაქი, ციხესიმაგრეები, ქალაქები). ჯგუფები პასუხობენ პარაგრაფში დასმულ მე-5 კითხვასაც: მეფისნაცვლის არსებობა მმართველობის ჩამოყალიბებულ სისტემაზე მიუთითებს.<br>3. საერთო განხილვისას მასწავლებელი სვამს მე-6 კითხვას: რატომ უნდა მოვეპყროთ განსაკუთრებული სიფრთხილით გამარჯვებულის წარწერას? კლასი მსჯელობს და ერთმანეთისგან განასხვავებს: რა დასტურდება წყაროდან სანდოდ (ომი, სამეფო ქალაქ ილდამუშას არსებობა და ის, რომ კოლხას სამეფოს მეფისნაცვალი განაგებდა); რა საჭიროებს კრიტიკულ შეფასებას (გამარჯვების რეალური მასშტაბი და განადგურების სისრულე). §5-ის წესს – „ვინ წერს და საიდან იცის?“ – ახალი კრიტიკული კითხვა ემატება: „რა ინტერესი აქვს ავტორს?“. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროდან სახელმწიფო მოწყობის ნიშნებს გამოყოფს და გამარჯვებულის პერსპექტივას ითვალისწინებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **რკინის ბეჭდის საიდუმლო** |
|---|---|
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ წყვილებში |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა, პერსპექტივის შეცვლის სავარჯიშო |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი ეცნობა მონაკვეთს „კოლხური მეტალურგია“ და სტრაბონის ცნობას. მასწავლებელი სვამს მე-7 და მე-9 კითხვებს: რატომ დაამზადებინა სარდურმა გამარჯვების ნიშნად სწორედ რკინის ბეჭედი და რომელი ლითონის ათვისება იყო ტექნოლოგიური განვითარების მაჩვენებელი. მოსწავლეები ასკვნიან: რკინის დამუშავება იმ დროისთვის ახალი და რთული ტექნოლოგია იყო; წარწერას არქეოლოგიური აღმოჩენებიც (რკინის მადანი, სადნობი ქურები, იარაღები) ადასტურებს.<br>2. წყვილები მუშაობენ მე-8 კითხვაზე: წარმოიდგინეთ, რომ იმავე ომის შესახებ წარწერა მეფე მეშას დაეწერა – რომელ მოვლენებზე ისაუბრებდა ვრცლად და რომელ ფაქტებს მიაქცევდა ნაკლებ ყურადღებას? წყვილები ვარაუდს ორი-სამი წინადადებით აყალიბებენ.<br>3. რამდენიმე წყვილი ვარაუდს წარადგენს; მასწავლებელი აჯამებს: ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ავტორის წარწერაში სხვადასხვანაირად აისახებოდა – ავტორის პერსპექტივისა და ინტერესის შეცვლა პირდაპირ ცვლის წყაროს შინაარსსა და აქცენტებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე რკინის მნიშვნელობას ხსნის და პერსპექტივის შეცვლის ვარაუდს აყალიბებს – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **კულტურის ერთიანი სურათი** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი ცხრილი, დისკუსია |
| **მსვლელობა** | 1. მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილს: კოლხური ცულის სამი ფუნქცია; „ჯარგვალის“ მნიშვნელობა; ლითონები, რომლითაც მდიდარი იყო კოლხა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების მაჩვენებელი; გავრცელების არეალი და კულტურის საზღვრების დადგენის ხერხი.<br>2. სწრაფი გადამოწმების შემდეგ კლასი უბრუნდება გაკვეთილის საკვანძო კითხვას: მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას, რომ ეპოქის ერთიანი სურათი კულტურის ელემენტების ურთიერთდაკავშირებით იქმნება, ხოლო ამ კულტურის მქონე მოსახლეობამ საფუძველი ჩაუყარა კოლხას სამეფოს.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს §16-ის თემაზე: კოლხას სამეფოს სიმდიდრემ ბერძნულ სამყარომდეც მიაღწია და მითებშიც აისახა – მომდევნო გაკვეთილზე კლასი არგონავტების მითს გაეცნობა და გაარკვევს, რა არის მასში ფანტაზია და რა – ისტორიული სინამდვილე. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | ცხრილი მთელი გაკვეთილის მასალას აჯამებს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი; ინდივიდუალური შესრულება მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (სარდურ II-ის წარწერაზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

2. დავალება 1 (კოლხური კულტურის დამახასიათებელი ნიშნების ცხრილი) – სრულდება კლასში, დასკვნით აქტივობაში, ინდივიდუალურად; ცხრილი მთელი გაკვეთილის მასალას აჯამებს.

3. დავალება 3 (ლითონები და მათგან დამზადებული ნაწარმი) – სრულდება სახლში.

4. კონტურული რუკა „კოლხური კულტურის გავრცელება“ – სრულდება სახლში, რვეულში მოცემული შვიდი მითითების მიხედვით.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის ა) და ბ) კითხვები ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, გ) კითხვა და პარაგრაფში დასმული მე-6 და მე-8 კითხვები კი დასკვნისა და ვარაუდის ჩამოყალიბებას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს მე-11 კითხვას – რა წყაროები დაგვჭირდებოდა სტრაბონის ცნობის გადასამოწმებლად.

მხარდამჭერი სტრატეგიები: სარდურ II-ის წარწერას მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს („მეფისნაცვალი“, „ლაშქრობა“, „ხარკი“) იქვე განმარტავს; ტერმინები (კოლხური კულტურა, ჯარგვალი, ფაზისი, მეფისნაცვალი) ფიქსირდება დაფაზე; რუკაზე მუშაობისას მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს პირობითი აღნიშვნების წაკითხვაში; ჯგუფებში როლები ნაწილდება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, კოლხური ცულის გამოსახულებებით, ისტორიული რუკით, ურარტული ლურსმული წარწერის ფოტოთი; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით, რუკაზე ჩვენებით, ზეპირი მსჯელობითა თუ წერილობითი პასუხით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ ისტორიკოსი და უნდა ახსნათ, როგორ ჩამოყალიბდა კოლხას სამეფო. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც გამოყოფთ ამ პროცესის მთავარ ფაქტორებს – ბუნებრივ რესურსებს, მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარებას, სავაჭრო კავშირებს, გეოგრაფიულ მდებარეობას და მეზობლებთან ურთიერთობას“. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 6-8 წინადადება;

2. დაასახელეთ სულ მცირე სამი ფაქტორი და თითოეული გაამყარეთ პარაგრაფიდან აღებული კონკრეტული ფაქტით (მაგალითად: რკინის სადნობი ქურები, კოლხური ცულის გავრცელების არეალი, სარდურ II-ის წარწერაში ნახსენები გამაგრებული სამეფო ქალაქი);

3. გამოიყენეთ კლასში შევსებული ცხრილი (მოსწავლის რვეულის დავალება 1).

დამატებით სრულდება მოსწავლის რვეულის დავალება 3 და კონტურული რუკა „კოლხუ-

რი კულტურის გავრცელება“. დავალება უკავშირდება პირველ და მე-3 მოსალოდნელ შედეგებს – კულტურის დახასიათებასა და სამეფოს ჩამოყალიბების ახსნას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: წყვილების პასუხები პირველ და მე-2 კითხვებზე მასწავლებელს აჩვენებს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ნივთიერი წყაროებით კულტურის საზღვრების დადგენის ლოგიკა; მე-6 კითხვაზე მსჯელობა ავლენს, განასხვავებენ თუ არა ისინი სანდო ფაქტსა და გადასამოწმებელ მტკიცებას; დასკვნითი ცხრილის ინდივიდუალური შევსება ამოწმებს მთელი გაკვეთილის მასალის ათვისების ხარისხს. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: შემაჯამებელი ცხრილის ინდივიდუალური შესრულების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო საკლასო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 2-ის ინდიკატორი – ეპოქის ერთიანი სურათის შექმნა კულტურის სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირებით; ბ) შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროს სანდოობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვეთა და ანალიზი. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია: რუკაზე მუშაობა, პირობითი აღნიშვნების წაკითხვა და ბუნებრივი რესურსების (ლითონის საბადოების) დაკავშირება მეურნეობის განვითარებასთან ამყარებს გეოგრაფიის კურსში ათვისებულ უნარებს. ქართული ენა და ლიტერატურა: სიტყვა „ჯარგვალის“ წარმომავლობა (მეგრული „ჯა“ – ხე და „რგვალ“ – მრგვალი) აჩვენებს, რომ ენობრივი მასალაც ისტორიული წყაროა – ეს პირდაპირ უკავშირდება §14-ში ნასწავლ ენობრივ ერთობებს. მოქალაქეობა: ცალმხრივი ინფორმაციის ამოცნობა და ავტორის ინტერესის გათვალისწინება მედიაწიგნიერების ერთ-ერთი ძირითადი უნარია.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა კოლხური ცულის აღმოჩენებით კულტურის საზღვრების დადგენის ლოგიკა – პირველ კითხვაზე პასუხები ამის საკმარისი მაჩვენებელი აღმოჩნდა?

2. მე-6 კითხვაზე მსჯელობისას შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა სანდო ფაქტისა და გადასამოწმებელი მტკიცების გარჩევა – რომელი მაგალითი საჭიროებდა მასწავლებლის დამატებით დახმარებას?

3. მე-8 კითხვაზე გამოთქმული ვარაუდები რამდენად ეყრდნობოდა წარწერის შინაარსს და ეპოქის შესახებ ცოდნას?

4. დასკვნითი ცხრილის რომელი უჯრა დარჩა მოსწავლეებისთვის რთული და რომელი კითხვა გამოდგება §16-ის გახსნისას არგონავტების მითზე გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო რესურსები – კოლხური ცულისპირების, ბრინჯაოსა და რკინის სატევრებისა და კოლხური ბრინჯაოს სხვა ნიმუშების გამოსახულებები და აღწერები.

2. აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის შრომები კოლხური კულტურისა და ძველი კოლხეთის შესახებ – მასწავლებლის საგნობრივი ცოდნის გასაღრმავებლად.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები გვიანი ბრინჯაოს ხანისა და უძველესი ქართული სახელმწიფოების თემაზე.

## 16. კოლხური სამყარო და არგონავტების მითი

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ისტორიული წყარო“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის ისტორიულ წყაროს იყენებენ და ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის. მოსწავლე ეცნობა წყაროს განსაკუთრებულ ტიპს – მითს და სწავლობს, რომ მითი ისტორიულ წყაროდ მხოლოდ მაშინ გამოდგება, თუ მასში ფანტასტიკური და ისტორიული ელემენტები ერთმანეთისგან გაიმიჯნება და მისი ცნობები სხვა წყაროებით (არქეოლოგიური მასალით, ბერძენი ავტორების ტექსტებით) გადამოწმდება.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 1 – საქართველოს ისტორიის მოვლენა-პროცესების ანალიზი ისტორიული წყაროების საფუძველზე სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის ორ ინდიკატორს: წყაროების კლასიფიცირება არსებითი მახასიათებლების მიხედვით (შექმნის მიზანი, პერიოდი, ავტორის პოზიცია) და ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი სხვადასხვა წყაროების შედარება (ჰომეროსი და აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი და აპიანე). ამასთან, აქტიურდება ცნება „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელობის ახსნა საქართველოს გარესამყაროსთან ურთიერთობაში (არგონავტების საზღვაო მარშრუტი, რუკა 9).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ,, როგორ იყენებს ისტორიკოსი მითს, როგორც ისტორიულ წყაროს. ისინი გაეცნობიან არგონავტების მითის შინაარსს, მის ორ მთავარ გადმომცემს – ჰომეროსსა და აპოლონიოს როდოსელს და ივარჯიშებენ მითის დეტალების ფანტასტიკურ და რეალურ ელემენტებად დაჯგუფებაში. მოსწავლეები ისტორიულ რუკაზე დაადგენენ ბერძნების საზღვაო მარშრუტს, სტრაბონისა და აპიანეს ცნობების შეპირისპირებით გაეცნობიან ცხვრის ტყავით ოქროს მოპოვების ტრადიციულ წესს და დაასკვნიან, რომ ერთი ფაქტის შესახებ რამდენიმე დამოუკიდებელი წყაროს არსებობა ცნობის სანდოობას მნიშვნელოვნად ზრდის.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე აჯგუფებს არგონავტების მითის დეტალებს ფანტასტიკურ და რეალურ (ისტორიულ) კომპონენტებად და ხსნის, რატომ არის ეს გამიჯვნა აუცილებელი ისტორიკოსისთვის;

2. მოსწავლე ადარებს ჰომეროსისა და აპოლონიოს როდოსელის ცნობებს (მოღვაწეობის დრო, თხზულება, აღწერის სისრულე) და ხსნის, რატომ არის მნიშვნელოვანი წყაროს შექმნის დროის ცოდნა და ორივე ცნობის ერთად განხილვა;

3. მოსწავლე ისტორიულ რუკაზე დაკვირვებით აღწერს არგონავტების მარშრუტს და ასახელებს იმ სიმდიდრესა და ბუნებრივ რესურსებს, რომლებსაც ბერძნები დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) ეძებდნენ;

4. მოსწავლე სტრაბონისა და აპიანეს ცნობების შეპირისპირებით აღწერს ოქროს მოპოვების წესს და ასაბუთებს, რატომ ზრდის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყაროების თანხვედრა ისტორიული ცნობის სანდოობას.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§15-ში მოსწავლეებისთვის უკვე ცნობილია, რომ კოლხას სამეფოს სიმდიდრეზე ბერძენი ავტორები წერდნენ: ქვეყანას მეფე აიეტი მართავდა, დედაქალაქი აია (დღევანდელი ქუთაისი) იყო, სამეფო კი ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძის საბადოებით გამოირჩეოდა.

მათ ისწავლეს წყაროსადმი კრიტიკული მიდგომის კითხვები – „ვინ წერს და საიდან იცის?“ და „რა ინტერესი აქვს ავტორს?“. §5-დან ახსოვთ ისტორიული წყაროების ტიპებოლოგია. ეს გაკვეთილი საანალიზო წყაროების ჩამონათვალს ახალ ტიპს – მითს – ამატებს: მოსწავლეები დანახავენ, რომ მითოლოგიური ამბავიც შეიძლება ისტორიის შესწავლის ღირებული წყარო გახდეს, თუ მას სწორი მეთოდოლოგიით გავაანალიზებთ.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: მასწავლებლის მიზნობრივი თხრობა; კლასიფიკაცია T-დიაგრამის საშუალებით; შედარებითი ცხრილი; რუკაზე მუშაობა; წყაროების შეპირისპირება; გასასვლელი ბილეთი.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: მითი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია – მისი კრიტიკული ანალიზი ამ მემკვიდრეობის დაფასებას არ გამორიცხავს,არამედ სიღრმისეულს ხდის მას. არგონავტების მითი კოლხური და ბერძნული სამყაროს მჭიდრო კავშირის დასტურია: მოსწავლეები ხედავენ, რომ ხალხთა შორის ურთიერთობა ორივე კულტურას ამდიდრებს.

კავშირი თანამედროვეობასთან: 1984 წელს ინგლისელმა მოგზაურმა ტიმ სევერინმა ხომალდი „არგო“ ააგო და არგონავტების გზა რეალურად გაიარა – ეს ექსპერიმენტი აჩვენებს, როგორ ამოწმებენ მკვლევრები ძველი წყაროების ცნობებს პრაქტიკაში. ცხვრის ტყავით ოქროს მოპოვების წესი სვანეთში საუკუნეების განმავლობაში შემორჩა – მითის რეალური საფუძველი დღესაც შეიძლება ვნახოთ.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **შეიძლება თუ არა მითი/ლეგენდა იყოს ისტორიის წყარო?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | აზრის სკალა (კენჭისყრა დასაბუთებით) |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს მიმართავს: დღევანდელი გაკვეთილის მთავარი წყარო ამბავია, რომელშიც ცეცხლისმფრქვეველი ხარები, გველეშაპი და ჯადოქარი მოქმედებენ. კითხვა კლასს: შეიძლება თუ არა ასეთი ამბავი ისტორიის წყარო იყოს? მოსწავლეები ხელის აწევით ირჩევენ პასუხს („შეიძლება“, „არ შეიძლება“, „არ ვიცი“) და ორი-სამი მათგანი მოკლედ ასაბუთებს საკუთარ პოზიციას; მასწავლებელი ხმების რაოდენობას დაფაზე ინიშნავს.<br>2. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს §15-ის მასალას: ბერძენი ავტორები კოლხას სამეფოს სიმდიდრეზე წერდნენ, ქვეყანას კი მეფე აიეტი მართავდა – სწორედ მას უკავშირდება დღევანდელი მითი.<br>3. მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე გაკვეთილის დასრულებამდე): „როგორ გამოვიყენოთ მითი ისტორიის შესასწავლად – რა არის მასში ფანტაზია და რა სინამდვილე?“ |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | კენჭისყრა თითოეულ მოსწავლეს პოზიციის დაფიქსირებას სთხოვს და გაკვეთილში რთავს; ხმების შედეგი დასკვნით ნაწილში ხელახლა გადამოწმდება (სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ერთი მითი – ორი ავტორი** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ წყვილებში |
| **მეთოდი** | მასწავლებლის მიზნობრივი თხრობა, შედარებითი ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი მოკლედ და ცოცხლად ჰყვება არგონავტთა მითის სიუჟეტს (მონაკვეთები „არგონავტთა მითი“, პირველი აბზაცი): იაზონის მისია, ხომალდ „არგოს“ აგება, გზა ეგეოსის ზღვიდან სრუტეების გავლით შავ ზღვამდე, მეფე აიეტის დავალება, მედეას დახმარება და ოქროს საწმისის გატაცება. თხრობის დაწყებამდე მოსწავლეები იღებენ დავალებას: თხრობისას დაიმახსოვრონ ერთი ეპიზოდი, რომელიც სინამდვილეს ჰგავს, და ერთი, რომელიც აშკარად გამონაგონია.<br>2. მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ მონაკვეთს „ჰომეროსი და აპოლონიოს როდოსელი“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის ცხრილს: რომელ საუკუნეში ცხოვრობდა თითოეული ავტორი, რა ჰქვია თხზულებას და რამდენად ვრცლად აღწერს ლაშქრობას.<br>3. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-3 და მე-4 კითხვებს: ავტორებს ხუთი საუკუნე აშორებთ – რატომ არის მნიშვნელოვანი წყაროს შექმნის დროის ცოდნა და როგორ გამოიყენებდა მკვლევარი ორივე ცნობას ერთად სრულყოფილი და ობიექტური სურათის შესაქმნელად. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მითის შინაარსს ეცნობა და ორ ავტორს არსებითი მახასიათებლებით ადარებს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ფანტაზია და სინამდვილე** |
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | კლასიფიკაცია T-დიაგრამის საშუალებით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ პარაგრაფის პირველ მონაკვეთს (გვ. 82) და აპოლონიოს როდოსელის ცნობას მიწათმოქმედების შესახებ; ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის T-დიაგრამას – მითის ექვს ელემენტს ანაწილებენ შესაბამის სვეტებში: „ფანტასტიკური“ და „რეალური“.<br>2. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს სთხოვს პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას და ყურადღებას ამახვილებს მთავარ ხერხზე: ერთსა და იმავე ეპიზოდში ფანტასტიკური და ისტორიული ამბავი შეიძლება ერთად იყოს – ხარები ცეცხლს ვერ აფრქვევენ, მაგრამ ხარებშებმული გუთნით ხვნა კოლხეთში ნამდვილად არსებობდა, რასაც არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს.<br>3. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ და მე-2 კითხვებს: რას ვიგებთ მითიდან ძველი კოლხეთის მოსახლეობის ცხოვრების წესსა და საქმიანობაზე და რატომ არის ისტორიკოსისთვის აუცილებელი ფანტასტიკური და ისტორიული ელემენტების გარჩევა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მითის ელემენტებს კრიტერიუმით ალაგებს და კლასიფიკაციის ხერხს ითვისებს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **გზა კოლხეთისკენ და ოქროს საწმისის კვალი** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | რუკაზე მუშაობა, წყაროების შეპირისპირება |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები ისტორიულ რუკა 9-ზე დაკვირვებით პასუხობენ პარაგრაფში დასმულ მე-5 კითხვას: ადგენენ არგონავტების მარშრუტს (ეგეოსის ზღვა – დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები – შავი ზღვის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპირო) და ასახელებენ მნიშვნელოვან ქალაქებს, რომლებსაც მოგზაურები გაივლიდნენ.<br>2. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთს „ოქროს მოპოვების წესი საქართველოში“,აგრეთვე სტრაბონისა და აპიანეს ცნობებს; პასუხობენ მე-6 და მე-7 კითხვებს: რატომ არის მნიშვნელოვანი ერთი ფაქტის შესახებ რამდენიმე წყაროს შედარება და როგორ გვეხმარება ორი სხვადასხვა ავტორის ცნობა ოქროს მოპოვების წესის უკეთ გაგებაში.<br>3. საერთო განხილვისას მასწავლებელი აჯამებს: სტრაბონი და აპიანე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და სხვადასხვა დროს აღწერენ ერთსა და იმავე წესს აღწერენ -მდინარეებში ცხვრის ტყავში ოქროს ქვიშის დალექვასა და მოპოვებას; ორი დამოუკიდებელი წყაროს თანხვედრა ისტორიული ცნობის სანდოობას ზრდის, ოქროს საწმისის ლეგენდას კი რეალური საფუძველი უჩნდება. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მარშრუტს რუკაზე ადგენს და წყაროების შეპირისპირების ხერხს ითვისებს – მუშავდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელი შედეგები, შედეგი 1-ისა და შედეგი 3-ის ინდიკატორები. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **განაჩენი მითს** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბილეთი |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება გაკვეთილის დასაწყისში ჩატარებულ კენჭისყრას: მასწავლებელი იმავე კითხვას იმეორებს – შეიძლება თუ არა მითი ისტორიის წყარო იყოს? – და ხმებს ხელახლა ითვლის. მოსწავლეები, რომლებმაც გაკვეთილის განმავლობაში პასუხი შეცვალეს, არგუმენტირებულად ასაბუთებენ თავიანთ ახალ პოზიციას.<br>2. მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ გასასვლელ ბილეთს – ერთი-ორი წინადადებით პასუხობენ დაფაზე დაწერილ საკვანძო კითხვას: როგორ გამოვიყენოთ მითი ისტორიის შესასწავლად? (მოსალოდნელი პასუხი: ფანტასტიკური და ისტორიული ელემენტების გამიჯვნით და სხვა წყაროებით გადამოწმებით) ბილეთებს მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს აგროვებს განმავითარებელი შეფასებისთვის.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს §17-ის თემაზე: ბერძნები კოლხეთის ერთადერთი მეზობლები არ ყოფილან – ასურული და ურარტული ლურსმული წარწერები საქართველოს სხვა უძველეს გაერთიანებებზეც მოგვითხრობს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | განმეორებითი კენჭისყრა და გასასვლელი ბილეთი აჩვენებს, შეიცვალა თუ არა მოსწავლეთა დამოკიდებულება მითისადმი – ბილეთები მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (ჰომეროსისა და აპოლონიოს როდოსელის შედარებითი ცხრილი) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში.

2. დავალება 1 (T-დიაგრამა – ფანტასტიკური და რეალური ელემენტები) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, წყვილებში.

3. დავალება 3 (მითი კოლხეთისა და ბერძნული სამყაროს რეალურ ურთიერთობებზე) – სრულდება სახლში; წერითი პასუხი საშინაო დავალების საყრდენია.

4. კონტურული რუკა „არგონავტების ლაშქრობა ძველ კოლხეთში“ – სრულდება სახლში, რვეულში მოცემული ექვსი მითითების მიხედვით.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: T-დიაგრამის შევსება ელემენტების ამოცნობას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, თითოეული გადაწყვეტილების დასაბუთება და მე-2

კითხვაზე პასუხი კი სიღრმისეულ მსჯელობას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს კითხვას – რით განსხვავდება სტრაბონისა და აპიანეს აღწერები ერთმანეთისგან და რომელი მათგანია უფრო დაწვრილებითი.

მხარდამჭერი სტრატეგიები: მითის შინაარსს მასწავლებელი პირველ ეტაპზე თხრობით გადმოსცემს, რაც კითხვის სირთულის მქონე მოსწავლეებს მასალის აღქმაში ეხმარება; ტერმინები (არგონავტი, ოქროს საწმისი, სრუტე) დაფაზე იწერება და ლექსიკონის განმარტებებით ზუსტდება; ისტორიულ რუკაზე მუშაობისას მასწავლებელი ჯგუფებს პირობითი აღნიშვნების წაკითხვაში ეხმარება; T-დიაგრამის სადავო ელემენტებზე წყვილებს მიმანიშნებელი დამხმარე კითხვა ეძლევათ: „შეიძლება თუ არა ეს სინამდვილეში მოხდეს?“

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება მასწავლებლის თხრობით, ტექსტით, რუკით, აპულიური ჭურჭლის მხატვრობის გამოსახულებით, ასევე ოქროს მოპოვების თანამედროვე რეკონსტრუქციის ფოტოთი; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია დიაგრამით, ცხრილით, რუკაზე ჩვენებით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ ისტორიკოსი. დაწერეთ 3-4 წინადადებისგან შემდგარი ტექსტი, რომელშიც ახსნით, რატომ იზიდავდა ბერძნებს კოლხეთი. ტექსტში გამოიყენეთ და ერთმანეთთან დააკავშირეთ სამი მთავარი ფაქტორი: კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობა, განვითარებული მიწათმოქმედება და მეტალურგია (ოქროსა და სპილენძის მოპოვება). ახსენით, როგორ შეიძლება ამ ფაქტორებს გავლენა მოეხდინა არგონავტების შესახებ მითის ჩამოყალიბებაზე“. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. ჯერ შეავსეთ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის ტექსტისთვის საჭირო მასალას მოგცემთ (საზღვაო გზა და რესურსები, რომლებსაც ბერძნები ეძებდნენ);

2. შემდეგ დაწერეთ 3-4 წინადადება ისე, რომ სამივე ფაქტორი ერთმანეთს ლოგიკურად დაუკავშიროთ;

3. თითოეული ფაქტორი გაამყარეთ პარაგრაფიდან აღებული კონკრეტული ცნობით (მაგალითად, ხარებით ხვნა, ცხვრის ტყავით ოქროს მოპოვება, სრუტეების გავლით მისასვლელი საზღვაო გზა).

დამატებით სრულდება კონტურული რუკა „არგონავტების ლაშქრობა ძველ კოლხეთში“. დავალება უკავშირდება მე-3 მოსალოდნელ შედეგს – ბერძნების ინტერესისა და საზღვაო გზის ახსნას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: T-დიაგრამის შევსება და გადაწყვეტილებების დასაბუთება მასწავლებელს აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს მითის ელემენტების კრიტერიუმით დალაგება და გამიჯვნა; ავტორების ცხრილი და მე-3 კითხვაზე პასუხები ავლენს, ითვალისწინებენ თუ არა ისინი წყაროს შექმნის დროს; გასასვლელი ბილეთები ამოწმებს მოსწავლეებმა აითვისეს თუ არა გაკვეთილის ძირითადი მასალა.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბილეთების გაცნობა; T-დიაგრამისა და ცხრილის შესრულების გადამოწმება;მასწავლებლის სისტემური დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობის პროცესზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროების კლასიფიცირება არსე-

ბითი მახასიათებლების მიხედვით; ბ) შედეგი 1-ის ინდიკატორი – ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი წყაროების შედარება. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობაში ჩართულობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: მითი, როგორც ჟანრი, ლიტერატურის კურსშიც მუშავდება – ისტორიის გაკვეთილი აჩვენებს, რომ მხატვრული ტექსტი ცოდნის წყაროც შეიძლება იყოს. გეოგრაფია: სრუტეების, ზღვებისა და სანაპირო ქალაქების რუკაზე მოძიება გეოგრაფიის კურსის უნარებს ამყარებს. ვიზუალური ხელოვნება: ჭურჭლის მხატვრობა ბერძნული ვაზის მხატვრობის ნიმუშია და შესაძლებელია მისი განხილვა ხელოვნების გაკვეთილზე.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. შეიცვალა თუ არა კენჭისყრის შედეგი გაკვეთილის ბოლოს და რას აჩვენებს გასასვლელი ბილეთები – გაიგო თუ არა კლასმა მითის, როგორც წყაროს, გამოყენების ხერხი?

2. T-დიაგრამის რომელმა ელემენტმა გამოიწვია დავა და დასჭირდა თუ არა წყვილებს დამხმარე კითხვა?

3. მე-3 კითხვაზე პასუხისას შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა საუკუნეთა სხვაობის სწორად გამოთვლა და შექმნის დროის მნიშვნელობის ახსნა?

4. სტრაბონისა და აპიანეს შეპირისპირება რამდენად დამოუკიდებლად წარიმართა და რომელი კითხვა გამოდგება §17-ის გახსნისას სამხრეთული გაერთიანებების თემაზე გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ოთარ ლორთქიფანიძის შრომები კოლხეთისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. ტიმ სევერინის ექსპედიციის მასალები (წიგნი „იაზონის მოგზაურობა“ და დოკუმენტური კადრები) – მითის მარშრუტის პრაქტიკული გადამოწმების მაგალითი.

3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – ვანის ნაქალაქარისა და კოლხური ოქრომჭედლობის ექსპონატების გამოსახულებები.

## 17. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ძალაუფლება“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: ძალაუფლების წყაროები და მისი განმტკიცების საშუალებები სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულია. უძველეს ხანაში დიდი სახელმწიფოები პატარა ქვეყნებზე გავლენას ხარკით, მძევლების აყვანითა და მორჩილების პირობით შეწყალებით ამყარებდნენ, პატარა ქვეყნები კი თავის დასაცავად კოალიციებს ქმნიდნენ ან ორ დიდ ძალას შორის ლავირებას ცდილობდნენ. დიაოხის ისტორია ამ ბრძოლის შედეგებსაც აჩვენებს – ორ იმპერიასთან ომებში დასუსტებული ქვეყანა განადგურდა და მისი ტერიტორია მეზობლებმა გაინაწილეს.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 5 – ძალაუფლებისა და მმართველობის ფორმების კრიტიკული შეფასება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებებისა და მისი შედეგების გამოკვეთა. ამასთან აქტიურდება ცნება „ისტორიული წყარო“ – შედეგი 1-ის ორი ინდიკატორი: ვარაუდის გამოთქმა, როგორ შეიცვლებოდა წყაროს შინაარსი ავტორის პერსპექტივის შეცვლის შემთხვევაში (მე-7 კითხვა – დიაოხის მეფის წარმოსახვითი წარწერა), და სხვადასხვა ტიპის წყაროს ურთიერთდაკავშირებული გამოყენება (წერილობითი ცნობები და არქეოლოგიური მასალა – დიდნაურის მაგალითი, მე-8 კითხვა).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაეცნონ სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს გაერთიანებებს – დიაოხს, ზაბახას, ვიწერუხს, დიდნაურის ნაქალაქარსა და სასპერთა გაერთიანებას. ისინი ტიგლათფილესერ I-ის წარწერიდან ამოკრებენ ძალაუფლების განმტკიცების ძირითად ბერკეტებს (ხარკი, მძევლები, მორჩილების პირობით შეწყალება), განასხვავებენ დამპყრობლის რეალურ ქმედებებსა და თვითწარმოჩენას და გაიაზრებენ, რა შედეგები მოჰყვა პატარა ქვეყნის ბრძოლას ორ დიდ სახელმწიფოს შორის. დიდნაურის მაგალითზე მოსწავლეები ნახავენ, რომ უძველესი გაერთიანებების ისტორია წერილობითი წყაროების გარეშეც შეისწავლება -მხოლოდ არქეოლოგიური მასალით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ხსნის, რატომ მოიხსენიებდა სხვადასხვა ხალხი ერთსა და იმავე ქვეყანას განსხვავებული სახელით (დიაოხი, დაიაენი, ტაოხი, ტაო), და მოჰყავს ანალოგიური თანამედროვე მაგალითი;
2. მოსწავლე ტიგლათფილესერ I-ის ლურსმული წარწერიდან ამოკრებს ძალაუფლების განმტკიცების ბერკეტებს და ხსნის თითოეულის დანიშნულებას (ხარკი – ეკონომიკური დამორჩილება, მძევლები – ერთგულების გარანტია, შეწყალება – მორჩილების პირობა);
3. მოსწავლე განასხვავებს წარწერაში დამპყრობლის ქმედებებსა და თვითწარმოჩენას, ხსნის მხოლოდ გამარჯვებულის პოზიციიდან ისტორიის შესწავლის საფრთხეს და გამოთქვამს ვარაუდს, რას გაუსვამდა ხაზს დიაოხის მეფის წარწერა;
4. მოსწავლე ახასიათებს დიაოხის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობას ასურეთსა და ურარტუს შორის, ასახელებს მისი საბოლოო დასუსტების მიზეზებს და დიდნაურის მაგალითზე ხსნის, რატომ ვსწავლობთ ზოგიერთ გაერთიანებას მხოლოდ არქეოლოგიური წყაროებით.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§15-სა და §16-ში მოსწავლეებმა შეისწავლეს დასავლურ-ქართული გაერთიანება – კოლხას სამეფო და არგონავტების მითის ისტორიული კონტექსტი, აითვისეს გამარჯვებულის მიერ

შედგენილი წყაროს კრიტიკული კითხვის ხერხი (სარდურ II-ის წარწერა, კითხვა „რა ინტერესი აქვს ავტორს?“). §12-დან მათ ახსოვთ, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანაში კულტურული კერა აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებობდა, §13-დან კი – რომ გამაგრებული დასახლება (გალავანი, ციტადელი) საზოგადოების სოციალურ მოწყობასა და ცენტრალიზებული ძალაუფლების არსებობაზე მეტყველებს. ეს გაკვეთილი საქართველოს უძველესი ისტორიის სურათს ავსებს: მოსწავლე ეცნობა ახალ ქართულ გაერთიანებებს და ხედავს, როგორ მოქმედებდა ძალაუფლების მექანიზმები დიდ იმპერიებსა და პატარა ქვეყნებს შორის.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: პრობლემური სიტუაცია; ცხრილის შევსება ტექსტიდან; მონიშვნით კითხვა (წყაროს ტექსტის მარკირება ორი კრიტერიუმით); წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; მონაცემების ამოკრება („ქალაქის პასპორტი“); სქემის აგება დაფაზე; წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: წარწერაში აღწერილია ომის სისასტიკე – მძევლების აყვანა, ტყვეობა, ქვეყნების განადგურება. მასწავლებელი ამ ადგილებს ისტორიული ანალიზის კონტექსტში განიხილავს,რადგან მთავარი მიზანი იმ ეპოქის ძალაუფლების წესების გააზრებაა და არა მათი გამართლება. გარდა ამისა, მმართველის განდიდებული თვითწარმოჩენის ამოცნობა მოსწავლეებში კრიტიკულ დამოკიდებულებას აყალიბებს ნებისმიერი სახის ცალმხრივი თვითქებისა თუ პროპაგანდის მიმართ.

კავშირი თანამედროვეობასთან: უძველესი სახელები დღესაც ცოცხლობს – ზაბახას სახელი ჯავახეთს შემორჩა, ოძრხე დღევანდელი აბასთუმანია, სპერის სახელიდან კი ქართლის ბერძნული სახელწოდება „იბერია“ მომდინარეობს. დიდნაურის ნაქალაქარი 2014 წელს აღმოაჩინეს – ეს მაგალითი აჩვენებს, რომ არქეოლოგია დღესაც ცვლის და ავსებს ჩვენს ცოდნას წარსულზე.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ერთი ქვეყანა – ოთხი სახელი** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური სიტუაცია |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს: Georgia, Gruzija, Gürcistan, საქართველო – და კითხულობს: რამდენი ქვეყანაა აქ ჩამოთვლილი? კლასი ადვილად ხვდება, რომ ერთი. მასწავლებელი განმარტავს: ზუსტად ასეთივე ვითარება იყო სამი ათასი წლის წინ – ერთ სამხრეთქართულ სამეფოს ოთხი სახელი ჰქონდა: დიაოხი, დაიაენი, ტაოხი და ტაო.<br>2. კითხვა კლასს: რატომ შეიძლება ჰქონდეს ერთ ქვეყანას სხვადასხვა ხალხში განსხვავებული სახელი და რას გვეუბნება თავად ეს ფაქტი ამ ქვეყნის შესახებ? მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა გზებით/საშუალებებით ამყარებდნენ დიდი სახელმწიფოები ძალაუფლებას პატარა ქვეყნებზე და როგორ იცავდნენ თავს პატარა ქვეყნები?“ |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | ნაცნობი თანამედროვე მაგალითი უძველეს მასალას აახლოებს; ვარაუდები პირველ აქტივობაში გადამოწმდება (სამიზნე ცნება „ძალაუფლება“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **სახელები და მეზობლები** |
|---|---|
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ცხრილის შევსება ტექსტიდან, რუკაზე მუშაობა |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „დიაოხი“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილს: ვინ რომელ სახელს იყენებდა (ურარტული წყაროები – დიაოხი, ასურული – დაიაენი, ძველი ბერძნები – ტაოხი, ადგილობრივი მოსახლეობა – ტაო); ცხრილის ბოლოს წერენ თანამედროვე მაგალითს.<br>2. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ და მე-2 კითხვებს; მასწავლებელი ვარაუდებს აზუსტებს: ხალხები სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ და სახელსაც განსხვავებულად წარმოთქვამდნენ, ხოლო ის ფაქტი, რომ დიაოხს სამი დიდი მეზობელი ახსენებს, თავად ქვეყნის მნიშვნელობაზე მიუთითებს.<br>3. კლასი რუკა 10-ზე პოულობს დიაოხს, კოლხას, ასურეთსა და ურარტუს და აკვირდება მათ მდებარეობას: დიაოხი ორ დიდ სახელმწიფოსა და ქართულ გაერთიანებებს შორისაა მოქცეული. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე სახელწოდებების განსხვავებას ენობრივი მრავალფეროვნებით ხსნის და რუკაზე გაერთიანებების ურთიერთგანლაგებას ეცნობა – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ძალაუფლების ბერკეტები** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | მონიშვნით კითხვა, წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი მოკლედ გადმოსცემს კონტექსტს: ძვ. წ. 1112 წელს ნაირის 23 ქვეყანა დიაოხის მეთაურობით ასურეთს დაუპირისპირდა, მაგრამ დამარცხდა. ჯგუფები კითხულობენ ტიგლათფილესერ I-ის წარწერას და ტექსტს ორი კრიტერიუმით ნიშნავენ: ერთი ფერით – რას აკეთებს დამპყრობელი (ხარკი – 1200 ცხენი და 2000 პირუტყვი, შვილების მძევლებად წაყვანა, სიენის დატყვევება და მორჩილების პირობით შეწყალება), მეორე ფერით – როგორ წარმოაჩენს საკუთარ თავს („სამართლიანად ვბატონობ“, „არა მყავს მძლეველი ომში“).<br>2. ჯგუფები პასუხობენ პარაგრაფში დასმულ მე-3, მე-4 და მე-5 კითხვებს: რა დანიშნულება ჰქონდა თითოეულ მოთხოვნას, რატომ წარმოაჩენდა მეფე თავს ასე ძლიერად და რაზე მიუთითებს დიაოხის მეფისადმი განსაკუთრებული ყურადღება. პასუხებს გიორგი მელიქიშვილის თვალსაზრისი ამყარებს: დაიაენი ნაირის ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი იყო და კოალიციას ედგა სათავეში.<br>3. საერთო განხილვისას მასწავლებელი სვამს მე-6 კითხვას: რა საფრთხეს შეიცავს მოვლენის მხოლოდ გამარჯვებულის პოზიციიდან შესწავლა? შემდეგ კლასი ზეპირად მუშაობს მე-7 კითხვაზე: ორი-სამი მოსწავლე ვარაუდს გამოთქვამს, რას გაუსვამდა ხაზს დიაოხის მეფის საკუთარი წარწერა (კოალიციის შეკრებას, წინააღმდეგობას, დანაკარგების დამალვას) და რით იქნებოდა განსხვავდებული ასურული ტექსტისგან. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროდან ძალაუფლების ბერკეტებს ამოკრებს, თვითწარმოჩენას ქმედებებისგან განასხვავებს და პერსპექტივის შეცვლის ვარაუდს აყალიბებს – მუშავდება მე-2 და მე-3 მოსალოდნელი შედეგები და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ორ იმპერიას შორის და ქალაქი წარწერების გარეშე** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ წყვილებში |
| **მეთოდი** | მასწავლებლის მინილექცია, მონაცემების ამოკრება („ქალაქის პასპორტი“) |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი მოკლედ გადმოსცემს მონაკვეთს „ურარტუ და ქართული ქვეყნები“: ასურეთის დასუსტების შემდეგ დიაოხი გათავისუფლდა, მაგრამ ახალი ძლიერი მეზობელი – ურარტუ გაუმეზობლდა; ორ იმპერიასთან ომებში დასუსტებული ქვეყანა განადგურდა და მისი ტერიტორია ურარტუმ, კოლხამ და სხვებმა გაინაწილეს. აქვე სახელდება ზაბახა (ჯავახეთი) და ვიწერუხი (ოძრხე – დღევანდელი აბასთუმანი).<br>2. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „დიდნაურის ნაქალაქარი“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის „პასპორტს“: ხანა, გალავნის სიგრძე (კილომეტრ-ნახევარი), სიმაღლე და სიგანე (5 და 7 მეტრი), ციტადელის ზომა (400 400 მეტრი), ცენტრის საერთო ფართობი (16 ჰექტარი).<br>3. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს მე-8 კითხვას: რატომ ვიცნობთ დიაოხსა და კოლხას წერილობითი წყაროებით, დიდნაურს კი მხოლოდ არქეოლოგიური მასალით? მოსწავლეები ასკვნიან: წერილობითი ცნობა ჩნდება იქ, სადაც ქვეყანა დამწერლობის მქონე იმპერიებს ეხება – ომით თუ სხვაგვარი ურთიერთობით; მასწავლებელი მე-9 კითხვით ამატებს სასპერებს: ჰეროდოტე მათ სპარსეთისა და მიდიის გვერდით ასახელებს, რაც ამ გაერთიანების ძლიერებაზე მიუთითებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორ იმპერიას შორის მოქცეული ქვეყნის ბედს ავჯამებს და არქეოლოგიური მასალის, როგორც წყაროს, შესაძლებლობებს აფასებს – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ძალაუფლების ანატომია** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | სქემის აგება დაფაზე, შემაჯამებელი დისკუსია |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი მასწავლებელთან ერთად დაფაზე აგებს სქემას ორი სვეტით: „დიდი სახელმწიფოს ბერკეტები“ (ხარკი, მძევლები, მორჩილების პირობით შეწყალება, დაპყრობა და განადგურება) და „პატარა ქვეყნის სვლები“ (კოალიციის შეკრება, დროებითი დამორჩილება, ორ ძალას შორის ლავირება). თითოეულ ელემენტს მოსწავლეები გაკვეთილის მასალიდან მოყვანილი მაგალითებით ასაბუთებენ.<br>2. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და აჯამებს:ეს ბერკეტები დამპყრობელს გავლენის შენარჩუნებაში ეხმარებოდა, მაგრამ პატარა ქვეყნის ბედი ხშირად მაინც დიდ სახელმწიფოთა ძალთა ბალანსზე იყო დამოკიდებული – დიაოხი სწორედ ამ ბალანსის მსხვერპლი გახდა.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს §18-ის თემაზე: სასპერთა გაერთიანება მალე მსოფლიოს უდიდესმა იმპერიამ – აქემენიანთა ირანმა – დაიპყრო; მომდევნო გაკვეთილზე კლასი გაეცნობა, როგორ მოქმედებდა ამ იმპერიის ძალაუფლება საქართველოზე და რას ცვლიდა ბერძნებთან ვაჭრობა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | სქემა გაკვეთილის მასალას ერთ სურათად კრავს – მუშავდება მე-2 და მე-4 მოსალოდნელი შედეგები; მაგალითების დასაბუთება მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (ქვეყნის სახელწოდებების ცხრილი) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში.

2. დავალება 2 (დიდნაურის „პასპორტი“) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობაში, წყვილებში.

3. დავალება 3 (ასურეთისა და დიაოხის მეფეთა ურთიერთობა ომამდე და ომის შემდეგ) – სრულდება სახლში; პასუხი კლასში მონიშნულ წარწერას ეყრდნობა.

4. კონტურული რუკა „ქართველური ტომები და გარესამყარო“ – სრულდება სახლში, რვეულში მოცემული სამი მითითების მიხედვით.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: დავალება 1-ის ცხრილისა და დიდნაურის „პასპორტის“ შევსება ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, მე-6 და მე-7 კითხვები კი მსჯელობასა და ვარაუდის ჩამოყალიბებას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს კითხვას: რატომ შეიწყალა ტიგლათფილესერმა სიენი და რატომ არ დატოვა იგი ტყვედ – რა სარგებელი ჰქონდა დამპყრობელს მორჩილი მეფისგან?

მხარდამჭერი სტრატეგიები: წარწერას მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს („ხარკი“, „მძევალი“, „მეფისნაცვალი“, „კოალიცია“) იქვე განმარტავს; ლექსიკონის ტერმინები (ნაირის ქვეყნები, ექსპანსია, ბალანსი) დაფაზე იწერება; მონიშვნით კითხვისას ჯგუფებს ორი ფერის მარკერი ან ორი პირობითი ნიშანი ეძლევათ; რუკაზე მუშაობისას მასწავლებელი პირობითი აღნიშვნების წაკითხვაში ეხმარება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით,

რუკით, ტიგლათფილესერის წარწერისა და დიდნაურის გათხრების ფოტოებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით, მონიშნული ტექსტით, სქემით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ისტორიკოსი ხართ და უცხოელ კოლეგას უყვებით, როგორ გაჩნდა პირველი სახელმწიფოები ძველ საქართველოში. თქვენს მოთხრობაში უპასუხეთ ორ კითხვას: ა) რა დაეხმარა ძველ ქართულ გაერთიანებებს ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში? ბ) რით განსხვავდებოდა ეს გაერთიანებები ჩვეულებრივი ტომებისგან? მოიყვანეთ მაგალითები.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 6-8 წინადადება და უპასუხეთ ორივე კითხვას;
2. ბ) კითხვაზე პასუხისას დაასახელეთ სახელმწიფოებრიობის ნიშნები – მეფე და მმართველობა, გამაგრებული ქალაქები, ჯარი, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა – და თითოეული გაამყარეთ ნასწავლი მაგალითით (კოლხას მეფისნაცვალი, დიაოხის კოალიცია, დიდნაურის გალავანი და ციტადელი);
3. სადაც შესაძლებელია, გამოიყენეთ ცნებები „ხარკი“, „მძევალი“ და „კოალიცია“.

დამატებით სრულდება მოსწავლის რვეულის დავალება 3 და კონტურული რუკა „ქართველური ტომები და გარესამყარო“. დავალება უკავშირდება მე-2 და მე-4 მოსალოდნელ შედეგებს – ძალაუფლების ბერკეტებისა და გაერთიანებების დახასიათებას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: მონიშნული ტექსტები მასწავლებელს აჩვენებს, განასხვავებენ თუ არა მოსწავლეები დამპყრობლის ქმედებებსა და თვითწარმოჩენას; მე-7 კითხვაზე გამოთქმული ვარაუდები ავლენს, ეყრდნობიან თუ არა ისინი წარწერის შინაარსს; დიდნაურის „პასპორტი“ და დასკვნითი სქემის მაგალითები მთელი გაკვეთილის ათვისებას ამოწმებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: მონიშნული წყაროს ტექსტების გადახედვა; ცხრილებისა და „პასპორტის“ შესრულების გადამოწმება; დაკვირვება ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 5-ის ინდიკატორი – ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებებისა და მისი შედეგების გამოკვეთა; ბ) შედეგი 1-ის ინდიკატორი – ვარაუდის გამოთქმა, როგორ შეიცვლებოდა წყაროს შინაარსი ავტორის პერსპექტივის შეცვლის შემთხვევაში. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

მოქალაქეობა: ძალაუფლების, დამოკიდებულებისა და თანასწორობის საკითხები მოქალაქეობის კურსშიც მუშავდება – დიაოხის ისტორია ძალაუფლების ურთიერთობების კონკრეტულ ისტორიულ მაგალითს იძლევა. გეოგრაფია: რუკა 10-ზე მუშაობა და ისტორიული ტოპონიმების (ზაბახა – ჯავახეთი, სპერი – ისპირი) დღევანდელ გეოგრაფიასთან დაკავშირება ორივე საგნის უნარებს ამყარებს. ქართული ენა და ლიტერატურა: ერთი სახელის სხვადასხვა ენაში განსხვავებული ფორმა (დიაოხი/ტაოხი/ტაო, სპერი/იბერია) ენობრივი ცვლილებების საილუსტრაციო მასალაა.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. მონიშვნით კითხვისას შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა ქმედებებისა და თვითწარმოჩენის გარჩევა – რომელმა ფრაზამ გამოიწვია დავა?

2. მე-7 კითხვაზე გამოთქმული ვარაუდები რამდენად ეყრდნობოდა წარწერის შინაარსსა და ეპოქის ცოდნას?

3. მე-8 კითხვაზე მსჯელობისას გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა, რატომ განსხვავდება წყაროთა ვითარება დიაოხსა და დიდნაურს შორის?

4. დასკვნითი სქემის რომელი ბერკეტი დარჩა მაგალითის გარეშე და რომელი კითხვა გამოდგება §18-ის გახსნისას აქემენიანთა ირანზე გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. გიორგი მელიქიშვილის შრომები ნაირის ქვეყნების, ურარტუსა და უძველესი ქართული გაერთიანებების შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. დიდნაურის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები (გათხრებს ხელმძღვანელობდა კიაზო ფიცხელაური) – აღმოჩენის ისტორია და ფოტომასალა.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები უძველესი ქართული სახელმწიფოების თემაზე.

## 18. აქემენიანთა ირანი, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ორ ძირითად ასპექტს: ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს გამომწვევი მიზეზი და მოსდევს შედეგები (კიმერიელთა და სკვითთა შემოსევები – კოლხას სამეფოს დაცემა – კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბება), ხოლო მოვლენებისა და პროცესების შედარება არსებითი ნიშნების მიხედვით არის შესაძლებელი – მოსწავლე ერთმანეთს ადარებს საქართველოს ორ განსხვავებულ ურთიერთობას გარესამყაროსთან: ნებაყოფლობით ვაჭრობას ბერძნებთან და იძულებით ხარკს ირანისთვის.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 6 – საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ინტერპრეტაცია მიზეზშედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის ორ ინდიკატორს: მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი და სხვადასხვა მოვლენის/პროცესის შედარება არსებითი მახასიათებლების მიხედვით. ამასთან აქტიურდება ცნება „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელობის ახსნა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით (ბერძნული კოლონიები და საზღვაო ვაჭრობა).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რა ცვლილებები მოჰყვა საქართველოში კიმერიელთა და სკვითთა შემოსევებს და როგორ ჩამოყალიბდა კოლხეთის (ეგრისის) სამეფო. ისინი გაეცნობიან ბერძნული კოლონიზაციის მიზეზებსა და შედეგებს, დაასახელებენ კოლხეთის სანაპიროზე დაარსებულ კოლონიებსა და გაცვლილ საქონელს, ჰეროდოტეს ცნობიდან კი გამოიტანენ დასკვნას კოლხეთისა და აქემენიანთა ირანის ძალთა თანაფარდობაზე. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ერთმანეთს შეადარებენ ორი ტიპის ურთიერთობას – ორმხრივად სასარგებლო ვაჭრობასა და შიშით ნაკარნახევ ხარკს და დაასახელებენ მათ შორის არსებით განსხვავებებს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე აგებს მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს კიმერიელთა და სკვითთა შემოსევებიდან კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ჩამოყალიბებამდე;

მოსწავლე ხსნის ბერძნული კოლონიზაციის მიზეზსა და შედეგებს, ასახელებს კოლხეთის სანაპიროზე დაარსებულ კოლონიებსა და ორივე მიმართულებით გაცვლილ საქონელს და ხსნის, რას მოწმობს კოლხური თეთრის არსებობა;

მოსწავლე ჰეროდოტეს ცნობიდან გამოაქვს დასკვნა კოლხეთისა და ირანის ძალთა თანაფარდობაზე და ხსნის, რატომ გამოიყენება ცნობაში სიტყვა „საჩუქარი”;

მოსწავლე ადარებს კოლხეთის ორ ურთიერთობას გარესამყაროსთან – ვაჭრობას ბერძნებთან და ხარკს ირანისთვის – და ასახელებს არსებით განსხვავებებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§15-ში მოსწავლეებმა შეისწავლეს კოლხას სამეფო – ახლა შეისწავლიან, რა ბედი ეწია მას. §16-დან მათ ახსოვთ, რომ ბერძნებს კოლხეთის სიმდიდრე იზიდავდათ და საზღვაო გზაც იცოდნენ – ამ გაკვეთილზე მითების ეპოქას რეალური სავაჭრო კავშირები ცვლის. §17-დან მოსწავლეები იცნობენ დიდი სახელმწიფოს ბატონობის/გავლენის ბერკეტებს (ხარკი, მძევლები) და იციან, რომ სასპერთა გაერთიანება აქემენიანთა ირანმა დაიპყრო – ახლა ნახავენ, როგორ მოქმედებდა ეს იმპერია ქართულ მიწებზე და რით განსხვავდებოდა მისი მიდგომა ასურეთისა და ურარტუს წესებისგან.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: პრობლემური კითხვა; მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება; ორმიმართულებიანი გაცვლის სქემა; რუკაზე მუშაობა; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; შედარებითი T-სქემა; წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: პარაგრაფში ნახსენებია კოლხი მონების გაყიდვა საბერძნეთში. მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ მონობა ძველ სამყაროში გავრცელებული პრაქტიკა იყო, მისი ისტორიული კონტექსტის გაგება კი არ ნიშნავს გამართლებას – დღეს ადამიანით ვაჭრობა მძიმე დანაშაულია. ჰეროდოტეს „საჩუქარი“ კი აჩვენებს, როგორ არბილებს ენა იძულებას – ამ სიტყვის კრიტიკული განხილვა მოსწავლეებს ზუსტი აღმნიშვნელი სიტყვის/ტერმინის დაფასებას ასწავლის.

კავშირი თანამედროვეობასთან: დიოსკურია დღევანდელი სოხუმია, ფაზისი – ფოთი: საქართველოს ზღვისპირა ქალაქებს ბერძნული კოლონიზაციის დროინდელი ფესვები აქვს. კოლხური თეთრი – პირველი ქართული მონეტა – საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. საერთაშორისო ვაჭრობა დღესაც ორმხრივი სარგებლის პრინციპზე დგას – ეს პრინციპი მოსწავლეებმა სწორედ ამ გაკვეთილზე უნდა ამოიცნონ.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **საჩუქარი, რომელიც არავის უხარია** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „საჩუქარი“ და კლასს ეკითხება: რით განსხვავდება საჩუქარი გადასახადისგან? მოსწავლეები ასახელებენ მთავარ ნიშანს – ნებაყოფლობითობას.<br>2. მასწავლებელი კითხულობს ჰეროდოტეს ცნობის ფრაგმენტს: კოლხეთი ყოველ მეხუთე წელს ირანის მეფეს „საჩუქრად“ 100 ვაჟსა და 100 გოგოს უგზავნიდა. კითხვა კლასს: შეიძლება თუ არა ამას საჩუქარი ეწოდოს? მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ; მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ინიშნავს.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ უკავშირდებოდა კოლხეთი ორ დიდ სამყაროს – ბერძნულსა და ირანულს და რით განსხვავდებოდა მათთან ურთიერთობა ერთმანეთისგან?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | წინააღმდეგობა სიტყვასა და შინაარსს შორის მოსწავლეებში ინტერესს იწვევს; გამოთქმული ვარაუდები მესამე აქტივობასა და დასკვნით ნაწილში გადამოწმდება (სამიზნე ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **მოვლენათა ჯაჭვი** |
|---|---|
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „კოლხეთის სამეფო“ და რვეულებში აგებენ მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს ხუთი რგოლით: კიმერიელთა და სკვითთა შემოსევები – კოლხას სამეფოს დაცემა (ძვ. წ. 720-იანი წლები) – ბარის მიწათმოქმედი მოსახლეობის აოხრება – მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება – ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბება (ძვ. წ. VII საუკუნე), რომელსაც ბერძნული სახელწოდების გავლენით კოლხეთს უწოდებენ.<br>2. ორი-სამი წყვილი ჯაჭვს დაფაზე წარადგენს; მასწავლებელი აზუსტებს რგოლების თანმიმდევრობას და ყურადღებას ამახვილებს ცენტრის გადანაცვლებაზე: თავდაპირველად აია (ქუთაისი), მოგვიანებით – ციხეგოჯი (ნოქალაქევი).<br>3. მასწავლებელი ჯაჭვს §8-ში ათვისებულ ხერხს უკავშირებს: ისტორიული პროცესი რგოლებად იშლება და თითოეული რგოლი წინას შედეგი და მომდევნოს მიზეზია. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მოვლენებს მიზეზშედეგობრივ ჯაჭვად ალაგებს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 6-ის ინდიკატორი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ორმხრივი სარგებელი – ვაჭრობა ბერძნებთან** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ორმიმართულებიანი გაცვლის სქემა, რუკაზე მუშაობა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთს „ძველი ბერძნული კოლონიზაცია საქართველოში“ და ლექსიკონის განმარტებებს (კოლონია, მილეტი, ამფორა, ნელსაცხებელი, სელი); ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის სქემას: რა შემოჰქონდათ საბერძნეთიდან კოლხეთში (ჭურჭელი და ამფორები, ნელსაცხებელი, სამკაულები, ღვინო) და რა გაჰქონდათ კოლხეთიდან (ხე-ტყე, რკინა, სელი და სხვა მცენარეული პროდუქტები); სქემის ბოლოს წერენ პირველი ქართული მონეტის სახელს – კოლხური თეთრი.<br>2. ჯგუფები რუკა 11-ზე პოულობენ მეტროპოლიას – მილეტს – და კოლხეთის სანაპიროს კოლონიებს: დიოსკურიას (სოხუმი), გიენოსს (ოჩამჩირე) და ფაზისს (ფოთი); აკვირდებიან კოლონიზაციის მიმართულებებს.<br>3. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ, მე-2 და მე-3 კითხვებს: რა იყო კოლონიების დაარსების მიზეზი (საზღვაო ვაჭრობა), რა სარგებელი ჰქონდათ ორივე მხარეს და რას მოწმობს კოლხური თეთრის მოჭრა სწორედ აქტიური ვაჭრობის ხანაში. მასწავლებელი მონების გაყიდვის ცნობას ეპოქის კონტექსტში განიხილავს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე კოლონიზაციას პროცესად აღიქვამს – მიზეზით, მიმდინარეობითა და შედეგებით – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 3-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **„საჩუქარი“ ირანისთვის** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი მოკლედ გადმოსცემს მონაკვეთს „აქემენიანთა ირანი და საქართველო“: კიროს დიდის იმპერია მსოფლიოში უდიდესი იყო; ქართული ტომების ნაწილი სატრაპიებში გაერთიანდა, აქემენიანები კი, სხვა იმპერიებისგან განსხვავებით, დაპყრობილთა სარწმუნოებასა და კულტურას არ ეხებოდნენ, აშენებდნენ სასახლეებს, სარწყავ არხებსა და თავდაცვით ნაგებობებს.<br>2. წყვილები კითხულობენ ჰეროდოტეს ცნობას და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს: ა) რას იხდიდა კოლხეთი და რამდენ ხანში ერთხელ; ბ) რატომ არ გაუწია წინააღმდეგობა კოლხეთის ხელისუფლებამ აქემენიანებს; გ) რას გვიჩვენებს ეს ფაქტი ძალთა თანაფარდობაზე. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-4 კითხვასაც.<br>3. საერთო განხილვისას მასწავლებელი სვამს მე-5 კითხვას: რატომ იყენებს ჰეროდოტე სიტყვას „საჩუქარი“ და ვისი თვალთახედვით ჰყვება ამბავს? კლასი უბრუნდება გახსნის ვარაუდებს და ასკვნის: „საჩუქარი“ იძულების შერბილებული სახელია. ბოლოს კლასი ზეპირად პასუხობს მე-6 კითხვას: როგორ ამყარებდა იმპერია ძალაუფლებას (სატრაპიები, ხარკი) და როგორ იცავდა ინტერესებს (მშენებლობა, სკვითების – საერთო მტრის – წინააღმდეგ ბრძოლა). |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეს წყაროდან ძალთა თანაფარდობის დასკვნას გამოაქვს და სიტყვის მიღმა არსებულ იძულებას ამოიცნობს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ორი ურთიერთობა ერთ სქემაში** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შედარებითი T-სქემა, შემაჯამებელი დისკუსია |
| **მსვლელობა** | 1. კლასი მასწავლებელთან ერთად დაფაზე ავსებს T-სქემას: „ვაჭრობა ბერძნებთან“ (ნებაყოფლობითი; ორმხრივი სარგებელი; კოლონიები სანაპიროზე; კოლხური თეთრი) და „ხარკი ირანისთვის“ (იძულებითი; ცალმხრივი; შიშით ნაკარნახევი; თუმცა საერთო ინტერესიც არსებობდა – ბრძოლა სკვითების წინააღმდეგ). თითოეულ ნიშანს მოსწავლეები ასახელებენ და ასაბუთებენ.<br>2. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და აჯამებს: კოლხეთი ერთდროულად ორ სამყაროს უკავშირდებოდა, მაგრამ ეს ორი კავშირი არსებით ნიშნებში განსხვავდებოდა – ერთი თანასწორ გაცვლას ეყრდნობოდა, მეორე ძალთა უთანასწორობას.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს §19-ის თემაზე: ვაჭრობის გაძლიერებამ ქალაქების ზრდა დააჩქარა – მომდევნო გაკვეთილზე ნახავთ, სად და რისგან შენდებოდა ძველი ქალაქები და სახლები. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | T-სქემა გაკვეთილის მასალას ერთ სურათად კრავს – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 6-ის ინდიკატორი; დასაბუთებული პასუხები მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (ორმიმართულებიანი გაცვლის სქემა და კოლხური თეთრი) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში.

2. დავალება 2 (ჰეროდოტეს ცნობაზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობაში, წყვილებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

3. დავალება 3 (ბერძნებთან და ირანთან ურთიერთობის შედარება) – სრულდება სახლში.

4. კონტურული რუკა „ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში“ – სრულდება სახლში, რვეულში მოცემული ოთხი მითითების მიხედვით.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: გაცვლის სქემისა და ჰეროდოტეს ცნობის ა) კითხვის შევსება ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, ბ) და გ) კითხვები და მე-5 კითხვა კი დასკვნის გამოტანას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს კითხვას: რატომ არ მიმართავდნენ აქემენიანები დაპყრობილი ხალხების იძულებით გადასახლებას და რას აძლევდა იმპერიას ეს მიდგომა?

მხარდამჭერი სტრატეგიები: ჰეროდოტეს ცნობას მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს („მოხარკე“, „სატრაპია“, „შაჰი“) იქვე განმარტავს; ლექსიკონის ტერმინები (კოლონია, მეტროპოლია, ამფორა, ექსპანსია) დაფაზე იწერება; ჯგაჭვის აგებისას დაბალი მზაობის წყვილებს მასწავლებელი რგოლების დაულაგებელ ჩამონათვალს აძლევს დასალაგებლად; რუკაზე მუშაობისას პირობითი აღნიშვნების წაკითხვაში ეხმარება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, რუკით, კოლხური თეთრისა და მილეტური მონეტის გამოსახულებებით, ვანის სამკაულების ფოტოებითა; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ჯგაჭვით, სქემით, ცხრილით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ისტორიკოსი ხართ და იკვლევთ საკითხს: რატომ იყო კოლხეთი ერთდროულად ბერძნების სავაჭრო პარტნიორიც და ირანის მოხარკეც? დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც ამ კითხვას უპასუხებთ. მსჯელობისას გაითვალისწინეთ კავკასიაში ირანის გავლენის გაძლიერება, კოლხეთის მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრე.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. ჯერ შეავსეთ მოსწავლის რვეულის დავალება 3 – ორი ურთიერთობის განსხვავება ტექსტის საფუძველი გახდება;

2. დაწერეთ 5-7 წინადადება და მიუთითეთ სამივე გარემოება: ირანის გავლენის ზრდა, კოლხეთის ზღვისპირა მდებარეობა და ბუნებრივი სიმდიდრე;

3. ტექსტში გამოიყენეთ ცნებები „კოლონია“ და „ხარკი“ და თითოეული მოსაზრება პარაგრაფიდან აღებული ფაქტით გაამყარეთ.

დამატებით სრულდება კონტურული რუკა „ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთ-

ში“. დავალება უკავშირდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელ შედეგებს – ძალთა თანაფარდობის ახსნასა და ორი ურთიერთობის შედარებას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება მასწავლებელს აჩვენებს, ალაგებენ თუ არა მოსწავლეები მოვლენებს სწორი თანმიმდევრობით; ჰეროდოტეს ცნობაზე პასუხები ავლენს, გამოაქვთ თუ არა წყაროდან დასკვნა ძალთა თანაფარდობაზე; დასკვნითი T-სქემის დასაბუთებული ნიშნები მთელი გაკვეთილის ათვისებას ამოწმებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ჯაჭვებისა და სქემების შესრულების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 6-ის ინდიკატორი – სხვადასხვა მოვლენის/პროცესის შედარება არსებითი მახასიათებლების მიხედვით; ბ) შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია: საზღვაო გზების, კოლონიებისა და სავაჭრო ურთიერთობების რუკაზე მოძიება გეოგრაფიის კურსის უნარებს ამყარებს. მოქალაქეობა: ნებაყოფლობითი გაცვლისა და იძულებითი გადასახადის განსხვავება ეკონომიკური ურთიერთობების საწყისი ცნებებია, ხოლო „საჩუქრის“ მსგავსი შერბილებული სიტყვების ამოცნობა მედიაწიგნიერების უნარია. ქართული ენა და ლიტერატურა: სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის განსხვავება („საჩუქარი“, რომელიც ხარკია) ენობრივი ანალიზის საილუსტრაციო მაგალითია.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. ჯაჭვის აგებისას შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა რგოლების სწორად დალაგება – რომელი რგოლი გამორჩათ ან აერიათ?

2. მე-5 კითხვაზე მსჯელობისას ამოიცნეს თუ არა „საჩუქრის“ პირობითობა და დასჭირდა თუ არა კლასს მინიშნება?

3. დასკვნით T-სქემაში რომელი განსხვავება დაასახელეს მოსწავლეებმა დამოუკიდებლად და რომელი საჭიროებდა მასწავლებლის დახმარებას?

4. მე-3 კითხვაზე (კოლხური თეთრი) პასუხები რას აჩვენებს და რომელი კითხვა გამოდგება ქალაქებისა და მშენებლობის თემაზე გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – კოლხური თეთრის, ვანის ოქრომჭედლობის ნიმუშებისა და აქემენიანური ხანის ექსპონატების გამოსახულებები და აღწერები.

2. ოთარ ლორთქიფანიძის შრომები ბერძნული კოლონიზაციისა და ძველი კოლხეთის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ბერძნული კოლონიზაციისა და აქემენიანთა იმპერიის თემაზე.

## 19. მშენებლობა ძველ საქართველოში

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „საზოგადოება“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: საზოგადოების განვითარების დონე მის მატერიალურ კვალში (ქალაქებში, გზებსა და ნაგებობებში) აისახება. ქალაქის გაჩენა სახელმწიფოებრიობის განვითარების ნიშანია, რადგან იგი ვაჭრობის, ხელოსნობის, მიმოსვლისა და შრომის დანაწილების ერთიან კვანძს წარმოადგენს; დასახლებების სპეციალიზაცია (სარკინე – რკინის წარმოება, ნასტაგისი – სარწყავი არხის მშენებლები) კი შრომის დანაწილების პირდაპირი დასტურია.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 4 – საქართველოს ისტორიაში არსებული საზოგადოებების შედარებითი ანალიზი და მათი ტრანსფორმაციის გააზრება. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. ამასთან, აქტიურდება ცნება „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: საზოგადოების მახასიათებლების დაკავშირება გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან (კოლხური ხის სახლი და ნესტიანი ჰავა, მთის ქვა, ადგილობრივი მასალის წესი), და ცნება „ისტორიული წყარო“ – შედეგი 1-ის ინდიკატორი: წყაროს სანდოობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვეთა (ვიტრუვიუსის შეფასება „ბარბაროსებისთვის ჩვეულებრივი“ ავტორის დამოკიდებულებას ავლენს).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებმა დაახასიათონ ძველი საქართველოს საზოგადოება სამშენებლო საქმიანობის მიხედვით. ისინი გაეცნობიან სამ ძირითად სამშენებლო მასალას – ალიზს, ქვასა და ხეს, ირაკლი ციციშვილის თვალსაზრისზე დაყრდნობით კი გაიაზრებენ სამშენებლო მასალის არჩევის წესს. ვიტრუვიუსის აღწერიდან მოსწავლეები გამოიტანენ დასკვნებს კოლხების ცხოვრებისა და ხელოსნობის შესახებ და ამოიცნობენ ავტორის დამოკიდებულებას შეფასებაში – „ბარბაროსებისთვის ჩვეულებრივი“. გაკვეთილის ბოლოს ისინი ახსნიან, რატომ ითვლება ქალაქების გაჩენა სახელმწიფოებრიობის მთავარ ნიშნად და თავად აირჩევენ სამშენებლო მასალას საკუთარი მხარისთვის – არჩევანს კი ბუნებრივი პირობებით დაასაბუთებენ.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ასახელებს ძველი საქართველოს სამ ძირითად სამშენებლო მასალას, აღწერს თითოეულის დამზადებას ან მოპოვებას და გამოყენებას და მასალის არჩევანს ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს უკავშირებს;

2. მოსწავლეს ვიტრუვიუსის აღწერიდან გამოაქვს დასკვნები კოლხების ცხოვრებისა და ხელოსნობის შესახებ და ხსნის, რას ამჟღავნებს შეფასება „ბარბაროსებისთვის ჩვეულებრივი” ავტორის დამოკიდებულებაზე;

3. მოსწავლე ხსნის, რატომ ითვლება ქალაქების გაჩენა სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ნიშნად, და ასახელებს ქალაქების მდინარისპირა მდებარეობის მიზეზებს;

4.მოსწავლე ირჩევს საქართველოს ერთ მხარეს და სამშენებლო მასალის არჩევანს ადგილობრივი ბუნებრივი პირობებით ასაბუთებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§18-ის ბოლოს მოსწავლეებმა გაიგეს, რომ ვაჭრობის გაძლიერება ქალაქების ზრდას აჩქარებდა – ეს გაკვეთილი სწორედ ამ ხაზს აგრძელებს. §13-დან მათ ახსოვთ ქვის მშენებლობის

ორი წესი (მშრალი წყობა და დუღაბი) და გამაგრებული დასახლების მნიშვნელობა, §15-დან – ჯარგვალი, ხის მორებით ნაგები კოლხური საცხოვრებელი, §16-დან კი – წყაროსადმი კრიტიკული მიდგომის კითხვები. ეს გაკვეთილი თავს აჯამებს: მოსწავლე ხედავს, რომ პირველი სახელმწიფოების ეპოქის საზოგადოება მისსავე აგებულ ქალაქებში, ციხესიმაგრეებსა და სახლებში ირეკლება.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ნიმუშის აღმოჩენა (კანონზომიერების ამოცნობა); ცხრილის შევსება ტექსტიდან; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; ცნებათა ქსელის აგება დაფაზე; დასაბუთებული არჩევანის მოკლე აღწერა; წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ვიტრუვიუსის სიტყვა „ბარბაროსი“ აჩვენებს, როგორ უყურებდნენ ბერძენი და რომაელი ავტორები სხვა ხალხებს – საკუთარი კულტურის საზომით. ამ შეფასების კრიტიკული განხილვა მოსწავლეებს ასწავლის, რომ განსხვავებული ცხოვრების წესი ჩამორჩენილობას არ ნიშნავს: კოლხური სახლი სწორედ ადგილობრივ პირობებზე მორგებული, ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ნაგებობაა.

კავშირი თანამედროვეობასთან: ვიტრუვიუსის აღწერილი კოლხური სახლის მემკვიდრე – ოდა სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში, გურიასა და აჭარაში დღესაც შენდება. უფლისციხე დღეს მუზეუმ-ნაკრძალია და მისი ანტიკური თეატრის, გვირაბებისა და წყალმომარაგების სისტემის ნახვა ყველას შეუძლია. ალიზი კი, მზეზე გამომშრალი თიხის აგური, თანამედროვე ეკოლოგიურ მშენებლობაში ხშირად გამოყენებული მასალაა.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **რატომ მდინარესთან?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ნიმუშის აღმოჩენა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს სთხოვს, დაასახელონ საქართველოს ქალაქები და თითოეულთან დაკავშირებით თქვან, რა გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს მის გვერდით ან მასში. დაფაზე იწერება წყვილები: თბილისი – მტკვარი, ქუთაისი – რიონი, მცხეთა – მტკვარი და არაგვი, ბათუმი – ზღვა. კლასი ამ კანონზომიერებას ადვილად ამოიცნობს – ქალაქები წყალთან ახლოსაა.<br>2. მასწავლებელი სვამს პარაგრაფში დასმულ პირველ კითხვას: რატომ გაჩნდა ძველ საქართველოში ბევრი ქალაქი სწორედ მდინარე მტკვრის სანაპიროზე? მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ (გზები, ვაჭრობა, წყალი); მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ინიშნავს და §18-ის დასკვნას ახსენებს და ამატებს,რომ ვაჭრობის გაძლიერება ქალაქების ზრდას აჩქარებდა.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რას გვეუბნება ქალაქები და სახლები ძველი საზოგადოების შესახებ?“ |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | ნაცნობი ქალაქების მაგალითზე კანონზომიერების ამოცნობა მოსწავლეებს „მკვლევრის“ პოზიციაში აყენებს; ვარაუდები მესამე აქტივობაში გადამოწმდება (სამიზნე ცნება „საზოგადოება“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **მასალის არჩევანი** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ცხრილის შევსება ტექსტიდან |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ალიზი და ქვა“ და ირაკლი ციციშვილის თვალსაზრისს; ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილს: ალიზი (ხელით მოზელილი თიხა ყალიბებში, მზეზე გამომშრალი), ქვა (რკინის იარაღით მოპოვებული და გათლილი; სახლები, გზები, ხიდები, ციხეს-იმაგრეები, ტაძრები), ხე (დასავლეთ საქართველოს ტყეები; ნესტიან ჰავაში ზამთარში თბილი, ზაფხულში გრილი სახლები).<br>2. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-3 და მე-4 კითხვებს: როგორ ამზადებდნენ ალიზს და რატომ იყო იგი ხელსაყრელი; რა შეცვალა მშენებლობაში რკინის იარაღმა – რთულად დასამუშავებელი ქვის მოპოვება და გათლა რკინამდე ძნელად ხერხდებოდა.<br>3. მასწავლებელი ციციშვილის თვალსაზრისიდან გამოყოფს ადგილობრივი მასალის შერჩევისა და გამოყენების წესს: მასალის გადაზიდვა მშენებლობის ყველაზე შრომატევადი საქმიანობა იყო, ამიტომ ყველა მხარე იმას აშენებდა, რაც ადგილზე ჰქონდა – მთაში ქვას, დასავლეთ საქართველოში ხეს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ალიზს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მასალებს ადგილობრივ პირობებს უკავშირებს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 3-ის ინდიკატორი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ვიტრუვიუსი კოლხურ სახლზე** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთს „კოლხური სახლი“, ვიტრუვიუსის აღწერასა და ლექსიკონის განმარტებებს (ფუნდამენტი, იარუსი, ბარბაროსი); ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 4-ს: ა) რისგან აშენებდნენ კოლხები სახლს და რატომ იყენებდნენ სწორედ ამ მასალას; ბ) ეხება თუ არა შეფასება „ბარბაროსებისთვის ჩვეულებრივი“ მხოლოდ კოლხებს, თუ ასახავს რომაელების დამოკიდებულებას სხვა ხალხების მიმართ; გ) რას ვიგებთ ამ აღწერიდან კოლხების ცხოვრებისა და ხელოსნობის შესახებ.<br>2. ჯგუფები პასუხებს წარადგენენ; მასწავლებელი პარაგრაფში დასმული მე-5, მე-6 და მე-7 კითხვებით აჯამებს განხილვას და აგრძელებს წყაროს კრიტიკულ ანალიზს: ვიტრუვიუსი ზუსტი დამკვირვებელია (ამიტომაც არის მისი ჩანაწერი ფასდაუდებელი ისტორიული წყარო), მაგრამ სიტყვა „ბარბაროსი“ ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს – რომაელები სხვა ხალხებს საკუთარი კულტურის საზომით აფასებდნენ.<br>3. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს უწყვეტობაზე: ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი სახლი დღევანდელი ოდის ანალოგიურია, ქსენოფონტის ნახსენები ხის კოშკები კი კოლხების საინჟინრო ოსტატობას ადასტურებს -ეს აღწერა ორივე მიმართულებით დასტურდება: ადგილობრივი ტრადიციითა და სხვა ავტორის ცნობით. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეს უცხოური წყაროდან ჩვენი წინაპრების ცხოვრების წესის შესახებ გამოაქვს დასკვნები და ამოიცნობს ავტორის დამოკიდებულებას – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ქალაქი – საზოგადოების სარკე** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ წყვილებში |
| **მეთოდი** | ცნებათა ქსელის აგება დაფაზე |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. კლასი ეცნობა მონაკვეთს „საქალაქო მშენებლობა“: ქალაქები სავაჭრო გზების გადაკვეთაზე შენდებოდა; დასახლებებს საკუთარი დანიშნულება ჰქონდა – სარკინე რკინის წარმოების ცენტრი იყო (სახელიც ამას მოწმობს), ნასტაგისში სარწყავი არხის მშენებლები ცხოვრობდნენ, ამ ტერიტორიაზე კი აღმოცენდა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქი – მცხეთა.<br>2. კლასი მასწავლებელთან ერთად დაფაზე აგებს ცნებათა ქსელს: ცენტრში იწერება „ქალაქი“, გარშემო კი მასთან დაკავშირებული ელემენტები – სავაჭრო გზები, ხელოსნობა, შრომის დანაწილება, მჭიდრო მოსახლეობა, მმართველობა. თითოეულ კავშირს მოსწავლეები პარაგრაფის მაგალითებით ასაბუთებენ.<br>3. ცნებათა ქსელზე დაყრდნობით კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-2 კითხვას: რატომ ითვლება ქალაქების გაჩენა სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარ ნიშნად. აქვე მოწმდება გახსნისას გამოთქმული ვარაუდები მდინარისპირა მდებარეობის შესახებ – მდინარისპირეთზე სატრანსპორტო გზები გადიოდა, რაც მიმოსვლის, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების აუცილებელი პირობა იყო. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე საზოგადოებას ელემენტების ურთიერთკავშირით ახასიათებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 4-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ოსტატის გადაწყვეტილება** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | დასაბუთებული არჩევანის მოკლე წერა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: ირჩევენ ერთ მხარეს – მთიან საქართველოს ან დასავლეთ საქართველოს – და ორი-სამი წინადადებით ასაბუთებენ, რომელ მასალას აირჩევდნენ სახლის ასაშენებლად და რატომ (მთაში უხვად არის ქვა; დასავლეთში – ტყე, ჰავა კი ნოტიოა).<br>2. რამდენიმე მოსწავლე პასუხს კითხულობს; კლასი ამოწმებს, ემთხვევა თუ არა არჩევანი ადგილობრივი მასალის შერჩევის წესს. შემდეგ კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და აჯამებს: ქალაქები საზოგადოების განვითარებას ირეკლავს, სახლები კი – ბუნებრივ პირობებსა და ცხოვრების წესს.<br>3. მასწავლებელი აჯამებს V თავს: მოსწავლეებმა გაიცნეს პირველი ქართული სახელმწიფოები და მათი მეზობლები; ბოლო მონაკვეთში ნახსენები მცხეთა კი მომდევნო თავზე მიანიშნებს – VI თავში მოსწავლეები გაეცნობიან, როგორ ჩამოყალიბდა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოკლე დასაბუთებული წერა გაკვეთილის მთავარ ლოგიკას ინდივიდუალურად ამოწმებს; ნაწერები მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (სამი სამშენებლო მასალის ცხრილი) – სრულდება კლასში, პირველ აქტივობაში, წყვილებში.

2. დავალება 4 (ვიტრუვიუსის აღწერაზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობაში, ჯგუფებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

3. დავალება 3 (მასალის დასაბუთებული არჩევანი) – სრულდება კლასში, დასკვნით აქტივობაში, ინდივიდუალურად.

4. დავალება 2 (დასახლებების შესაბამისობა და მდინარისპირა მდებარეობის მიზეზები) – სრულდება სახლში; პასუხები კლასში აგებულ ცნებათა ქსელს ეყრდნობა.

5. V თავის შეჯამების კროსვორდი – სრულდება სახლში.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: სამშენებლო მასალების ცხრილისა და დავალება 4-ის ა) კითხვის შევსება ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება, ბ) და გ) კითხვები და მე-2 კითხვა კი დასკვნის გამოტანას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს; მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს კითხვას: რატომ აღწერს რომაელი არქიტექტორი ასე დაწვრილებით შორეული ქვეყნის სახლებს – რისთვის სჭირდებოდა ეს ცოდნა მის მკითხველს?

მხარდამჭერი სტრატეგიები: ვიტრუვიუსის ტექსტი ენობრივად რთულია, ამიტომ მასწავლებელი მას ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს („ძელი“, „გასაყარი“, „კუსმაგვარი“) იქვე განმარტავს, ტექსტის გვერდით კი კლასი კოლხური სახლის რეკონსტრუქციის ილუსტრაციას ადევნებს თვალს; ლექსიკონის ტერმინები (ალიზი, ფუნდამენტი, იარუსი, ბარბაროსი) დაფაზე იწერება; ცნებათა ქსელის აგებისას მასწავლებელი მოსწავლეებს ელემენტების მოძიებაში დასმული კითხვებით ეხმარება და თავად ფორმულირებებს მხოლოდ აზუსტებს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, უფლისციხისა და შავციხის ფოტოებით, კოლხური სახლისა და სარკინის ტაძრის რეკონსტრუქციებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით, ცნებათა ქსელით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ძველი დროის ოსტატი ხართ და საქართველოს რომელიმე მხარეში საცხოვრებელი სახლის აშენება დაგავალეს. აირჩიეთ მხარე და დაწერეთ მოკლე დასაბუთება: რომელ სამშენებლო მასალას აირჩევთ და რატომ არის იგი თქვენს მხარეში ყველაზე ხელსაყრელი; როგორ ააშენებთ სახლს ისე, რომ იგი მტკიცე და მოსახერხებელი იყოს. მსჯელობისას გამოიყენეთ პარაგრაფში აღწერილი სამშენებლო მასალები და წესები.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. საფუძვლად აიღეთ კლასში შესრულებული მოკლე პასუხი (მოსწავლის რვეულის დავალება 3) და გააფართოეთ იგი 6-8 წინადადებამდე;
2. მასალის არჩევანი დაასაბუთეთ მხარის ბუნებრივი პირობებით და დაამატეთ სიმტკიცის ერთი წესი მაინც (მაგალითად, დიდი ლოდების ჩაყრა საძირკველში, კედლის შუაგულის შევსება ნატეხი ქვით, ხის კედლების თიხით ამოვსება);
3. ტექსტში გამოიყენეთ ცნებები „ალიზი“ და „ფუნდამენტი“.

დამატებით სრულდება მოსწავლის რვეულის დავალება 2 და V თავის შეჯამების კროსვორდი.აღნიშნული დავალება უკავშირდება პირველ და მე-4 მოსალოდნელ შედეგებს – მასალის ცოდნასა და არჩევანის დასაბუთებას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: სამშენებლო მასალების ცხრილი მასწავლებელს აჩვენებს, უკავშირებენ თუ არა მოსწავლეები მასალას ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს; დავალება 4-ის პასუხები ავლენს, განასხვავებენ თუ არა ისინი წყაროს ფაქტობრივ ცნობასა და ავტორის შეფასებას; დასკვნითი წერილობითი დავალება თითოეული მოსწავლის მიერ გაკვეთილის მთავარი ლოგიკის ათვისებას ამოწმებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: დასკვნითი ნაწერების გაცნობა; ცხრილისა და რვეულის პასუხების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 4-ის ინდიკატორი – ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით; ბ) შედეგი 3-ის ინდიკატორი – საზოგადოების მახასიათებლების დაკავშირება გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია: ჰავის, ბუნებრივი რესურსებისა და დასახლების ურთიერთკავშირი გეოგრაფიის კურსის ცენტრალური საკითხია – გაკვეთილი ამ კავშირს ისტორიულ მასალაზე აჩვენებს. ვიზუალური ხელოვნება: უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაგებობები და კოლხური სახლის კონსტრუქცია ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული ნიმუშებია და შესაძლებელია მათი განხილვა ხელოვნების გაკვეთილზე. მოქალაქეობა: „ბარბაროსის“ მსგავსი იარლიყების ამოცნობა და სხვა კულტურის საკუთარი საზომით შეფასების საფრთხე.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. სამშენებლო მასალების შესახებ ცხრილის შევსებისას შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა მასალისა და ადგილობრივი პირობის დაკავშირება?

2. მე-5 კითხვაზე მსჯელობისას ამოიცნეს თუ არა მოსწავლეებმა ავტორის დამოკიდებულება და გასცდა თუ არა მსჯელობა მხოლოდ არქიტექტურას?

3. ცნებათა ქსელის რომელი ელემენტი დაასახელეს მოსწავლეებმა დამოუკიდებლად და რომელზე მუშაობა საჭიროებდა მასწავლებლის დამატებით მხარდაჭერას?

4. რას აჩვენებს დასკვნითი ნაწერები?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ირაკლი ციციშვილის შრომები ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის რესურსები – კლდეში ნაკვეთი ქალაქის ფოტომასალა და აღწერები.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ძველი საქართველოს ქალაქებისა და ხუროთმოძღვრების თემაზე.

## VI თავი. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო

## შესავალი მასწავლებლისთვის

**თავის მიზანი და შინაარსობრივი ხაზი**

VI თავი ექვს პარაგრაფს მოიცავს: §20 ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსები, §21 ფარნავაზი და აზო, §22 ქართლის სამეფოს შექმნა, §23 ფარნავაზის მიერ ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა, §24 რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ, §25 ქართლის სამეფო ფარნავაზ მეფის მემკვიდრეების დროს.

თავის შინაარსობრივი ხაზი ასეთია: ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლამ და დიადოხოსთა ომებმა რეგიონში რთული გეოპოლიტიკური ვითარება შექმნა; ამ ვითარებაში ქართლის დასაუფლებლად ორი გაერთიანება დაუპირისპირდა ერთმანეთს, ბრძოლიდან კი გამარჯვებული ფარნავაზი გამოვიდა – ერთიანი ქართლის სამეფოს პირველი მეფე. მომდევნო გაკვეთილები აჩვენებს, როგორ მოაწყო ფარნავაზმა სახელმწიფო (საერისთავოები, არმაზის კულტი, ქართული ენა და მწიგნობრობა), როგორი იყო ამ სამეფოს საზოგადოება, ქალაქები და როგორ უმკლავდებოდნენ მისი მემკვიდრეები მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობას.

წყაროების მხრივ, განსაკუთრებული მახასიათებელი ის არის, რომ აქ პირველად ხდება მთავარ სამუშაო წყაროდ ქართული საისტორიო ტრადიცია – „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“. მათ ემატება პლუტარქესა და სტრაბონის ცნობები. შესაბამისად, თავის მეთოდიკური ღერძი ფაქტისა და ლეგენდის გამიჯვნა და ერთი პერიოდის ამსახველი წყაროების შედარებაა.

**სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები პარაგრაფების მიხედვით**

თითოეულ პარაგრაფზე ძირითადი აქცენტი ერთ სამიზნე ცნებაზე კეთდება; ასევე, მითითებულია, სხვა რომელი ცნების დამუშავებას უწყობს ხელს გაკვეთილი დამატებით და რომელი ინდიკატორის მიხედვით. ამ განაწილებით თავში ექვსივე სამიზნე ცნება მუშავდება, „ძალაუფლება“ კი ორ მომიჯნავე გაკვეთილში სხვადასხვა ინდიკატორით არის წარმოდგენილი.

1. §20 – ძირითადი ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, შედეგი 6. ინდიკატორი: მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი – იმპერიის დაშლა და დიადოხოსთა ომები ერთმანეთს დაპირისპირებულ ელინისტურ სახელმწიფოებს წარმოშობს, დაპირისპირება კი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების ხელსაყრელ პირობად იქცევა. დამატებით აქტიურდება ცნება „დრო“ – შედეგი 2-ის ინდიკატორი: საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შედარება მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციასთან (ელინისტური ხანა, ძვ. წ. IV-I საუკუნეები), და ცნება „ისტორიული წყარო“ – შედეგი 1-ის ინდიკატორი: წყაროს შექმნის დროის გათვალისწინება (პლუტარქე მოვლენებიდან დაახლოებით 400 წლის შემდეგ წერს – პირველი კითხვა).

2. §21 – ძირითადი ცნება „ისტორიული წყარო“, შედეგი 1. ინდიკატორები: ერთი და იმავე პერიოდის ამსახველი ქართული წყაროების შედარება („მოქცევაი ქართლისაი“ პირველ მეფედ აზოს ასახელებს, „ქართლის ცხოვრება“ – ფარნავაზს) და წყაროში ფაქტისა და ლეგენდის გამიჯვნა (ფარნავაზის სიზმარი, ირმის კვალი, გამოქვაბულის განძი – რვეულის დავალება „ფაქტი თუ ლეგენდა“). დამატებით აქტიურდება ცნება „ძალაუფლება“ – შედეგი 5-ის ინდიკატორი: ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებები (არიან-ქართლისა და მცხეთის მმართველთა სახლის დაპირისპირება).

3. §22 – ძირითადი ცნება „ძალაუფლება“, შედეგი 5. ინდიკატორი: ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებებისა და მისი შედეგების გამოკვეთა – მოკავშირეთა შემოკრება (ქუჯი, ოვსები და ლეკები, სომეხი დიდგვაროვნები), გადამწყვეტი ბრძოლა და გამარჯვების ნათესაური კავშირებით განმტკიცება. დამატებით აქტიურდება ცნება „ისტორიული მოვლე-

ნა/პროცესი“ – შედეგი 6-ის ინდიკატორი: მოვლენების ანალიზი ისტორიულ პიროვნებათა როლის გათვალისწინებით (ფარნავაზისა და ქუჯის როლი გაერთიანებაში).

4. §23 – ძირითადი ცნება „ძალაუფლება“, შედეგი 5 – ორი განსხვავებული ინდიკატორით. ინდიკატორები: ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების ანალიზი (რვა საერისთავო, სასპასპეტო, მოხელეთა იერარქია) და ძალაუფლების დაკავშირება საზოგადოებაში გაზიარებულ ღირებულებებთან (არმაზის საერთო კულტი, ქართული ენა სახელმწიფო ენად, მწიგნობრობის შექმნა – ერთიანობის საყრდენები). დამატებით აქტიურდება ცნება „საზოგადოება“ – შედეგი 4-ის ინდიკატორი: საერთო რწმენისა და ენის როლი საზოგადოების გაერთიანებაში.

5. §24 – ძირითადი ცნება „საზოგადოება“, შედეგი 4. ინდიკატორი: ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით – სტრაბონის ოთხი „გვარი“ (სამეფო გვარი, ქურუმები, მეომრები და მიწათმომქმედები, „ლაოები“), ქალაქები და სავაჭრო ურთიერთობები. დამატებით აქტიურდება ცნება „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: მცხეთის, როგორც სავაჭრო გზების კვანძის, მნიშვნელობის ახსნა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით („აბრეშუმის დიდი გზის“ განშტოება, ოთხი გზის თავშესაყარი), და ცნება „ისტორიული წყარო“ – სტრაბონის ცნობის მნიშვნელობა.

6. §25 – ძირითადი ცნება „სივრცე“, შედეგი 3. ინდიკატორები: საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ცოდნა (სამეფოს შემადგენლობა – მოსწავლის რვეულის დავალება 1) და კონკრეტული ტერიტორიის მნიშვნელობის ახსნა სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით (დარიალის გასასვლელის კონტროლი). დამატებით აქტიურდება ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ – შედეგი 6-ის ინდიკატორი: მიზეზშედეგობრივი კავშირების ანალიზი (სელევკიდების დასუსტება – სომხური სამეფოების აღზევება – ქართლის ტერიტორიული დანაკარგები და მათი ნაწილობრივი დაბრუნება).

**პრაქტიკული შენიშვნები**

1. ორი ქართული წყარო ქართლის პირველ მეფეს სხვადასხვაგვარად ასახელებს. მასწავლებელმა ეს განსხვავება წყაროს კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობად უნდა წარმოაჩინოს – წყაროები სხვადასხვა ტრადიციას ასახავს; მეცნიერთა მოსაზრებები (მელიქიშვილი არიან-ქართლის შესახებ, ქავთარია ალექსანდრეს ლაშქრობის სიმბოლურობაზე, აფაქიძისა და ჯავახიშვილის თვალსაზრისები არმაზზე) ვარაუდებად სახელდება.

2. გავრცელებული მცდარი წარმოდგენის გასწორების შესაძლებლობა: ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია – სახელმძღვანელო ამას პირდაპირ აღნიშნავს და ეს ადგილი გამოკვეთას იმსახურებს.

3. წარმართული კულტების თემა (არმაზი, გაცი, გაიმი, ზადენი) ისტორიული ანალიზის ფარგლებში განიხილება – ყურადღება საერთო კულტის გამაერთიანებელ და ლეგიტიმაციის ფუნქციაზე გადადის. სტრაბონის „სამეფო მონები“ სოციალური უთანასწორობის საკითხს აჩენს – იგი ეპოქის კონტექსტში, შეფასების გარეშე მუშავდება.

4. თავი მდიდარია დამხმარე რესურსებით: ქრონოლოგიური ღერძი (ძვ. წ. 336-281), ახალგორის განძი, ალექსანდრესა და ლისიმაქეს სტატერების ქართული მინაბაძები, „დიდი მცხეთის“ გრაფიკული რეკონსტრუქცია და სხვ.

5. მოსწავლის რვეულში VI თავს ახლავს კონტურული რუკა „ქალაქები და გზები ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში“ (რვა მითითება), მეფეებისა და კერპების შესაბამისობის

## 20. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსები

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: საქართველოს ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიულ პროცესებთან. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლას შედეგების მთელი ჯაჭვი მოჰყვა: დიადოხოსთა ომები, ერთმანეთს დაპირისპირებული ელინისტური სახელმწიფოები და, საბოლოოდ, ხელსაყრელი ვითარება ქართლის სამეფოს ჩამოსაყალიბებლად. მოსწავლე ხედავს, რომ შორეულმა მოვლენამ შეიძლება შეცვალოს პატარა ქვეყნის ისტორიაც.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 6 – საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ინტერპრეტაცია მიზეზშედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ მიემართება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. ამასთან, აქტიურდება ორი ცნება: „დრო“ – შედეგი 2-ის ინდიკატორი: საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შედარება მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციასთან (ქართლის სამეფო ელინისტურ ხანაში, ძვ. წ. IV-I საუკუნეებში, ჩამოყალიბდა), და „ისტორიული წყარო“ – შედეგი 1-ის ინდიკატორი: წყაროს დახასიათება შექმნის პერიოდის მიხედვით (პლუტარქე ალექსანდრეს გარდაცვალებიდან დაახლოებით 400 წლის შემდეგ წერდა – პირველი კითხვა).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რატომ იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ისტორია ალექსანდრე მაკედონელის იმპერიით. ისინი გაეცნობიან იმპერიის შექმნასა და დაშლას, დიადოხოსთა ომებსა და სამ ელინისტურ სახელმწიფოს. პლუტარქეს ცნობაზე მუშაობით მოსწავლეები განივითარებენ წყაროსთან მუშაობის უნარებს. გაკვეთილის ბოლოს ისინი ააგებენ მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს: იმპერიის დაშლიდან იმ ხელსაყრელ ვითარებამდე, რომელშიც ქართლის სამეფო ჩამოყალიბდა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ქრონოლოგიური ღერძის დახმარებით ასახელებს მთავარ თარიღებს (ალექსანდრეს მეფობა – ძვ. წ. 336-323 წლები, დიადოხოსთა ომები – ძვ. წ. 323-281 წლები) და განმარტავს ცნებას „ელინისტური სახელმწიფო”;

მოსწავლე რუკაზე დაკვირვებით აღწერს იმპერიის საზღვრებს და მსჯელობს, რა აძნელებდა ასეთი დიდი და მრავალფეროვანი სახელმწიფოს მართვას;

მოსწავლე პლუტარქეს ცნობიდან ამოკრებს ინფორმაციას ალექსანდრეს უკანასკნელი დღეების შესახებ და ხსნის, რატომ უნდა გავითვალისწინოთ წყაროს შექმნის დრო მისი სანდოობის შეფასებისას;

მოსწავლე ასახელებს სამ ელინისტურ სახელმწიფოსა და მათ საერთო ნიშანს და აგებს მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს იმპერიის დაშლიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების ხელსაყრელ პირობებამდე.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§18-ში მოსწავლეებმა გაიგეს, რომ აქემენიანთა ირანი მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო იყო და კოლხეთიც ხარკს უხდიდა მას. ამ გაკვეთილზე ისინი ნახავენ, რომ ეს იმპერია დაეცა – დარიოს III-ის დამარცხებით და ამით აქემენიანთა დინასტია დასრულდა. §19-ის ბოლოს კლასმა გაიგო, რომ მცხეთის ტერიტორიაზე პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქი აღმოცენდა. ეს გაკვეთილი ხსნის, რა საერთაშორისო ვითარებაში გახდა ამ

სახელმწიფოს შექმნა შესაძლებელი. მოსწავლეებს §5-დან და §15-დან ახსოვთ წყაროზე მუშაობასთან დაკავშირებული კრიტიკული კითხვები და ამ ცოდნას (მაგ. როდის შეიქმნა წყარო?) პარაგრაფში მოცემული წყაროების ანალიზის დროსაც გამოიყენებენ.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ქრონოლოგიურ ღერძზე დაკვირვება; ვარაუდის გამოთქმა და ტექსტით გადამოწმება; რუკაზე მუშაობა; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; სქემის შევსება; მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება დაფაზე; წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ალექსანდრეს იმპერია ომებით შეიქმნა და დაპყრობებმა მრავალი ქვეყანა გაანადგურა. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვევს, რომ დამპყრობლის „სიდიადე“ ფრთხილად შეაფასონ: სამხედრო წარმატება ერთია, ხალხების ბედი კი – მეორე. იმპერიის სწრაფი დაშლა კიდევ ერთ დასკვნას აჩენს: ერთ ადამიანზე აგებული ძალაუფლება მყიფეა.

კავშირი თანამედროვეობასთან: ალექსანდრეს სახელი დღესაც ცოცხლობს გეოგრაფიულ სახელწოდებებში – რუკა 12-ზე რამდენიმე ქალაქი ალექსანდრია ჩანს, მათგან ყველაზე ცნობილი ეგვიპტეშია. ალექსანდრესა და დარიოსის ბრძოლის სცენა ჩვენამდე პომპეის მოზაიკამ შემოინახა – ამ ნახატით ვიცით, როგორ წარმოედგინათ ძველ ხელოვანებს ორი მეფის შეხვედრა. პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ კი დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ისტორიული წიგნია.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **მაკედონიიდან მცხეთამდე** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ქრონოლოგიურ ღერძზე დაკვირვება |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი მოსწავლეები თავის პირველ გვერდზე მოცემულ ქრონოლოგიურ ღერძს ათვალიერებინებს. მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ თარიღებსა და მოვლენებს: ღერძი ალექსანდრე მაკედონელის მეფობით იწყება და ფარნავაზის მეფობით სრულდება.<br>2. მასწავლებელი სვამს კითხვას: რა უნდა აკავშირებდეს მაკედონიის მეფეს ქართლის პირველ მეფესთან? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს; მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ინიშნავს.<br>3. მასწავლებელი §18-ის მასალას ახსენებს – აქემენიანთა ირანი მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო იყო და სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ შექმნა ერთი იმპერიის დაშლამ ადგილი ახალი სახელმწიფოებისთვის – მათ შორის ქართლის სამეფოსთვის?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | გამოთქმული ვარაუდები დასკვნით ნაწილში გადამოწმდება (სამიზნე ცნებები „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ და „დრო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **იმპერია ცამეტ წელიწადში** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ წყვილებში |
| **მეთოდი** | რუკაზე მუშაობა, ვარაუდის გამოთქმა და ტექსტით გადამოწმება |
| **მსვლელობა** | 1. კლასი კითხულობს პარაგრაფის პირველ მონაკვეთს. მასწავლებელი ხაზს უსვამს ორ ფაქტს: ალექსანდრე მაკედონელმა იმპერია ცამეტ წელიწადში შექმნა (ძვ. წ. 336-323) და დარიოს III-ის დამარცხებით აქემენიანთა დინასტია დაასრულა – ის დინასტია, რომელსაც კოლხეთი ხარკს უხდიდა.<br>2. წყვილები რუკა 12-ზე დაკვირვებით პასუხობენ პარაგრაფში დასმულ მე-2 კითხვას: რომელი ქვეყნები დაიპყრო ალექსანდრემ და სად გადიოდა იმპერიის საზღვრები – (ეგვიპტიდან ინდოეთამდე).<br>3. მასწავლებელი სვამს მე-3 კითხვას ვარაუდების გამოსათქმელად: რა გაართულებდა ასეთი ვრცელი და მრავალფეროვანი იმპერიის მართვას და რა შეიძლებოდა დამუქრებოდა მის ერთიანობას? მოსწავლეები გამოთქვამენ სავარაუდო მიზეზებს (დიდი მანძილები, სხვადასხვა ხალხი და ენა, ერთ მმართველზე დამოკიდებულება). ვარაუდები დაფაზე იწერება – მათ სისწორეს კლასი მომდევნო მონაკვეთის კითხვისას შეამოწმებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე იმპერიის მასშტაბს რუკაზე ხედავს და მისი მართვის სირთულეზე დასაბუთებულ ვარაუდს გამოთქვამს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **პლუტარქე – ოთხასი წლის შემდეგ** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ პლუტარქეს ცნობას ალექსანდრეს უკანასკნელი დღეების შესახებ და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს: ა) რა მდგომარეობაშია ალექსანდრე და რა ხდება მის გარშემო; ბ) რა მოჰყვა მის გარდაცვალებას, რამაც ახალი სახელმწიფოების წარმოქმნას შეუწყო ხელი; გ) ვინ იმყოფებოდა მომაკვდავი მეფის გარშემო – სწორედ ის სარდლები, რომლებიც მალე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.<br>2. ჯგუფები პასუხებს წარადგენენ. მასწავლებელი კლასს რუბრიკიდან „ეს საინტერესოა“ აცნობს პლუტარქეს მოკლე ბიოგრაფიას: ბერძენი ისტორიკოსი და ბიოგრაფი,რომელიც ცხოვრობდა 46-127 წლებში და ავტორია ცნობილი ნაშრომის „პარალელური ბიოგრაფიებისა“.<br>3. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ კითხვას: პლუტარქე მოვლენებიდან დაახლოებით 400 წლის შემდეგ წერდა – რა წყაროებით ისარგებლებდა იგი (ადრინდელი ავტორების თხზულებები, თანამედროვეთა ჩანაწერები) და რატომ უნდა გავითვალისწინოთ წყაროს შექმნის დრო მისი სანდოობის ანალიზისას. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროდან კრებს ინფორმაციას და წყაროს შექმნის დროის მნიშვნელობას იაზრებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **სამი სამეფო ერთი იმპერიიდან** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | სქემის შევსება ტექსტიდან |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ელინისტური სახელმწიფოები“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის სქემას: თრაკია – ლისიმაქე, სირიის სამეფო – სელევკოსი, პტოლემეების ეგვიპტე – პტოლემე I. სქემის ბოლოს წერენ სამივე სახელმწიფოს საერთო ნიშანს: მაგ. სამივეს სათავეში ალექსანდრეს ყოფილი სარდალი ჩაუდგა;<br>2. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-4 და მე-5 კითხვებს. მე-5 კითხვაზე პასუხის გაცემაში მოსწავლეებს ლექსიკონის განმარტება ეხმარება: ამ სახელმწიფოებს „ელინისტურს“ უწოდებენ, რადგან ალექსანდრეს დაპყრობებმა ბერძნული (ელინური) კულტურა აღმოსავლეთში გაავრცელა – ამის კვალი რუკაზეც ჩანს: დაპყრობილ მიწებზე არაერთი ქალაქი ალექსანდრია დაარსდა.<br>3. მასწავლებელი მოკლედ გადმოსცემს დიადოხოსთა ბრძოლის დასასრულს: ძვ. წ. 281 წელს ლისიმაქე სელევკოს I-თან ბრძოლაში დაეცა, მომდევნო წელს თავად სელევკოსი მოკლეს. ამ დაპირისპირების ხანაში მცირე აზიაში პონტოს სამეფო ჩამოყალიბდა, რომლის გავლენა კოლხეთსაც სწვდებოდა. სწორედ ამ ეპოქაში წარმოიშვა ქართლის (იბერიის) სამეფო. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ელინისტურ სახელმწიფოებს საერთო ნიშნით აჯგუფებს და ეპოქის მთლიან სურათს იღებს – მუშავდება პირველი და მე-4 მოსალოდნელი შედეგები და შედეგი 2-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **მოვლენათა ჯაჭვი მაკედონიიდან ქართლამდე** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება დაფაზე |
| **მსვლელობა** | 1. კლასი მასწავლებელთან ერთად დაფაზე აგებს მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს: ალექსანდრეს გარდაცვალება (ძვ. წ. 323) – დიადოხოსთა ომები (ძვ. წ. 323-281) – ერთმანეთს დაპირისპირებული ელინისტური სახელმწიფოები – დიდ სახელმწიფოებს აღარ რჩებათ ძალა პატარა ქვეყნების დასამორჩილებლად – იქმნება ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება ქართლის სამეფოს ჩამოსაყალიბებლად. ჯაჭვის თითოეულ რგოლს მოსწავლეები ასახელებენ, მასწავლებელი მხოლოდ აზუსტებს.<br>2. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და გაკვეთილის დასაწყისში გამოთქმულ ვარაუდებს: ახლა მოსწავლეებს უკვე არგუმენტირებულად შეუძლიათ ახსნან, რა აკავშირებს მაკედონიის მეფეს ქართლის პირველ მეფესთან. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი გაკვეთილის მასალას ერთ სურათად კრავს და საშინაო დავალების საფუძველს ქმნის – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 6-ის ინდიკატორი. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 2 (პლუტარქეს ცნობაზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობის დროს, ჯგუფებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

2. დავალება 1 (სამი ელინისტური სახელმწიფოს სქემა) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობის დროს, წყვილებში.

3. დავალება 3 (რატომ იყო მეზობელი იმპერიების დასუსტება ხელსაყრელი ქართლის სამეფოსთვის) – სრულდება სახლში; მოსწავლეთა პასუხები ეყრდნობა კლასში აგებულ მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვს.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: რვეულის დავალება 1-ის სქემისა და დავალება 2-ის ა) კითხვის შევსება ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება; მე-3 და მე-5 კითხვები და დავალება 2-ის ბ) კითხვა მსჯელობას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს. მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს კითხვას: რატომ ვერ შეინარჩუნა ვერცერთმა სარდალმა (დიადოხოსმა) მთელი იმპერია?

მხარდამჭერი სტრატეგიები: პლუტარქეს ცნობას მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს იქვე განმარტავს; ტერმინები (დიადოხოსი, ელინისტური სახელმწიფო, სარდალი, დინასტია) დაფაზე იწერება; რუკაზე მუშაობისას მასწავლებელი წყვილებს პირობითი აღნიშვნების წაკითხვაში ეხმარება; ქრონოლოგიური ღერძი მთელი გაკვეთილის განმავლობაში თვალსაჩინოდ რჩება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, რუკით, ქრონოლოგიური ღერძით, პომპეის მოზაიკითა; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია სქემით, მიზეზშედეგობრივი ჯაჭვით, რუკაზე ჩვენებით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ფარნავაზის მრჩეველი ხართ. დაწერეთ მოკლე ტექსტი, რომელშიც მეფეს აუხსნით, რატომ შექმნა ალექსანდრეს იმპერიის დაშლამ ხელსაყრელი პირობები ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. ჯერ წერილობით უპასუხეთ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს – ეს პასუხი მეფის მრჩევლის ტექსტის საფუძველი გახდება;

2. შემდეგ დაწერეთ 5-7 წინადადება მრჩევლის სახელით და მიყევით კლასში აგებულ მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს: იმპერიის დაშლა – დიადოხოსთა ომები – დაპირისპირებული ელინისტური სახელმწიფოები – ხელსაყრელი ვითარება ქართლისთვის;

3. ტექსტში გამოიყენეთ ცნებები „დიადოხოსი“ და „ელინისტური სახელმწიფო“ და დაასახელეთ ერთი თარიღი მაინც.

დავალება უკავშირდება მე-4 მოსალოდნელ შედეგს – მიზეზშედეგობრივი კავშირის ახსნას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: მე-3 კითხვაზე გამოთქმული ვარაუდები და მათი ტექსტით გადამოწმება მასწავლებელს აჩვენებს, ამყარებენ თუ არა მოსწავლეები მსჯელობას კონკრეტული ფაქტებით; რვეულის სქემა ავლენს, შეუძლიათ თუ არა ტექსტიდან საერთო ნიშნის გამოკვეთა; დასკვნითი მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის აგება კი მთელი გაკვეთილის მასალის ათვისებას ამოწმებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: სქემისა და მოსწავლის რვეულის პასუხების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი; ბ) შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროს დახასიათება არსებითი მახასიათებლების (შექმნის პერიოდის) მიხედვით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია: იმპერიის საზღვრების, ზღვებისა და ქვეყნების რუკაზე მოძიება გეოგრაფიის კურსის უნარებს ამყარებს. მოქალაქეობა: მე-3 კითხვაზე მსჯელობა – როგორ იმართება დიდი და მრავალფეროვანი სახელმწიფო – მოქალაქეობის კურსის საკითხებს ეხმიანება. ვიზუალური ხელოვნება: პომპეის მოზაიკა ანტიკური ხელოვნების ცნობილი ნიმუშია და შესაძლებელია მისი განხილვა ხელოვნების გაკვეთილზე.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. მე-3 კითხვაზე გამოთქმული ვარაუდები რამდენად დაემთხვა ტექსტის მასალას – გაუადვილდათ თუ არა მოსწავლეებს ვარაუდის ფაქტით გადამოწმება?
2. პირველ კითხვაზე მსჯელობისას გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა, რატომ არის მნიშვნელოვანი წყაროს შექმნის დრო – ვის დასჭირდა დამატებითი განმარტება?
3. დასკვნითი ჯაჭვის რომელი რგოლი დაასახელეს მოსწავლეებმა დამოუკიდებლად და რომელი საჭიროებდა მასწავლებლის კითხვას?
4. რომელი კითხვა გამოდგება მომდევნო გაკვეთილზე (§21) აზოსა და ფარნავაზის დაპირისპირების განსახილველად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ ქართული თარგმანები – ალექსანდრეს ბიოგრაფია მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.
2. ისტორიული ატლასები და რუკები ალექსანდრეს იმპერიისა და ელინისტური სახელმწიფოების თემაზე.
3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ელინისტური ხანის თემაზე.

## 21. ფარნავაზი და აზო

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ისტორიული წყარო“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: ერთსა და იმავე ეპოქაზე სხვადასხვა წყარო შეიძლება სხვადასხვანაირად მოგვითხრობდეს. ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ ორი ქართული წყარო გვიამბობს: „მოქცევაი ქართლისაი“ პირველ მეფედ აზოს ასახელებს, „ქართლის ცხოვრება“ კი – ფარნავაზს. მოსწავლე სწავლობს, რომ ასეთი განსხვავება წყაროს ნაკლი კი არა, ისტორიკოსის სამუშაო მასალაა: წყაროები უნდა შევადაროთ, საერთო ბირთვი გამოვყოთ და ლეგენდური ეპიზოდები ამოვიცნოთ.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 1 – საქართველოს ისტორიის მოვლენა-პროცესების ანალიზი ისტორიული წყაროების საფუძველზე სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის ორ ინდიკატორს: ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი წყაროების შედარება სანდოობისა და შინაარსის მიხედვით და საკუთარი მოსაზრების დასაბუთება წყაროს სანდოობასთან დაკავშირებით (რომელი ეპიზოდი ეფუძნება ისტორიულ რეალობას და რომელი – ლეგენდას). ამასთან აქტიურდება ცნება „ძალაუფლება“ – შედეგი 5-ის ინდიკატორი: ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებების გამოკვეთა (ორი გაერთიანების დაპირისპირება და მათი უცხოელი მფარველები).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაეცნონ ქართლის დასაუფლებლად გამართულ ბრძოლას – აზოსა და ფარნავაზის დაპირისპირებას და დაინახონ, რომ ამ ბრძოლაში ელინისტური სახელმწიფოების მეტოქეობაც აისახა. ისინი პირველად შეადარებენ ერთმანეთს ორ ქართულ საისტორიო წყაროს და ივარჯიშებენ ისტორიული ფაქტისა და ლეგენდის გამიჯვნაში ფარნავაზის ამბის მაგალითზე. მოსწავლეები ახსნიან, რა დანიშნულება ჰქონდა სასწაულებრივ ეპიზოდებს მეფეთა ცხოვრების აღწერისას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ასახელებს ქართლისთვის მებრძოლ ორ გაერთიანებას, მათ წინამძღოლებსა და უცხოელ მფარველებს (აზოს ეხმარებოდა პონტო, ფარნავაზს – სელევკიდები) და ხსნის, რატომ ჩაერთვნენ ამ ბრძოლაში ელინისტური სახელმწიფოები;

2. მოსწავლე ადარებს „მოქცევაი ქართლისაისა” და „ქართლის ცხოვრების” ცნობებს და ასახელებს მთავარ განსხვავებას: პირველი წყარო პირველ მეფედ აზოს ასახელებს, მეორე – ფარნავაზს;

3. მოსწავლე ალაგებს ფარნავაზის ამბის ეპიზოდებს ისტორიულ და ლეგენდურ ელემენტებად და თითოეულ გადაწყვეტილებას ასაბუთებს;

4. მოსწავლე ხსნის, რატომ იყენებდნენ ძველი ავტორები სასწაულებრივ ეპიზოდებს მეფეთა ცხოვრების აღწერისას – მეფის განსაკუთრებულობისა და მისი ძალაუფლების დასაბუთებისთვის.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§20-ში მოსწავლეებმა ააგეს მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი: იმპერიის დაშლამ ხელსაყრელი ვითარება შექმნა ქართლის სამეფოსთვის. ამ გაკვეთილზე ისინი ნახავენ, ვინ ისარგებლა ამ ვითარებით – ორი გაერთიანება, რომელთა ზურგს უკან ისევ ელინისტური სახელმწიფოები დგანან. §16-დან მოსწავლეებს ახსოვთ ზღაპრული ამბისა და ისტორიული რეალობის გამიჯვნა – ეს ხერხი ახლა ბერძნული მითიდან (არგონავტების შესახებ) ქართულ წყაროებზე

მუშაობისას უნდა გამოიყენონ. §18-დან ისინი იცნობენ ჰეროდოტეს – მისი ცნობა სატრაპიების შესახებ ამ გაკვეთილზეც გამოადგებათ.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: პრობლემური კითხვა; შედარებითი ცხრილი; მასწავლებლის მიზნობრივი თხრობა; წყაროების შედარება; კლასიფიკაცია დასაბუთებით („ფაქტი თუ ლეგენდა“); შემაჯამებელი მსჯელობა; წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ორი ქართული წყაროს განსხვავებული მონაცემები მოსწავლეებმა კრიტიკულად უნდა განიხილონ და ერთმანეთს შეუპირისპირონ, რაც მათ ინფორმაციის ანალიზის უნარის გამომუშავებაში დაეხმარებათ. ფარნავაზის სიზმარი ქართული მწერლობის ლამაზი ეპიზოდია: მისი ლეგენდურობის ამოცნობა ამ ტექსტს ფასს არ უკარგავს. აზონის სისასტიკის აღწერა (სამარასა და მისი ძმის მოკვლა) ისტორიული ანალიზის ფარგლებში განიხილება.

კავშირი თანამედროვეობასთან: „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი, რომელიც მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაიწერა,კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ხოლო ახალგორის განძი ეროვნულ მუზეუმშია დაცული და ქართული კულტურის განვითარებას გვიჩვენებს. დღესაც ხშირად ხდება, რომ ერთ ამბავს სხვადასხვა წყარო სხვადასხვანაირად გადმოსცემს – რამდენიმე ვერსიის შედარება მედიაწიგნიერების ძირითადი უნარია.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ორი წიგნი – ორი პასუხი** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემური კითხვა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს მარტივ კითხვას უსვამს: ვინ იყო ქართლის პირველი მეფე? მოსწავლეთა უმეტესობა ფარნავაზს დაასახელებს.<br>2. მასწავლებელი პასუხს აზუსტებს: ასე ამბობს „ქართლის ცხოვრება“. მაგრამ არსებობს უფრო ძველი ქართული წყარო – „მოქცევაი ქართლისაი“ და ის პირველ მეფედ სხვას – აზოს ასახელებს. ორი ძველი წიგნი ერთ კითხვას (ვინ იყო პირველი მეფე) სხვადასხვა პასუხს სცემს.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ უნდა იმუშაოს ისტორიკოსმა, როცა ორი ძველი წყარო ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვანაირად ჰყვება?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | წინააღმდეგობა ორ წყაროს შორის მოსწავლეებში კვლევის ინტერესს აღძრავს; პასუხი საკვანძო კითხვას გაკვეთილის ბოლოს გაეცემა (სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ორი გაერთიანება – ორი მფარველი** |
|---|---|
| **დრო** | 9 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შედარებითი ცხრილი |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ბრძოლა ქართლის დასაუფლებლად“ და გიორგი მელიქიშვილის თვალსაზრისს; შემდეგ ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილს: აზო – არიან-ქართლის მეთაური, არიან-ქართლის მეფის ძე, მას პონტოს სამეფო ეხმარებოდა; ფარნავაზი – მცხეთის გაერთიანების მეთაური, მცხეთის მმართველთა სახლის წარმომადგენელი, მას სელევკიდების სამეფო უჭერდა მხარს.<br>2. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ კითხვას: ჰეროდოტეს ცნობით, სამხრეთში მცხოვრები ქართველური ტომები სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებში შედიოდნენ – სწორედ აქედან მოდის სახელი „არიან-ქართლი“, ანუ ირანის ქართლი.<br>3. კლასი პასუხობს მე-2 კითხვასაც: რატომ ჩაერთვნენ ამ ბრძოლაში უცხო სახელმწიფოები? მასწავლებელი პასუხს §20-ს უკავშირებს: პონტო და სელევკიდები რეგიონში ერთმანეთის მეტოქეები იყვნენ და მათი ინტერესები კავკასიაშიც იკვეთებოდა და თითოეულს თავისი კანდიდატის გამარჯვება აწყობდა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორ დაპირისპირებულ მხარეს არსებითი ნიშნებით ადარებს და ბრძოლის საერთაშორისო ფონს ხედავს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 5-ის ინდიკატორი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ორი მემატიანე ერთ ეპოქაზე** |
|---|---|
| **დრო** | 12 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ ჯგუფებში (3-4 მოსწავლე) |
| **მეთოდი** | მასწავლებლის მიზნობრივი თხრობა, წყაროების შედარება |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი მოკლედ და ცოცხლად ჰყვება „ქართლის ცხოვრების“ ამბავს (მონაკვეთი „ვინ იყო ფარნავაზი?“): აზონის სისასტიკე, ფარნავაზის გადამალვა მთიანეთში, სიზმარი მზის სხივზე, ნადირობა, დაჭრილი ირემი და გამოქვაბულში ნაპოვნი განძი. მოსმენის წინ კლასი დავალებას იღებს: დაიმახსოვრონ ერთი ეპიზოდი, რომელიც სინამდვილეს ჰგავს, და ერთი, რომელიც – ლეგენდას მიეკუთვნება.<br>2. ჯგუფები კითხულობენ ორივე წყაროს ნაწყვეტს და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის ა) და ბ) კითხვებს: რას ვიგებთ „მოქცევაი ქართლისაისგან“ აზოს შესახებ (არიან-ქართლიდან მოვიდა, თან ნათესავები და კერპები – გაცი და გაიმი – ჩამოიყვანა) და როგორ ახასიათებს „ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზს (გონიერი, შემმართებელი მხედარი, ხელოვანი მონადირე). ძველი ქართული ტექსტის გაგებაში მოსწავლეებს მასწავლებელი ეხმარება.<br>3. საერთო განხილვისას მასწავლებელი მთავარ განსხვავებას აზუსტებს: „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით ქართლის პირველი მეფე აზოა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით – ფარნავაზი. აქვე სწორდება გავრცელებული „შეცდომა“: ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია – გადმოცემაში მისი სარდლების ან პონტოს სამეფოს წარმომადგენელთა შემოსვლა უნდა იგულისხმებოდეს (გრანი ქავთარიას თვალსაზრისი).ამის შემდეგ კლასი პასუხობს მე-3 კითხვას: აზონისთვის ფარნავაზი მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან იგი მცხეთის მმართველთა კანონიერი მემკვიდრე იყო. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ორ ქართულ წყაროს შინაარსის მიხედვით ადარებს და მთავარ განსხვავებას ასახელებს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ფაქტი თუ ლეგენდა** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | კლასიფიკაცია დასაბუთებით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს: ექვს დებულებას ორ სვეტში ათავსებენ – ისტორიული რეალობა (ფარნავაზის წარმომავლობა, უცხოელი მფარველები, სამონადირეო ოსტატობა) და ლეგენდა (მზის სხივი სიზმარში, მზის ცვარი, განძის სასწაულებრივი პოვნა).<br>2. საერთო განხილვისას მასწავლებელი თითოეულ გადაწყვეტილებაზე დასაბუთებას ითხოვს: რა ნიშნით მიაკუთვნეს დებულება ამა თუ იმ სვეტს? კლასი კრიტერიუმებს აყალიბებს: ლეგენდურია ის, რაც ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება; ისტორიულია ის, რასაც სხვა ცნობებიც ამყარებს.<br>3. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-4 და მე-5 კითხვებს: რატომ სჭირდებოდათ ძველ ავტორებს სასწაულებრივი ეპიზოდები? მასწავლებელი პასუხს აჯამებს: სიზმარი მეფის განსაკუთრებულობას ასაბუთებდა – მკითხველს ეუბნებოდა, რომ ფარნავაზის გამეფება ზეციური ნების აღსრულება და მისი ძალაუფლების ლეგიტიმაცია იყო. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ეპიზოდებს კრიტერიუმით ალაგებს და საკუთარ გადაწყვეტილებას ასაბუთებს – მუშავდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელი შედეგები და შედეგი 1-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ისტორიკოსის პასუხი** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი მსჯელობა |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას: როგორ მუშაობს ისტორიკოსი, როცა წყაროები ერთმანეთს არ ემთხვევა? მოსწავლეები გაკვეთილის გამოცდილებით პასუხობენ: წყაროები უნდა შევადაროთ, საერთო ბირთვი გამოვყოთ, ლეგენდური ეპიზოდები ამოვიცნოთ და სხვა მონაცემებით გადავამოწმოთ.<br>2. მასწავლებელი კლასთან ერთად საერთო ბირთვს აყალიბებს: ორივე წყარო ეთანხმება ერთმანეთს მთავარში – ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე ქართლში ორი ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს და ამ ბრძოლიდან ერთიანი სამეფო შეიქმნა; ფარნავაზი ორივე წყაროში მეფეა. ამ ეპოქის სიმდიდრეს ნივთიერი წყაროც ადასტურებს – ახალგორის განძი.<br>3. მასწავლებელი მიანიშნებს §22-ის თემაზე: როგორ მოახერხა ფარნავაზმა გამარჯვება? ამისთვის მას მოკავშირე დასჭირდა – მომდევნო გაკვეთილზე კლასი ეგრისის მმართველ ქუჯის გაეცნობა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | კლასი საკვანძო კითხვაზე დასაბუთებულ პასუხს აყალიბებს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი; მსჯელობა მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აწვდის. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (აზოსა და ფარნავაზის შედარებითი ცხრილი) – სრულდება კლასში, პირველი აქტივობის დროს, წყვილებში.

2. დავალება 3-ის ა) და ბ) კითხვები (ორი წყაროს ნაწყვეტებზე მუშაობა) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობის დროს, ჯგუფებში.

3. დავალება 2 („ფაქტი თუ ლეგენდა“) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობის დროს, წყვილებში.

4. დავალება 3-ის გ) კითხვა (როგორ ავხსნათ, რომ ერთი ეპოქა ორ წყაროში განსხვავებულად არის მოთხრობილი) – სრულდება სახლში; პასუხი დასკვნით აქტივობაში ჩამოყალიბებულ მსჯელობას ეყრდნობა.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილი და დავალება 3-ის ა) კითხვა ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება; დავალება 2-ის დასაბუთება და მე-4 კითხვა მსჯელობას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს. მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს სააზროვნო კითხვას: ორი წყარო აზონს სხვადასხვანაირად წარმოაჩენს – „მოქცევაი ქართლისაი“ დადებითად მოგვითხრობს მასზე, „ქართლის ცხოვრება“ კი სასტიკ მმართველად ხატავს; რით შეიძლება აიხსნას ეს განსხვავება?

მხარდამჭერი სტრატეგიები: ძველი ქართული ტექსტები ენობრივად რთულია, ამიტომ მასწავლებელი მათ ხმამაღლა კითხულობს და თანამედროვე ქართულით იქვე გადმოსცემს; ლექსიკონის სიტყვები (მამამძუძე, ჭაბუკი) და ტერმინები (მამასახლისი, კერპი, მემატიანე) დაფაზე იწერება; დავალება 2-ისთვის დაბალი მზაობის წყვილებს დამხმარე კითხვა ეძლევათ: „შეიძლება თუ არა ეს სინამდვილეში მოხდეს?“

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, მასწავლებლის თხრობით, ხელნაწერის ფოტოთი, ახალგორის განძის გამოსახულებებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია ცხრილით,ფაქტებისა და ლეგენდების კლასიფიკაციით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წაიკითხეთ ორივე წყაროდან მოყვანილი ნაწყვეტი და შეადარეთ ისინი ერთმანეთს: რას გვეუბნება თითოეული წყარო ქართლის პირველი მეფის შესახებ და რით განსხვავდება მათი გადმოცემები? იმსჯელეთ, რატომ შეიძლება ერთი და იგივე ამბავი ორ ძველ წყაროში სხვადასხვანაირად იყოს მოთხრობილი.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. ჯერ წერილობით უპასუხეთ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის გ) კითხვას – ეს პასუხი მსჯელობის საფუძველი გახდება;

2. შემდეგ დაწერეთ 5-7 წინადადება: ჯერ დაასახელეთ, რას ამბობს თითოეული წყარო პირველ მეფეზე, შემდეგ კი ახსენით განსხვავების ერთი შესაძლო მიზეზი მაინც (წყაროები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტრადიციის მიხედვით იწერებოდა);

3. ბოლო წინადადებაში დაასახელეთ, რაში ეთანხმება ორივე წყარო ერთმანეთს.

დავალება უკავშირდება მე-2 მოსალოდნელ შედეგს – ორი წყაროს შედარებას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: დავალება 1-ის ცხრილი მასწავლებელს აჩვენებს, ამოკრებენ თუ არა მოსწავლეები ტექსტიდან არსებით ინფორმაციას; ორი წყაროს შედარებისას გამოკვეთილი განსხვავება ავლენს, ხედავენ თუ არა ისინი წყაროებს შორის სხვაობას; „ფაქტი თუ ლეგენდა“ დავალების დასაბუთებები აჩვენებს, აქვთ თუ არა მოსწავლეებს გარჩევის მკაფიო კრიტერიუმი.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ცხრილისა და კლასიფიკაციის შესრულების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 1-ის ინდიკატორი – ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი წყაროების შედარება სანდოობისა და შინაარსის მიხედვით; ბ) შედეგი 1-ის ინდიკატორი – საკუთარი მოსაზრების დასაბუთება წყაროს სანდოობასთან დაკავშირებით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ძველი ქართული ტექსტების კითხვა და ლექსიკაზე მუშაობა (მამამძუძე, ჭაბუკი, „ზრახვა“) ენის ისტორიას ეხება, ფარნავაზის სიზმარი კი მხატვრული ხატის ნიმუშად გამოდგება. მოქალაქეობა: ერთი ამბის სხვადასხვა ვერსიის შედარება და თითოეულის წარმომავლობის გარკვევა ინფორმაციის შეფასების ძირითადი უნარია. ვიზუალური ხელოვნება: ახალგორის განძის ოქრომჭედლობა ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშია და შესაძლებელია მისი განხილვა ხელოვნების გაკვეთილზე.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. „ფაქტი თუ ლეგენდა“ დავალებაში რომელმა დებულებამ გამოიწვია დავა და რომელი კრიტერიუმი გამოიყენეს მოსწავლეებმა დამოუკიდებლად?

2. ორი წყაროს შედარებისას დაასახელეს თუ არა მოსწავლეებმა მთავარი განსხვავება მასწავლებლის მინიშნების გარეშე?

3. მე-4 კითხვაზე მსჯელობისას მიხვდნენ თუ არა მოსწავლეები სიზმრის დანიშნულებას – მეფის განსაკუთრებულობის დასაბუთებას?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ სამეცნიერო გამოცემები – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. გიორგი მელიქიშვილის შრომები არიან-ქართლისა და ქართლის სამეფოს წარმოქმნის შესახებ.

3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – ახალგორის განძის გამოსახულებები და აღწერები; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესურსები – „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები.

## 22. ქართლის სამეფოს შექმნა

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ძალაუფლება“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: ძალაუფლების მოსაპოვებლად მარტო ჯარი არ კმარა – საჭიროა მოკავშირეები და მათი შენარჩუნების დიპლომატიური ხერხები. ფარნავაზმა გამარჯვებამდე კოალიცია შეკრა (ქუჯი, ოვსები და ლეკები, სომეხი დიდგვაროვნები), გამარჯვების შემდეგ კი კავშირები ქორწინებით განამტკიცა. ქუჯის მაგალითი მეორე მხარესაც აჩვენებს: ზოგჯერ ქვეყნის გაერთიანება მხოლოდ მაშინ ხერხდება, როცა ერთ-ერთი მხარე პირად პოლიტიკურ ამბიციას თმობს.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 5 – ძალაუფლებისა და მმართველობის ფორმების კრიტიკული შეფასება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებებისა და მისი შედეგების გამოკვეთა.

ამასთან აქტიურდება ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ – შედეგი 6-ის ინდიკატორი: მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი ისტორიულ პიროვნებათა როლის გათვალისწინებით (ფარნავაზისა და ქუჯის როლი ქვეყნის გაერთიანებაში).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა გაიაზრონ, როგორ შეიქმნა ერთიანი ქართლის სამეფო. ისინი ქუჯის დილემაზე მუშაობით გაიაზრებენ, რა არჩევანის წინაშე იდგა ეგრისის მმართველი და რატომ დათმო მან პირველობა. მოსწავლეები ექსპერტთა ჯგუფებში შეისწავლიან ფარნავაზის ოთხ მოკავშირეს და დაასკვნიან, რას გვეუბნება მოკავშირეთა სიმრავლე ფარნავაზზე, როგორც პოლიტიკოსზე. გაკვეთილის ბოლოს ისინი გაეცნობიან გამარჯვების განმტკიცების ხერხებს – ქორწინებით კავშირებსა და სელევკიდებთან მეგობრობას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე აღწერს ქუჯის წინაშე მდგარ არჩევანს, ასახელებს ქუჯისა და ფარნავაზის საერთო ინტერესს და ხსნის, რატომ დათმო ქუჯიმ პირველობა;
2. მოსწავლე ასახელებს ფარნავაზის მოკავშირეებს (ქუჯი, ოვსები და ლეკები, სომეხი დიდგვაროვნები, აზოს ლაშქრიდან გადმოსული მხედრები), ხსნის თითოეულის წვლილს და მსჯელობს, რას გვეუბნება მოკავშირეთა სიმრავლე ფარნავაზზე, როგორც პოლიტიკოსზე;
3. მოსწავლე ხსნის დინასტიური კავშირების პოლიტიკურ დანიშნულებას და ასახელებს, რას მოწმობს ქართლში ანტიოქოს I-ის მონეტების აღმოჩენა;
4. მოსწავლე მსჯელობს პირადი ინტერესისა და საერთო საქმის თანაფარდობაზე და მოჰყავს მაგალითი ისტორიიდან ან დღევანდელი ცხოვრებიდან.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§21-დან მოსწავლეებმა იციან, რომ ქართლისთვის ორი ძალა იბრძოდა: აზო პონტოს დახმარებით და ფარნავაზი სელევკიდების მხარდაჭერით. მათ იციან, რომ ფარნავაზმა გამოქვაბულში განძი იპოვა – ამ გაკვეთილში ფარნავაზი მას მოკავშირის მოსაზიდად იყენებს. §17-დან მოსწავლეებს ახსოვთ სიტყვა „კოალიცია“ (ნაირის ქვეყნების გაერთიანება დიაოხის მეთაურობით) – ახლა ისინი კოალიციის შეკვრას ახალ კონტექსტში – ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის მაგალითზე გამოიყენებენ.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: დილემაზე მუშაობა „ოთხი კუთხის“ ხერხით (მოსწავლეები პოზიციას ირჩევენ და ასაბუთებენ); წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; ექსპერტთა ჯგუფები; სქემის შევსება; როლური სამუშაო („წერილი ანტიოქოსს“); დისკუსია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთილის ღერძი ქუჯის დილემაა – პირადი ძალაუფლება თუ საერთო საქმე? მასწავლებელი მოსწავლეებს პასუხს არ კარნახობს: ისინი ჯერ თავად გამოხატავენ პოზიციას, შემდეგ კი წყაროდან იგებენ, რა გადაწყვიტა ქუჯიმ. ასე ცოდნა და ღირებულებითი მსჯელობა ერთმანეთს ამყარებს. ომის ეპიზოდები (აზოს სიკვდილი, ლაშქრის განადგურება) ისტორიული ანალიზის ფარგლებში განიხილება.

კავშირი თანამედროვეობასთან: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გადამწყვეტი ბრძოლის ადგილად ჰურის ციხე ითვლება – იგი დღეს თურქეთის ტერიტორიაზე, არტაანის მხარეშია. ანტიოქოსის მონეტების აღმოჩენა აჩვენებს, რომ პოლიტიკურ კავშირს სავაჭრო კავშირიც ახლდა. კოალიციის შეკვრა და მოკავშირეთა მოძიება დღესაც სახელმწიფოთა ურთიერთობის მთავარი ხერხია.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ქუჯის დილემა** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | დილემაზე მუშაობა „ოთხი კუთხის“ ხერხით |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს სიტუაციას აცნობს: შენ ხარ ეგრისისა და სვანეთის მმართველი. აზოს ემორჩილები, მაგრამ მისი მმართველობის სისასტიკე შენც გაწუხებს. შენთან მოდის მცხეთის მმართველთა მემკვიდრე ფარნავაზი: დიდი განძი აქვს და გთხოვს, ერთად განდევნოთ აზო.<br>2. კლასს ეძლევა ოთხი პოზიცია (ოთახის ოთხ კუთხეს შეესაბამება): ა) უანგაროდ დავეხმარები; ბ) დავეხმარები, მაგრამ სანაცვლოდ პირველობას მოვითხოვ; გ) უარს ვეტყვი – საკუთარ ძალაუფლებას საფრთხეში ვერ ჩავაგდებ; დ) ჯერ ვერ გადამიწყვეტია. მოსწავლეები პოზიციას ირჩევენ და არჩევანს ასაბუთებენ.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა სჭირდება პატარა ძალას დიდი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად და როგორ ინარჩუნებს გამარჯვებული მოკავშირეებს?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | დილემა მოსწავლეებს გმირის ადგილზე აყენებს, სანამ ისინი მის რეალურ არჩევანს გაიგებენ; კუთხეებში დაფიქსირებული პოზიციები დასკვნით ნაწილში გადამოწმდება (სამიზნე ცნება „ძალაუფლება“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ქუჯის არჩევანი** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთს „ფარნავაზი და ქუჯი“ და „ქართლის ცხოვრების“ ნაწყვეტს (ქუჯის სიტყვები); ძველი ქართული ტექსტის გაგებაში მათ მასწავლებელი ეხმარება.<br>2. ჯგუფები ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: ა) რას სთავაზობს ქუჯი ფარნავაზს და ვინ იქნება „უფალი“ გამარჯვების შემთხვევაში; ბ) რა როლი აქვს ქუჯის ფარნავაზის გამარჯვებაში (მოკავშირე ლაშქარი, ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირი); გ) რა საერთო პოლიტიკური ინტერესი ჰქონდათ – ორივე აზოს ბატონობისგან თავის დაღწევას ცდილობდა.<br>3. კლასი ქუჯის რეალურ არჩევანს „კუთხეების“ პოზიციებს ადარებს: ქუჯიმ პირველობა არ მოითხოვა, თუმცა შეეძლო. მოსწავლეები მსჯელობენ, რატომ მოიქცა ასე- ქუჯიმ ქვეყნის გადარჩენა პირად ძალაუფლებაზე მაღლა დააყენა და ისიც გაითვალისწინა, რომ მეფობა მცხეთის მამასახლისთა კანონიერ მემკვიდრეს ეკუთვნოდა.დასასრულს, კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-4 კითხვასაც. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროდან ქუჯის არჩევანს იგებს და საკუთარ პოზიციას რეალურ ისტორიას ადარებს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 6-ის ინდიკატორი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ვინ დაუდგა მხარში ფარნავაზს** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ოთხ ექსპერტთა ჯგუფად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ექსპერტთა ჯგუფები |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ოთხ ჯგუფად ყოფს და თითოეულს ერთი მოკავშირის როლს აკისრებს: ქუჯი და მისი ლაშქარი; ოვსები და ლეკები (მათზე „ქართლის ცხოვრების“ ნაწყვეტიც ეძლევათ); სომეხი დიდგვაროვნები; აზოს ლაშქრიდან გადმოსული ათასი მხედარი. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთს „გადამწყვეტი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის“ და სამ კითხვას პასუხობენ: ვინ იყო მოკავშირე, რატომ დაეხმარა ფარნავაზს და რას გვეუბნება მისი მხარდაჭერა.<br>2. თითოეული ჯგუფი პასუხს ერთ წუთში წარადგენს; პარალელურად მთელი კლასი ავსებს მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის ცხრილს. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-2 კითხვას: ჩრდილოეთ კავკასიელებს აზოს მიერ დაკისრებული ხარკი აწუხებდათ, აზოს მეომრებს კი – მისი სისასტიკე და მძიმე მმართველობა.<br>3. მასწავლებელი ბრძოლის მსვლელობას მოკლედ გადმოსცემს: აზო კლარჯეთში გამაგრდა, ერთი წლის შემდეგ შურისძიება სცადა, გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა. ფარნავაზმა კლარჯეთი შემოიერთა, მცხეთაში ზეიმით დაბრუნდა და ერთიანი ქართლის პირველი მეფე გახდა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | თითოეული მოსწავლე ერთ მოკავშირეს სიღრმისეულად ეცნობა, სრულ სურათს კი სხვა ჯგუფების მოსმენით იღებს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 5-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **მეფის დიპლომატია** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | სქემის შევსება, როლური მიკროწერა |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ პარაგრაფის დასკვნით ნაწილს და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ის სქემას: ფარნავაზმა ერთი და ქუჯის მიათხოვა და ეგრისი და სვანეთი უბოძა; მეორე და – მოკავშირე ოვსთა მეფეს; თავად კი დურძუკი ქალი შეირთო ცოლად.<br>2. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-5 და მე-3 კითხვებს: ქორწინება მოკავშირეს ნათესავად აქცევდა და კავშირს თაობებით განამტკიცებდა; ანტიოქოსის მონეტების აღმოჩენა კი აჩვენებს, რომ სელევკიდებთან პოლიტიკურ მეგობრობას სავაჭრო ურთიერთობაც ახლდა.<br>3. წერილი ანტიოქოსს: წყვილები წერენ ორ-სამ წინადადებას ფარნავაზის დესპანის სახელით – დეპეშას ანტიოქოს I სოტერისთვის გამარჯვების შესახებ. ორი-სამი წყვილი ტექსტს კითხულობს; კლასი ამოწმებს, ეყრდნობა თუ არა წერილი პარაგრაფში გადმოცემულ ისტორიულ ფაქტებს. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე გამარჯვების განმტკიცების ხერხებს ეცნობა და ცოდნას როლურ წერაში იყენებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **რა ღირს გაერთიანება** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ღირებულებითი დისკუსია (დილემის დახურვა) |
| **მსვლელობა** | 1. კლასი უბრუნდება პარაგრაფში დასმულ პირველ კითხვას: რა იყო ქუჯისთვის მთავარი – სამშობლოს გადარჩენა თუ პირადი ძალაუფლების მოპოვება? მოსწავლეები მაგალითებს ისტორიიდან ან დღევანდელი ცხოვრებიდან ასახელებენ.<br>2. მასწავლებელი კუთხეებს უბრუნდება: გაკვეთილის შემდეგ ვინ შეიცვალა თავდაპირველად არჩეული პოზიციას და რატომ? ცვლილების შემთხვევაში მოსწავლეები არგუმენტირებულად ასაბუთებენ, ან კიდევ ერთხელ განმარტავენ თავდაპირველი პოზიციის შენარჩუნების მოტივებს. კლასი პასუხობს საკვანძო კითხვას: პატარა ძალას მოკავშირეები სჭირდება, გამარჯვებული კი მათ პატივისცემით, წყალობითა და ნათესაური კავშირით ინარჩუნებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | პოზიციის ცვლილების დასაბუთება მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აწვდის – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 3 (ქუჯის სიტყვებზე მუშაობა) – სრულდება კლასში, პირველი აქტივობის დროს, ჯგუფებში; სამივე კითხვის პასუხი რვეულში იწერება.

2. დავალება 1 (მოკავშირეთა ცხრილი) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობის დროს, ექსპერტთა ჯგუფების მოხსენებების პარალელურად.

3. დავალება 2 (ქორწინებითი კავშირების სქემა) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობის დროს, წყვილებში.

4. სამივე დავალების პასუხები საშინაო წერითი დავალების საფუძველს ქმნის.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მოკავშირეთა ცხრილისა და დინასტიური ქორწინებების სქემის შევსება ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება; დილემის დასაბუთება, დავალება 3-ის გ) კითხვა და მე-5 კითხვა მსჯელობას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს. მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს სააზროვნო კითხვას: რატომ მიატოვა აზო მისმა ათასმა რჩეულმა მხედარმა – რას გვეუბნება ეს შიშზე აგებული ძალაუფლების შესახებ?

მხარდამჭერი სტრატეგიები: ძველი ქართული წყაროები ენობრივად რთულია, ამიტომ მასწავლებელი მათ ხმამაღლა კითხულობს და თანამედროვე ქართულით იქვე გადმოსცემს;

ლექსიკონის სიტყვები (ხუასტაგი, რქუა, უფლობა, დურძუკები) დაფაზე იწერება; ოთხი კუთხის პოზიციები თვალსაჩინო ბარათებზეა დაწერილი; ექსპერტთა ჯგუფებში როლები წინასწარ ნაწილდება (წამკითხველი, ჩამწერი, წარმდგენი).

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, „ქართლის ცხოვრების“ ნაწყვეტებით, ჰურის ციხისა და მცხეთის ზღუდის რეკონსტრუქციებით,ელინისტური ხანის მონეტების გამოსახულებებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია საკუთარი პოზიციის დასაბუთებით, ცხრილით, სქემით, როლური წერით ან ზეპირი მსჯელობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „ფარნავაზი ქვეყნის გათავისუფლებასა და გაერთიანებას მარტო ვერ შეძლებდა – მას სხვადასხვა ძალა ეხმარებოდა. ტექსტზე დაყრდნობით, ვინ დაუჭირა მხარი ფარნავაზს, ქუჯის გარდა? რას გვეუბნება მოკავშირეების სიმრავლე ფარნავაზ მეფეზე, როგორც პოლიტიკოსზე?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დაწერეთ 5-7 წინადადება და საფუძვლად გამოიყენეთ კლასში შევსებული მოკავშირეთა ცხრილი (მოსწავლის რვეულის დავალება 1);

2. დაასახელეთ სულ მცირე სამი მოკავშირე და თითოეულთან მიუთითეთ, რატომ დაუჭირა მხარი ფარნავაზს;

3. დასკვნით წინადადებაში იმსჯელეთ, რას გვეუბნება მოკავშირეთა სიმრავლე ფარნავაზზე, როგორც პოლიტიკოსზე – გამოიყენეთ ცნებები „კოალიცია“ და „მოკავშირე“.

დავალება უკავშირდება მე-2 მოსალოდნელ შედეგს – მოკავშირეთა როლის ახსნას.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: კუთხეებში პოზიციის დასაბუთება მასწავლებელს აჩვენებს, ამყარებენ თუ არა მოსწავლეები არჩევანს არგუმენტირებული მსჯელობით; ექსპერტთა ჯგუფების მოხსენებები ავლენს, შეუძლიათ თუ არა ტექსტიდან არსებითი ინფორმაციის გამოკვეთა; „წერილის“ ტექსტები და დასკვნითი მსჯელობა მთელი გაკვეთილის მასალის ათვისებას ამოწმებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ცხრილისა და დინასტიური კავშირების სქემის შესრულების გადამოწმება; დაკვირვება ჯგუფებში მუშაობასა და პოზიციების დასაბუთებაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 5-ის ინდიკატორი – ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებებისა და მისი შედეგების გამოკვეთა; ბ) შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი ისტორიულ პიროვნებათა როლის გათვალისწინებით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

მოქალაქეობა: პირადი ინტერესისა და საერთო სიკეთის თანაფარდობა მოქალაქეობის კურსის ერთ-ერთი მთავარი საკითხია – ქუჯის დილემა მას კონკრეტულ ისტორიულ მაგალითს აძლევს. გეოგრაფია: ეგრისის, სვანეთის, კლარჯეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მდებარეობის გააზრება აჩვენებს, რატომ იყო ქუჯის კავშირი ასე ღირებული.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. ოთხ კუთხეში როგორ განაწილდნენ მოსწავლეები და შეიცვალა თუ არა პოზიციები დასკვნით ნაწილში – რა არგუმენტებით?

2. ექსპერტთა ჯგუფებმა შეძლეს თუ არა თავიანთი მოკავშირის როლის დამოუკიდებლად წარმოდგენა – რომელ ჯგუფს დასჭირდა დახმარება?

3. „წერილის“ ტექსტები რამდენად ეყრდნობოდა პარაგრაფში მოხმობილ ფაქტებს?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. „ქართლის ცხოვრების“ სამეცნიერო გამოცემები – ფარნავაზისა და ქუჯის ამბის სრული ტექსტი მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. ტაო-კლარჯეთისა და არტაანის მხარის ისტორიული ძეგლების კვლევები – ჰურის ციხის მასალები.

3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – ელინისტური ხანის მონეტების გამოსახულებები და აღწერები.

## 23. ფარნავაზის მიერ ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „ძალაუფლება“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ორ ძირითად ასპექტს. პირველი: სახელმწიფოს მართვას მოწესრიგებული სისტემა სჭირდება – ფარნავაზმა ქვეყანა რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ დაყო და მოხელეთა იერარქია შექმნა; ამ წყობის მეშვეობით მეფის ბრძანებები ქვეყნის ყველა მხარეში სრულდებოდა. მეორე: ძალაუფლებას მხოლოდ მოხელეები და ჯარი ვერ შეინარჩუნებს – მას საზოგადოებაში გაზიარებული ღირებულებებიც განამტკიცებს; სწორედ ამ მიზნით დაადგინა ფარნავაზმა მთელი ქვეყნისთვის საერთო მთავარი ღვთაება არმაზი და ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 5 – ძალაუფლებისა და მმართველობის ფორმების კრიტიკული შეფასება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. წინა გაკვეთილისგან განსხვავებით, აქ შედეგის ორი სხვა ინდიკატორი მუშავდება: ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების მიზეზების ანალიზი და ძალაუფლების დაკავშირება იმ ეპოქის საზოგადოებაში გაზიარებულ ღირებულებებთან (საერთო კულტი, საერთო ენა). ამასთან, აქტიურდება ცნება „საზოგადოება“ – შედეგი 4-ის ინდიკატორი: ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით (რწმენა და ენა, როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ელემენტები).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ გამარჯვების შემდეგ ფარნავაზს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება მოუწია. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები თავად იმსჯელებენ, როგორ შეიძლება გაერთიანებული ქვეყნის მართვა, შემდეგ კი გაეცნობიან ფარნავაზის მიერ შექმნილ მმართველობის სისტემას: საერისთავოებს, სპასპეტის თანამდებობას, არმაზის კულტსა და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ოთხ რეფორმას მნიშვნელობის მიხედვით დაალაგებენ და არჩევანს არგუმენტებით დაასაბუთებენ.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე აღწერს ქართლის მმართველობის იერარქიას (მეფე, სპასპეტი, ერისთავები, სპასალარები და ათასისთავები) და ხსნის, რატომ დაყო ფარნავაზმა ქვეყანა საერისთავოებად;
2. მოსწავლე რუკაზე პოულობს საერისთავოებსა და ფარნავაზის აგებულ ციხეებს (შორაპანი, დიმნა) და ხსნის მათ დანიშნულებას;
3. მოსწავლე ხსნის, რატომ სჭირდებოდა ახლად შექმნილ სახელმწიფოს საერთო ღვთაება და საერთო ენა და რატომ არ აკრძალა ფარნავაზმა გაცისა და გაიმის თაყვანისცემა;
4. მოსწავლე მნიშვნელობის მიხედვით ალაგებს ფარნავაზის რეფორმებს და საკუთარ არჩევანს არგუმენტით ასაბუთებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§22-ში მოსწავლეებმა ნახეს, როგორ გაიმარჯვა ფარნავაზმა და როგორ განიმტკიცა კავშირები ქორწინებით. გაკვეთილი იმ კითხვით დასრულდა, რომელზეც ახლა გაეცემა პასუხი: როგორ მოეწყოს სახელმწიფო ისე, რომ ერთიანობა შენარჩუნდეს? §19-დან მოსწავლეებს ახსოვთ, რომ შიდა ქართლში მდებარეობდა მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრები – კასპი, უფლისციხე და მცხეთა. ახლა ისინი გაიგებენ, რომ ფარნავაზმა ეს მხარე უმაღლესი თანამდებობის მოხელეს – სპასპეტს გადასცა სამართავად და ამით მას განსაკუთრებული ადგილი მიანიჭა ამ თანამდებობას. §18-დან მათ ახსოვთ აქემენიანების წესი – დაპყრობილთა რწმენას არ ეხებოდნენ; ეს ცოდნა გაცისა და გაიმის საკითხზე მსჯელობისას გამოადგებათ.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: პრობლემურ საკითხზე წინასწარი მსჯელობა და საკუთარი მოსაზრებების შედარება ისტორიულ ფაქტებთან;მოხელეთა იერარქიული სქემის აგება;ისტორიულ რუკაზე მუშაობა; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; საკუთარი არჩევანის არგუმენტირებული დასაბუთება.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთილის ღირებულებითი ღერძი ფარნავაზის შემწყნარებლობაა. მან ქვეყანას საერთო მთავარი ღვთაება დაუდგინა, მაგრამ აზოს დროს აღმართული კერპების – გაცისა და გაიმის თაყვანისცემა არ აკრძალა; ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა, მაგრამ სხვა ენებზე საუბარი არ აუკრძალავს. ამ ფაქტებზე დაყრდნობით მოსწავლეები ასკვნიან: შორსმჭვრეტელი მმართველი ქვეშევრდომებს საერთო ღვთაებითა და საერთო ენით აერთიანებს. წარმართული კულტები გაკვეთილზე განიხილება როგორც წარსული ეპოქის მოვლენა: ყურადღება მახვილდება საერთო კულტის დანიშნულებაზე – ქვეყნის გაერთიანებასა და მეფის ძალაუფლების განმტკიცებაზე.

კავშირი თანამედროვეობასთან: ქართული ანბანის სამივე სახეობა დღემდე გამოიყენება. 2016 წლის 30 ნოემბერს იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეიტანა ქართული ნომინაცია ოფიციალური სახელწოდებით „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ – სახელმძღვანელოს ილუსტრაცია სამივე დამწერლობას აჩვენებს. ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, მთავარის ღვთაების ადგილი ქართველთა წარმოდგენებში მოგვიანებით წმინდა გიორგიმ დაიკავა. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-2 მუხლით, სახელმწიფო ენა ქართულია, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული და აფხაზური.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **როგორ ვმართოთ ქვეყანა?** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | პრობლემურ საკითხზე წინასწარი მსჯელობა |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ვითარებას აღუწერს: ფარნავაზი ახალი მეფეა. მისი სამეფო დასავლეთით ეგრისს წვდება, აღმოსავლეთით – ხუნანს. მხედარი მცხეთიდან შორეულ მხარემდე რამდენიმე დღეში აღწევს. კითხვა კლასს: როგორ უნდა მართოს მეფემ ასეთი დიდი ქვეყანა, რომ მისი ბრძანება ყველა მხარეში სრულდებოდეს?<br>2. წყვილები ორ წუთში თითო მოსაზრებას აყალიბებენ; სამი-ოთხი წყვილი მას ხმამაღლა გამოთქვამს და მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ინიშნავს. მოსალოდნელი პასუხებია: მეფემ მხარეებში თავისი მოხელეები უნდა დანიშნოს; ჯარი და ციხეები სჭირდება;მთელი სამეფოსთვის საერთო წესები უნდა დააწესოს.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „რა აერთიანებს სახელმწიფოს – მოხელეები და ციხეები თუ საერთო ენა და რწმენა?“ |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები ჯერ საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებენ და მხოლოდ შემდეგ კითხულობენ ტექსტს; საკუთარი მოსაზრებების შედარება ფარნავაზის გადაწყვეტილებებთან მათ ტექსტის ყურადღებით კითხვისკენ უბიძგებს (სამიზნე ცნება „ძალაუფლება“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **რვა ერისთავი და ერთი სპასპეტი** |
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | იერარქიული სქემის აგება, რუკაზე მუშაობა |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ერისთავები და სპასპეტი“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის იერარქიულ სქემას: მეფე – სპასპეტი – რვა ერისთავი – სპასალარები და ათასისთავები. სქემასთან ერთად პასუხობენ დავალების ოთხივე კითხვას: სპასპეტი მეფის შემდეგ პირველი პირია, რადგან მას ქვეყნის შუაგული – შიდა ქართლი ექვემდებარება და ერისთავებზეც მაღლა დგას; ერისთავები გადასახადებს კრებდნენ და მეფის ბრძანებისას ჯარი გამოჰყავდათ.<br>2. კლასი რუკა 13-ზე პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ და მე-2 კითხვებს: რვა საერისთავო ისტორიულ მხარეებს ემთხვევა; მარტო მცხეთიდან ქვეყნის მართვა ვერ მოხერხდებოდა – ერისთავები მეფის ნებას ადგილზე ასრულებდნენ.<br>3. კლასი რუკაზე პოულობს შორაპნისა და დიმნას ციხეებს და პასუხობს მე-3 კითხვას: ეს ციხეები დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან გზებს აკონტროლებდა. ბოლოს კლასი დაფაზე ჩანიშნულ მოსაზრებებს უბრუნდება: მოსწავლეები ადარებენ, მათი მოსაზრებებიდან რომელი დაემთხვა ფარნავაზის გადაწყვეტილებებს (მოხელეების დანიშვნა მხარეებში, ციხეების აგება) და რა იყო ისეთი, რაც მათ არ უფიქრიათ (მაგალითად, სპასპეტის განსაკუთრებული თანამდებობა). |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მმართველობის წყობას სქემად აწყობს და საკუთარ მოსაზრებებს ისტორიულ ფაქტებს ადარებს – მუშავდება პირველი და მე-2 მოსალოდნელი შედეგები და შედეგი 5-ის ინდიკატორი (ინსტიტუტების ჩამოყალიბების ანალიზი). |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **არმაზი – საერთო ღვთაება** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი, შემდეგ ჯგუფებში (3-4 მოსწავლე) |
| **მეთოდი** | წყაროს გაცნობა და აღწერილი ამბის დახატვა, წყაროზე მუშაობა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ეუბნება, რომ ახლა წყაროდან კერპის აღწერას წაუკითხავს და სთხოვს, მოსმენისას აღწერილი ქანდაკება წარმოიდგინონ. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას არმაზის კერპის შესახებ: სპილენძის კაცი, ოქროს ჯაჭვის პერანგი, ზურმუხტისა და ბივრილის თვალები, ხელში ელვასავით მბრწყინავი ხმალი. მოსწავლეები ერთ წუთში ხატავენ ან ორი-სამი სიტყვით იწერენ, როგორი კერპი წარმოიდგინეს; შემდეგ ნახატებს სახელმძღვანელოს ილუსტრაციას ადარებენ.<br>2. ჯგუფები კითხულობენ მონაკვეთს „არმაზი – ქართველების მთავარი ღვთაება“ და პასუხობენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: რატომ სჭირდებოდა ახლად შექმნილ სახელმწიფოს საერთო ღვთაება.( საერთო რწმენა სხვადასხვა მხარის ხალხს აახლოებდა და მეფის ძალაუფლებასაც ამტკიცებდა). აქვე განიხილება პარაგრაფში დასმული მე-4 კითხვა.<br>3. საერთო განხილვისას კლასი მე-5 კითხვას პასუხობს: ფარნავაზმა აზოს დროს აღმართული კერპების – გაცისა და გაიმის თაყვანისცემა არ აკრძალა. მოსწავლეები §18-ს იხსენებენ: აქემენიანებიც არ ერეოდნენ ქვეშევრდომთა რწმენაში. მასწავლებელი აჯამებს: აკრძალვა აზოს ყოფილ მომხრეებს გააღიზიანებდა და ახალგაერთიანებულ ქვეყანაში განხეთქილებას შეიტანდა – შემწყნარებლობა კი მათ ახალი მეფის ერთგულ ქვეშევრდომებად აქცევდა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროს აღწერას ყურადღებით უსმენს და საერთო კულტის დანიშნულებას იაზრებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 5-ის ინდიკატორი (ძალაუფლების დაკავშირება გაზიარებულ ღირებულებებთან). |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **ერთი ენა მთელი სამეფოსთვის** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ფარნავაზი და «მწიგნობრობა ქართული»“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობას; ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს: ა) ფარნავაზმა ქართული სახელმწიფო ენად გამოაცხადა და ყველა კუთხის მცხოვრებთათვის სავალდებულო გახადა; ბ) გადმოცემით, მანვე შექმნა „მწიგნობრობა ქართული“ – მოსწავლეები წერენ, რას აძლევს ხალხს საკუთარი დამწერლობა (ცოდნის ჩაწერა და გადაცემა, კანონები, წიგნები).<br>2. საერთო განხილვისას მასწავლებელი ორ რამეს აზუსტებს. პირველი: ფარნავაზს სხვა ენებზე საუბარი არ აუკრძალავს – ქართული საერთო ენა გახდა და არა ერთადერთი. მეორე: მწიგნობრობის შექმნის ცნობა „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემაა; ქართული დამწერლობის უძველესი შემორჩენილი ძეგლები გვიანდელია და მეცნიერები ამ ცნობას განსხვავებულად აფასებენ.<br>3. კლასი საკვანძო კითხვას უბრუნდება და ასკვნის: ფარნავაზმა ორივე გზა გამოიყენა – მოხელეთა სისტემა და ციხეები ქვეყნის მართვასა და დაცვას უზრუნველყოფდა, საერთო ღვთაება და საერთო ენა კი სხვადასხვა მხარის მოსახლეობას აახლოებდა და ერთი სამეფოს ქვეშევრდომებად კრავდა. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ენის რეფორმის მნიშვნელობას იაზრებს და ტრადიციულ ცნობასა და მეცნიერულ ცოდნას ერთმანეთისგან განასხვავებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 4-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **რომელი რეფორმა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?** |
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | რეფორმების დალაგება მნიშვნელობის მიხედვით, არჩევანის დასაბუთება |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები ოთხ რეფორმას (საერისთავოების სისტემა, არმაზის კულტი, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ქართული მწიგნობრობა) მნიშვნელობის მიხედვით ალაგებენ: რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი ხალხის შემდგომი ისტორიისთვის?<br>2. წყვილები პირველ ადგილზე დაყენებულ რეფორმას ერთი არგუმენტით ასაბუთებენ. მასწავლებელი ხაზს უსვამს: ერთადერთი სწორი პასუხი არ არსებობს – მნიშვნელოვანია როგორ ვასაბუთებთ არგუმენტირებულად ჩვენს არჩევანს. კლასი ამჩნევს, რომ სხვადასხვა წყვილმა სხვადასხვა რეფორმა აირჩია და თითოეულს თავისი არგუმენტები აქვს. |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | ეს აქტივობა მოსწავლეს რეფორმების ერთმანეთთან შედარებასა და არჩევანის დასაბუთებას სთხოვს; მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (მმართველობის იერარქიის სქემა და ოთხი კითხვა) – სრულდება კლასში, პირველი აქტივობის დროს, წყვილებში.

2. დავალება 3 (რატომ სჭირდებოდა სახელმწიფოს საერთო ღვთაება) – სრულდება კლასში, მეორე აქტივობის დროს, ჯგუფებში.

3. დავალება 2 (ენა და მწიგნობრობა) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობის დროს, წყვილებში.

4. სამივე დავალების პასუხები საშინაო წერითი დავალების საფუძველია.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: იერარქიის სქემის შევსება ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება; მე-4 და მე-5 კითხვები და რეფორმების დალაგების დასაბუთება მსჯელობას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს. მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სააზროვნო კითხვას სთავაზობს: შეადარეთ ფარნავაზისა და აქემენიანების დამოკიდებულება ქვეშევრდომთა რწმენისადმი – რა სარგებელი მოაქვს მმართველისთვის შემწყნარებლობას?

მხარდამჭერი სტრატეგიები: ძველი ქართული ნაწყვეტები ენობრივად რთულია, ამიტომ მასწავლებელი მათ ხმამაღლა კითხულობს და თანამედროვე ქართულით იქვე გადმოსცემს; ტერმინები (ერისთავი, სპასპეტი, სპასალარი, ათასისთავი, კულტი, სახელმწიფო ენა) დაფაზე იწერება; იერარქიის სქემისთვის დაბალი მზაობის წყვილებს ცარიელი შაბლონი ეძლევათ; რუკაზე მუშაობისას მასწავლებელი პირობითი აღნიშვნების წაკითხვაში ეხმარება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მოსწავლეება მიეწოდება ტექსტით, რუკით, კერპების ილუსტრაციით, ქართული ანბანის სამივე სახეობის ცხრილით; წყაროს აღწერის მოსმენა და მისი ვიზუალიზაცია(დახატვა) მასალის აღქმის კიდევ ორ ალტერნატიულ გზას – სმენასა და ნახატს სთავაზობს მოსწავლეს; ცოდნის წარმოჩენა შესაძლებელია სქემით, ნახატით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „ფარნავაზის რეფორმებიდან (საერისთავოების სისტემა, არმაზის კულტის დამკვიდრება, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ქართული მწიგნობრობის შექმნა) აირჩიეთ ის, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ქართველი ხალხის შემდგომი ისტორიისთვის. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ მინიმუმ ორი არგუმენტით.“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. საყრდენად გამოიყენეთ კლასში შესრულებული რეფორმების მნიშვნელობის „დალაგება“ – შეგიძლიათ იგივე არჩევანი დატოვოთ ან შეცვალოთ;

2. დაწერეთ 5-7 წინადადება: ჯერ დაასახელეთ არჩეული რეფორმა, შემდეგ მოიყვანეთ ორი განსხვავებული არგუმენტი და თითოეული პარაგრაფის მასალით გაამყარეთ;

3. დასკვნით წინადადებაში მოკლედ ახსენით, რატომ ჩამოუვარდება თქვენს არჩევანს დანარჩენი სამი რეფორმა.

დავალება უკავშირდება მე-4 მოსალოდნელ შედეგს – დასაბუთებულ არჩევანს რეფორმებს შორის.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: პირველი აქტივობის დროს („გახსნის“ აქტივობა) გამოთქმული მოსაზრებები მასწავლებელს მოსწავლეთა საწყის წარმოდგენებს აჩვენებს, პირველი აქტივობის ბოლოს კი ის ამოწმებს, ხედავენ თუ არა მოსწავლეები განსხვავებას საკუთარ მოსაზრებებსა და ფარნავაზის გადაწყვეტილებებს შორის;მოხელეთა იერარქიის სქემა ცოდნის სიზუსტეს ამოწმებს; რეფორმების მნიშვნელობის მიხედვით დალაგება და მათი დასაბუთება ავლენს, რამდენად ამყარებენ თუ არა მოსწავლეები საკუთარ არჩევანს არგუმენტირებული მსჯელობით.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: სქემისა და მოსწავლის რვეულის პასუხების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი და სადისკუსიო კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 5-ის ინდიკატორი – ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების მიზეზების ანალიზი; ბ) შედეგი 5-ის ინდიკატორი – ძალაუფლების დაკავშირება ეპოქის საზოგადოებაში გაზიარებულ ღირებულებებთან. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო ჩართულობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება და ანბანის სამი სახეობა ენის ისტორიის ცენტრალური საკითხებია – ისტორიისა და ქართულის მასწავლებლებს ამ თემაზე საერთო გაკვეთილიც შეუძლიათ დაგეგმონ. მოქალაქეობა: მმართველობის იერარქია, მოხელეთა ფუნქციები და შემწყნარებლობის პოლიტიკა მოქალაქეობის კურსის ცნებებია; გეოგრაფია: საერისთავოების საზღვრები ბუნებრივ-გეოგრაფიულ დაყოფას ემთხვევა – ეს კავშირი რუკა 13-ზე კარგად ჩანს.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. „გახსნისას“ გამოთქმული მოსაზრებები რამდენად დაემთხვა ფარნავაზის გადაწყვეტილებებს – რა ივარაუდეს მოსწავლეებმა სწორად და რა აღმოჩნდა მათთვის მოულოდნელი?

2. იერარქიის სქემაში სპასპეტის განსაკუთრებული ადგილის განსაზღვრა ვის გაუჭირდა და დასჭირდა თუ არა კლასს დახმარება?

3. მე-5 კითხვაზე მსჯელობისას მიხვდნენ თუ არა მოსწავლეები შემწყნარებლობის პოლიტიკურ აზრს – გაიხსენეს თუ არა აქემენიანების მაგალითი დამოუკიდებლად?

4. რეფორმების დალაგებისას რომელი რეფორმა დაასახელეს ყველაზე ხშირად პირველ ადგილზე და რა არგუმენტები წამოაყენეს?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ივანე ჯავახიშვილისა და ანდრია აფაქიძის შრომები ქართლის წარმართული პანთეონისა და არმაზის კულტის შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ სამეცნიერო გამოცემები – ფარნავაზის რეფორმების ცნობების სრული ტექსტები.

3. მცხეთისა და არმაზციხის არქეოლოგიური კვლევების მასალები – ბაგინეთის ნაქალაქარის ფოტომასალა.

## 24. რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „საზოგადოება“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს: საზოგადოება ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტებისგან შედგება. ქართლის სამეფოს მაგალითზე ეს კავშირი ასე გამოიყურება: სავაჭრო გზები ხელს უწყობს ქალაქების ზრდას, ქალაქებში ვითარდება ვაჭრობა და ხელოსნობა, საზოგადოება კი ფენებად არის დაყოფილი – სამეფო გვარიდან ლაოებამდე. ამ საზოგადოებას მოსწავლეები უცხოელი ავტორის, სტრაბონის, აღწერის მიხედვით შეისწავლიან.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 4 – საქართველოს ისტორიაში არსებული საზოგადოებების შედარებითი ანალიზი და მათი ტრანსფორმაციის გააზრება. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის შემდეგ ინდიკატორს: კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების (სოციალური სტრუქტურა, ღირებულებები, ნორმები) ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.

ამასთან აქტიურდება ორი ცნება: „სივრცე“ – შედეგი 3-ის ინდიკატორი: მცხეთის, როგორც სავაჭრო გზების კვანძის, მნიშვნელობის ახსნა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, და „ისტორიული წყარო“ – სტრაბონის ცნობის, როგორც უცხოელი ავტორის მიერ დატოვებული აღწერის, მნიშვნელობის შეფასება.

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა შეაჯამონ, რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ. ისინი გაეცნობიან მცხეთისკენ მიმავალ ოთხ გზას და „აბრეშუმის დიდი გზის“ განშტოებას, „დიდი მცხეთის“ რეკონსტრუქციაზე დაკვირვებით აღწერენ დედაქალაქის განლაგებას და სტრაბონის ცნობით შეისწავლიან საზოგადოების ოთხ „გვარს“.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე ასახელებს მცხეთისკენ მიმავალ ოთხ გზას და ხსნის, რა ფაქტორები განაპირობებდა ქალაქის დაწინაურებას („აბრეშუმის გზის” განშტოება, ვაჭრობით მიღებული შემოსავალი);

2. მოსწავლე „დიდი მცხეთის” რეკონსტრუქციაზე დაკვირვებით აღწერს ქალაქის განლაგებას და ხსნის, როგორ იცავდა მას ორი მდინარისა და ციხესიმაგრეების მდებარეობა;

3. მოსწავლე სტრაბონის ცნობის საფუძველზე ახასიათებს საზოგადოების ოთხ „გვარს”, ასახელებს განსხვავებას ერისა და ლაოების მდგომარეობას შორის და მსჯელობს, ვინ არ არის მოხსენიებული ოთხ გვარში;

4.. მოსწავლე აყალიბებს დასკვნებს ქართლის სამეფოს შესახებ და თითოეულს პარაგრაფში მოცემული ფაქტით ამყარებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§23-დან მოსწავლეებმა იციან, როგორ მოაწყო ფარნავაზმა სახელმწიფო – ახლა ისინი ნახავენ, როგორი იყო ეს სამეფო ყოველდღიურ ცხოვრებაში: გზები, ქალაქები, საზოგადოების ფენები. §19-დან მოსწავლეებმა იციან, რომ ქალაქები გზების გადაკვეთაზე ჩნდება, სტრაბონს კი §16-დან და §19-დან იცნობენ.

### 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ნივთიერი წყაროს შესწავლა თანმიმდევრული კითხვებით; სქემის შევსება ტექსტიდან; ილუსტრაციის ანალიზი წინასწარ მოცემული კითხვებით; ჯგუ-

ფის წარდგენა პირველ პირში („ჩვენ ვართ...“); საზოგადოების ფენების პირამიდის აგება; შემაჯამებელი ჩანაწერი „3-2-1“ (სამი დასკვნა, ორი კითხვა, ერთი გასარკვევი ფაქტი).

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: სტრაბონის აღწერილი საზოგადოება უთანასწოროა – ლაოები სამეფო გვარს ემსახურებიან, მონები ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებენ. მასწავლებელი განმარტავს, რომ წოდებრივი დაყოფა ძველი საზოგადოებების საერთო ნიშანი იყო და იქვე თანამედროვე შეფასებას ამატებს: დღეს ადამიანის უფლებები წარმომავლობაზე დამოკიდებული არ არის. მცხეთის უბნები (ებრაელების უბანი, მოგვთა უბანი) კი აჩვენებს, რომ სხვადასხვა ხალხის მშვიდობიანი თანაცხოვრება ქართული ქალაქისთვის უხსოვარი დროიდან დამახასიათებელი ტრადიციაა.

კავშირი თანამედროვეობასთან: მცხეთის ისტორიული ძეგლები 1994 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია, არმაზციხე-ბაგინეთის ნაქალაქარის დათვალიერება კი დღესაც შესაძლებელია. მცხეთაზე გამავალი სავაჭრო გზის თემა დღევანდელობასაც უკავშირდება: საქართველოზე გამავალ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტებს დღესაც ხშირად „ახალ აბრეშუმის გზას“ უწოდებენ.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ალექსანდრეს მონეტის ქართული მინაბაძი** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ნივთიერი წყაროს შესწავლა თანმიმდევრული კითხვებით |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს აჩვენებს გვ. 116-ის გამოსახულებას – ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტის ქართულ მინაბაძს და მის შესახებ თანმიმდევრულ კითხვებს სვამს: რა არის ეს? ვინ არის გამოსახული? სად არის დამზადებული? პასუხების შეჯერებისას მოსწავლეები წინააღმდეგობას ამჩნევენ: მონეტა ქართლშია მოჭრილი, მაგრამ უცხო ქვეყნის მეფეს გამოსახავს.<br>2. კითხვა კლასს: რატომ ჭრიდნენ ქართლში უცხო მეფის მონეტის მინაბაძს? მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ. ვარაუდები დაფაზე ინიშნება და პირველ აქტივობაში გადამოწმდება.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ იყო ცხოვრება ქართლის სამეფოში?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ ერთი ნივთიერი წყაროც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს; მოსწავლეების მიერ აღმოჩენილი წინააღმდეგობა მათ პასუხის ძიებისკენ უბიძგებს (სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **ოთხი გზა მცხეთისკენ** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |

| | |
|---|---|
| **მეთოდი** | სქემის შევსება ტექსტიდან |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ქართლის სამეფოს დედაქალაქი მცხეთა“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ის სქემას: მცხეთისკენ ოთხი გზა მიდიოდა – დასავლეთ საქართველოდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან არაგვის ხეობით, ალბანეთიდან და არმენიიდან მტკვრის გასწვრივ; ქალაქზე „აბრეშუმის დიდი გზის“ განშტოება გადიოდა.<br>2. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ კითხვას: მცხეთის დაწინაურება გზების კვანძმა და ვაჭრობის შემოსავალმა განაპირობა; გზებს არმაზციხე და ზადენციხე იცავდა.<br>3. მასწავლებელი ქალაქის მოსახლეობის მრავალფეროვნებაზეც ამახვილებს ყურადღებას: ებრაელების უბანი და მოგვთა უბანი აჩვენებს, რომ ქალაქში სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი სახლდებოდა. აქვე მოწმდება „გახსნისას“ გამოთქმული ვარაუდები: უცხოელ ვაჭრებთან სავაჭროდ ნაცნობი და სანდო ფული იყო საჭირო – ამიტომ ჭრიდნენ ქართლში ალექსანდრესა და ლისიმაქეს მონეტების მინაბაძებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მცხეთის დაწინაურებას გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირებს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 3-ის ინდიკატორი. |

| | |
|---|---|
| **აქტივობის სახელწოდება** | **დიდი მცხეთა – ქალაქი ორ მდინარეს შორის** |
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ილუსტრაციის ანალიზი წინასწარ მოცემული კითხვებით |
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები აკვირდებიან „დიდი მცხეთის“ გრაფიკულ რეკონსტრუქციას (გვ. 116) და პასუხობენ პარაგრაფში დასმულ მე-2 კითხვას სამი მიმართულებით: სად მდებარეობს ქალაქი (მტკვრისა და არაგვის შესართავთან); რა იცავს მას ბუნებრივად (ორი მდინარე და მთები); რა არის აგებული ქალაქის დასაცავად (გალავანი, არმაზციხე ქართლის მთაზე).<br>2. ჯგუფები შედეგებს წარადგენენ და დასკვნას ძველი მცხეთის ილუსტრაციის კონკრეტული დეტალით ასაბუთებენ. მასწავლებელი აზუსტებს: ქალაქი გზების კვანძზეა, მაგრამ ბუნებრივად დაცულ ადგილას – ორივე უპირატესობა ერთადაა.<br>3. კლასი ეცნობა მონაკვეთებს ქართლის სხვა ქალაქებზე (უფლისციხე, ურბნისი, წუნდა, ოძრხე) და სტრაბონის ცნობას კრამიტიანი სახურავების შესახებ: მოსწავლეები ასკვნიან, რომ უცხოელი დამკვირვებელი ქართლს კარგად დასახლებულ და განვითარებულ ქვეყანად წარმოგვიდგენს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ილუსტრაციას წინასწარ მოცემული კითხვებით იკვლევს და დასკვნას სურათის დეტალით ასაბუთებს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **ოთხი გვარი** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ოთხი ჯგუფი, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ჯგუფის წარდგენა პირველ პირში („ჩვენ ვართ...“) |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ოთხ ჯგუფად ყოფს და თითოეულს სტრაბონის ცნობიდან (გვ. 119) და მონაკვეთიდან „ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობა და საზოგადოება“ ერთ „გვარს“ უნაწილებს: სამეფო გვარი, ქურუმები, მეომრები და მიწათმომქმედები (ერი), სამეფო მონები (ლაოები).<br>2. თითოეული ჯგუფი ორ-სამ წინადადებას ამზადებს პირველ პირში: ვინ ვართ, რას ვსაქმიანობთ, რას ვფლობთ. პარალელურად კლასი მოსწავლის რვეულის დავალება 3-ის პირამიდას აწყობს – ზემოდან ქვემოთ: სამეფო გვარი, ქურუმები, ერი, ლაოები.<br>3. საერთო განხილვისას კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-4 და მე-5 კითხვებს: ერი თავისუფალია და საკუთარი იარაღით იცავს ქვეყანას, ლაოები კი სამეფო გვარს ემსახურებიან; ოთხ გვარში არ ჩანან ვაჭრები და ხელოსნები – სტრაბონი საზოგადოებას ამარტივებს და ქალაქის მოსახლეობას ცალკე არ გამოჰყოფს. მასწავლებელი განმარტავს: ერთი წყარო საზოგადოების ყველა ფენას ვერ აღწერს, ამიტომ ისტორიკოსები რამდენიმე წყაროს ერთად იყენებენ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე ერთი ფენის საქმიანობასა და მდგომარეობას დაწვრილებით ეცნობა, საზოგადოების მთლიან წყობას კი პირამიდის სახით წარმოადგენს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 4-ის ინდიკატორი. |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **სამი დასკვნა, ორი კითხვა, ერთი გასარკვევი ფაქტი** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | შემაჯამებელი ჩანაწერი „3-2-1“ |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ შემაჯამებელ ჩანაწერს „3-2-1“: სამი მთავარი დასკვნა ქართლის სამეფოს შესახებ; ორი კითხვა, რომელიც თემის განხილვისას გაუჩნდათ; ერთი ფაქტი, რომელმაც ყველაზე მეტად გააკვირვათ.<br>2. რამდენიმე მოსწავლე თითო დასკვნას კითხულობს; მასწავლებელი ამოწმებს, ეყრდნობა თუ არა დასკვნა კონკრეტულ საისტორიო ფაქტს და აზუსტებს: ეს დასკვნები საშინაო დავალების მონახაზია – სახელმძღვანელო სწორედ სამ არგუმენტირებულ დასკვნას ითხოვს.<br>3. მასწავლებელიმოსწავლეთა ჩანაწერებიდან ერთ-ერთ კითხვას ირჩევს და მას §25-ზე გადასასვლელად იყენებს: სად გადიოდა ამ სამეფოს საზღვრები და როგორ ურთიერთობდნენ ფარნავაზის მემკვიდრეები მეზობელ დიდ სახელმწიფოსთან? ამ კითხვებს მომდევნო გაკვეთილზე უპასუხებენ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | შემაჯამებელი ჩანაწერი გაკვეთილს აჯამებს და საშინაო დავალებას ამზადებს; ჩანაწერები მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ინფორმაციას აწვდის – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (მცხეთის გზების სქემა) – სრულდება კლასში, პირველი აქტივობის დროს, წყვილებში.

2. დავალება 3 (საზოგადოების პირამიდის აწყობა) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობის დროს, ჯგუფების თვითწარდგენის პარალელურად.

3. დავალება 2 (სტრაბონის ცნობაზე მუშაობა: ორი არგუმენტი წყაროს მნიშვნელობაზე და ერისა და ლაოების განსხვავება) – სრულდება სახლში; პასუხები კლასში გამართულ მსჯელობას ეყრდნობა.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: გზების სქემისა და პირამიდის შევსება ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება; მე-5 კითხვა და დავალება 2-ის ა) ნაწილი მსჯელობას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს. მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს სააზროვნო კითხვას: სტრაბონი წერს, რომ ლაოებს ქონება „საზოგადო აქვთ ნათესაობისდა მიხედვით“ – რას შეიძლება ნიშნავდეს ეს და რით განსხვავდება დღევანდელი საკუთრებისგან?

მხარდამჭერი სტრატეგიები: სტრაბონის ცნობას მასწავლებელი ერთხელ ხმამაღლა კითხულობს და რთულ ადგილებს იქვე განმარტავს; ტერმინები (სეფეწული, მეთემე, ერი, ლაო, ქურუმი, მონარქია) დაფაზე იწერება; „დიდი მცხეთის“ სურათი, შესაძლებლობის შემთხვევაში, ეკრანზე გადიდებული ჩანს; წარდგენისთვის ჯგუფებს წინადადებების დასაწყისები ეძლევათ: „ჩვენ ვართ...“, „ჩვენ ვსაქმიანობთ...“, „ჩვენ გვეკუთვნის...“.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით, რეკონსტრუქციის სურათით, მონეტების გამოსახულებებით, პირამიდის ილუსტრაციით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია სქემით, პირამიდით, ჯგუფის წარდგენით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „გაკვეთილის სათაურია „რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ“. უპასუხეთ ამ კითხვას თქვენი სიტყვებით – ჩამოაყალიბეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა“. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. დავალებაზე მუშაობის დროს გამოიყენეთ კლასში დაწერილი შემაჯამებელი ჩანაწერის სამი დასკვნა – შეგიძლიათ დახვეწოთ ან შეცვალოთ;

2. თითოეული დასკვნა ერთი-ორი წინადადებით ჩამოაყალიბეთ და პარაგრაფის კონკრეტული ფაქტით გაამყარეთ;

3. სამი დასკვნა სამ სხვადასხვა თემას მიუძღვენით – მაგალითად, გზებსა და ვაჭრობას, ქალაქებს, საზოგადოების მოწყობას.

დამატებით სრულდება მოსწავლის რვეულის დავალება 2. დავალება უკავშირდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელ შედეგებს – საზოგადოების დახასიათებასა და დასაბუთებულ დასკვნებს.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: გზების სქემა მასწავლებელს აჩვენებს,შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ტექსტიდან არსებითი ინფორმაციის გამოკვეთა; ილუსტრაციის ანალიზისას წარმოდგენილი დასაბუთებები ავლენს, უკავშირებენ თუ არა ისინი დასკვნას კონკრეტულ დეტალს; ჯგუფების პასუხების და პირამიდა საზოგადოების წყობის გაგებას ამოწმებს; შემაჯამებელი ჩანაწერები კი აჩვენებს, რა დაიმახსოვრეს მოსწავლეებმა მთელი გაკვეთილიდან.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: შემაჯამებელი ჩანაწერების გაცნობა; სქემისა და პირამიდის შესრულების გადამოწმება; დაკვირვება ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 4-ის ინდიკატორი – ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით; ბ) შედეგი 3-ის ინდიკატორი – კონკრეტული ტერიტორიის (მცხეთის) მნიშვნელობის ახსნა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია: მდინარეთა შესართავი, გზების კვანძი და სატრანზიტო ვაჭრობა გეოგრაფიის კურსის ძირითადი ცნებებია – მცხეთის მაგალითი მათ ისტორიულ საფუძველს აჩვენებს. მოქალაქეობა: სოციალური ფენები, უფლებების უთანასწორობა და სხვადასხვა თემის თანაცხოვრება მოქალაქეობის კურსის საკითხებია. ვიზუალური ხელოვნება: „დიდი მცხეთის“ გრაფიკული რეკონსტრუქცია და მონეტების გამოსახულებები ვიზუალური წყაროს წაკითხვასა და ინტერპრეტაციაზე ავარჯიშებს მოსწავლეებს.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. მონეტაზე მსჯელობისას გამოთქმული ვარაუდები რამდენად ლოგიკურია?

2. ილუსტრაციის ანალიზისას შეძლეს თუ არა ჯგუფებმა დასკვნის კონკრეტული დეტალით დასაბუთება – ვინ საჭიროებდა მიმანიშნებელ კითხვას?

3. მე-5 კითხვაზე მსჯელობისას მივიდნენ თუ არა მოსწავლეები დამოუკიდებლად იმ დასკვნამდე, რომ სტრაბონის ოთხ გვარში ვაჭრები და ხელოსნები არ არიან მოხსენიებული?

4. შემაჯამებელი ჩანაწერების კითხვებიდან რომელი გამოდგება §25-ის გახსნისას საზღვრებისა და მეზობლების თემაზე გადასასვლელად?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ანდრია აფაქიძის შრომები დიდი მცხეთისა და არმაზციხე-ბაგინეთის გათხრების შესახებ – მასწავლებლის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ქართული თარგმანი და კომენტარები – იბერიისა და კოლხეთის აღწერის სრული ტექსტი.

3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესურსები – ალექსანდრესა და ლისიმაქეს მონეტების ქართული მინაბაძები, ტახტიძირის სასმისები.

## 25. ქართლის სამეფო ფარნავაზ მეფის მემკვიდრეების დროს

### 1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნება: „სივრცე“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების ორ ძირითად ასპექტს. პირველი: სახელმწიფოს ტერიტორია ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეებისგან შედგება – მოსწავლეები ქართლის სამეფოს ტერიტორიას მხარეების მიხედვით სწავლობენ და რუკაზე პოულობენ. მეორე: ზოგიერთ კონკრეტულ ადგილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს – დარიალის ხეობა ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალი გზის მთავარი გასასვლელი იყო და ქართლის მეფეები მას ციხესიმაგრით კეტავდნენ.

სტანდარტის შედეგი: შედეგი 3 – სივრცისა და საზოგადოების განვითარების ურთიერთკავშირის ანალიზი. გაკვეთილი უშუალოდ ემსახურება შედეგის ორ ინდიკატორს: საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ცოდნა და შედარება,ასევე საქართველოს კონკრეტული ტერიტორიის მნიშვნელობის ახსნა სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით (დარიალის გასასვლელი – სტანდარტში პირდაპირ დასახელებული მაგალითი).

ამასთან აქტიურდება ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ – შედეგი 6-ის ინდიკატორი: მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი (სელევკიდების დასუსტება – სომხური სამეფოების გაძლიერება – ქართლის ტერიტორიული დანაკარგები).

### 2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომელ მხარეებს მოიცავდა ქართლის სამეფო და როგორ ურთიერთობდნენ ფარნავაზის მემკვიდრეები სამ განსხვავებულ მეზობელთან: სელევკიდებთან მეგობრობა აკავშირებდათ, სომხურმა სამეფოებმა ტერიტორიები წაართვეს, ჩრდილოეთ კავკასიელები კი მოკავშირეები იყვნენ. მოსწავლეები წყაროებიდან ამოწერენ საურმაგისა და ფარნაჯომის მიერ გატარებულ ღონისძიებებს. გაკვეთილის ბოლოს კლასი ფარნავაზის მემკვიდრისთვის სამ რჩევას ჩამოაყალიბებს – ეს მოსწავლეებს დაეხმარება საშინაო დავალების შესრულებაში და ასევე, აჯამებს მთელ VI თავს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლე აჯგუფებს ქართლის სამეფოს მხარეებს მდებარეობის მიხედვით (აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საქართველო, მთიანეთი) და რუკა 14-ზე აჩვენებს სამეფოს საზღვრებს;

2. მოსწავლე აგებს მოვლენების ჯაჭვს: სელევკიდების დასუსტება – სომხური სამეფოების შექმნა – ქართლის ტერიტორიული დანაკარგები – და ასახელებს ფაქტს, რომელიც ჰერეთის დიდი ნაწილის შენარჩუნებას ადასტურებს (ნეკრესის მშენებლობის დაწყება);

3. მოსწავლე წყაროებიდან ამოწერს საურმაგისა და ფარნაჯომის საქმეებს და ხსნის, რას ეფუძნებოდა თანამშრომლობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან (ურთიერთდახმარება, ნათესაური კავშირები, დარიალის კონტროლი);

4. მოსწავლე აყალიბებს ფარნავაზიანი მეფეების მოქმედების სამ წესს მეზობლებთან ურთიერთობაში და თითოეულს პარაგრაფში მოცემული ისტორიული ფაქტით ასაბუთებს.

### 3. წინარე ცოდნის გააქტიურება

§22-დან მოსწავლეებს ახსოვთ ფარნავაზის მოკავშირეები – ოსები და ლეკები და დინასტიური ქორწინებით განმტკიცებული კავშირები; ეს ცოდნა ჩრდილოეთ კავკასიის საკითხის დამუშავებაში გამოადგებათ. ამავე გაკვეთილიდან იციან, რომ ანტიოქოს I ფარნავაზის მოკავშირე იყო. §23-დან მათ ახსოვთ საერისთავოების რუკა. §24-ის შემაჯამებელი ჩანაწ-

ერებიდან მასწავლებელმა უკვე იცის, რომელი კითხვები აინტერესებთ მოსწავლეებს საზღვრებისა და მეზობლების შესახებ.

## 4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ლექსიკონის ერთეულებზე დაკვირვება; მხარეების დაჯგუფება მდებარეობის მიხედვით და რუკაზე მოძიება; მოვლენების ჯაჭვის აგება; შესაბამისობის დადგენა; წყაროების შედარება; რჩევების ჩამოყალიბება.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ისტორიული მხარეების ცოდნა ჩვენი კულტურული მეხსიერების ნაწილია. ჩრდილოეთ კავკასიელებთან ურთიერთობის ტრადიცია კი აჩვენებს, რომ მეზობლებთან ხანგრძლივი თანამშრომლობა ორმხრივ დახმარებასა და ნათესაურ კავშირებზე შენდებოდა.

კავშირი თანამედროვეობასთან: დარიალის ხეობაზე დღესაც გადის ჩრდილოეთისკენ მიმავალი მთავარი საავტომობილო გზა – ადგილის სტრატეგიული მნიშვნელობა ორ ათას წელზე მეტხანს შენარჩუნდა. ნეკრესის ნაქალაქარი და დედოფლის გორის სასახლე არქეოლოგიური ძეგლებია და მათი ნახვა შესაძლებელია. კოლას სახელი კი, ლექსიკონის ცნობით, კოლხას ტომის სახელს უკავშირდება.

## 5. გაკვეთილის მსვლელობა

**გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **სამი მხარე ლექსიკონიდან** |
|---|---|
| **დრო** | 6 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | ლექსიკონის ერთეულებზე დაკვირვება |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი დაფაზე წერს სამ სახელს: კოლა, არტაანი, კლარჯეთი. მოსწავლეები კითხულობენ პარაგრაფში წარმოდგენილ ლექსიკონს და ასახელებენ, რა აქვს სამივეს საერთო: სამივე სამხრეთ ქართული ისტორიული ქართული მხარეა და სამივე დღეს თურქეთის შემადგენლობაშია.<br>2. კითხვა კლასს: თუ ეს მხარეები ქართლის სამეფოში შედიოდა, სად გადიოდა სამეფოს საზღვრები და რამდენად ვრცელი იყო იგი? მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ; ვარაუდები პირველ აქტივობაში რუკით გადამოწმდება.<br>3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას (რჩება დაფაზე): „როგორ ინარჩუნებდნენ ფარნავაზის მემკვიდრეები სამეფოს მიწებსა და გავლენას სამი მეზობლის გვერდით?“ |
| **მოსალოდნელი შედეგი** | ლექსიკონის სამი ერთეულის შედარება მოსწავლეებს სამეფოს ზომაზე აფიქრებს; ვარაუდები რუკაზე მუშაობით გადამოწმდება (სამიზნე ცნება „სივრცე“). |

**ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (31 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **სამეფოს მხარეები** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | მხარეების დაჯგუფება მდებარეობის მიხედვით, რუკაზე მოძიება |
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „რომელ ტერიტორიას მოიცავდა ქართლის სამეფო?“ და ავსებენ მოსწავლის რვეულის დავალება 1-ს: მხარეებს ოთხ ჯგუფად ალაგებენ – აღმოსავლეთი საქართველო (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი), სამხრეთი საქართველო (სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი), დასავლეთი საქართველო (არგვეთი, ეგრისი, სვანეთი, აჭარა), მთიანეთი.<br>2. კლასი რუკა 14-ზე ადევნებს თვალს სამეფოს საზღვარს: მოსწავლეები პოულობენ ოთხივე ჯგუფის მხარეებს, აგრეთვე ჰერეთსა და კამბეჩოვანს (დღევანდელი ქიზიყი). მასწავლებელი აზუსტებს: სამეფოში ალბანეთის დასავლეთი ნაწილიც შედიოდა.<br>3. კლასი თავდაპირველ („გახსნის“ ეტაპი) ვარაუდებს უბრუნდება: სამეფოს საზღვრები დღევანდელი საქართველოს საზღვრებს არ ემთხვეოდა – სამხრეთით მას კოლა, არტაანი და კლარჯეთიც ეკუთვნოდა. მასწავლებელი ამატებს: სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა საურმაგისა და მირიან I-ის დროს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე სამეფოს შემადგენლობას მხარეების მიხედვით სწავლობს და რუკაზე პოულობს – მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 3-ის ინდიკატორი (ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ცოდნა). |

| **აქტივობის სახელწოდება** | **სამხრეთელი მეზობლები – სელევკიდები და სომხური სამეფოები** |
|---|---|
| **დრო** | 11 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | წყვილებში, შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | მოვლენების ჯაჭვის აგება, შესაბამისობის დადგენა |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთებს „ქართლის მეფეები და სელევკიდების სამეფო“ და „ქართლის სამეფო და სომხური სახელმწიფოები“ და რვეულებში აგებენ მოვლენების ჯაჭვს: სელევკიდების სამეფოს დასუსტება (ბაქტრიისა და პართიის გამოყოფა, ძვ. წ. 190 წელს მაგნეზიასთან დამარცხება რომაელებთან) – ჩრდილოეთ მხარეების მმართველების, არტაქსიასა და ზარიადრეს მიერ დიდი და მცირე არმენიის შექმნა – ქართლის ტერიტორიული დანაკარგები (ქვემო ქართლისა და მესხეთის ნაწილი, პარხლის მთიანეთი).<br>2. მასწავლებელი მოვლენათა ჯაჭვს ერთი ფაქტით ასრულებს: ჰერეთის დიდი ნაწილი ქართლმა შეინარჩუნა – ამას ადასტურებს ის, რომ ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში მეფე ფარნაჯომმა კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში ქალაქ ნეკრესის შენება დაიწყო.<br>3. წყვილები ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 2-ს – ადგენენ შესაბამისობას სამ მეზობელსა და ურთიერთობის ტიპს შორის: სელევკიდები – მეგობრული, მოკავშირეობრივი ურთიერთობა; სომხური სამეფოები – ქართლის ზოგიერთი ტერიტორია დაიკავეს; ჩრდილოეთ კავკასიელები – ეხმარებოდნენ ქართლის მეფეებს მტრის შემოსევისას. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ პირველ კითხვას: ფარნავაზიანი მეფეები ძლიერ მეზობლებთან მეგობრობას ეძებდნენ და მოკავშირეებს ინარჩუნებდნენ. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე მეზობელ სახელმწიფოთა ცვლილებებს მიზეზებითა და შედეგებით აკავშირებს – მუშავდება მე-2 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 6-ის ინდიკატორი. |

| **აქტივობის სახელწოდება** | **საურმაგი და ფარნაჯომი** |
|---|---|
| **დრო** | 10 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | ჯგუფებში (3-4 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი |
| **მეთოდი** | წყაროებიდან ორი მეფის საქმეების ამოწერა და შედარება |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. ჯგუფები კითხულობენ „ქართლის ცხოვრების“ ორ ნაწყვეტს (გვ. 123) და ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 3-ს: ორ სვეტად ამოწერენ, რა გააკეთა საურმაგმა (გაამაგრა მცხეთა და ქართლის ციხეები; შექმნა და აღმართა კერპები-აინინა და დანანა) და რა ააშენა ფარნაჯომმა (ზადენის ციხე და კერპი ზადენი; დაიწყო ქალაქ ნეკრესის შენება). ძველი ქართული ტექსტის გაგებაში მოსწავლეებს მასწავლებელი ეხმარება. კლასი პასუხობს პარაგრაფში დასმულ მე-2 კითხვას.<br>2. კლასი კითხულობს მონაკვეთს „ქართლის სამეფო და ჩრდილოეთ კავკასია“ და პასუხობს მე-3 კითხვას: ჩრდილოეთ კავკასიელებთან თანამშრომლობა სამ საფუძველზე იდგა – ჩრდილოეთ კავკასიელები ქართლის მეფეებს მტრის შემოსევისას და ურჩი დიდგვაროვნების წინააღმდეგ ეხმარებოდნენ;პოლიტიკურ კავშირს ფარნავაზის დროიდან დინასტიური ნათესაობა(ქორწინებები) განამტკიცებდა; ქართლის მეფეები კავკასიონის სტრატეგიულ გადმოსასვლელებს, მათ შორის დარიალის ხეობას, ციხესიმაგრეებით ამაგრებდნენ და კეტავდნენ.<br>3. ჯგუფები ასრულებენ მოსწავლის რვეულის დავალება 4-ს: მეფეებს მათ მიერ აღმართულ კერპებს უსაბამებენ ( აზო-გაცი და გაიმი; ფარნავაზი- არმაზი; საურმაგი – აინინა და დანანა; ფარნაჯომი – ზადენი). ეს დავალება §21-§25-ის მასალას აერთიანებს. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე წყაროებიდან ფაქტებს ამოწერს და ორი მეფის საქმეებს ადარებს – მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და შედეგი 3-ის ინდიკატორი (დარიალის გასასვლელის მნიშვნელობის ახსნა). |

**დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)**

| **აქტივობის სახელწოდება** | **სამი რჩევა ფარნავაზის მემკვიდრეს** |
|---|---|
| **დრო** | 8 წუთი |
| **კლასის ორგანიზების ფორმა** | მთელი კლასი |
| **მეთოდი** | რჩევების ჩამოყალიბება ფაქტების საფუძველზე |

| | |
|---|---|
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი კლასს ახსენებს საშინაო დავალებას – ფარნავაზის წერილს მემკვიდრისადმი და მოსწავლეებთან ერთად დაფაზე სამ რჩევას აყალიბებს. თითოეული რჩევა გაკვეთილის ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს: შეინარჩუნე ძლიერი მოკავშირეები (ანტიოქოს I-ის მეგობრობა); გაუფრთხილდი ჩრდილოეთ კავკასიელებთან ნათესაობას და გაამაგრე დარიალის გასასვლელი; ააშენე და გაამაგრე ციხეები და ქალაქები (საურმაგისა და ფარნავაზომის მაგალითი).<br>2. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და აყალიბებს დასკვნას: ფარნავაზიანთა დინასტიის მემკვიდრეები ქართლის სამეფოს მეზობლებთან მოკავშირეობით, ნათესაური კავშირებით, ციხეების მშენებლობითა და გადმოსასვლელების კონტროლით ინარჩუნებდნენ.<br>3. მასწავლებელი VI თავს აჯამებს: თავი ალექსანდრეს იმპერიის დაშლით დაიწყო და ქართლის სამეფოს განმტკიცებით დასრულდა – მოსწავლეებმა ნახეს, როგორ შეიქმნა და როგორ მოეწყო პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | სამი დასაბუთებული რჩევა საშინაო დავალების გეგმაა; მათი ჩამოყალიბება აჩვენებს, აკავშირებენ თუ არა მოსწავლეები რჩევას კონკრეტულ ფაქტთან – მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი. |

## 6. მოსწავლის რვეულზე მუშაობა

1. დავალება 1 (მხარეების დაჯგუფება მდებარეობის მიხედვით) – სრულდება კლასში, პირველი აქტივობის დროს, წყვილებში.

2. დავალება 2 (მეზობლებთან ურთიერთობის შესაბამისობა) – სრულდება კლასში, აქტივობის დროს, წყვილებში.

3. დავალება 3 (საურმაგისა და ფარნავაზომის საქმეები) და დავალება 4 (მეფეები და კერპები) – სრულდება კლასში, მესამე აქტივობის დროს, ჯგუფებში.

4. კონტურული რუკა „ქალაქები და გზები ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში“ (რვა მითითება) – სრულდება სახლში.

## 7. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: მხარეების დაჯგუფება, შესაბამისობის დადგენა და კერპების ცხრილი ინფორმაციის ამოკრებას მოითხოვს და საბაზისო დონეს შეესაბამება; მოვლენების ჯაჭვის აგება და პირველი კითხვა მსჯელობას გულისხმობს და გაღრმავებულ დონეს წარმოადგენს. მაღალი მზაობის მოსწავლეებს მასწავლებელი დამატებით სთავაზობს კითხვას: რატომ დაიწყო ფარნავაზომმა ქალაქის შენება სამეფოს განაპირა მხარეში, კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში?

მხარდამჭერი სტრატეგიები: ძველი ქართული ტექტები ენობრივად რთულია, ამიტომ მასწავლებელი მათ ხმამაღლა კითხულობს და თანამედროვე ქართულით იქვე განმარტავს; მხარეების სახელები ბარათებზეა დაწერილი; რუკა 14-ის პირობითი აღნიშვნების წაკითხვაში მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს; მოვლენათა ჯაჭვის ასაგებად ცარიელი შაბლონი გამოიყენება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება ტექსტით,

რუკით, მონეტების გამოსახულებებით, ნეკრესის, დედოფლის გორისა და დარიალის ხეობის ფოტოებით; მოსწავლეს ცოდნის წარმოჩენა შეუძლია დაჯგუფებით, მოვლენათა ჯაჭვით, ცხრილით, რუკაზე ჩვენებით, ზეპირი მსჯელობით ან წერილობით.

## 8. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება 1: „წარმოიდგინეთ, რომ ფარნავაზი სიცოცხლის ბოლოს თავის მემკვიდრეს წერილს უტოვებს. დაწერეთ ეს წერილი ფარნავაზის სახელით: ურჩიეთ მემკვიდრეს, როგორ შეინარჩუნოს ქართლის სამეფოს უსაფრთხოება და გავლენა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას. წერილში ჩამოაყალიბეთ სამი რჩევა და თითოეული დაასაბუთეთ“. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. წერილი დაწერეთ პირველ პირში, ფარნავაზის სახელით და მიმართეთ მემკვიდრეს;
2. წერილის საფუძვლად გამოიყენეთ კლასში ჩამოყალიბებული სამი რჩევა – შეგიძლიათ შეცვალოთ ან საკუთარი მოსაზრებები დაამატოთ; მთავარია, თითოეული რჩევა პარაგრაფის კონკრეტული ფაქტით დაასაბუთოთ;
3. წერილში გამოიყენეთ ცნება „მოკავშირე“ და დაასახელეთ ერთი გეოგრაფიული ადგილი მაინც (მაგალითად, დარიალის ხეობა ან კლარჯეთი).

დამატებით სრულდება დავალება კონტურულ რუკაზე – „ქალაქები და გზები ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში“. მოსწავლის რვეულში მოცემული რვა მითითების მიხედვით. დავალება უკავშირდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელ შედეგებს – მემკვიდრეთა პოლიტიკის ცოდნასა და დასაბუთებულ რჩევებს.

## 9. შეფასება

განმავითარებელი შეფასება: მხარეების დაჯგუფება მასწავლებელს აჩვენებს, იცნობენ თუ არა მოსწავლეები სამეფოს შემადგენლობას; მოვლენების ჯაჭვი ავლენს, აკავშირებენ თუ არა ისინი მეზობელ სახელმწიფოების გავლენას ქართლის მდგომარეობასთან; ორი მეფის ღონისძიებების ცხრილი წყაროდან ინფორმაციის ამოწერას ამოწმებს; ფარნავაზის მემკვიდრეებისთვის რჩევის დასაბუთება მთელი გაკვეთილის ათვისების ხარისხს აჩვენებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: დაჯგუფების, მოვლენათა ჯაჭვისა და ცხრილების შესრულების გადამოწმება; დაკვირვება წყვილებში და ჯგუფებში მუშაობაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო განხილვისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) შედეგი 3-ის ინდიკატორი – საქართველოს კონკრეტული ტერიტორიის მნიშვნელობის ახსნა სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით; ბ) შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

## 10. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია: ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების, საზღვრებისა და გადმოსასვლელების რუკაზე მოძიება გეოგრაფიის კურსის უნარებს ამყარებს. მოქალაქეობა: მეზობლებთან ურთიერთობის განსხვავებული მაგალითები – მეგობრობა/მოკავშირეობა, დაპირისპირება, – სახელმწიფოთა ურთიერთობის საწყისი ცნებების გასააზრებლად გამოდგება. ქართული ენა და ლიტერატურა: ტოპონიმების წარმომავლობა (კოლა – კოლხას ტომის სახელიდან, ნელქარისი – ნეკრესი) ენის ისტორიის მასალაა.

## 11. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. მხარეების დაჯგუფებისას რომელი მხარის ადგილმდებარეობის განსაზღვრა გაუჭირდათ მოსწავლეებს?

2. მოვლენების ჯაჭვის აგებისას დამოუკიდებლად დაასახელეს თუ არა მოსწავლეებმა ნეკრესის მშენებლობა ჰერეთის შენარჩუნების მტკიცებულებად?

3. მე-3 კითხვაზე მსჯელობისას დაასახელეს თუ არა თანამშრომლობის სამივე საფუძველი – რომელი გამორჩათ?

4. დასკვნითი სამი რჩევიდან რომელი დაასაბუთეს ყველაზე მკაფიოდ?

## 12. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. „ქართლის ცხოვრების“ სამეცნიერო გამოცემები – საურმაგის, ფარნაჯომისა და ფარნავაზის მემკვიდრეთა ცნობების სრული ტექსტები.

2. ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები და დედოფლის გორის სასახლის კვლევები – ფოტომასალა და აღწერები.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალის ელექტრონული რესურსები ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს თემაზე.

## თავების შემაჯამებელი გაკვეთილების მოდელები

შემაჯამებელი გაკვეთილი თავის ბოლოს ტარდება და მისი დანიშნულება ის არის, რომ თავში ნასწავლი საკითხები გააერთიანოს: მოსწავლე დაუბრუნდეს საკვანძო ცნებებს, გაიმეოროს ნასწავლი მასალა და დაინახოს, როგორ უკავშირდება ერთმანეთს ცალკეული პარაგრაფები.

ამ გაკვეთილზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება: მასწავლებელი ხედავს, რომელი საკითხი დარჩა გაუგებარი და რა უნდა გაიმეოროს მომდევნო თავზე მუშაობისას. სწორედ ეს ინფორმაციაა შემაჯამებელი გაკვეთილის მთავარი შედეგი.

ყველა მოდელი ერთი სტრუქტურით არის დაწერილი: გაკვეთილის მიზანი, თავის ცნებები და შედეგები, გაკვეთილის მსვლელობა, განმავითარებელი შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის კითხვები. შემაჯამებელი გაკვეთილის მოდელები, ისევე როგორც გაკვეთილის სცენარები, სარეკომენდაციო ხასიათისაა.

### I თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

### თავი: ჩვენი სამშობლო – საქართველო (§1-§2).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიმეორონ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების შესახებ მასალა და დაასრულონ სივრცითი ბაზის ჩამოყალიბება.

თავის ცნებები და შედეგები: სამიზნე ცნება „სივრცე“; შედეგი 3-ის ინდიკატორები – მდებარეობის მნიშვნელობის ახსნა და ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ცოდნა.

**გახსნა (6 წუთი)**

1. მასწავლებელი დაფაზე წერს თავის საკვანძო კითხვას: „რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის გეოგრაფიული მდებარეობა?“ მოსწავლეები ორ-სამ წინადადებას ამბობენ.

2. მასწავლებელი კლასს ახსენებს ორივე პარაგრაფის მთავარ საკითხს.

**ძირითადი ნაწილი (31 წუთი)**

1. მხარეების რუკა (12 წუთი). მოსწავლეები ავსებენ კონტურულ რუკას: აღნიშნავენ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს და ამოწმებენ დანართი 2-ის მიხედვით. მასწავლებელი დაფაზე ხაზავს მარტივ სქემას: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი საქართველო და მთიანეთი და მოსწავლეები მხარეებს ამ ჯგუფებში ალაგებენ.

2. კროსვორდი (10 წუთი). მოსწავლეები წყვილებში ავსებენ თავის შეჯამების კროსვორდს. მასწავლებელი ადგენს, რომელი ტერმინის გამოცნობა გაუჭრდათ მოსწავლეებს.

3. „რატომ აქ?“ (9 წუთი). მასწავლებელი სამ კითხვას სვამს და კლასი ერთად პასუხობს: რომელ ორ კონტინენტს შორის მდებარეობს საქართველო? რა უპირატესობას ანიჭებდა ეს მდებარეობა ქვეყანას და რა საფრთხეს უქმნიდა? რომელი მხარე ესაზღვრება შავს ზღვას და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას?

**დასკვნითი ნაწილი (8 წუთი)**

1. კლასი უბრუნდება საკვანძო კითხვას და აყალიბებს ორ დასკვნას: მდებარეობა განსაზღვრავს, ვინ არიან ქვეყნის მეზობლები და რომელი გზები გადის მასზე.

2. მასწავლებელი მიანიშნებს II თავზე: სანამ საქართველოს ისტორიას შევისწავლიდეთ, უნდა გავიგოთ, რით ვსწავლობთ ძველ ისტორიას.

**განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია**

კონტურული რუკის შევსება მასწავლებელს აჩვენებს, ვინ იცის მხარეების მდებარეობა; კროსვორდი – ტერმინების ცოდნას. რეფლექსიის კითხვები: რომელი მხარის ადგილმდებარეობის განსაზღვრა გაუჭირდათ ყველაზე მეტად? საკვანძო კითხვაზე პასუხისას გაითვალისწინეს თუ არა როგორც მდებარეობის უპირატესობა, ისე საფრთხე?

## II თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

## თავი: რით ვსწავლობთ ძველ ისტორიას (§3-§5).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიმეორონ ისტორიკოსის სამი სამუშაო ხერხი – წელთაღრიცხვა, ნივთიერი და წერილობითი წყაროსთან მუშაობა და დარწმუნდნენ, რომ სამივე ერთ საქმეს ემსახურება: წარსულის შესახებ დასაბუთებული ცოდნის მოპოვებას.

თავის ცნებები და შედეგები: სამიზნე ცნებები „დრო“ და „ისტორიული წყარო“; შედეგი 2-ის ინდიკატორი – მოვლენების ქრონოლოგიური დალაგება; შედეგი 1-ის ინდიკატორები: წყაროების კლასიფიცირება და სანდოობის შემოწმება.

ამ თავში ყალიბდება ის ინსტრუმენტული ბაზა, რომელსაც მოსწავლე მთელი კურსის განმავლობაში სისტემატურად გამოიყენებს.

**გახსნა (6 წუთი)**

1. მასწავლებელი კლასს სამ დიაგნოსტიკურ კითხვას უსვამს: რომელი წელია უფრო ადრინდელი – ძვ. წ. 500 თუ ძვ. წ. 300? რა განსხვავებაა ნივთიერ და წერილობით წყაროს შორის? რას ვეკითხებით წყაროს, როცა მის სანდოობას ვამოწმებთ?

2. პასუხების მიხედვით მასწავლებელი ადგენს, რომელ ხერხზე მუშაობას დასჭირდება მეტი ყურადღება ძირითად ნაწილში.

**ძირითადი ნაწილი (31 წუთი)**

1. დროის ხაზი (10 წუთი). მასწავლებელი დაფაზე ხაზავს დროის ხაზს და შუაში ათავსებს ნულოვან წელს. მოსწავლეები რიგრიგობით ათავსებენ მასზე თარიღებს, რომლებსაც მასწავლებელი კარნახობს (მაგალითად, ძვ. წ. 800, ძვ. წ. 200, ახ. წ. 300) და ხმამაღლა ხსნიან, რატომ დასვეს თარიღი სწორედ იქ.

2. ორი წყარო (11 წუთი). მასწავლებელი დაფას ორ სვეტად ჰყოფს: ნივთიერი წყარო და წერილობითი წყარო. მოსწავლეები ასახელებენ მაგალითებს და აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებას, რას გვეუბნება თითოეული ტიპი და რას ვერ გვეუბნება. მასწავლებელი აზუსტებს: ნივთი გვიჩვენებს, როგორ ცხოვრობდნენ, მაგრამ არ გვეუბნება, რას ფიქრობდნენ; წერილობითი წყარო კი ავტორის თვალსაზრისსაც გადმოსცემს.

3. კროსვორდი (10 წუთი). მოსწავლეები წყვილებში ავსებენ თავის შეჯამების კროსვორდს.

**დასკვნითი ნაწილი (8 წუთი)**

1. კლასი აყალიბებს სამივე ხერხის საერთო აზრს: ისტორიკოსი ვარაუდობს არა იმას, რაც მოსწონს, არამედ იმას, რასაც წყარო ადასტურებს.

2. მასწავლებელი შეახსენებს პირველი პროექტული დავალების ვადებს.

განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია

გახსნის სამი კითხვა უკვე თავისთავად დიაგნოსტიკური ინსტრუმენტია; დროის ხაზზე მუშაობა აჩვენებს, ვისთვის რჩება წელთაღრიცხვის სისტემა გაუგებარი. რეფლექსიის კითხვები: სამი კითხვიდან რომელზე იყო პასუხები ყველაზე სუსტი? საჭიროა თუ არა წელთაღრიცხვის სისტემის გამეორება III თავის პირველ გაკვეთილზე?

## III თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

## თავი: ქვის ხანის ეპოქის ადამიანის თავგადასავალი (§6-§9).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა ეპოქები თანმიმდევრობით დაალაგონ, დაასახელონ თითოეულის მთავარი ნიშანი და ახსნან, რა შეიცვალა ნეოლითური რევოლუციის შედეგად.

თავის ცნებები და შედეგები: სამიზნე ცნება „დრო“; შედეგი 2-ის ინდიკატორები – ეპოქების შედარება არსებითი მახასიათებლების მიხედვით და პერიოდიზაციის კრიტერიუმების გააზრება.

**გახსნა (6 წუთი)**

1. მასწავლებელი დაფაზე არეულად წერს ოთხ სახელწოდებას: ქვედა პალეოლითი, ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი. მოსწავლეები აღადგენენ სწორ თანმიმდევრობას.

2. მასწავლებელი სვამს თავის საკვანძო კითხვას: „რა შეიცვალა ადამიანის ცხოვრებაში ქვის ხანის განმავლობაში?“

**ძირითადი ნაწილი (31 წუთი)**

1. ეპოქების ცხრილი (12 წუთი). კლასი ავსებს დაფაზე ოთხსვეტიან ცხრილს: ეპოქა – იარაღი – საცხოვრებელი – მეურნეობა. მოსწავლეები რიგრიგობით ავსებენ უჯრებს და თითოეულ პასუხს პარაგრაფის ფაქტით ასაბუთებენ. ცხრილი რვეულშიც გადააქვთ.

2. კონტურული რუკა (9 წუთი). მოსწავლეები ავსებენ ან ამოწმებენ ძეგლების კონტურულ რუკას: დმანისი და ქვის ხანის სხვა ძეგლები. მასწავლებელი სვამს კითხვას: რომელ ბუნებრივ პირობებთან არის დაკავშირებული ამ ძეგლების მდებარეობა?

3. კროსვორდი (10 წუთი). მოსწავლეები წყვილებში ავსებენ თავის შეჯამების კროსვორდს.

**დასკვნითი ნაწილი (8 წუთი)**

1. კლასი აღადგენს ნეოლითური რევოლუციის მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს და პასუხობს საკვანძო კითხვას.

2. მასწავლებელი მიანიშნებს IV თავზე: ქვას ლითონი ცვლის და ამას საზოგადოების ცხოვრებაში მნშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვება.

**განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია**

ეპოქების ცხრილი აჩვენებს, არჩევენ თუ არა მოსწავლეები ეპოქებს არსებითი ნიშნებით; ჯაჭვის აღდგენა კი – გაიაზრეს თუ არა ნეოლითური რევოლუციის შედეგები. რეფლექსიის კითხვები: რომელი ეპოქის მახასიათებლები აღმოჩნდა ყველაზე ბუნდოვანი? დიდი ციფრების გაგება რამდენად გაუადვილდათ მოსწავლეებს?

## IV თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

## თავი: ქვიდან ლითონამდე (§10-§14).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა აღადგინონ თავის ცენტრალური ხაზი – როგორ შეცვალა ლითონის წარმოებამ საზოგადოების მოწყობა და გაიმეორონ ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ძირითადი მასალა.

თავის ცნებები და შედეგები: სამიზნე ცნებები „დრო“ და „საზოგადოება“; შედეგი 2-ის ინდიკატორი – ეპოქების შედარება; შედეგი 4-ის ინდიკატორი – საზოგადოების დახასიათება შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირით.

**გახსნა (6 წუთი)**

1. მასწავლებელი დაფაზე წერს ხუთ ცნებას: ლითონი, ჭარბი პროდუქტი, ვაჭრობა, ქონებრივი განსხვავება, წარჩინებულთა ფენა. მოსწავლეები ცდილობენ, ისინი სწორი თანმიმდევრობით დაალაგონ და ისრებით დააკავშირონ.

2. მასწავლებელი სვამს თავის საკვანძო კითხვას: „როგორ შეცვალა ლითონის გა,პყენებამ საზოგადოება?“

**ძირითადი ნაწილი (31 წუთი)**

1. ჯაჭვის აღდგენა (11 წუთი). კლასი ერთად ასაბუთებს გახსნისას აგებულ ჯაჭვს: თითოეულ რგოლთან დაკავშირებით მოსწავლეები ასახელებენ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს, მაგალითად, წნორის ყორღანში აღმოჩენილი ოქროს ლომი ან თრიალეთის ყორღანების შიგთავსი.

2. კულტურების შედარება (10 წუთი). მოსწავლეები წყვილებში ავსებენ შედარების ცხრილს: მტკვარ-არაქსის კულტურა და თრიალეთის კულტურა: საცხოვრებელი, სამარხი, ლითონი, საზოგადოებრივი წყობა.

3. კროსვორდი და რუკა (10 წუთი). მოსწავლეები ავსებენ თავის შეჯამების კროსვორდს და კონტურულ რუკას (ძეგლების მდებარეობა).

**დასკვნითი ნაწილი (8 წუთი)**

1. კლასი პასუხობს საკვანძო კითხვას და ცალკე მსჯელობს ეთნოგენეზის საკითხზე: რა ვიცით ზუსტად და რა რჩება მეცნიერთა ვარაუდად.

2. მასწავლებელი მიანიშნებს V თავზე: გაერთიანებების სახელმწიფოებად ჩაყალიბება.

განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია

მოვლენათა ჯაჭვის დასაბუთება მასწავლებელს აჩვენებს, აკავშირებენ თუ არა მოსწავლეები დასკვნას მტკიცებულებასთან. რეფლექსიის კითხვები: ჯაჭვის რომელი რგოლი დარჩა დაუსაბუთებელი? განასხვავებენ თუ არა მოსწავლეები ფაქტსა და ვარაუდს?

## V თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

## თავი: უძველესი ქართული სახელმწიფოები (§15-§19).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიმეორონ უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების მასალა და შეაჯამონ თავის მეთოდური ღერძი – წყაროს კრიტიკა: ოთხივე პარაგრაფში მათ სხვადასხვა ტიპის წყაროზე მუშობა მოუწიათ.

თავის ცნებები და შედეგები: ხუთივე პარაგრაფს სხვადასხვა ძირითადი ცნება აქვს – „დრო“, „ისტორიული წყარო“, „ძალაუფლება“, „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ და „საზოგადოება“; შესაბამისად აქტიურდება შედეგები 1, 2, 4, 5 და 6.

**გახსნა (6 წუთი)**

1.1მასწავლებელი ასახელებს ოთხ წყაროს, რომლებზეც კლასი ამ თავში მუშაობდა: სარდურ II-ის წარწერა, არგონავტების მითი, ტიგლათფილესერის წარწერა და ვიტრუვიუსის აღწერა. მოსწავლეები იხსენებენ, რა კითხვა დაისვა თითოეულ მათგანთან.

2. მასწავლებელი სვამს თავის საკვანძო კითხვას: „რას ვიგებთ უძველესი ქართული სახელმწიფოების შესახებ და საიდან ვიგებთ ამას?“

**ძირითადი ნაწილი (31 წუთი)**

1. წყაროების ცხრილი (11 წუთი). კლასი ავსებს დაფაზე ცხრილს: წყარო – ვინ შექმნა – რას გვეუბნება – რა უნდა გავითვალისწინოთ მისი სანდოობის შეფასებისას. ოთხივე ნაცნობი წყარო ცხრილში თავსდება.

2. სახელმწიფოებრივი გაერთიანებები (10 წუთი). მოსწავლეები წყვილებში ავსებენ ცხრილს: კოლხას სამეფო, დიაოხი, სასპერები – მდებარეობა, პერიოდი, მთავარი მახასიათებელი.

3. კროსვორდი (10 წუთი). მოსწავლეები ავსებენ თავის შეჯამების კროსვორდს.

**დასკვნითი ნაწილი (8 წუთი)**

1. კლასი პასუხობს საკვანძო კითხვას და აყალიბებს ერთ დასკვნას წყაროებზე: ყოველი წყარო რაღაცას გვეუბნება და რაღაცას გვიმალავს, ამიტომ ისტორიკოსი რამდენიმე წყაროს ერთად იყენებს.

2. მასწავლებელი მიანიშნებს VI თავზე: მცხეთის ტერიტორიაზე პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქი აღმოცენდება.

**განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია**

წყაროების ცხრილი აჩვენებს, ახსოვთ თუ არა მოსწავლეებს არა მხოლოდ წყაროს შინაარსი, არამედ მისი შეფასების წესიც. რეფლექსიის კითხვები: რომელი წყაროს სანდოობის საკითხი გახსოვდათ ყველაზე კარგად? ვისთვის დარჩა ბუნდოვანი მითსა და ისტორიულ ცნობას შორის განსხვავება?

## VI თავის შემაჯამებელი გაკვეთილი

## თავი: პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო (§20-§25).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეაჯამონ ქართლის სამეფოს შექმნისა და განმტკიცების ისტორია: საერთაშორისო ვითარებიდან ფარნავაზის რეფორმებამდე და ფარნავაზის მემკვიდრეების პოლიტიკამდე.

თავის ცნებები და შედეგები: სამიზნე ცნებები „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, „ისტორიული წყარო“, „ძალაუფლება“, „საზოგადოება“ და „სივრცე“; აქტიურდება შედეგები 1, 3, 4, 5 და 6.

**გახსნა (6 წუთი)**

1. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ თარიღს: ძვ. წ. 323 (ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალება) და ძვ. წ. III საუკუნე (ფარნავაზის მეფობა) და კითხვით მიმართავს კლასს: რა აკავშირებს ამ ორ თარიღს?

2. მასწავლებელი სვამს თავის საკვანძო კითხვას: „როგორ შეიქმნა და როგორ განმტკიცდა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო?“

**ძირითადი ნაწილი (31 წუთი)**

1. კონტურული რუკა (11 წუთი). მოსწავლეები მუშაობენ კონტურულ რუკაზე „ქალაქები და გზები ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში“. მასწავლებელი სვამს კითხვას: რომელი გზები კვეთდა მცხეთას და რომელი ციხეები აკონტროლებდა მათ?

2. რეფორმების გამეორება (10 წუთი). კლასი იხსენებს ფარნავაზის ოთხ რეფორმას და მათ შედეგებს. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ, რომელი რეფორმა მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად (პასუხები §23-ის საშინაო დავალებას ეყრდნობა).

3. კროსვორდი (10 წუთი). მოსწავლეები ავსებენ თავის შეჯამების კროსვორდს.

**დასკვნითი ნაწილი (8 წუთი)**

კლასი პასუხობს საკვანძო კითხვას: სახელმწიფოს შექმნას დასჭირდა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, მოკავშირეები და გამარჯვება, განმტკიცებას კი მმართველობის სისტემა, საერთო ღვთაება და საერთო ენა.

**განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია**

კონტურული რუკა და რეფორმების გამეორება მასწავლებელს აჩვენებს, რამდენად მყარია მოსწავლეთა ცოდნა. რეფლექსიის კითხვები: შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა ორი თარიღის დაკავშირება გახსნისას? რომელი რეფორმა დაასახელეს ყველაზე ხშირად და რა არგუმენტები მოიყვანეს საკუთარი თვალსაზრისის დასადასტურებლად? რომელი თემა გამოიკვეთა კლასისთვის ყველაზე საინტერესოდ? ეს ინფორმაცია მეორე სემესტრის დაგეგმვისას გამოგადგებათ.

## ნაწილი IV. პროექტული დავალებები

### პროექტული დავალების ადგილი სასწავლო პროცესში

ამ ნაწილში სამი პროექტული დავალებაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი ორი დოკუმენტისგან შედგება: მოსწავლისთვის განკუთვნილი დავალებისა და მასწავლებლისთვის შექმნილი ინსტრუქციისგან. ქვემოთ განხილულია, რა ადგილი უჭირავს პროექტს სასწავლო პროცესში და რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა მისი ჩატარებისას.

**რით განსხვავდება პროექტი ჩვეულებრივი დავალებისგან**

ჩვეულებრივი საშინაო დავალება, როგორც წესი, ერთ გაკვეთილს უკავშირდება და მისი შედეგი, როგორც წესი, წინასწარ ცნობილია: მასწავლებელმა იცის, როგორი უნდა იყოს სწორად შესრულებული ნამუშევარი.

პროექტული დავალება სამივე ნიშნით განსხვავდება. იგი მთელ თავს ეყრდნობა და არა ერთ პარაგრაფს; მოითხოვს მეტ დროს და ეტაპებად სრულდება; მისი შედეგი კი წინასწარ ბოლომდე ცნობილი არ არის – მოსწავლე თავად ირჩევს ფორმატს, თავად აგროვებს მასალას და თავად აყალიბებს დასკვნას. ამასთან, პროექტი უნარების მთელო ჯაჭვის განვითარებას უწყობს ხელს: მასალის შერჩევას, მოძიებას, დამუშავებას, დასკვნის ჩამოყალიბებას და შედეგის წარდგენას.

| | ჩვეულებრივი დავალება | პროექტული დავალება |
|---|---|---|
| მასალა | ერთი პარაგრაფი | მთელი თავი და დამატებითი წყაროები |
| დრო | ერთი დღე | ორი კვირა, სამი ეტაპი |
| შედეგი | წინასწარ ცნობილი | მოსწავლის არჩევანზეა დამოკიდებული |
| უნარი | ერთი კონკრეტული უნარი | მასალის მოძიებიდან წარდგენამდე |
| შეფასება | სისწორე | რუბრიკა რამდენიმე კრიტერიუმით |

**რა შედეგს იძლევა პროექტული დავალება**

პირველი შედეგი არჩევანის შესაძლებლობას უკავშირდება. სამივე პროექტში მოსწავლე სამი ფორმატიდან ირჩევს ერთს, ფორმატები კი განსხვავებულ სამუშაოს მოითხოვს: ერთი – წერას, მეორე – გაფორმებასა და ჯგუფურ მუშაობას, მესამე – ზეპირ წარდგენას. ამის წყალობით მოსწავლეს შეუძლია ის ფორმატი აირჩიოს, რომელშიც უკეთ გამოხატავს თავს.

მეორე შედეგი მოსწავლის დამოკიდებულებას ეხება. პროექტის შედეგი მისი ნამუშევარია და არა სავარჯიშოს პასუხი: მან თავად აირჩია ნივთი, თავად მოიძია ინფორმაცია და თავად ჩამოაყალიბა დასკვნა. როცა მოსწავლე კლასის წინაშე წარადგენს ოჯახის ძველ ნივთს ან საკუთარი ხელით შედგენილ მუზეუმის ეტიკეტებს, იგი უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს ნაშრომის ხარისხზე, ვიდრე ჩვეულებრივი დავალების შესრულებისას.

მესამე შედეგი უნარებს ეხება. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლე ცალკეულ უნარებს ივითარებს: ერთ გაკვეთილზე – ქრონოლოგიურ დალაგებას, მეორეზე – ნივთიერ წყაროსთან მუშაობას, მესამეზე – წყაროს სანდოობის შემოწმებას. პროექტში ეს უნარები ერთ დავალებაში ერთიანდება.

**როგორ ნაწილდება პროექტები სასწავლო გეგმაში**

სამივე პროექტი ერთ სემესტრზეა განაწილებული და თითოეული კონკრეტულ თავს უკავშირდება: პირველი – II თავს, მეორე – IV თავს, მესამე – VI თავს. პროექტზე მუშაობა მაშინ იწყება, როცა მოსწავლეს უკვე შესწავლილი აქვს კონკრეტული მასალა.

პროექტი ძირითადად საშინაო სამუშაოა და საკლასო დროიდან სამ მოკლე მონაკვეთს იკავებს: ათი-თორმეტი წუთი დავალების გაცნობასა და ფორმატის არჩევაზე, ათი წუთი შუალედურ კონსულტაციაზე და ერთი გაკვეთილი ნაშრომების წარსადგენად. სასურველია, წარდგენის გაკვეთილი თავის შემაჯამებელ გაკვეთილთან ერთად ჩატარდეს ან მას ჩაენაცვლოს: პროექტების წარდგენისას კლასი კონკრეტული თავის მასალას ისედაც იმეორებს.

სამეტაპიანი მუშაობა პროექტის მთავარი ორგანიზაციული პრინციპია. მეშვიდეკლასელს ორკვირიანი სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვა ჯერ არ შეუძლია. სწორედ ამიტომ სავალდებულო შუალედური კონსულტაცია. ამ დროს მასზე მასწავლებელი ხედავს, რა მასალა აქვს მოსწავლეს შეგროვებული და დროულად ეხმარება.

**ორი დოკუმენტი და მათი დანიშნულება**

თითოეული პროექტი ორ ცალკე დოკუმენტად არის წარმოდგენილი.

მოსწავლის დავალება მთლიანად მოსწავლისთვისაა დაწერილი. მასში არ არის არც სტანდარტთან კავშირი, არც შეფასების კრიტერიუმები, არც მეთოდური განმარტებები – ეს ინფორმაცია მოსწავლეს არ სჭირდება. ტექსტი მას პირდაპირ მიმართავს, თითოეული ფორმატის აღწერა კი იმით იწყება, რას ქმნის მოსწავლე: წერს ნაშრომს, აწყობს გამოფენას თუ ადგენს დროის კაფსულას. ეს დოკუმენტი შეიძლება ამობეჭდილი სახით დაურიგდეს მოსწავლეებს ან საკლასო ოთახში გამოიფინოს.

მასწავლებლის ინსტრუქციაში კი განხილულია, როდის ჩავრთოთ პროექტი სასწავლო პროცესში, რა კავშირი აქვს მას სტანდარტთან, რა უნდა შეამოწმოს მასწავლებელმა თითოეულ ეტაპზე, როგორ დავაკომპლექტოთ ჯგუფები, როგორ შევაფასოთ ნაშრომები, როგორ დავეხმაროთ იმ მოსწავლეს, ვისაც სამუშაოს შესრულება გაუჭირდა, და რა შეცდომებია მოსალოდნელი.

**რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა**

შეფასების კრიტერიუმები კლასს წინასწარ უნდა გააცნოს. როცა მოსწავლემ იცის, რას შეაფასებს მასწავლებელი, დავალებას უფრო მიზანმიმართულად ასრულებს. მასწავლებლის ინსტრუქციაში მოცემულია ოთხკრიტერიუმიანი რუბრიკა; სასურველია, იგი დავალების გაცნობისთანავე იქნას გაზიარებული.

ჯგუფურ ფორმატში თითოეული წევრის წვლილი ცალკე უნდა ჩანდეს. ჯგუფისთვის ერთიანი ქულის დაწერა ხშირად უსამართლოა, რადგან მოსწავლეები თანაბრად არ ასრულებენ სამუშაოს. ამიტომ სამივე პროექტში ჯგუფური ფორმატები ისეა აგებული, რომ თითოეულ წევრს ცალკე შესაფასებელი ნაწილი ჰქონდეს: საექსპოზიციო ბარათი მინიმუზეუმში, კონკრეტული როლი პრესკონფერენციაზე ან ერთი მასალა გაზეთში.

ყველა მოსწავლეს ერთნაირი პირობები არ აქვს. ეს განსაკუთრებით პირველ პროექტს ეხება, სადაც ოჯახური მასალა არის საჭირო: შესაძლოა, მოსწავლის ოჯახი ახლახან გადმოსახლდა სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან, ან ოჯახური არქივი არ შემორჩენია. ამიტომ ალტერნატივა – სკოლის ან უბნის ისტორია, კლასს თავიდანვე უნდა გაეცნოს, როგორც სრულფასოვანი არჩევანი და არა ცალკეული მოსწავლისთვის შეთავაზებული გამონაკლისი.

პროექტს დათმობილი დრო სასწავლო დროს არ აკლდება. ზოგჯერ ჩნდება შეგრძნება, რომ პროექტი გაკვეთილების ხარჯზე მუშავდება. სინამდვილეში პროექტი იმავე საგაკვეთილო მასალას ამუშავებს, ოღონდ სხვა გზით და თავის განმეორების ფუნქციასაც ასრულებს.

წარდგენა პროექტის აუცილებელი ეტაპია. სწორედ წარდგენისას ჩანს, რამდენად ესმის მოსწავლეს საკუთარი ნაშრომი: შეუძლია თუ არა მისი შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და დასკვნის დასაბუთება. ამიტომ სასურველია, ყოველი წარდგენის შემდეგ ერთი დამაზუსტებელი კითხვა მაინც დაისვას – კლასიდან ან მასწავლებლისგან.

## პროექტული ტიპის შემოქმედებითი დავალებები

### I პროექტული დავალება – წარსულის კვალი ჩვენ გარშემო

**პროექტის მიზანი**

ამ პროექტში თქვენ თავად გამოიკვლევთ თქვენი ოჯახის, სკოლის ან უბნის წარსულს. გამოიყენებთ სამ ხერხს, რომელიც II თავში ისწავლეთ: მოვლენებს დროის მიხედვით დაალაგებთ, შეისწავლით ერთ ძველ ნივთს და შეამოწმებთ, რამდენად სანდოა ის ინფორმაცია, რომელსაც ძველი ფოტო, დოკუმენტი ან უფროსი ადამიანის მონათხრობი გაწვდით.

მუშაობის დროს დარწმუნდებით, რომ ისტორიული წყარო მხოლოდ მუზეუმის ექსპონატი ან სახელმძღვანელოს ტექსტი არ არის: სახლში შემონახული ძველი ჭურჭელი, ფოტო თუ დოკუმენტი და უფროსი თაობის მონათხრობი იმავე გზით შეისწავლება და წარსულის შესახებ ისეთივე ინფორმაციას გვაწვდის.

**საკვანძო საკვლევი შეკითხვები**

1. რა ინფორმაციას ინახავს ჩვენს სახლებში, სკოლასა და უბანში შემორჩენილი ძველი ნივთები, ფოტოები, დოკუმენტები და უფროსი თაობის მონათხრობები?
2. როგორ დავალაგოთ ეს ინფორმაცია დროის მიხედვით და როგორ შევამოწმოთ, რამდენად სანდოა იგი?

**დავალების პირობა**

II თავში გაეცანით ისტორიკოსის სამუშაო ხერხებს: ისწავლეთ წელთაღრიცხვა და მოვლენების დროში დალაგება (§3), ნახეთ, როგორ იკვლევს არქეოლოგი მიწაში აღმოჩენილ ნივთებს (§4), და გაიგეთ, როგორ მოწმდება წერილობითი წყაროს სანდოობა კითხვით – ვინ წერს და საიდან იცის? (§5).

ახლა იმავე ხერხებით იმუშავეთ იმ ნივთებსა და ამბებზე, რომლებიც თქვენს გარშემოა: სახლში შემონახულ ძველ ნივთებზე, ოჯახურ ფოტოებზე, უფროსების მონათხრობებზე. დაწერეთ ნაშრომი თქვენი ოჯახის, სკოლის ან უბნის ისტორიაზე, მოაწყვეთ კლასის მინიმუზეუმი ან შეადგინეთ დროის კაფსულა მომავლის არქეოლოგისთვის. აირჩიეთ ქვემოთ აღწერილი სამი ფორმატიდან ერთი.

**ფორმატი 1. სამი წყაროთი გადმოცემული ჩემი ისტორია (ინდივიდუალური ნაშრომი)**

დაწერეთ 1-2 გვერდიანი ნაშრომი თქვენი ოჯახის, სკოლის ან უბნის ისტორიაზე. ნაშრომს დაურთეთ დროის ხაზი ან ქრონოლოგიური ცხრილი და ნივთის ფოტო ან ნახატი. ნაშრომი სამ წყაროს დაუკავშირეთ:

1. შეადგინეთ დროის ხაზი ან ქრონოლოგიური ცხრილი: შეარჩიეთ ხუთი-ექვსი მნიშვნელოვანი მოვლენა (მაგალითად, სახლის აშენება, სკოლის დაარსება, ოჯახის წევრების დაბადება), დაალაგეთ ისინი თარიღების მიხედვით და თითოეულ მოვლენას მიუწერეთ წელი და ერთი წინადადება.
2. შეისწავლეთ ნივთიერი წყარო: შეარჩიეთ ერთი ძველი ნივთი (ჭურჭელი, ხელსაწყო, სამკაული, ფული, ავეჯი) და უპასუხეთ §4-ში ნასწავლ კითხვებს – რა დანიშნულება აქვს/ჰქონდა ამ ნივთს? ვის ეკუთვნოდა? როდის და რისთვის იყენებდნენ? რა ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელ ცხოვრებაზე?
3. მოიძიეთ ერთი წერილობითი ან ზეპირი წყარო: ძველი ფოტო წარწერით, დოკუმენტი, წერილი, ან ჩაიწერეთ უფროსი თაობის წარმომადგენლის მონათხრობი ერთ კონკრეტულ ამბავზე. უპასუხეთ §5-ის კითხვას: ვინ გვაწვდის ამ ინფორმაციას და საიდან იცის – თავად ნახა თუ სხვისგან შეიტყო?

ნაშრომის ბოლოს დაწერეთ, რა ახალი ინფორმაცია მოიპოვეთ და რომელი წყარო აღმოჩნდა თქვენთვის ყველაზე საინტერესო.

**ფორმატი 2. კლასის მინიმუზეუმი (ჯგუფური ნაშრომი)**

მოაწყვეთ ძველი ნივთების გამოფენა და გააცანით იგი კლასს. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. ჯგუფის თითოეულმა წევრმა შეარჩიოს სახლიდან ერთი ძველი ნივთი. ძვირფასი ან მსხვრევადი ნივთის ნაცვლად გამოიყენეთ მისი ფოტო.

2. თითოეული ნივთისთვის შეავსეთ საექსპოზიციო ბარათი ოთხი ველით: ნივთის სახელწოდება; დამზადების სავარაუდო დრო; ვის ეკუთვნოდა; რა ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელ ცხოვრებაზე.

3. ნივთები დაალაგეთ დამზადების დროის მიხედვით – ყველაზე ძველიდან ყველაზე ახლისკენ და შეადგინეთ საერთო ქრონოლოგიური ცხრილი, რომელშიც ყველა ნივთს თარიღს მიუწერთ.

4. მოამზადეთ და ჩაატარეთ სამ-ოთხწუთიანი დათვალიერება: ჯგუფის თითოეულმა წევრმა წარადგინოს ერთი-ორი ნივთი და ახსნას, რა დასკვნა გამოიტანა მისგან.

**ფორმატი 3. დროის კაფსულა (ინდივიდუალური ან წყვილში შესასრულებელი ნაშრომი)**

შეადგინეთ დროის კაფსულა, რომელსაც არქეოლოგები 500 წლის შემდეგ იპოვიან: შეარჩიეთ ნივთები, დაასაბუთეთ არჩევანი და დაწერეთ თანდართული წერილი. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. შეარჩიეთ ხუთი ნივთი, რომლებიც მომავლის არქეოლოგს დღევანდელ ცხოვრებაზე ყველაზე ზუსტ წარმოდგენას შეუქმნის. თითოეულ ნივთთან დაწერეთ ორი წინადადება: რატომ შეარჩიეთ იგი და რა დასკვნას გამოიტანს მისგან მომავალი მკვლევარი.

2. გაიხსენეთ §4-ში ნასწავლი: ყველა მასალა თანაბრად არ ინახება, ქაღალდი და ქსოვილი სწრაფად ზიანდება, თიხა, ლითონი და ქვა კი დიდხანს ძლებს. ერთი წინადადებით ახსენით, თქვენი ნივთებიდან რომელი შემორჩება მომავალ თაობებს.

3. დაწერეთ მოკლე წერილი მომავლის არქეოლოგისადმი დღევანდელი ცხოვრების შესახებ (ხუთი-ექვსი წინადადება) და მიუწერეთ თარიღი. ასე თქვენი წერილი დათარიღებული წერილობითი წყარო გახდება.

4. სურვილისამებრ მოამზადეთ კაფსულის ყუთი ან პლაკატი ნივთების გამოსახულებებით.

კლასს წარუდგინეთ ნივთების დასაბუთებული ჩამონათვალი და მომავლის არქეოლოგისადმი წერილი.

**რჩევები ყველა ფორმატისთვის**

1. გამოიყენეთ ცნებები: ისტორიული წყარო, ნივთიერი წყარო, წერილობითი წყარო, ქრონოლოგია.

2. ყოველი დასკვნა კონკრეტულ წყაროს დაუკავშირეთ – ნივთს, დოკუმენტს ან მონათხრობს.

3. სადაც შესაძლებელია, ინფორმაცია მეორე წყაროთი გადაამოწმეთ: მაგალითად, ოჯახის ერთი წევრის მონათხრობი შეადარეთ მეორის მონათხრობს ან ძველ ფოტოს.

4. სხვისი ნივთი ან ფოტო მხოლოდ მფლობელის ნებართვით გამოიყენეთ; ინტერნეტიდან აღებულ ყველა გამოსახულებას მიუთითეთ წყარო.

5. თუ ოჯახური მასალა არ არის, აირჩიეთ სკოლის ან უბნის ისტორია.

## მასწავლებლის ინსტრუქცია

## პროექტული დავალება „წარსულის კვალი ჩვენ გარშემო“

### 1. რას ემსახურება ეს პროექტი

II თავში მოსწავლემ ისტორიკოსის სამუშაო ხერხები გაიცნო: ისწავლა მოვლენების დროში დალაგება, ნახა, როგორ იკვლევს არქეოლოგი ნივთს და გაიგო, როგორ მოწმდება წერილობითი წყაროს სანდოობა. ეს ცოდნა გაკვეთილებზე დამუშავდა, შორეული ეპოქებისა და სხვისი აღმოჩენების მაგალითზე. პროექტი კი მოსწავლეს იმავე ხერხების გამოყენებას სთავაზობს იმ მასალაზე, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია: ოჯახის, სკოლისა და უბნის ნივთებზე, ფოტოებზე, დოკუმენტებსა და მონათხრობებზე.

ეს გადასვლა სასწავლო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. სანამ ისტორიული წყარო მხოლოდ სახელმძღვანელოს გვერდზეა წარმოდგენილი, მოსწავლისთვის იგი შორეულ და აბსტრაქტულ ცნებად რჩება. როცა მოსწავლე ოჯახის ძველ ჭურჭელს ან სკოლის დარბაზში დაკიდებულ ფოტოს იმავე კითხვებით შეისწავლის, რომლებითაც არქეოლოგი მუშაობს, ცნება კონკრეტულ შინაარსს იძენს.

ამასთან, პროექტი მოსწავლეს ორ შესაძლებლობას აძლევს: აირჩიოს სამუშაოს ფორმა და თავად შექმნას საბოლოო ნაშრომი. სამივე ფორმატი: ინდივიდუალური ნაშრომი, კლასის მინიმუზეუმი და დროის კაფსულა, ერთსა და იმავე უნარებს ავითარებს, თუმცა, მოსწავლეს განსხვავებულ სამუშაოს სთავაზობს: ერთი წერას მოითხოვს, მეორე – გაფორმებასა და ჯგუფურ მუშაობას, მესამე – ნივთების შერჩევასა და დასაბუთებას.

### 2. როდის დავიწყოთ პროექტზე მუშაობა

პროექტს დაახლოებით ორი კვირა ესაჭიროება და ძირითადად საშინაო სამუშაოა. მისი გაცნობა §5-ის გაკვეთილის შემდეგ ჯობს: ამ დროისთვის მოსწავლეს უკვე იცის: ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ნივთიერი წყაროს შესწავლა და წერილობითი წყაროს სანდოობის შემოწმება.

### 3. კავშირი სტანდარტთან

პროექტი II თავის ორ სამიზნე ცნებას – „დრო“ და „ისტორიული წყარო“ აჯამებს და ორი შედეგის ინდიკატორებს ეყრდნობა.

შედეგი 1-დან პროექტი ამუშავებს წყაროების კლასიფიცირებას არსებითი მახასიათებლების მიხედვით და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებას წყაროს სანდოობასთან დაკავშირებით. მოსწავლე პრაქტიკულად არჩევს ნივთიერ და წერილობით წყაროს და §5-ის კითხვას – ვინ გვაწვდის ინფორმაციას და საიდან იცის? თავად სვამს მოძიებულ მასალაზე.

შედეგი 2-დან პროექტი ამუშავებს მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებას და თარიღების სწორად მითითებას. დროის ხაზისა და ქრონოლოგიური ცხრილის შედგენა აქ დამატებითი მოთხოვნა არ არის: სწორედ პროექტზე მუშაობის დროს ხედავს მოსწავლე, რომ ოჯახის ან სკოლის ისტორიაც თანმიმდევრობით ლაგდება და მოვლენებს შორის კავშირი იკვეთება.

### 4. მუშაობის ეტაპები

**პირველი ეტაპი – გაცნობა და არჩევანი**

მასწავლებელი კლასს აცნობს დავალებას და სამივე ფორმატს. სასურველია, თითოეული ფორმატი ერთი-ორი წინადადებით აღწეროს და მაშინვე დაასახელოს, რა ნაშრომს ქმნის

მოსწავლე თითოეულ შემთხვევაში. ამის შემდეგ მოსწავლეები ირჩევენ ფორმატს და საკვლევ ობიექტს: ოჯახს, სკოლას თუ უბანს.

ამ ეტაპზე ერთი საკითხი უნდა გაირკვეს: აქვს თუ არა მოსწავლეს ხელმისაწვდომი მასალა. თუ არა, ალტერნატივა მაშინვე უნდა შესთავაზოთ. შესაძლებელია კლასის დიდმა ნაწილმა ერთი და იგივე ფორმატი აირჩიოს.

**მეორე ეტაპი – შუალედური კონსულტაცია**

პირველი კვირის ბოლოს მოსწავლეები წარმოადგენენ შეგროვებულ მასალას: შერჩეულ ნივთს ან მის ფოტოს, ჩანაწერებს, დროის ხაზის მონახაზს. სწორედ ამ ეტაპზე დგინდება როგორ მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა. შუალედური შედეგის დასადგენად სამი კითხვაც საკმარისია: რომელი წყარო შეარჩიე? რა დასკვნა გამოგაქვს მისგან? როგორ გადაამოწმებ ამ ინფორმაციას? პირველ კითხვას მოსწავლეთა უმეტესობა ადვილად პასუხობს, მეორე კი ხშირად სირთულეს უქმნის მოსწავლეს – სწორედ აქ სჭირდება მას მასწავლებლის დახმარება. თუ პასუხი ნივთის აღწერით შემოიფარგლა, უნდა დასვათ დამაზუსტებელი კითხვა: „და რა ინფორმაციას გვაწვდის ეს ნივთი იმდროინდელ ცხოვრებაზე?“

**მესამე ეტაპი – წარდგენა**

წარდგენას თითოეული მოსწავლე ან ჯგუფი 5-6 წუთს უთმობს. სასურველია, წარდგენის შემდეგ ერთი დამაზუსტებელი კითხვა დაისვას კლასის ან მასწავლებლისგან. ასეთი კითხვის პასუხისას მოსწავლე დასკვნას ხმამაღლა ასაბუთებს და სწორედ ამ დროს ჩანს, რამდენად ესმის მას საკუთარი ნაშრომის შინაარსი.

## 5. ფორმატების ორგანიზება

ფორმატის არჩევანი მოსწავლეზეა დამოკიდებულია, თუმცა მასწავლებელს რჩევის მიცემა შეუძლია. მოსწავლეს, რომელსაც კლასის წინაშე გამოსვლა ან ვრცელი ტექსტის წერა უჭირს, ხშირად უფრო შეეფერება მინიმუზეუმი ან დროის კაფსულა; ის მოსწავლე კი, ვისაც წერითი დავალება ურჩევნია, პირველ ფორმატს ირჩევს.

მინიმუზეუმის ჯგუფებში (4-5 მოსწავლე) როლები შეიძლება წინასწარ განაწილდეს: ბარათების ავტორი, ცხრილის შემდგენელი, ექსპოზიციის მომწყობი და პრეზენტატორი. როლების მიუხედავად, საექსპოზიციო ბარათს თითოეული წევრი საკუთარ ნივთზე თავად წერს.

## 6. შეფასება

განმავითარებელი შეფასება შუალედურ ეტაპებზე ხდება: მასწავლებელი უკუკავშირს აძლევს მოსწავლეს არჩევანსა და შეგროვებულ მასალაზე, აზუსტებს დასკვნებს და მიუთითებს, რა უნდა შეივსოს. ამ ეტაპზე ქულა არ იწერება. მოსწავლემ უნდა იცოდეს, როგორ გააუმჯობებოს შუალედური შედეგები.

განმსაზღვრელი შეფასებისთვის გამოიყენება ოთხკრიტერიუმიანი რუბრიკა. სასურველია, იგი მოსწავლეებს წინასწარ გააცნოთ: როცა მოსწავლემ იცის, რას შეაფასებს მასწავლებელი, ნაშრომსაც უფრო მიზანმიმართულად ასრულებს.

| კრიტერიუმი | საწყისი დონე | საშუალო დონე | მაღალი დონე |
|---|---|---|---|
| **წყაროებზე მუშაობა** | წყარო შერჩეულია, მაგრამ მხოლოდ აღწერილია | წყარო შერჩეულია და მისგან ერთი დასკვნაა ჩამოყალიბებული | ნივთიერი და წერილობითი წყარო გარჩეულია, თითოეულიდან დასკვნაა ჩამოყალიბებული და სანდოობაც შემოწმებულია |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქრონოლოგია** | მოვლენები დასახელებულია თარიღების გარეშე | მოვლენები დათარიღებულია, თანმიმდევრობაში ცალკეული უზუსტობაა | დროის ხაზი ან ცხრილი სრულია, თანმიმდევრობა და თარიღები სწორია |
| **დასაბუთება** | დასკვნა წყაროს არ უკავშირდება | დასკვნების ნაწილი წყაროს ეყრდნობა | ყოველი დასკვნა კონკრეტულ წყაროს ეყრდნობა; ვარაუდი და დადასტურებული ფაქტი ერთმანეთისგან გამიჯნულია |
| **წარდგენა** | წარდგენა არათანმიმდევრულია | წარდგენა გასაგებია და რეგლამენტი დაცულია | წარდგენა თანმიმდევრულია, ნაშრომი მოწესრიგებულია; მოსწავლე პასუხობს დამაზუსტებელ კითხვას |

ჯგუფურ ფორმატში ერთიანი ქულის დაწერა მიზანშეწონილი არ არის. საექსპოზიციო ბარათი და ნივთის წარდგენა ინდივიდუალურად ფასდება, ექსპოზიციისა და საერთო ცხრილის მოწესრიგება კი ჯგუფის საერთო შედეგია. ქულების ასეთი განაწილება მოსწავლეებს წინასწარ უნდა ეცნობოთ.

## 7. დიფერენცირება და მხარდაჭერა

კლასში სავარაუდოდ იქნება მოსწავლე, რომლისთვისაც ოჯახური მასალა არ არის ხელმისაწვდომი: შესაძლოა, მისი ოჯახი ახლახან გადმოსახლდა სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან, ან ოჯახური არქივი არ შემორჩა. ამიტომ სკოლის ან უბნის ისტორია კლასს თავიდანვე უნდა გაეცნოს, როგორც სრულფასოვანი არჩევანი და არა ცალკეული მოსწავლისთვის შეთავაზებული გამონაკლისი.

თუ მოსწავლეს მუშაობის დროს სირთულე შეექმნა, დავალება მცირე ნაბიჯებად დაყავით: ჯერ ნივთის შერჩევა და ფოტო, შემდეგ ოთხ კითხვაზე პასუხი, ბოლოს დროის ხაზი.

მაღალი მზაობის მოსწავლეს შეიძლება შესთავაზოთ დამატებითი დავალება: მოიძიოს ერთი მოვლენის შესახებ ორი განსხვავებული მონათხრობი და ახსნას, რით განსხვავდება ისინი. ეს დავალება პირდაპირ აგრძელებს §5-ის მასალას და მოსწავლეს წყაროთა შედარების პირველ გამოცდილებას აძლევს.

სასურველია, კლასმა წინასწარ ნახოს შევსებული საექსპოზიციო ბარათის ან მოკლე ნაშრომის ნიმუში.

## 8. ეთიკური და პრაქტიკული საკითხები

ოჯახის ისტორიაზე მუშაობა პირად ინფორმაციას ეხება, ამიტომ რამდენიმე წესი თავიდანვე უნდა შეთანხმდეს.

1. მოსწავლემ მხოლოდ ის ინფორმაცია უნდა გაასაჯაროს, რომლის გაზიარებაზეც ის და მისი ოჯახი თანახმაა. მასწავლებელმა ეს პირობა პროექტის გაცნობისთანავე უნდა გამოაცხადოს.

2. ნივთის სკოლაში წამოღება მხოლოდ მფლობელის ნებართვით ხდება. ძვირფასი და მსხვრევადი ნივთის ნაცვლად შეიძლება მათი ფოტოს გამოყენება.

3. ინტერვიუს ჩაწერამდე მოსწავლემ ნებართვა უნდა ითხოვოს, ჩანაწერში კი მიუთითოს, ვისგან და როდის ჩაიწერა იგი.

4. ინტერნეტიდან აღებულ ყველა გამოსახულებას წყარო უნდა მიეთითოს.

## 9. ხშირად დაშვებული შეცდომები და მათი პრევენცია

ქვემოთ ჩამოთვლილია ის შეცდომები, რომლებიც ამ ტიპის პროექტებში ყველაზე ხშირად ვლინდება. თითოეულის თავიდან აცილება მარტივია, თუ მასწავლებელი მათ წინასწარ გაითვალისწინებს.

1. ნაშრომი ნივთის აღწერით შემოიფარგლება და დასკვნას არ შეიცავს. პრევენცია: შუალედურ კონსულტაციაზე მასწავლებელი პირდაპირ ითხოვს დასკვნის ჩამოყალიბებას კითხვით – რა ინფორმაციას გვაწვდის ეს ნივთი იმდროინდელ ცხოვრებაზე?

2. ინტერნეტიდან გადმოწერილი ინფორმაცია საკუთარ კვლევად არის წარმოდგენილი. პრევენცია: პროექტის გაცნობისას ხაზგასმით ითქვას, რომ ნაშრომის ღირებულებას მოსწავლის მიერ მოძიებული ნივთი და მონათხრობი განსაზღვრავს და არა ინტერნეტში ნაპოვნი ტექსტი.

3. დროის ხაზი მოვლენების ჩამონათვალად რჩება თარიღების გარეშე. პრევენცია: შუალედურ ეტაპზე მოწმდება, აქვს თუ არა ყველა მოვლენას წელი მიწერილი.

4. ჯგუფურ ფორმატში მთელ სამუშაოს ერთი-ორი მოსწავლე ასრულებს. პრევენცია: როლების წინასწარი განაწილება და ინდივიდუალური საექსპოზიციო ბარათი ჯგუფის თითოეული წევრისთვის.

5. წარდგენისას მოსწავლე დაწერილ ტექსტს კითხულობს. პრევენცია: მოსწავლეს წინასწარ განემატოს, რომ საკუთარი სიტყვებით უნდა გადმოსცეს შინაარსი.

## II პროექტული დავალება – ლითონმა შეცვალა ცხოვრება

**პროექტის მიზანი**

ამ პროექტში თქვენ არქეოლოგის მსგავსად იმუშავებთ: შეისწავლით ძველ ნივთებსა და სამარხებს და ჩამოაყალიბებთ დასკვნებს იმის შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში.

მუშაობის დროს დაინახავთ, რომ ლითონმა მხოლოდ ახალი იარაღი კი არ მოიტანა, მან შეცვალა შრომა, ვაჭრობა, ომი და საზოგადოების მოწყობაც: გაჩნდნენ ბელადები, წარჩინებულები და მათგან განსხვავებულად მცხოვრები მოსახლეობა.

**საკვანძო საკვლევი შეკითხვები**

1. რა შეიცვალა ადამიანების ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც მათ ლითონის დამუშავება ისწავლეს?

2. რა ინფორმაციას გვაწვდის არქეოლოგიური აღმოჩენები იმის შესახებ, რომ ამ ეპოქის საზოგადოებაში ყველა ერთნაირად არ ცხოვრობდა?

**დავალების პირობა**

IV თავში გაეცანით საქართველოს ისტორიის იმ ხანას, როცა ქვას ლითონი შეენაცვლა: მტკვარ-არაქსის კულტურას (§10), თრიალეთის დიდ ყორღანებს (§11), გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანას (§12), ციკლოპურ ციხე-ქალაქებს (§13) და ქართველი ერის წარმოშობის საკითხს (§14). ამ ეპოქის შესახებ თითქმის ყველა ცნობა არქეოლოგიური აღმოჩენებით არის მოპოვებული, რადგან წერილობითი წყაროები მაშინ ჯერ არ არსებობდა.

ახლა თავად იმუშავეთ ამ მასალაზე: მოამზადეთ და ჩაატარეთ არქეოლოგიური აღმოჩენის პრესკონფერენცია, შეადგინეთ მუზეუმის ეტიკეტების სერია ან შეადარეთ ერთმანეთს ორი სამარხი. აირჩიეთ ქვემოთ აღწერილი სამი ფორმატიდან ერთი.

**ფორმატი 1. არქეოლოგიური აღმოჩენის პრესკონფერენცია (ჯგუფური ნაშრომი)**

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ არქეოლოგების ჯგუფი, რომელმაც ახლახან დაასრულა გათხრები. ჩაატარეთ კლასის წინაშე ხუთ-ექვსწუთიანი პრესკონფერენცია თქვენი აღმოჩენის შესახებ და უპასუხეთ თანაკლასელების შეკითხვებს. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. შეარჩიეთ ერთი ძეგლი ან აღმოჩენა IV თავიდან: თრიალეთის ყორღანები, მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი, ციხე-ქალაქი აბულის ან შაორის მთაზე, წნორის განძი ან ლითონის სახელოსნო. მასალა მოიძიეთ სახელმძღვანელოში, მოსწავლის რვეულსა და ინტერნეტის გამოყენებით.

2. გაინაწილეთ როლები: ექსპედიციის ხელმძღვანელი, არქეოლოგი, მკვლევარი და მუზეუმის წარმომადგენელი. ხელმძღვანელი გადმოსცემს, სად და როდის მიმდინარეობდა გათხრები; არქეოლოგი აღწერს აღმოჩენილ ნივთებს; მკვლევარი ხსნის, რა ინფორმაციას გვაწვდის ეს აღმოჩენა იმდროინდელ ცხოვრებაზე; მუზეუმის წარმომადგენელი ასაბუთებს, რატომ არის აღმოჩენა მნიშვნელოვანი.

3. მოამზადეთ ოთხი-ხუთი სლაიდი ან პლაკატი: ძეგლის ან ნივთის გამოსახულება, მისი ადგილმდებარეობა რუკაზე და ორი-სამი ძირითადი დასკვნა.

4. წინასწარ მოიფიქრეთ პასუხები შესაძლო შეკითხვებზე: როგორ დაათარიღეთ აღმოჩენა? საიდან ვიცით, ვის ეკუთვნოდა ეს ნივთები? როგორ შეცვალა ამ აღმოჩენამ ჩვენი ცოდნა?

**ფორმატი 2. მუზეუმის ეტიკეტების სერია (ინდივიდუალური ან წყვილში შესასრულებელი ნაშრომი)**

შეადგინეთ ხუთი სამუზეუმო ეტიკეტი IV თავში ნახსენები ექსპონატებისთვის და გააფორმეთ ისინი ერთ ფურცელზე ან პლაკატზე. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. შეარჩიეთ ხუთი ნივთი IV თავიდან: წნორის ოქროს ლომი, თრიალეთის ვერცხლის თასი, ბრინჯაოს სატევარი, მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელი, რკინის იარაღი. ისარგებლეთ სახელმძღვანელოს ან ინტერნეტით მოპოვებული ილუსტრაციებით.

2. თითოეული ნივთისთვის დაწერეთ ეტიკეტი ხუთი ველით: ნივთის სახელწოდება; მასალა; სავარაუდო თარიღი; აღმოჩენის ადგილი; რა ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელ ცხოვრებაზე. ბოლო ველი ორ-სამ წინადადებას მოიცავს და თქვენს დასკვნას წარმოადგენს.

3. ეტიკეტები დაალაგეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და თითოეულს დაურთეთ ნივთის ნახატი ან ამობეჭდილი გამოსახულება.

4. ეტიკეტების სერიას დაურთეთ მოკლე შესავალი ტექსტი სამი-ოთხი წინადადებით: რა ეწოდება ამ ეპოქას, რომელ საუკუნეებს მოიცავს და რით არის მნიშვნელოვანი.

**ფორმატი 3. ორი სამარხი (ინდივიდუალური ან წყვილში შესასრულებელი ნაშრომი)**

დაწერეთ 1-2-გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც ერთმანეთს შეადარებთ მდიდრულ ყორღანსა და უბრალო სამარხს. ნაშრომს დაურთეთ შედარების ცხრილი. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. შეადგინეთ შედარების ცხრილი ოთხი მწკრივით: სამარხის ზომა; ჩატანებული ნივთები; ამ ნივთების მასალა; ნიშნები, რომლებიც მიუთითებს, რომ ნივთების ნაწილი შორეული ქვეყნებიდან არის შემოტანილი. მონაცემები აიღეთ §11-ისა და §13-ის მასალიდან.

2. დაწერეთ, რას ნიშნავს ეს განსხვავება: რატომ ჩაატანეს ერთ ადამიანს ოქროსა და ვერცხლის ნივთები, მეორეს კი მხოლოდ თიხის ჭურჭელი? ვინ იქნებოდა ყორღანში დაკრძალული?

3. ორ-სამ წინადადებაში ახსენით, როგორ განაპირობა ლითონის გამოყენებამ და ვაჭრობამ ის, რომ ზოგიერთი ოჯახი სხვებზე მდიდარი და გავლენიანი გახდა.

4. ნაშრომი დაასრულეთ ერთი აბზაცით: რომელი დასკვნა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ.

**რჩევები ყველა ფორმატისთვის**

1. გამოიყენეთ ცნებები: ნივთიერი წყარო, ყორღანი, ბელადი, წარჩინებულთა ფენა, შრომის დანაწილება, ვაჭრობა.

2. ყოველი დასკვნა კონკრეტულ ნივთს ან აღმოჩენას დაუკავშირეთ, როგორც ეს §10-ში ისწავლეთ: ჯერ მტკიცებულება, შემდეგ დასკვნა.

3. ერთმანეთისგან გამიჯნეთ ის, რაც ზუსტად ვიცით, და ის, რასაც მეცნიერები ვარაუდობენ. ვარაუდის შემთხვევაში დაწერეთ: „მეცნიერთა აზრით...“ ან „სავარაუდოდ...“.

4. თარიღების მითითებისას წელი ყოველთვის აღნიშნეთ შემოკლებით „ძვ. წ.“.

5. სახელმძღვანელოს გარდა შეგიძლიათ ისარგებლოთ მუზეუმების ვებგვერდებით. ყველა გამოსახულებასა და ციტატას მიუთითეთ წყარო.

## მასწავლებლის ინსტრუქცია

## პროექტული დავალება „ლითონმა შეცვალა ცხოვრება“

**1. რას ემსახურება ეს პროექტი**

IV თავი მოსწავლეს ისეთ ეპოქას აცნობს, რომელზეც წერილობითი წყაროები ჯერ არ არსებობდა. ამ ხანის შესახებ ყველა ცნობა არქეოლოგიური აღმოჩენებით არის მოპოვებული: სამარხებით, ნასახლარებით, სახელოსნოებით. ამიტომ დასკვნამდე მისასვლელად მოსწავლეს ერთადერთი გზა აქვს: ნივთის შესწავლა.

პროექტის ძირითადი ამოცანაა, მოსწავლემ ივარჯიშოს ნივთის საფუძველზე დასკვნის გამოტანაში. გაკვეთილებზე ეს სამუშაო ცალკეულ მაგალითებზე სრულდებოდა, პროექტში კი მოსწავლე მთელ თანმიმდევრობას თავად ასრულებს: ირჩევს აღმოჩენას, აგროვებს მასალას, აღწერს ნივთს და პასუხობს ძირითად შეკითხვას: რა ინფორმაციას გვაწვდის ეს ნივთი იმ ადამიანების ცხოვრებაზე, რომლებმაც იგი დაამზადეს და გამოიყენეს.

სამივე ფორმატი: პრეს-კონფერენცია, მუზეუმის ეტიკეტები და ორი სამარხის შედარება, ერთსა და იმავე უნარს ავითარებს, თუმცა მოსწავლეს განსხვავებულ სამუშაოს სთავაზობს: პირველი ზეპირ წარდგენას ეყრდნობა, მეორე ზუსტ და მოკლე წერას, მესამე შედარებით ანალიზს.

**2. როდის დავიწყოთ პროექტზე მუშაობა**

პროექტს დაახლოებით ორი კვირა სჭირდება. მისი გაცნობა §13-ის გაკვეთილის შემდეგ ჯობს: ამ დროისთვის მოსწავლეს უკვე შესწავლილი აქვს თრიალეთის ყორღანებიც და ციკლოპური ციხე-ქალაქებიც, ანუ ორივე ტიპის მასალა, რომელზეც პროექტი შეიძლება აიგოს.

თუ კლასის დიდმა ნაწილმა პრეს-კონფერენცია აირჩია, წარდგენას ორი გაკვეთილიც შეიძლება დასჭირდეს. ამ შემთხვევაში ერთი მათგანი IV თავის შემაჯამებელი გაკვეთილი იქნება.

**3. კავშირი სტანდარტთან**

პროექტი IV თავის ორ სამიზნე ცნებას: „საზოგადოება“ და „ისტორიული წყარო“ აჯამებს და ორი შედეგის ინდიკატორებს ეყრდნობა.

შედეგი 4-დან პროექტი ამუშავებს ეპოქის საზოგადოების დახასიათებას მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. მოსწავლე ხედავს, რომ ლითონის წარმოება, ვაჭრობა, შრომის დანაწილება და საზოგადოებრივი უთანასწორობა ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენებია და არა ცალკეული ფაქტები.

შედეგი 1-დან პროექტი ამუშავებს ნივთიერი წყაროს ანალიზსა და დასკვნის დასაბუთებას. ეს გაკვეთილებზე დამკვიდრებული წესის გაგრძელებაა: ჯერ მტკიცებულება, შემდეგ დასკვნა.

დამატებით აქტიურდება ცნება „დრო“: მუზეუმის ეტიკეტების ქრონოლოგიური დალაგება და თარიღების სწორად აღნიშვნა შედეგი 2-ის უნარებს განამტკიცებს.

**4. მუშაობის ეტაპები**

პირველი ეტაპი: გაცნობა და არჩევანი

მასწავლებელი აცნობს დავალებას და სამივე ფორმატს. ამის შემდეგ მოსწავლეები ირჩევენ ფორმატს, ხოლო პრესკონფერენციისა და ეტიკეტების შემთხვევაში კონკრეტულ ძეგლს ან ექსპონატებს.

ამ ეტაპზევე უნდა ითქვას, სად შეიძლება მასალის მოძიება: სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ეროვნული მუზეუმის ვებგვერდი და სხვ.

**მეორე ეტაპი: შუალედური კონსულტაცია**

პირველი კვირის ბოლოს მოსწავლეები წარმოადგენენ შეგროვებულ მასალას: შერჩეულ გამოსახულებებს, ჩანაწერებს, ეტიკეტების ან ცხრილის მონახაზს. შუალედური შედეგის დასადგენად სამი შეკითხვაც საკმარისია: რომელი ნივთი ან ძეგლი აირჩიე? რა დასკვნა გამოგაქვს მისგან? რომელი დეტალის საფუძველზე მიხვედი ამ დასკვნამდე?

მესამე შეკითხვა ყველაზე მნიშვნელოვანია: იგი მოსწავლეს დასკვნასა და მტკიცებულებას შორის კავშირის დასახელებას სთხოვს. თუ პასუხის ჩამოყალიბება უჭირს, უნდა მიანიშნოთ. მაგალითად, თრიალეთის ვერცხლის თასის შემთხვევაში: საიდან მოხვდებოდა ვერცხლი ამ მხარეში და რას ნიშნავს ეს?

**მესამე ეტაპი: წარდგენა**

პრესკონფერენციას ხუთი-ექვსი წუთი ეთმობა, დანარჩენ ორ ფორმატს სამი-ოთხი. პრესკონფერენციისთვის კლასი წინასწარ უნდა მომზადდეს: სასურველია, მსმენელებს რამდენიმე შეკითხვა ჰქონდეთ მოფიქრებული.

**5. ფორმატების ორგანიზება**

პრესკონფერენცია ჯგუფური ფორმატია და შეიძლება ოთხი როლი წინასწარ განაწილდეს: ექსპედიციის ხელმძღვანელი, არქეოლოგი, მკვლევარი და მუზეუმის წარმომადგენელი. თუ ჯგუფში ხუთი მოსწავლეა, მეხუთე სლაიდებსა და პლაკატს ამზადებს. თითოეულმა წევრმა თავისი ნაწილი თავად უნდა წარადგინოს.

მუზეუმის ეტიკეტების ფორმატი ყველაზე მოქნილია: სრულდება ინდივიდუალურადაც და წყვილშიც, დიდ მომზადებას არ საჭიროებს და ზეპირ წარდგენას არ მოითხოვს. ეტიკეტების სერია შეიძლება კლასის კედელზეც გამოიფინოს.

ორი სამარხის შედარება ყველაზე ანალიტიკური ფორმატია და იმ მოსწავლეს შეეფერება, ვისაც წერითი დავალება ურჩევნია.

**6. შეფასება**

განმავითარებელი შეფასება შუალედურ ეტაპებზე ხდება: მასწავლებელი უკუკავშირს აძლევს მოსწავლეს არჩევანსა და შეგროვებულ მასალაზე და დასკვნების დაზუსტებაში ეხმარება. ამ ეტაპზე ქულა არ იწერება.

განმსაზღვრელი შეფასებისთვის გამოიყენება ოთხკრიტერიუმიანი რუბრიკა. სასურველია, იგი მოსწავლეებს წინასწარ გააცნოთ.

| კრიტერიუმი | საწყისი დონე | საშუალო დონე | მაღალი დონე |
|---|---|---|---|
| **ნივთიერ წყაროზე მუშაობა** | ნივთი აღწერილია, დასკვნა არ არის ჩამოყალიბებული | ნივთი აღწერილია და ერთი დასკვნაა ჩამოყალიბებული | ნივთი აღწერილია, დასკვნა კონკრეტულ დეტალს ეყრდნობა და ეპოქის ცხოვრებას უკავშირდება |
| **საზოგადოების დახასიათება** | ნაშრომი მხოლოდ ნივთებს ეხება | საზოგადოების შესახებ ცალკეული დასკვნაა ჩამოყალიბებული | ნაჩვენებია კავშირი ლითონის წარმოებას, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ უთანასწორობას შორის |
| **სიზუსტე** | თარიღები და სახელწოდებები არაზუსტია | თარიღები ძირითადად სწორია, ცალკეული უზუსტობაა | თარიღები, სახელწოდებები და ცნებები ზუსტია; ფაქტი და ვარაუდი ერთმანეთისგან გამიჯნულია |
| **წარდგენა** | წარდგენა არათანმიმდევრულია | წარდგენა გასაგებია და რეგლამენტი დაცულია | წარდგენა თანმიმდევრულია, ნაშრომი მოწესრიგებულია; მოსწავლე პასუხობს დამაზუსტებელ შეკითხვას |

პრესკონფერენციის შემთხვევაში ჯგუფისთვის საერთო ქულის დაწერა მიზანშეწონილი არ არის. თითოეული მოსწავლე თავისი როლის შესრულებით ფასდება, ჯგუფის საერთო შედეგია სლაიდები, პლაკატი და წარდგენის თანმიმდევრობა. ქულების ასეთი განაწილება მოსწავლეებს წინასწარ უნდა ეცნობოთ.

**7. დიფერენცირება და მხარდაჭერა**

ამ თემაში მთავარი სირთულე დასკვნის ჩამოყალიბებაა: მოსწავლეთა ნაწილი ნივთის აღწერით შემოიფარგლება. ასეთ შემთხვევაში დაეხმარეთ დამხმარე ფრაზების დასაწყისებით: „ეს ნივთი ოქროსია, ამიტომ...“, „ვერცხლი ამ მხარეში არ მოიპოვება, ეს კი ნიშნავს, რომ...“.

დაბალი მზაობის მოსწავლეს ურჩიეთ მუზეუმის ეტიკეტების ფორმატი და შეამცირეთ ექსპონატების რაოდენობა ხუთიდან სამამდე.

მაღალი მზაობის მოსწავლეს შეიძლება შესთავაზოთ დამატებითი დავალება: მოიძიოს, სად ინახება დღეს მის მიერ შერჩეული ექსპონატი და დაუმატოს ეტიკეტს ინფორმაცია მუზეუმისა და აღმოჩენის ისტორიის შესახებ.

სასურველია, კლასმა წინასწარ ნახოს შევსებული ეტიკეტის ნიმუში. ამისთვის სახელმძღვანელოს ილუსტრაციების წარწერებიც გამოდგება.

**8. პრაქტიკული საკითხები**

1. ამ პროექტში მუშაობა სახელმძღვანელოს ილუსტრაციებსა და მუზეუმების ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ გამოსახულებებზე მიმდინარეობს. გამოსახულებების წყარო მაინც უნდა მიეთითოს.

2. თუ სკოლას შესაძლებლობა აქვს, პროექტის განხორციელებას ხელს შეუწყობს მუზეუმში ვიზიტი ან ვირტუალური ტური მუზეუმის ვებგვერდზე.

3. პრესკონფერენციისთვის საკმარისია პროექტორი ან რამდენიმე A3 ფორმატის პლაკატი.

**9. ხშირად დაშვებული შეცდომები და მათი პრევენცია**

ქვემოთ ჩამოთვლილია ის შეცდომები, რომლებიც ამ ტიპის პროექტებში ყველაზე ხშირად ვლინდება. თითოეულის თავიდან აცილება მარტივია, თუ მასწავლებელი მათ წინასწარ გაითვალისწინებს.

1. ნაშრომი ნივთის აღწერით შემოიფარგლება. პრევენცია: შუალედურ კონსულტაციაზე პირდაპირ დაისვას შეკითხვა – რა ინფორმაციას გვაწვდის ეს ნივთი იმ ადამიანების ცხოვრებაზე, რომლებმაც იგი დაამზადეს ან რომლებიც ამ ნივთს ფლობდნენ?

2. ვარაუდი ფაქტად არის წარმოდგენილი, მაგალითად, ყორღანში დაკრძალული პირის ვინაობა. პრევენცია: კლასს შეახსენეთ ფრაზები „მეცნიერთა აზრით...“ და „სავარაუდოდ...“, რომლებიც §11-სა და §14-ში უკვე შეხვდათ.

3. ინტერნეტიდან გადმოწერილი ტექსტი ნაშრომად არის წარმოდგენილი. პრევენცია: მოთხოვნა, რომ დასკვნები საკუთარი სიტყვებით ჩამოყალიბდეს, ხოლო ყოველი ციტატა და გამოსახულება წყაროს მითითებით წარმოადგინონ.

4. თარიღები ჩვენი წელთაღრიცხვის სახით არის დაწერილი. პრევენცია: შუალედურ ეტაპზე შემოწმდეს, ყველგან არის თუ არა მითითებული „ძვ. წ.“.

5. პრეს-კონფერენციაზე მთელ სამუშაოს ერთი მოსწავლე ასრულებს. პრევენცია: როლების წინასწარი განაწილება და მოთხოვნა, რომ თითოეულმა თავისი ნაწილი თავად წარადგინოს.

## III პროექტული დავალება – როგორ შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო

**პროექტის მიზანი**

ამ პროექტში თქვენ გამოიკვლევთ, როგორ შეიქმნა ქართლის სამეფო და დაინახავთ, რომ ერთიანი სახელმწიფოს შესაქმნელად ბრძოლაში გამარჯვება საკმარისი არ იყო. საჭირო გახდა მმართველობის მოწესრიგება, საერთო ღვთაება და საერთო ენა.

ამასთან, თქვენ იმუშავებთ ორ ძველ ქართულ წყაროზე, რომლებიც ერთსა და იმავე ამბავს განსხვავებულად გადმოსცემს და ისწავლით, როგორ იქცევა ისტორიკოსი, როცა წყაროთა ცნობები ერთმანეთს არ ემთხვევა.

**საკვანძო საკვლევი შეკითხვები**

1. რა დასჭირდა ფარნავაზს იმისთვის, რომ საქართველო გაეერთიანებინა და ერთიანობა შეენარჩუნებინა?

2. რატომ გადმოსცემს ორი ძველი ქართული წყარო პირველი მეფის ამბავს განსხვავებულად და როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

**დავალების პირობა**

VI თავში გაეცანით ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის ისტორიას: ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლას (§20), აზოსა და ფარნავაზის დაპირისპირებას (§21), ქართლის სამეფოს შექმნას (§22), ფარნავაზის რეფორმებს (§23), სამეფოს ქალაქებსა და საზოგადოებას (§24) და მისი მემკვიდრეების მმართველობას (§25).

ამ თავის მასალა ორი ქართული საისტორიო წყაროდან არის მოპოვებული: „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრებიდან“. ეს წყაროები ბევრ საკითხში ერთმანეთს ეთანხ-

მება, პირველ მეფედ კი სხვადასხვა პიროვნებას ასახელებს.

ახლა თავად იმუშავეთ ამ მასალაზე: მოამზადეთ ბარათების სერია ფარნავაზის რეფორმებზე, ჩაატარეთ დებატები ორი წყაროს შესახებ ან გამოეცით ძვ. წ. III საუკუნის გაზეთის ნომერი. აირჩიეთ ქვემოთ აღწერილი სამი ფორმატიდან ერთი.

**ფორმატი 1. ფარნავაზის სახელმწიფო ხუთ ბარათზე (ინდივიდუალური ან წყვილში შესასრულებელი ნაშრომი)**

მოამზადეთ ხუთი ბარათი ფარნავაზის მოღვაწეობის შესახებ და გააფორმეთ ისინი ერთ პლაკატზე ან ალბომად. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. მოამზადეთ ხუთი ბარათი: ქვეყნის გაერთიანება და მოკავშირეები; საერისთავოების სისტემა და სპასპეტი; არმაზის კულტი; ქართული – სახელმწიფო ენა; ციხეების მშენებლობა და ურთიერთობა მეზობლებთან.

2. თითოეულ ბარათზე დაწერეთ სამი-ოთხი წინადადება: რა გააკეთა ფარნავაზმა და რა შედეგი მოჰყვა ამას ქვეყნისთვის. ბარათს დაურთეთ ნახატი, სქემა ან რუკის ფრაგმენტი.

3. გამოიყენეთ ცნებები: ერისთავი, სპასპეტი, კულტი, სახელმწიფო ენა, მოკავშირე.

4. სამუშაო დაასრულეთ დასკვნით (ხუთი-ექვსი წინადადება): რომელი რეფორმა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ქართველი ხალხის შემდგომი ისტორიისთვის და რატომ. მოიყვანეთ ორი არგუმენტი.

**ფორმატი 2. ორი წიგნი – ორი პასუხი: საკლასო დებატები (ჯგუფური ნაშრომი)**

მოამზადეთ და ჩაატარეთ დებატები საკითხზე „ვინ იყო ქართლის პირველი მეფე?“, ბოლოს კი შეადგინეთ ერთობლივი დასკვნა. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. პირველი ჯგუფი წარმოადგენს „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობას, მეორე „ქართლის ცხოვრებისას“. თითოეულმა ჯგუფმა მოამზადოს სამწუთიანი გამოსვლა: რას გადმოსცემს თქვენი წყარო, რა ცნობებს გვაწვდის იგი და რატომ შეიძლება ვენდოთ მას.

2. მოამზადეთ ორ-ორი შეკითხვა მოწინააღმდეგე ჯგუფისთვის. შეკითხვები წყაროს შინაარსს უნდა ეხებოდეს: რომელი ცნობა ადასტურებს თქვენს მოსაზრებას? როდის შეიქმნა თქვენი წყარო?

3. დებატების შემდეგ ორივე ჯგუფმა ერთად შეადგინოს საერთო დასკვნა ხუთი-ექვსი წინადადებით: რაში ეთანხმება ორივე წყარო ერთმანეთს, რაში განსხვავდება და როგორ უნდა მოიქცეს ისტორიკოსი ასეთ შემთხვევაში.

4. დასკვნა გააფორმეთ ერთ ფურცელზე და დაურთეთ ორივე წყაროდან თითო ამონარიდი (გვ. 107).

**ფორმატი 3. გაზეთი „ქართლის მაცნე“ (ჯგუფური ნაშრომი)**

გამოეცით გაზეთის ერთი ნომერი, რომელიც თითქოს ძვ. წ. III საუკუნეში დაიწერა (ნომერი აუცილებლად უნდა იყოს ხელნაწერი) და ქართლის სამეფოს შექმნას ეხმაურება. იმუშავეთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. მოამზადეთ ოთხი მასალა: მთავარი ამბავი ფარნავაზის გამარჯვებისა და გამეფების შესახებ; ინტერვიუ ქუჯისთან სამი შეკითხვით; ცნობა მეფის ბრძანებულებების შესახებ; ცნობა მეზობელი ქვეყნებიდან.

2. თითოეულ მასალას დაურთეთ სათაური, ხოლო მთავარ ამბავს თარიღიც.

3. დაამატეთ ერთი რუკა ან სქემა: ქართლის სამეფოს საზღვრები რუკა 13-ის ან რუკა 14-ის მიხედვით.

4. ყველა ცნობა სახელმძღვანელოს ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს. სადაც ამბავს თავად დაუმატებთ დეტალს, მასალის ბოლოს მიუწერეთ: „დიალოგი შედგენილია სახელმძღვანელოს მიხედვით“.

**რჩევები ყველა ფორმატისთვის**

1. ერთმანეთისგან გამიჯნეთ ის, რასაც წყარო გადმოსცემს და ის, რასაც მეცნიერები ვარაუდობენ. ვარაუდის შემთხვევაში დაწერეთ: „მეცნიერთა აზრით...“.

2. ფარნავაზის ამბავში ლეგენდური ეპიზოდებიც არის, მაგალითად, სიზმარი. თუ მათ გამოიყენებთ, აღნიშნეთ, რომ ეს გადმოცემაა.

3. თარიღების მითითებისას წელი ყოველთვის აღნიშნეთ შემოკლებით „ძვ. წ.“.

4. სახელმძღვანელოს გარდა შეგიძლიათ ისარგებლოთ მუზეუმებისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებგვერდებით. ყველა  და ციტატას მიუთითეთ წყარო.

## მასწავლებლის ინსტრუქცია

## პროექტული დავალება „როგორ შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო“

**1. რას ემსახურება ეს პროექტი**

პროექტი VI თავს ორი მიმართულებით აჯამებს.

პირველი მიმართულება სახელმწიფოებრივ მოწყობას ეხება. მოსწავლეთა უმეტესობას ფარნავაზი ბრძოლაში გამარჯვებულ მეფედ ამახსოვრდება. პროექტი აჩვენებს, რომ გამარჯვება მხოლოდ დასაწყისი იყო: ქვეყნის მართვას და ერთიანობის შენარჩუნებას სჭირდებოდა მოხელეთა სისტემა, საერთო ღვთაება, საერთო ენა და მოკავშირული ურთიერთობა მეზობლებთან.

მეორე მიმართულება წყაროებს ეხება. ეს თავი ერთადერთია, სადაც მოცემულია ორი ქართული საისტორიო წყარო, რომლებიც ერთსა და იმავე ამბავს განსხვავებულად გადმოსცემენ. მოსწავლისთვის ეს პირველი შემთხვევაა, როცა წყაროთა შეუთანხმებლობა ისტორიკოსის სამუშაო მასალად განიხილება.

სამივე ფორმატი: ბარათების სერია, დებატები და გაზეთი, ერთსა და იმავე მასალას ეყრდნობა, თუმცა განსხვავებულ უნარს ავითარებს: პირველი მოვლენების სისტემატიზაციასა და დასაბუთებულ არჩევანს, მეორე პოზიციის დაცვასა და წყაროთა შედარებას, მესამე ფაქტების გადმოცემას.

**2. როდის დავიწყოთ პროექტზე მუშაობა**

პროექტს დაახლოებით ორი კვირა სჭირდება. მისი გაცნობა §23-ის გაკვეთილის შემდეგ სჯობს: ამ დროისთვის მოსწავლეს უკვე შესწავლილი აქვს ორი წყაროს განსხვავებაც (§21) და ფარნავაზის რეფორმებიც (§23).

**3. კავშირი სტანდარტთან**

პროექტი VI თავის სამ სამიზნე ცნებას აჯამებს და სამი შედეგის ინდიკატორებს ეყრდნობა.

„ძალაუფლება“, შედეგი 5: ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების მიზეზების ანალიზი და ძალაუფლების დაკავშირება საზოგადოებაში გაზიარებულ ღირებულებებთან. ბარათების ფორმატი უშუალოდ ამ ინდიკატორებზეა აგებული: მოსწავლე ხედავს, რომ საერისთავოების სისტემა და საერთო კულტი ერთი ამოცანის ორგვარი გადაწყვეტაა.

„ისტორიული წყარო“, შედეგი 1: ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი წყაროების შედარება და საკუთარი მოსაზრების დასაბუთება წყაროს სანდოობასთან დაკავშირებით. დებატების ფორმატი მთლიანად ამ ინდიკატორებს ეყრდნობა.

„ისტორიული მოვლენა/პროცესი“, შედეგი 6: მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. სამივე ფორმატში მოსწავლე ხედავს, რომ ქართლის სამეფოს შექმნა ელინისტური სახელმწიფოების დაპირისპირების ფონზე გახდა შესაძლებელი.

**4. მუშაობის ეტაპები**

**პირველი ეტაპი: გაცნობა და არჩევანი**

მასწავლებელი აცნობს დავალებას და სამივე ფორმატს. დებატების ფორმატისთვის ჯგუფებს მასწავლებელი აკომპლექტებს და თითოეულ ჯგუფს წყაროს უნაწილებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჯგუფი წყაროს პოზიციას იცავს და არა საკუთარს. ეს განმარტება მოსწავლეს აჩვენებს განსხვავებას წყაროს ცნობასა და პირად აზრს შორის.

პროექტის გაცნობისთანავე უნდა შეგახსენოთ კლასს, რომ ფარნავაზის სიზმარი და განძის პოვნა გადმოცემაა და მისი გამოყენებისას ეს უნდა აღინიშნოს.

**მეორე ეტაპი: შუალედური კონსულტაცია**

პირველი კვირის ბოლოს მასწავლებელი ამოწმებს მომზადებულ მასალას. შეკითხვები ფორმატის მიხედვით განსხვავდება: ბარათების შემთხვევაში – რომელი რეფორმა აირჩიე და რა არგუმენტებით? დებატებისთვის – რომელი ცნობით ასაბუთებ შენი წყაროს პოზიციას? გაზეთისთვის – რომელი ფაქტი უდევს საფუძვლად თითოეულ მასალას?

**მესამე ეტაპი: წარდგენა**

ბარათების სერიასა და გაზეთს ხუთი-ექვსი წუთი ეთმობა. დებატებს 10-15 წუთი სჭირდება: სამ-სამი წუთი გამოსვლებზე, ხუთი წუთი შეკითხვებზე და ხუთი წუთი საერთო დასკვნის ჩამოყალიბებისთვის. საერთო დასკვნა დებატების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ მისთვის დრო აუცილებლად უნდა გამოყოთ.

**5. ფორმატების ორგანიზება**

ბარათების სერია ყველაზე მოქნილი ფორმატია: სრულდება ინდივიდუალურად ან წყვილში, დიდ ორგანიზებას არ საჭიროებს და კლასის კედელზეც შეიძლება გამოიფინოს.

დებატებში ორი ჯგუფი მონაწილეობს, დანარჩენი კლასი მსმენელია. სასურველია, მსმენელებსაც ჰქონდეთ დავალება: ჩაინიშნონ, რომელი არგუმენტი აღმოჩნდა ყველაზე დამაჯერებელი. წესებში ცალკე უნდა ითქვას, რომ ჯგუფები ერთმანეთს არ აწყვეტინებენ საუბარს.

გაზეთის ფორმატში როლები წინასწარ ნაწილდება: მთავარი ამბის ავტორი, ინტერვიუერი, საერთაშორისო მიმოხილვის ავტორი, გამფორმებელი და სხვ. ეს ფორმატი ფაქტების სიზუსტეზე ყველაზე დიდ ყურადღებას მოითხოვს.

**6. შეფასება**

განმავითარებელი შეფასება შუალედურ ეტაპებზე ხდება. ამ ეტაპზე ქულა არ იწერება.

განმსაზღვრელი შეფასებისთვის გამოიყენება ოთხკრიტერიუმიანი რუბრიკა. სასურველია, იგი მოსწავლეებს წინასწარ გააცნოთ.

| კრიტერიუმი | საწყისი დონე | საშუალო დონე | მაღალი დონე |
|---|---|---|---|
| **ფაქტების ცოდნა** | ფაქტების ნაწილი არაზუსტია | ფაქტები ძირითადად სწორია | ფაქტები ზუსტია, ცნებები სწორად არის გამოყენებული |
| **წყაროებზე მუშაობა** | წყარო მოხსენიებულია, მისი ცნობა გამოყენებული არ არის | წყაროს ცნობა გამოყენებულია | წყაროს ცნობა გამოყენებულია; ფაქტი და გადმოცემა ერთმანეთისგან გამიჯნულია |
| **დასაბუთება** | მოსაზრება არგუმენტის გარეშეა წარმოდგენილი | მოსაზრება ერთი არგუმენტით არის დასაბუთებული | მოსაზრება ორი არგუმენტით არის დასაბუთებული და თითოეული ფაქტს ეყრდნობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| **წარდგენა** | წარდგენა არათანმიმდევრულია | წარდგენა გასაგებია და რეგლამენტი დაცულია | წარდგენა თანმიმდევრულია, ნაშრომი მოწესრიგებულია; მოსწავლე პასუხობს დამაზუსტებელ შეკითხვას |

დებატებში მოგებული და წაგებული მხარე არ განისაზღვრება. ფასდება არგუმენტების ხარისხი და საერთო დასკვნაში მონაწილეობა. ეს მოსწავლეებს თავიდანვე უნდა ეცნობოთ.

**7. დიფერენცირება და მხარდაჭერა**

ბარათების ფორმატში დაბალი მზაობის მოსწავლისთვის შესაძლებელია ბარათების რაოდენობის ხუთიდან სამამდე შემცირება. მთავარია, დასკვნა და ორი არგუმენტი დარჩეს.

დებატებში იმ მოსწავლეს, რომელსაც კლასის წინაშე გამოსვლა უჭირს, შეიძლება დაევალოს შეკითხვების მომზადება და ჩანიშვნა.

მაღალი მზაობის მოსწავლეს შეიძლება შესთავაზოთ დამატებითი დავალება: მოიძიოს, რას წერენ თანამედროვე მკვლევრები აზოსა და ფარნავაზის ამბავზე და ერთი აბზაცით ახსნას, რით განსხვავდება მეცნიერთა ვარაუდები.

**8. ხშირად დაშვებული შეცდომები და მათი პრევენცია**

1. ლეგენდური ეპიზოდები ისტორიულ ფაქტად არის წარმოდგენილი. პრევენცია: გაცნობისთანავე შეთანხმდეს, რომ ასეთი ეპიზოდის გამოყენებისას იწერება „გადმოცემის თანახმად...“.

2. დებატები პიროვნულ დაპირისპირებაში გადადის. პრევენცია: წესი, რომ ჯგუფი წყაროს პოზიციას იცავს და შეკითხვები წყაროს შინაარსს ეხება.

3. გაზეთის ფორმატში ფაქტებს გამოგონილი დეტალები ენაცვლება. პრევენცია: მოთხოვნა, რომ ყოველი ცნობა სახელმძღვანელოს ფაქტს ეყრდნობოდეს, ხოლო დამატებულ დიალოგს მიეწეროს შესაბამისი შენიშვნა.

4. ბარათების სერია რეფორმების ჩამონათვალით შემოიფარგლება. პრევენცია: შუალედურ კონსულტაციაზე პირდაპირ დაისვას შეკითხვა – რომელი რეფორმა მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად და რა არგუმენტებით ასაბუთებ შენს არჩევანს?

5. ჯგუფურ ფორმატებში მთელ სამუშაოს ერთი-ორი მოსწავლე ასრულებს. პრევენცია: როლების წინასწარი განაწილება და მოთხოვნა, რომ თითოეულმა თავისი ნაწილი თავად წარადგინოს.

## ნაწილი V. დანართები

ამ ნაწილში სამი დამხმარე მასალაა თავმოყრილი: სცენარებში გამოყენებული მეთოდების ცნობარი, შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები და სასწავლო რესურსების ნუსხა.

### დანართი 1. მეთოდების ცნობარი

სცენარებში გამოყენებული მეთოდები ქვემოთ დანიშნულების მიხედვითაა დაჯგუფებული: გაკვეთილის გახსნის, წყაროსთან მუშაობის, ინფორმაციის ორგანიზების, მსჯელობისა და შეჯამების მეთოდები.

თითოეულთან მითითებულია, რას აკეთებს მოსწავლე და რომელ პარაგრაფში რა მეთოდია გამოყენებული. მითითებული პარაგრაფის სცენარში ნახავთ მეთოდის სრულ აღწერას: აქტივობის ნაბიჯებს, დროსა და საჭირო მასალას.

#### გაკვეთილის გახსნის მეთოდები

| მეთოდი | რას აკეთებს მოსწავლე | სად გამოიყენება |
|---|---|---|
| **პრობლემური შეკითხვა** | პასუხობს მასწავლებლის შეკითხვას, რომელზეც პასუხი ჯერ არ იცის; იმავე შეკითხვას კლასი გაკვეთილის ბოლოს უბრუნდება | §15, §21 |
| **წინასწარი მსჯელობა და ფაქტებთან შედარება** | საკუთარ ვარაუდს გამოთქვამს ისტორიულ საკითხზე, შემდეგ მას პარაგრაფის ფაქტებს ადარებს | §23 |
| **მცდარი წარმოდგენის გამოვლენა** | პასუხობს შეკითხვას, რომელზეც პასუხი ხშირად არასწორია; მასწავლებელი პასუხებიდან ხედავს, რა უნდა გასწორდეს | §3 |
| **სააზროვნო ექსპერიმენტი** | წარმოიდგენს მასწავლებლის მიერ აღწერილ ვითარებას (მაგალითად, რა შემორჩება ჩვენი საკლასო ოთახიდან ათას წელიწადში) და გამოაქვს დასკვნა | §4 |
| **კანონზომიერების ამოცნობა** | ასახელებს რამდენიმე მაგალითს ერთ თემაზე და მათ შორის საერთო ნიშანს პოულობს | §19 |
| **ორ ფაქტს შორის წინააღმდეგობის შემჩნევა** | ორ ფაქტს ერთმანეთს ადარებს, ხედავს, რომ ისინი ერთმანეთს არ ეთანხმება, და ახსნას ეძებს | §18, §24 |
| **გამოცანა თარიღებითა და რიცხვებით** | მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილ რიცხვებს (მაგალითად, პარაგრაფში მოცემულ თარიღებსა და მონაცემებს) პარაგრაფის მასალას უკავშირებს | §9 |
| **ლექსიკონის ერთეულებზე მუშაობა** | კითხულობს ლექსიკონის რამდენიმე განმარტებას, პოულობს მათ შორის საერთოს და გამოაქვს დასკვნა | §25 |
| **ქრონოლოგიურ ხაზზე მუშაობა** | თავის დასაწყისში მოცემულ ქრონოლოგიურ ხაზს ეცნობა, კითხულობს თარიღებს და მსჯელობს, რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან | §20 |

**წყაროსთან მუშაობის მეთოდები**

| მეთოდი | რას აკეთებს მოსწავლე | სად გამოიყენება |
|---|---|---|
| **წყაროზე მუშაობა კითხვების მიხედვით** | პასუხობს სახელმძღვანელოში მოცემულ ან მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს წყაროს ნაწყვეტის შესახებ | §5, §15, §22 |
| **წყაროს სანდოობის შემოწმება** | სვამს სამ შეკითხვას: ვინ არის ავტორი, საიდან იცის მან ეს ამბავი და რა ინტერესი აქვს მას | §5, §15 |
| **ავტორის დამოკიდებულების ამოცნობა** | წყაროში გამოჯნავს ფაქტობრივ ცნობასა და ავტორის შეფასებას | §19 |
| **წყაროდან ორი სახის ინფორმაციის გამოყოფა** | წყაროს ნაწყვეტიდან რვეულში ორ სვეტად ამოწერს ორი სახის ინფორმაციას (მაგალითად, დამპყრობლის მოქმედებებს და მის თვითდახასიათებას) | §17 |
| **ორი წყაროს შედარება** | ორივე წყაროს ცნობას კითხულობს, ადარებს მათ და ასახელებს განსხვავებას | §16, §21 |
| **ფაქტისა და ლეგენდის გამიჯვნა** | წყაროში აღწერილ ეპიზოდებს ორ ჯგუფად ალაგებს და თითოეულ არჩევანს ასაბუთებს | §16, §21 |
| **ორმაგი ჩანაწერის ჟურნალი** | რვეულის ერთ სვეტში წყაროს ცნობას იწერს, მეორეში საკუთარ კომენტარს | §14 |
| **ნივთიერი წყაროს შესწავლა თანმიმდევრული შეკითხვებით** | ნივთის გამოსახულებას იკვლევს შეკითხვების რიგით: რა არის, ვის ეკუთვნოდა, რას გვეუბნება ეპოქაზე | §24 |
| **ილუსტრაციის ანალიზი** | სურათს იკვლევს მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების მიხედვით და თითოეულ დასკვნას სურათზე გამოსახულ კონკრეტულ ელემენტს უკავშირებს | §24 |
| **რაოდენობრივი მონაცემების ამოკრება** | წყაროდან ამოწერს რიცხობრივ მონაცემებს და ერთმანეთს ადარებს მათ | §13 |

შენიშვნა: სახელმძღვანელოში ჩანაწერის გაკეთება დაუშვებელია. სადაც სცენარი წყაროს ტექსტთან მუშაობას ითვალისწინებს, მოსწავლე ინფორმაციას რვეულში ან ნაწყვეტის ასლში იწერს.

**ინფორმაციის ორგანიზების მეთოდები**

| მეთოდი | რას აკეთებს მოსწავლე | სად გამოიყენება |
|---|---|---|
| **შედარების ცხრილი** | ორ ან სამ ობიექტს ერთი და იმავე ნიშნების მიხედვით ადარებს და ცხრილში შეაქვს მონაცემები | §7, §10, §12, §21 |

| | | |
|---|---|---|
| **T-დიაგრამა** | ინფორმაციას ორ სვეტად ალაგებს ორი დაპირისპირებული კატეგორიის მიხედვით | §13, §16, §18 |
| **სქემის შევსება ტექსტიდან** | ტექსტიდან ამოკრებულ ინფორმაციას მზა სქემაში ათავსებს | §12, §20, §24 |
| **იერარქიული სქემის აგება** | თანამდებობებს ან საზოგადოების ფენებს დაქვემდებარების მიხედვით ალაგებს | §23 |
| **პირამიდის აგება** | საზოგადოების ფენებს პირამიდის სახით ალაგებს: ზემოთ ყველაზე მაღალ ფენას, ქვემოთ დანარჩენებს | §24 |
| **მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის აგება** | მოვლენებს თანმიმდევრობით ალაგებს ისე, რომ ყოველი მომდევნო მოვლენა წინა მოვლენის შედეგი იყოს | §8, §18, §20, §25 |
| **მტკიცებულებისა და დასკვნის დაკავშირება** | თითოეულ დასკვნას წერს იმ კონკრეტული ცნობის ან ნივთის გვერდით, რომელსაც ის ეყრდნობა | §11 |
| **ცნებათა ქსელის აგება** | ფურცლის ცენტრში წერს ძირითად ცნებას, გარშემო კი მასთან დაკავშირებულ ცნებებს, და ისრებით აჩვენებს, რა კავშირია მათ შორის | §19 |
| **ასოციაციური რუკა** | ცნების გარშემო კრებს ასოციაციებს და შემდეგ მათ ჯგუფებად ალაგებს | §14 |
| **შესაბამისობის დადგენა** | ორი ჩამონათვალის ერთეულებს ერთმანეთს უსადაგებს (მაგალითად, მეფეს და მის დროს აღმართულ კერპს) | §25 |
| **დაჯგუფება დასაბუთებით** | ერთეულებს ჯგუფებად ალაგებს და ასახელებს ნიშანს, რომლის მიხედვითაც დააჯგუფა ისინი | §13, §21 |
| **რუკაზე მუშაობა** | ობიექტებს პოულობს სახელმძღვანელოს რუკაზე ან აღნიშნავს რვეულის კონტურულ რუკაზე | §2, §17, §23, §25 |

**მსჯელობისა და თანამშრომლობის მეთოდები**

| მეთოდი | რას აკეთებს მოსწავლე | სად გამოიყენება |
|---|---|---|
| **ჯიგსოუ (ექსპერტთა ჯგუფები)** | ჯგუფში სიღრმისეულად სწავლობს ერთ საკითხს და შემდეგ კლასს აცნობს მას | §2, §22 |
| **პოზიციის არჩევა და დასაბუთება** | რამდენიმე შემოთავაზებული პოზიციიდან ირჩევს ერთს, ასაბუთებს არჩევანს და გაკვეთილის ბოლოს ადარებს მას ისტორიულ ფაქტებს | §16, §22 |
| **დებატი** | ორი პოზიციიდან ერთს იცავს არგუმენტებით | §13 |
| **ღირებულებითი დისკუსია** | მსჯელობს ღირებულებით საკითხზე და მსჯელობას პარაგრაფის ფაქტებით ამყარებს | §18, §22 |

| | | |
|---|---|---|
| **მასალის წარდგენა როლის სახელით** | კონკრეტული პირის ან ჯგუფის სახელით გადმოსცემს მასალას: მაგალითად, ჯგუფი საზოგადოების ერთი ფენის სახელით აღწერს თავის ცხოვრებას | §13, §24 |
| **მასწავლებლის მიზნობრივი თხრობა** | ისმენს მასწავლებლის მონათხრობს წინასწარ მიცემული დავალებით: რა უნდა დაიმახსოვროს მოსმენისას | §16, §21 |
| **დასაბუთებული არჩევანი** | რამდენიმე ვარიანტიდან ირჩევს ერთს და ასაბუთებს, რატომ აირჩია იგი | §19, §23 |
| **რეფორმების დალაგება მნიშვნელობის მიხედვით** | რამდენიმე რეფორმას ალაგებს მნიშვნელობის მიხედვით და ასაბუთებს, რატომ დააყენა პირველ ადგილზე ერთი კონკრეტული რეფორმა | §23 |

**შეჯამების მეთოდები**

| მეთოდი | რას აკეთებს მოსწავლე | სად გამოიყენება |
|---|---|---|
| **გასასვლელი ბილეთი** | გაკვეთილის ბოლოს წერილობით პასუხობს ერთ-ორ შეკითხვას და ფურცელს მასწავლებელს გადასცემს | §16 |
| **შემაჯამებელი ჩანაწერი „3-2-1“** | წერს სამ დასკვნას, ორ შეკითხვას და ერთ ფაქტს, რომელიც ყველაზე მეტად დაამახსოვრდა | §24 |
| **მოკლე დასაბუთებული წერა** | ორ-სამ წინადადებაში აყალიბებს დასკვნას და ასაბუთებს მას | §19 |
| **რჩევების ჩამოყალიბება ფაქტების საფუძველზე** | აყალიბებს რჩევებს ისტორიული პირისთვის და თითოეულს პარაგრაფის ფაქტით ასაბუთებს | §25 |
| **შემაჯამებელი მსჯელობა** | კლასთან ერთად პასუხობს გაკვეთილის საკვანძო შეკითხვას | §21 |

## დანართი 2. შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები

ქვემოთ მოცემული ნიმუშები უნივერსალურია: მათი გამოყენება ნებისმიერ გაკვეთილზე შეიძლება, ოღონდ სვეტებისა და კრიტერიუმების იმ გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგებზე მორგებით.

**დაკვირვების ფურცელი**

გამოიყენება განმავითარებელი შეფასებისთვის, როცა მოსწავლეები წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობენ. სვეტებში იწერება იმ გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგები, უჯრებში კი ნიშანი: „+“ თავად აკეთებს, „±“ დახმარებით აკეთებს, „-“ ჯერ არ აკეთებს.

| მოსწავლე | შედეგი 1 | შედეგი 2 | შედეგი 3 | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**რუბრიკის ნიმუში: წყაროსთან მუშაობა**

გამოიყენება იმ გაკვეთილებზე, სადაც განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმი შედეგი 1-ის ინდიკატორს ეყრდნობა.

| კრიტერიუმი | საწყისი დონე | საშუალო დონე | მაღალი დონე |
|---|---|---|---|
| **წყაროდან ინფორმაციის ამოკრება** | ამოკრებს ინფორმაციის ნაწილს, ცალკეული ცნობა არასწორად არის გადმოცემული | ამოკრებს ძირითად ინფორმაციას სწორად | ამოკრებს ინფორმაციას ზუსტად და სრულად |
| **დასკვნის ჩამოყალიბება** | დასკვნა არ არის ჩამოყალიბებული ან წყაროს არ უკავშირდება | დასკვნა ჩამოყალიბებულია, თუმცა არ არის მითითებული, რომელ ცნობას ეყრდნობა იგი | დასკვნა ჩამოყალიბებულია და მითითებულია კონკრეტული ცნობა, რომელსაც იგი ეყრდნობა |
| **სანდოობის შეფასება** | სანდოობის საკითხს არ ეხება | ასახელებს ერთ ფაქტორს, რომელიც წყაროს სანდოობაზე მოქმედებს | ასახელებს ორ ფაქტორს და ხსნის, როგორ მოქმედებს თითოეული მათგანი |

**რუბრიკის ნიმუში: მიზეზშედეგობრივი მსჯელობა**

გამოიყენება იმ გაკვეთილებზე, სადაც კრიტერიუმი შედეგი 6-ის ინდიკატორს ეყრდნობა.

| კრიტერიუმი | საწყისი დონე | საშუალო დონე | მაღალი დონე |
|---|---|---|---|
| **მიზეზების დასახელება** | ასახელებს ერთ მიზეზს | ასახელებს ორ მიზეზს | ასახელებს ორ ან მეტ მიზეზს და ხსნის, რა კავშირია მათ შორის |
| **შედეგების დასახელება** | შედეგი დასახელებულია არასრულად | დასახელებულია კონკრეტული შედეგი | დასახელებულია კონკრეტული შედეგი და იგი ფაქტით არის გამყარებული |
| **მოვლენების თანმიმდევრობა** | მოვლენები არასწორი თანმიმდევრობით არის დალაგებული | მოვლენების თანმიმდევრობა ძირითადად სწორია | ყველა მოვლენა სწორი თანმიმდევრობით არის დალაგებული |

**მოსწავლის თვითშეფასების ფურცელი**

გამოიყენება თავის ბოლოს ან პროექტის დასრულების შემდეგ. მოსწავლე თითოეულ დებულებას აფასებს სამი ნიშნით: „დიახ“, „ნაწილობრივ“, „ჯერ არა“.

| **დებულება** | დიახ | ნაწილობრივ | ჯერ არა |
|---|---|---|---|
| **შემიძლია, დავალაგო მოვლენები დროში თანმიმდევრულად** | | | |
| **შემიძლია, გავმივჯნო ნივთიერი და წერილობითი წყარო** | | | |
| **შემიძლია, მივუთითო, რომელ ცნობას ეყრდნობა ჩემი დასკვნა** | | | |
| **შემიძლია, ავხსნა მოვლენის მიზეზი და შედეგი** | | | |
| **შემიძლია, ჩემი მოსაზრება არგუმენტით დავასაბუთო** | | | |

თვითშეფასების ფურცელი ქულით არ ფასდება. მოსწავლე მისი მეშვეობით ხედავს, რომელი უნარი აქვს უკვე ათვისებული და რომელზე უნდა იმუშაოს. მასწავლებელი კი ადარებს, ემთხვევა თუ არა მოსწავლის თვითშეფასება საკლასო დაკვირვების შედეგებს. შეუსაბამობა მასწავლებელს ეხმარება, დაინახოს, რომელ მოსწავლეს აქვს საკუთარი შესაძლებლობების არაზუსტი წარმოდგენა და შესაბამისად დაუზუსტოს მას მოთხოვნები.

## დანართი 3. სასწავლო რესურსების ნუსხა

ქვემოთ ჩამოთვლილია ის რესურსები, რომლებზეც სცენარებშია მითითებული. ნუსხა თემატურად არის დაჯგუფებული.

**მუზეუმები და ისტორიული ძეგლები**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ყველა ფილიალის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო საათები და ონლაინკოლექციები განთავსებულია საერთო ვებგვერდზე: მუსეუმ.გე. ქართული მუზეუმების საერთო კატალოგი იხილეთ ვებგვერდზე გეორგიანმუსეუმს.გე.

1. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (თბილისი): ახალგორის განძი, არქეოლოგიური საგანძური, ელინისტური ხანის მონეტები და მათი ქართული მინაბაძები.

2. ვანის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი: კოლხური ოქრომჭედლობისა და ქალაქის მასალა (§15, §16).

3. დმანისის ისტორიისა და არქეოლოგიის მუზეუმ-ნაკრძალი: უძველესი ადამიანის ნაშთები და გათხრების მასალა (§6).

4. მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები და არმაზციხე-ბაგინეთის ნაქალაქარი (§23, §24).

5. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი: კლდეში ნაკვეთი ქალაქი (§19, §24).

6. ნეკრესის ნაქალაქარი (ყვარლის მუნიციპალიტეტი) და დედოფლის გორის სასახლე (ქარელის მუნიციპალიტეტი): §25-ის მასალა.

7. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები (§21). ვებგვერდი: მანუსკრიპტ.გე.

8. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი: ბრინჯაოს ხანის მასალა (§12).

**ელექტრონული რესურსები**

1. სახელმძღვანელოში მოცემული QR-კოდით მითითებული ვიდეომასალა. სასურველია, მასწავლებელმა იგი გაკვეთილამდე გაეცნოს.

2. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვებგვერდი მუსეუმ.გე: ექსპონატების ფოტოები, აღწერები და ონლაინგამოფენები. განსაკუთრებით სასარგებლოა IV თავის პროექტული დავალებისთვის.

ქართული მუზეუმების საერთო კატალოგი გეორგიანმუსეუმს.გე: მუზეუმების მისამართები, სამუშაო საათები და კოლექციები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებგვერდი მანუსკრიპტ.გე: ხელნაწერთა ციფრული გამოსახულებები და აღწერილობები.

საქართველოს ეროვნული არქივის ვებგვერდი არცჰივე.გოვ.გე: ციფრული საარქივო მასალა და ფოტოკოლექციები.

ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალი: ისტორიის სწავლების ელექტრონული რესურსები და სტანდარტის ტექსტი.

**წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა**

1. „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“: სამეცნიერო გამოცემები. VI თავზე მუშაობისას ვრცელი ნაწყვეტების მოსაძიებლად.

2. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ქართული თარგმანი და კომენტარები: იბერიისა და კოლხეთის აღწერა (§24).

3. ვიტრუვიუსის თხზულების ქართული თარგმანი: კოლხური სახლის აღწერა (§19).

4. პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“: ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფია (§20).

5. გიორგი მელიქიშვილის შრომები: არიან-ქართლისა და ქართლის სამეფოს წარმოქმნის საკითხები (§21).

6. ივანე ჯავახიშვილისა და ანდრია აფაქიძის შრომები: წარმართული პანთეონი, არმაზის კულტი და დიდი მცხეთის არქეოლოგია (§23, §24).

7. ოთარ ლორთქიფანიძის შრომები: კოლხური კულტურა და ანტიკური ხანის საქართველო (§11, §15).

8. ირაკლი ციციშვილის შრომები ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის შესახებ (§19).

რესურსების ეს ნუსხა ამომწურავი არ არის. იგი მხოლოდ იმ მასალას მოიცავს, რომლებზეც სცენარებშია მითითებული.

## სასარგებლო ბმულები:

### ქვის ხანა

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – უკბილო ჰომინიდის თავის ქალა
https://www.youtube.com/watch?v=jPWmnFVHQho

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – „მზია“
https://www.youtube.com/watch?v=jm75KaPZ5wI

საწურბლიას მღვიმე
https://www.youtube.com/watch?v=a8IcAbIvNlo

კოტიას კლდე და ძუძუანას მღვიმე
https://www.youtube.com/watch?v=B7olItIOmmQ

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – ნეოლითური პლასტიკა
https://www.youtube.com/watch?v=oOI4p7pDm_o

### ენეოლითი და ბრინჯაოს ხანა

სამეცნიერო ფილმი “ცხოვრება 5300 წლის წინანდელ საქართველოში”
https://www.youtube.com/watch?v=OH8958utnaY

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – დისკოსებრი გულსაკიდი
https://www.youtube.com/watch?v=KLyQbDp9yHM&list=PLue6znsWBAfdlzl2MTnv9iaiXw5EPvfj

გადაჭრილი გორა” – შულავერ – შომუთეფეს კულტურა
https://www.youtube.com/watch?v=pxUDBTABaiE&t=784s

“მაშავერას გორა” – შულავერ – შომუთეფეს კულტურა
https://www.youtube.com/watch?v=5QyeO-Ew1cU

მტკვარ – არაქსის კულტურა – “გუდაბერტყას ნამოსახლარი”
https://www.youtube.com/watch?v=Oseb9Z6rOqM&t=586s

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – თრიალეთის ოქროს თასი
https://www.youtube.com/watch?v=7xrw5G6QmV8&t=132s

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – თრიალეთის ვერცხლის თასი
https://www.youtube.com/watch?v=VknSljYQvuY

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – ოქროს ლომი
https://www.youtube.com/watch?v=dernGWPmsd4

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – „უძველესი ღვინის ჭურჭელი“
https://www.youtube.com/watch?v=NBX3UqvZluQ

8000 წლის წინ დაწყებული ისტორია, რომელიც დღემდე გრძელდება.
https://www.youtube.com/watch?v=QpipIX6qvG4

ქართული სახელმწიფოს წარმოშობა
https://www.youtube.com/watch?v=x79sZZ59kkM&t=609s

## ანტიკური პერიოდის საქართველო

გრაკლიანის გორა. უძველესი ქართული წარწერა?
https://www.youtube.com/watch?v=yt7I1ChRUBI

ოქრომრავალი კოლხეთი
https://www.youtube.com/watch?v=J_FkU5OhRY8&t=1447s

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – ზოომორფული ფიგურები
https://www.youtube.com/watch?v=pwLvVEPd81w

ვანი – ქურუმთა ქალაქი
https://www.youtube.com/watch?v=Rsgds5lPZlY

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – ვანის დამარხული განძი
https://www.youtube.com/watch?v=ANpxJFyzEIs

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – ელინისტური შედევრები კოლხეთში
https://www.youtube.com/watch?v=yv60QIpdjN0

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – უძველესი სასაქონლო ნიშანი
https://www.youtube.com/watch?v=wQsn5i50E4M

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – კუს გამოსახულებიანი ყელსაბამი
https://www.youtube.com/watch?v=a6vXvWUODGE

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – ოქროს დიადემა საირხიდან
https://www.youtube.com/watch?v=JXWLjxK53oM

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია | ყანწი-რიტონი
https://www.youtube.com/watch?v=d2Kk9anUriY

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – საბრძოლო ეტლის მოდელი
https://www.youtube.com/watch?v=qtPrmR4tv_Y

„ხალიბები“ – „ქართული ცივილიზაციის დაკარგული ფრაგმენტები“
https://www.youtube.com/watch?v=5s_5dj9RvEI&t=1s

მთავარსარდალი – აზონი, ფარნავაზი
https://www.youtube.com/watch?v=1BPlv9uwUz4

ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია – ძალისას მოზაიკა
https://www.youtube.com/watch?v=Hn4gewZYU7A

დღემუზეუმში დიდი მცხეთა
https://www.youtube.com/watch?v=o7nsJ_Z6Zas

საქართველოს ძალიან მდიდარი და ხანგრძლივი წარსული აქვს. ჩვენი სამშობლოს კულტურული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ადრეულ ხანაში, ძვ. წ. III-I ათასწლეულებში, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქელოგიური მონაპოვარი ამისი საუკეთესო დასტურია.

კახეთში, ალაზნის ველზე, წნორის სიახლოვეს, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს ყორღანულ სამარხში ოქროს ლომის ფიგურა აღმოჩნდა. ოქრომჭედლობის უაღრესად დახვეწილი ტექნოლოგიით შესრულებული ხელოვნების ეს ნიმუში სპეციალისტების მიერ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღდა. აღნიშნული ძეგლი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში მცხოვრები ხალხისა და მათი მემკვიდრეების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების ნათელი დადასტურებაა. შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს თასი კი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარშია დამზადებული. იგი საიუველირო ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია და საქართველოში ოქრომჭედლობის კიდევ უფრო მაღალი საფეხურის მაჩვენებელია. მომდევნო ათასწლეულშიც კულტურული აღმავლობის ეს უწყვეტი ტრადიცია გრძელდებოდა.

არქეოლოგიური აღმოჩენები თვალნათლივ მიუთითებს, რომ ჩვენი სამშობლო, უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, კულტურული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული ქვეყანაა მთელ მსოფლიოში.